

რამაზ ქურდაძე

**სემონაშვილის ფონდის
თანაშენიანების პროექტი**

თბილისი
2005

P. Ш. Курдадзе

**АБЛАУТНЫЕ ГЛАГОЛЫ
В СОВРЕМЕННОМ ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ**

რედაქტორი პროფ. ელენე ბაბუნაშვილი

რეცენზენტები: პროფ. ვახტანგ იმნაიშვილი
დოც. ელენე კოშორიძე

ISBN 99940-0-618-5

© რამაზ ქურდაძე. 2005

შესავალი

აბლაუტის რაობისათვის

აბლაუტი ანუ აპოფონია განისაზღვრება როგორც ისეთი ხმოვანმონაცველობა ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში, რომელსაც მორფოლოგიური ფუნქცია აქვს. ამგვარი მონაცველობა შედეგია ოდინდელი ფონოლოგიური მონაცველობის მორფოლოგიზაციისა.

აბლაუტური ხმოვანმონაცველობა ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა სტრუქტურის ენებში.

ქართულში აბლაუტი, ინდოევროპულ ენათა მსგავსად, მორფოლოგიური ფუნქციის მქონეა, იგი გამოყენებულია სხვადასხვა მორფოლოგიურ კატეგორიათა სანარმოებლად, ე.ი. ასეთი ხმოვანმონაცველობა ფუნქციურად აფიქსებს უტოლდება. ამდენად, აბლაუტის სხვადასხვა საფეხურები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გარკვეულ მორფოლოგიურ კატეგორიათა სანარმოებლად გამოყენებული დამატებითი მორფემები ძირითად მორფემებთან (აფიქსებთან) ერთად.

აბლაუტის შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია განსხვავება ფუნქციურ ხმოვანმონაცველობასა და მარტივ ხმოვანმონაცველობას შორის. ხმოვანთა უბრალო ალტერნაცია ფონოლოგიურ მოვლენად მიიჩნევა, ხოლო ფუნქციური ხმოვანმონაცველობა ანუ აბლაუტი ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საზიარო მოვლენაა.

ამრიგად, აბლაუტი მორფონოლოგიური პროცესია (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 175-179, იხ. აგრეთვე გ.ახვლედიანი, 1949, გვ. 210; გვ. 299; ო.სემერენი, 1980, გვ. 95-108; გვ. 126 და სხვ.; თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984, გვ. 152 და სხვ.; თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია, 2003, გვ. 203-204 და სხვ.).

ხმოვანმონაცველ ზმნები (დრეკადი და კუმშვადი ფუძეები)

ზმნა ქართული ენის გრამატიკის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ქართული ზმნის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხმოვანმონაცველ ფორმებს, რომელთა შესახებაც ა.შანიძე წერს: „ერთ ჯგუფს ზმნებისას, რომელთაც მწკრივთა ორსავე სერიიში მარტივი თემები მოეპოვებათ, განსხვავება ამ თემებს შორის შინაგანი ხმოვნის შენაცვლებაზე აქვს დამყარებული. ეს შენაცვლება (ალტერნაცია) ყოველთვის ერთი ტიპისაა:“

პირველ სერიაში ე, მეორეში ი (ე—ი); მაგალითად: ვ-გრეხ და ვ-გრიხ-ე (ან ვ-გრიხ-ო), ვ-წყვეტ და ვ-წყვიტ-ე (ან ვ-წყვიტ-ო), ვ-გლეჯ და ვ-გლიჯ-ე (ან ვ-გლიჯ-ო) და მისთ." (ა.შანიძე, 1980, გვ. 390).

ამ ზმნებს ფუძედრეკადებსაც უწოდებენ.

ხმოვანმონაცვლეთა სახელით ცნობილია ზოგი -ი თემისნიშნისანი ზმნაც, რომლებშიც -ი სუფიქსის დართვა იწვევს ა ან ე ხმოვნის ამოღებას ფუძიდან. ასეთივე სურათია ზოგ -ავ თემისნიშნისანი ზმნაშიც, რომელთა ფუძეშიც -ავ სუფიქსის დართვის გამო ამოღებულია ა ხმოვანი.

ამ ზმნებს პირველ სერიაში ფუძე შეკუმშული აქვთ, ხოლო მეორე სერიაში — გაშლილი. მეორე სერიაში ფუძეში ა ან ე ხმოვანი აღდგება (შ—ა/ე); მაგალითად, ვ-შლ-ი და გა-ვ-შალ-ე, ვ-ცრ-ი და გა-ვ-ცერ-(ი), ე-კლ-ავ და მო-ვ-კალ (-ი).

ფუძედრეკადი ზმნებისაგან განსხვავებით ასეთი ფუძეები კუმშვადებად იწოდება.

მაშასადამე, ხმოვანმონაცვლეთა სახელით გაერთიანებულია დრეკადი (ე—ი) და კუმშვადი (შ—ა/ე) ფუძეების მქონე ზმნები (ფ.ერთელიშვილი, 1970, გვ. 88; გვ. 99).

დასახელებული ზმნები აბლაუტური ზმნებია. თუმცა მათში სხვადასხვა სახის აბლაუტს გამოყოფენ: პირველს, რომელშიც მონაცვლე ალომორფები სხვადასხვა ხმოვან ფონემებს შეიცავენ (ვ-დრეკ — ვ-დრიკ-ე) თვისებრივ აბლაუტს უწოდებენ, ხოლო მეორეს, რომელშიც ერთი ალომორფი მეორისაგან ხმოვნის არქონით განსხვავდება (მო-ვ-კალ — მო-კლ-ა) რაოდენობრივ აბლაუტს (თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. 2003, გვ. 203).

ჩვენი ნაშრომის თემაა ხმოვანმონაცვლე ფუძედრეკადი ზმნები. ამ ზმნებს I და II სერიის მწკრივებში ხმოვანმონაცვლეობა ახასიათებს (ვ-გრეხ — ვ-გრიხ-ე; ე—ი), მესამე სერიის ფორმებიდან კი პირველი თურმეობითი I სერიის ე საფეხურიან ფუძეს ემყარება (და-უ-გრეხ-ი-ა), მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი კი — II სერიის ი საფეხურიან ფუძეს (და-ე-გრიხ-ა, და-ე-გრიხ-ო-ს).

აღნიშნულ ზმნათა სამი ქვეჯგუფი გამოიყოფა: „1. -ევ სუფიქსზე დაბოლოებულნი, 2. -ენ სუფიქსზე დაბოლოებულნი, 3. ყველა დანარჩენ (გარდა გ, ჟ, ლ, ყ, ჰ) თანხმოვანზე დაბოლოებულნი“ (დ.მელიქიშვილი, 1979, გვ. 87; დ.მელიქიშვილი, 2001, გვ. 144).

ამ ზმნებში უძველეს ზმნურ სუფიქსებად მიაჩნიათ: -ეტ, -ეკ, -ედ, -ებ (ნ.მარი, 1925, გვ. 140; ა.შანიძე, 1980, გვ. 391-392; ე.თოფურია, 1936, გვ. 230-232; პ.ფოგტი, 1968, გვ. 284, გ.მაჭავარიანი, 1959, გვ. 102). სავარაუდოა სხვა ზმნური სუფიქსების გამოყოფაც.

ხმოვანმონაცვლე კუმშვად ფუძეებს ჩვენ საზოგადოდ არ განვიხილავთ.

მათგან გამოვარჩევთ მხოლოდ მცირე ჯგუფს, კერძოდ, ვ-შლ-ი — გა-ვ-შალ-ე ტიპის (შ—ა) მონაცვლეობის ზმნებს. ქეგლ-ის მიხედვით ასეთია სულ 23 ზმნა. ეს ზმნები მსგავსებას იჩენენ ხმოვანმონაცვლე ფუძედრეკად ზმნებთან სერიებისა და მწკრივების წარმოებისას. იმავდროულად ისინი განსხვავდებიან სხვა ხმოვანმონაცვლე კუმშვადი ფუძეებისაგან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ვ-შლ-ი ტიპის ზმნებს წყვეტილის მესამე პირის (ისევე როგორც პირველი და მეორე პირის) ფორმაში ფუძე გაშლილი აქვთ და შესაბამისად ეს ფუძეა წარმოდგენილი მეორე სერიაში მთლიანად და მესამე სერიიდან მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში. სწორედ მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით იჩენენ მსგავსებას ამ ტიპის კუმშვადი ფუძეები დრეკადებთან, მაშინ როდესაც სხვა ტიპის ხმოვანმონაცვლე კუმშვად ზმნებს (ვ-ცრ-ი და გა-ვ-ცერ(-ი), ვ-კლ-ავ და მო-ვ-კალ(-ი)) წყვეტილის მესამე პირში, ასევე მეორე კავშირებითსა და მესამე სერიის მწკრივებში პირველი სერიის ფორმების მსგავსად შეკუმშული ფუძე აქვთ (გა-ცრ-ა, მო-კლ-ა; გა-ცრ-ა-ს, მო-კლ-ა-ს; გა-უ-ცრ-ი-ა, მო-უ-კლ-ავ-ს; გა-ე-ცრ-ა, მო-ე-კლ-ა; გა-ე-ცრ-ა-ს, მო-ე-კლ-ა-ს).

ამრიგად, ჩვენს საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ე—ი ტიპის ხმოვანმონაცვლე ფუძედრეკადი ზმნები.¹ რიგ შემთხვევებში მოვიხმობთ შ—ა ტიპის კუმშვად ფუძეებსაც, რომლებიც სერიებისა და მწკრივების წარმოებისას მსგავსებას იჩენენ ფუძედრეკად ზმნებთან.

ზმნა ფართო გაგებით, როგორც ცნობილია, უპირო ფორმებსაც მოიცავს. ქართული ზმნისათვის ასეთებია სახელზმნები (საწყისები და მიმლეობანი). ჩვენს ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისების, მიმლეობებისა და ნაზმარი სახელების — დერივატების — განხილვას.

ნაშრომში წარმოდგენილია ხმოვანმონაცვლე ზმნების ინდექსი.

ხმოვანმონაცვლე ფორმები ქართული ზმნის ულლების სისტემაში ისტორიულად

ქართული ზმნის ულლება ფაქტობრივად ანმყო-წყვეტილის თემათა წარმოების ორ წესს ექვემდებარება: 1. სუფიქსურს — ანმყოსა და მასზე დამყარებულ ფორმათა თემებს აწარმოებენ თემატური სუფიქსები: -ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ და 2. ფუძის ხმოვნის ფუნქციურ მონაცვლეობას — აბლაუტს (ანმყოს ფუძეში ე, აორისტიკაში — ი, ან ანმყოს ფუძეში შ, აორისტიკაში ა ან ე).

1. აღნიშნულ ზმნებს სამეცნიერო ლიტერატურაში უმეტესწილად „ფუძედრეკადებს“ უწოდებენ. გვხვდება აგრეთვე ტერმინები: „ხმოვან-მონაცვლე“ (ა.შანიძე), „ხმოვანთმონაცვლე“ (ფ.ერთელიძე).

ჩვენ ვაშკობინებთ ტერმინს „ხმოვანმონაცვლე ზმნები“, თუმცა ციტირების თუ პერიფრაზირების დროს ვიყენებთ იმ ტერმინოლოგიას, რასაც ავტორები ხმარობენ.

დრეკადი და კუმშვადი ფუძეების შესახებ მსჯელობისას დავასახელებთ მხოლოდ ე—ი და შ—ა ტიპის მონაცვლეობას.

პირველი სისტემა გაბატონებულია და ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობას მოიცავს; მეორე კი, ისტორიულად გავრცელებული, დღეს იშვიათია და ზოგჯერ აფიქსურ წარმოებასთან თანაარსებობს (შლ-ი — შალ; კლ-ავ — კალ; ძრ-ობ --- ძერ), რაც მეორეული მოვლენაა.

თანამედროვე ქართულში აშკარაა ტენდენცია „ზმნის უღლების სისტემაში ოდესღაც ფართოდ გავრცელებული აბლაუტური ხმოვანმონაცველობის ნაშთების გადაშენებისა და თემათა განსხვავების ერთიან, აფიქსურ სისტემაზე გადასვლისა“ (დ.მელიქიშვილი, 2001, გვ. 138).

აბლაუტის თანდათანობით მოშლისა და აფიქსაციის გაძლიერების პროცესი ჩასახულია ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე და დღემდე გრძელდება, მან ფართოდ მოიცვა ზმნის უღლება, თუმცა ენაში ჯერ კიდევ ვხვდებით ძველი სისტემის ნაშთებს.

ეს პროცესი კარგად ჩანს ძველ ქართულში, სადაც შემორჩენილია ისეთი შემთხვევები, როდესაც აბლაუტის ნესით ერთმანეთს უპირისპირდება გარდაუვალი (პასივის) აორისტი (CVC-C: დერ-კ; კერ-ბ) და გარდამავალი აქტივის ანწყო (CC-VC: დრ-ეკ, კრ-ებ) (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 179-187; დ.მელიქიშვილი, 2001, გვ. 139).

ძველი ქართულის მოქმედ სისტემაში, ჩვეულებრივ, ამ კორელაციის ერთი წევრია შემონახული. მაგალითად, დასტურდება „უნიშნო ვნებითი“, მაგრამ არ გვხვდება იმავე ფუძის დრეკადი გარდამავალი ზმნა: ვ-ტფ-ები — გან-ვ-ტიფ, მაგრამ არაა დამონმებული *ვ-ტიფ — *ვ-ტიფ-ე; ვ-წდ-ები — გარდა - ვ-წდ, მაგრამ არა გვაქვს *ვ-წდ — *ვ-წიდ-ე; ვ-წმ-ები — გან-ვ-წემ, მაგრამ არ დასტურდება *ვ-წემ — *ვ-წიმ-ე და ა.შ.

„თეორიულად მოსალოდნელი გარდამავალი ფორმები კაუზატიური წარმოებით არის შეცვლილი: ვ-ა-ტფ-ობ, ახ. ქართ. ნა-ვ-ა-ხდ-ენ, ვ-ა-წმ-ობ და მისთ“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 206).

აღნიშნული ვითარება ორმორფემიან ზმნებთანაც დასტურდება: „ვ-პ-კრთ-ები — გან-ვ-პ-კერთ, მაგრამ არა გვაქვს *ვ-კრეთ — *ვ-კრით-ე. აქაც ფუძედრეკადი წარმოება გამოდევნილია კაუზატიური წარმოებით“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 206).

ავტორები საპირისპირო შემთხვევებსაც აღნიშნავენ; კერძოდ, დასტურდება ფუძედრეკადი გარდამავალი ზმნა, მაგრამ არა გვაქვს იმავე ფუძის „უნიშნო ვნებითი“: ვ-ფენ -- ვ-ფინ-ე, მაგრამ არაა დადასტურებული *ვ-ფენ-ები — *ვ-ფენ; ვ-ცქვეტ — ვ-ცქვიტ-ე, მაგრამ არ მოგვეპოვება *ვ-ცქვეტ-ები — *ვ-ცქვეტ და სხვ. ასეთი ვითარება გვხვდება ორმორფემიან ზმნებთანაც. გვაქვს: ვ-წურეტ — ვ-წურიტ-ე, მაგრამ არ დასტურდება *ვ-წურტ-ები — *ვ-წურეტ; ვ-ფრენ — ვ-ფრინ-ე, მაგრამ არაა დამონმებული *ვ-ფრნ-ები — *ვ-ფერნ.

ამგვარ შემთხვევებში „უნიშნო ვნებითი“ შეცვლილია გარდამავალი ფუძედრეკადი ზმნის ფუძისაგან ნანარმოები პრეფიქსიანი ვნებითით, ფუძე

ყოველთვის რედუქციის საფეხურზეა: ახ. ქართ. ე-ფინ-ებ-ა, ი-ხვრიტ-ებ-ა, იფხრინ-ებ-ა და სხვ.“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 206).

ზემოთ აღინიშნა, რომ გვაქვს აქტივი ვ-ფენ — ვ-ფინ-ე, მაგრამ არა გვაქვს პასივი *ვ-ფნ-ებ-ი — *ვ-ფენ. დ.მელიქიშვილის აზრით, „მათი ადგილი დაიკავა სასუბიექტო ქცევის აორისტის ფორმისაგან ტრანსფორმირებულიმა პასივმა: აქტივის სასუბიექტო ვერსია: ვ-ი-ფინ-ე; პასივის: ვ-ი-ფინ-ე, საიდანაც შემდეგ საერთო წესის მიხედვით (თემატური ნიშნის დართვისით) იქნა წარმოებული დინამიკური პასივის ანმყოფ ფორმები: ვ-ი-ფინ-ებ-ი“ (დ.მელიქიშვილი, 2001, გვ. 139).

მკვლევრის ვარაუდით, ეს პროცესი უფრო შორს წასულა: ძველი ქართული ენისათვის ნორმალური ფორმები (გან-ვ-ტიფ, გან-ვ-ჴემ) დღეს აორისტიში სუფიქსურ წარმოებაზე არიან გადასული (გან-ვ-ტიფ — გან-ვ-ტიფ-ი — გა-ვ-თბ-ი, ასევე: გა-ვ-შრ-ი, და-ვ-დნ-ი, გა-ვ-ხმ-ი და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ არსებობს ე-დერკ ტიპის პასივებში ე ხმოვნის გაჩენის სხვაგვარი ახსნა. კერძოდ, მას მიიჩნევენ ანაპტიქსურ ხმოვნად, რომელიც გაჩნდა პასივის პარადიგმის ანმყოფან აორისტიში გადმოსულ გაუხმოვანებელ ფუძეში (თ.უთურგაიძე, 2002, გვ 125 და სხვ.).

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით ნათელია, თუ როგორ იფართოებს გზას ანმყო-წყვეტილის თემათა წარმოების აფიქსური წესი.

თანამედროვე ქართულში აფიქსაციის ტენდენციას ექვემდებარებიან ხმოვანმონაცვლე ზმნებიც, რომლებიც პირველ სერიაში -ავ და -ებ სუფიქსებს დაირთავენ.

ამავე ტენდენციას ექვემდებარებიან ე.წ. უთემისნიშნო ზმნებიც, რომელთა უმრავლესობა დღეს -ავ თემის ნიშნით იხმარება და ორთემისნიშნაანთა კლასშია გადასული.

ამრიგად, როგორც აფიქსაცია, ისე აბლაუტი წარმოდგენილია თანამედროვე ქართული ზმნის უღლების სისტემაში. პირველი გაბატონებულია და გავლენას ახდენს მეორეზე.

ხმოვანმონაცვლე ზმნების გაგებისათვის

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ზემოაღნიშნულ ფორმებში ფუძისეული ე კი არ იცვლება ი-დ, არამედ „სინამდვილეში აქ სულ სხვაგვარი ვითარებაა: კრებ-ს — კრიბ-ა, დრეკ-ს — დრიკ-ა... ზმნებში ფუძის დრეკა — ხმოვანმონაცვლეობა კი არ ხდება, არამედ კუმშვა — ხმოვნის დაკარგვა: I სერიაში იკარგება -ი- ინფიქსი -ებ, -ეკ... სუფიქსთა დართვის შედეგად (კრებს < კრ-ი-ებ-ს, დრეკს < დრ-ი-ეკ-ს...), ხოლო II სერიაში ეს -ი- კვლავ აღდგება, რადგან თვით ის სუფიქსისეული ხმოვანი (ე) იკარგება მომდევნო ხმოვანი სუფიქსის დართვის გამო, რომელიც ი'ს დაკარგვას იწვევდა I სერი-

აში (კრიბა < კრ-ი-ებ-ა < კრ-ი-ებ-ე-ა, დრიკა < დრ-ი-ეკ-ა < დრ-ი-ეკ-ე-ა...)”
ლ.კიკნაძე, 1942, გვ. 88-89; იხ. აგრეთვე ლ.კიკნაძე, 1947 (1), გვ. 319; ლ.კიკ-
ნაძე, 1947 (2), გვ. 137-138; ლ.კიკნაძე, 1977, გვ. 243).

მკვლევრის აზრით, პროცესი ფონეტიკურია, ამ ზმნებში ფლექსია — ხმოვნის ცვლა კი არ ხდება, არამედ რედუქცია — ხმოვნის დაკარგვა, რის გამოც ეს ზმნები ფუძედრეკადნი კი არა, ფუძეკუმშვადნი არიან.

ლ.კიკნაძის ვარაუდით, -ეკ-, -ეტ-, -ერ-, -ევ... სუფიქსთა წინ არსებული -ი-
ან გარდამავლობის ნიშანია (დრიკა და მისთანა ზმნებში), ან ძირისეულია
(დაიჭირა, დალია და სხვა ამგვარ ზმნებში) (ლ.კიკნაძე, 1942, გვ. 89-97).

აღნიშნულ ზმნათა ანმყო-წყვეტილის ფორმების წარმოების შესახებ
ლ.კიკნაძე შენიშნავდა, რომ ზმნების გარკვეულ ჯგუფს ანმყოში არანაირი
თემატური სუფიქსი არა აქვს. ესენია ე.წ. ფუძედრეკადი ზმნები და „ნერ“
ტიპის რამდენიმე ზმნა. ამ ზმნებს პირველი და მეორე სერიის ძირითადი
მწკრივები — ანმყო და წყვეტილი — მაინც განსხვავებული აქვთ, რადგან
მათ წყვეტილში პირველი და მეორე პირის ფორმებში აქვთ ე სუფიქსი,
რომელიც მესამე პირის ფორმაში მოკვეცილია, მაგრამ წყვეტილის ფორმა
მაინც არ ემთხვევა ანმყოსას: განსხვავებას ქმნის ის, რომ ანმყოში მესამე
სუბიექტური პირის ნიშანია ს, წყვეტილში — ა: ნერ-ს — ნერ-ა... „ფუძედრე-
კადი ზმნების ანმყო და წყვეტილი იმითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან,
რომ ამ ზმნებს ანმყოში (და პირველი სერიის დანარჩენ მწკრივებში) აქვთ ე
ხმოვანი, ხოლო წყვეტილში (აგრეთვე მეორე სერიის სხვა მწკრივებში) — ი
(კრებს — კრიბა...). აქ თითქოს ე და ი ხმოვნების მონაცვლეობა გვაქვს და
თითქოს ძირითადად ამით განსხვავდება ამ ზმნების პირველი და მეორე
სერიის ფორმები ერთმანეთისაგან... მაგრამ ამ ზმნებში ფუძის დრეკადობა
— I-II სერიების მწკრივთა ფუძეების მიხედვით ხმოვანთა მონაცვლეობა
მოჩვენებითია“ (ლ.კიკნაძე, 1947 (1), გვ. 319; ლ.კიკნაძე, 1984, გვ. 93).

ძნელია დავეთანხმოთ აღნიშნულ მოსაზრებას. მსჯელობა -ი-ინფიქსის შესა-
ხებ დამყარებულია ვარაუდზე, რომელსაც მხარს არ უმაგრებს საილუსტრაციო
ნიმუშები — არაა დადასტურებული ეს ზმნები -ი-ევ, -ი-ებ, -ი-ენ... სუფიქსებით.
ანდა, საინტერესოა, რატომ არ გვხვდება ეს -ი- ინფიქსი სხვა ტიპის გარდამავალ
ზმნებში? შესაბამისი ფაქტობრივი მასალის უქონლობის გამო შეუძლებელია
აღნიშნულ ფორმებში ხმოვანმონაცვლეობა უგულებელვყოთ.

საანალიზო ზმნებში ე—ი ხმოვანმონაცვლეობას ძირითად (აფიქსურ)
წარმოებასთან ერთად თავისი როლი, თავისი დანიშნულება აქვს; კერძოდ,
აბლაუტის სხვადასხვა საფეხური გამოყენებულია, როგორც მორფოლოგი-
ურ კატეგორიათა საწარმოებელი დამატებითი მორფემები. სხვა შემთხვე-
ვების გარდა, ეს კარგად ჩანს ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციის დროს, რის
განხილვასაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

თავი I

აბლაუტი როგორც ზმნათა სერიებად და მნკრივებად დაყოფის მორფონოლოგიური საფუძველი ახალ ქართულში

1.1. ზმნურ ფორმათა დაჯგუფების საკითხები და აბლაუტი

ქართული ზმნური ფორმების დაჯგუფება უღლებს ტიპებად ნ.მარისა და ა.შანიძის სახელებს უკავშირდება (ნ.მარი, 1908; ნ.მარი, 1925; ა.შანიძე, 1930; ა.შანიძე, 1941; ა.შანიძე, 1980).

ახალ ქართულში გამოიყოფა თერთმეტი მნკრივი, რომლებიც სამ სერიად არის დაყოფილი. პირველ სერიაში ექვსი მნკრივია: ანწყო, უწყვეტელი, ანწყოს კავშირებითი, მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი; მეორე სერიაში — ორი: წყვეტილი, მეორე კავშირებითი; მესამე სერიაში კი — სამი: პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი.

ცნობილია სერიებად დაყოფის საფუძველი, კერძოდ: მნკრივები სამ სერიად იმიტომ იყოფა, რომ ერთი ჯგუფი ერთნაირად არის ნაწარმოები, მეორე ჯგუფი — მეორენაირად, მესამე კიდევ — სულ სხვანაირად; სახელდობრ:

1. ზმნათა დიდი ნაწილი ორთემიანია: პირველი სერიის თემა რთულია (დაერთვის თემის ნიშანი: ვ-ა-შენ-ებ), მეორისა — მარტივი (ვ-ა-შენ-ო). ამასთანავე, ხმოვანმონაცვლე ზმნებს პირველი სერიის მნკრივებში ე ხმოვანი აქვთ ფუძეში, მეორე სერიის მნკრივებში კი — ი (გრეხ-ს — გრიხ-ა).

2. მესამე სერიის თავისებურება ისაა, რომ გარდამავალ ზმნებში ინვერსია ხდება (ე.ი. ობიექტური ნიშანი სუბიექტურ პირს გამოხატავს, სუბიექტური ნიშანი კი — ობიექტურს: ა-მ-ი-შენ-ებ-ი-ა, ა-ვ-უ-შენ-ებ-ი-ვარ), ერთპირიანი ზმნები კი ფორმათა საწარმოებლად მიმღეობას იყენებენ (გა-ვ-ზრდილ-ვარ, გა-ვ-ზრდილ-იყავი).

3. აღნიშნულ მორფოლოგიურ ნიშნებს ერთვის ერთი სინტაქსური ნიშანიც — სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ბრუნვები გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან: ა) სუბიექტი პირველი სერიის ფორმებთან სახელობითშია (ბავშვი ხატავს), მეორე სერიის ფორმებთან — მოთხრობითში (ბავშვმა დახატა), მესამე სერიის ფორმებთან მიცემითში (ბავშვს დაუხატავს); ბ) პირდაპირი ობიექტი პირველი სერიის ფორმებთან მიცემითშია (ხატავს სურათს), მეორისა და მესამის ფორმებთან კი — სახელობითში (ა.შანიძე, ი.იმნაიშვილი, ლ.კვაჭაძე, 1980, გვ. 134-135).

მოყვანილ საფუძვლებში ხმოვანმონაცვლეობაცაა წარმოდგენილი. ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა, ანუ აბლაუტი რომ შესაძლებელია ზმნურ

ფორმათა დაჯგუფების საფუძვლად გამოდგეს, ამას ა.შანიძე სხვა ნაშრომშიც აღნიშნავს (ა.შანიძე, 1980, გვ. 390), ამასვე მიუთითებენ სხვა ავტორებიც (ფ.ერთელიშვილი, 1970, გვ. 103; დ.მელიქიშვილი, 2001, გვ. 144). მაგრამ აღნიშნული საკითხი კიდევ მოითხოვს დამატებით დამუშავებას, საჭიროა უფრო დეტალურად განვიხილოთ ხმოვანმონაცვლე ზმნური ფორმების წარმოება სერიებისა და მწკრივების მიხედვით.

აბლაუტის მექანიზმის მიხედვით ზმნური ფორმების განხილვა სერიათა და მწკრივთა ხელახალ გადაჯგუფებას კი არ ვარაუდობს, არამედ მათ დამატებით დასაბუთებას. ამ პრინციპის გათვალისწინება ზუსტად გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება აბლაუტის სხვადასხვა საფეხურთა მქონე ფუძეები ზემოაღნიშნულ სერიებსა და მწკრივებში.

ჩვენი მიზანია დავადგინოთ, ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან რომელი ექვემდებარება ზმნურ ფორმათა დაჯგუფებისას აღნიშნულ მორფონოლოგიურ წესს, როგორია აბლაუტის საფეხურთა განაწილება ამ ზმნების უღლებიას (გარდამავალი და გარდაუვალი ზმნებისა სუბიექტური და ობიექტური ნყობით).

1.2. ხმოვანმონაცვლე ზმნათა უღლების ტიპები (ე—ი და მ—ა)

ქართულში ხმოვანმონაცვლე ფორმები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემდეგი სახისაა: ა) დრეკადები (ე--ი: დრეკ-ს — დრიკ-ა) და კუმშვადები (მ--ა/ე: თლ-ი-ს — თალ-ა, ვ-ცრ-ი — გა-ვ-ცერ-(ი); ვ-კლ-ავ — მო-ვ-კალ-(ი)).

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ამ ფორმათაგან გამოდგება დრეკადები ე--ი მონაცვლეობით, ხოლო კუმშვადთაგან მ—ა მონაცვლეობით (თლ-ი-ს, შლ-ი-ს ტიპის ზმნები). ხოლო ვ-ცრ-ი — გა-ვ-ცერ-(ი) და ვ-კლავ — მო-ვ-კალ-(ი) ტიპის ზმნათა ფუძეებს მეორე სერიაში წყვეტილის მესამე პირში, კავშირებით მეორეში და ობიექტური ნყობით უღლებისას კვლავ ნული საფეხური ანუ შეკუმშული ფორმა ექნებათ, მსგავსად პირველი სერიის ფორმებისა (გაცრა, მოკლა; გაცრას, მოკლას; გამცრა, მომკლა; გამცრას, მომკლას). ამდენად, მათი უღლება გამოკვეთილ სურათს ვერ გვიჩვენებს. როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის გვრჩება დრეკ-ს — დრიკ-ა და თლ-ი-ს — თალ-ა ტიპის ზმნები.

ა) ე--ი ხმოვანმონაცვლე ფორმები

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ე--ი ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნები გვაქვს -ეე-, -ენ სუფიქსიანი და ყველა დანარჩენ (გარდა გ, ყ, ლ, ყ, ჰ) თანხმოვანზე დაბოლოებულნი. ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხის მხრივ აღნიშნულ სუფიქსებიანი ფორმები იდენტურ სურათს გვიჩვენებენ, უღლების ნიშნისათვის მხოლოდ ერთი ზმნის პარადიგმებს წარმოვადგენთ.

შევარჩიეთ ისეთი ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, სხვა თავისებურებები-
თაც გამოიჩინებდა. კერძოდ, „ეჩხელეტ“ და „მჩხელეტს“ ზმნები კონტექსტის
გათვალისწინებით შესაძლებელია გაგებულ იქნეს ორპირიანადაც და სამპირ-
იანადაც (შდრ.: „ჩხელეტს ეკალი ბავშვს“ და „ჩხელეტს ფუტკარი ყვავილს
ნესტარს“), მაგრამ მათი უღლების ფორმები ერთი და იგივეა. აღსანიშნავია,
რომ ამ ზმნის ორპირიან ფორმაში — „ჩხელეტს ეკალი ბავშვს“ პირდაპირი
ობიექტი დაკარგულია, გაუჩინარებულია და მხოლოდ სუბიექტი და ირიბი ობი-
ექტი გვხვდება, თანაც პასივში იკარგება სუბიექტი (ეკალი) და ირიბი ობიექტი
(ბავშვი) დგება სუბიექტის ადგილას: „იჩხელიტება ბავშვი (ეკლისაგან)“. ამ უკა-
ნასკნელს შესაძლებელია დეპონენსური გაგებაც ჰქონდეს („იჩხელიტება ბავშ-
ვი, ე.ი. ბავშვი ჩხელეტს რამეს“). ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან ასეთივე იქნება:
კბენს — იკბინება, რქენს — ირქინება, ჩქმეტს — იჩქმიტება და სხვ.

სხვა მხრივ, შესაძლებელია „ჩხელეტს“ ფორმას მეორე სერიაში პირდაპირი
ობიექტის მქონე ზმნა შეეფარდებოდეს. შდრ.: „ჩხელეტს ეკალი ბავშვს“ და
„(და)ჩხელიტა ეკალმა ბავშვი“. მაშასადამე, მეორე სერიის პირდაპირი ობიექ-
ტის მქონე „(და)ჩხელიტა“ ფორმას და ირიბი ობიექტის მქონე „უჩხელიტა“
ფორმას საზიარო აქვთ ანმყოს წრის „ჩხელეტს“, „ჩხელეტდა“, „ჩხელეტდეს“.

ჩვეულებრივ, გარდამავლობას სინტაქსური მახასიათებლების მიხედ-
ვით განსაზღვრავენ. კერძოდ, თუ ზმნას პირდაპირი ობიექტი შეეწყობა, ის
გარდამავალია (ა.შანიძე, 1980, გვ. 311). პ.ფოგტის აზრით, გარდამავალია
ქართულში ის ზმნები, რომელთაც სუბიექტი წყვეტილში მოთხრობით ბრუნ-
ვაში აქვთ (პ.ფოგტი, 1971, გვ. 88; ამ საკითხისათვის იხ. აგრეთვე, მ.სუხიშ-
ვილი, 1986, 58-90).

ზემოთ დასახელებულ ზმნებს გარდამავლებად განვიხილავთ. ბუნებრი-
ვია, გარდამავალ ზმნათა მსგავსია აბლაუტის საფეხურთა განაწილება ამ
ფორმებში, რის ჩვენებასაც ქვემოთ ვაპირებთ.¹

პირველი სერია

	სუბიექტური წყობა	ობიექტური წყობა
ანმყო:	ეჩხელეტ ჩხელეტ ჩხელეტს	მჩხელეტს გჩხელეტს ჩხელეტს
უნწყვეტელი:	ეჩხელეტდი ჩხელეტდი ჩხელეტდა	მჩხელეტდა გჩხელეტდა ჩხელეტდა

1. ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხის მიხედვით მრავლობითი რიცხვის ფორმე-
ბი ისეთივე ვითარებას გვიჩვენებენ, როგორსაც მხოლობითისა, უღლების დროს სიმოკლე-
სათვის მხოლოდ მხოლობითის ფორმებს ნარმოვადვენთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ უღლების
ზოგიერთი ნიმუში შესაძლებელია ფართოდ არ გამოიყენებოდეს, მაგრამ გრამატიკული
ფორმის თვალსაზრისით იგი უცხო არ არის.

ანმცოს კავშირებითი:	ენხვლეთდე ჩხვლეთდე ჩხვლეთდეს	მჩხვლეთდეს გჩხვლეთდეს ჩხვლეთდეს
ძყოფადი:	ეუნხვლეთ უნხვლეთ უნხვლეთს	მიჩხვლეთს გიჩხვლეთს უნხვლეთს
ხოლმეობითი:	ეუნხვლეთდი უნხვლეთდი უნხვლეთდა	მიჩხვლეთდა გიჩხვლეთდა უნხვლეთდა
მყოფადის კავშირებითი:	ეუნხვლეთდე უნხვლეთდე უნხვლეთდეს	მიჩხვლეთდეს გიჩხვლეთდეს უნხვლეთდეს

მეორე სერია

ნყვეტილი:	ეუნხვლიტე უნხვლიტე უნხვლიტა	მიჩხვლიტა გიჩხვლიტა უნხვლიტა
მეორე კავშირებითი:	ეუნხვლიტო უნხვლიტო უნხვლიტოს	მიჩხვლიტოს გიჩხვლიტოს უნხვლიტოს

მესამე სერია

პირველი თურმეობითი:	მიჩხვლეთია გიჩხვლეთია უნხვლეთია	ეუნხვლეთივარ უნხვლეთიხარ უნხვლეთია
მეორე თურმეობითი:	მეჩხვლიტა გეჩხვლიტა ენხვლიტა	ვეჩხვლიტე ენხვლიტე ენხვლიტა
მესამე კავშირებითი:	მეჩხვლიტოს გეჩხვლიტოს ენხვლიტოს	ვეჩხვლიტო ენხვლიტო ენხვლიტოს

აღნიშნული ზმნის ორპირიანი გარდამავალი ფორმებისათვის შესაბამისი ერთპირიანი გარდაუვალი ივარაუდება, რომელსაც, ბუნებრივია, მხოლოდ სუბიექტური ნყობის ფორმები აქვს.

პირველი სერია

ანმცო:	ვიჩხვლიტები იჩხვლიტები იჩხვლიტება	მყოფადი:	დავიჩხვლიტები დაიჩხვლიტები დაიჩხვლიტება
--------	---	----------	---

უწყვეტელი:	ვიჩხვლიტებოდი იჩხვლიტებოდი იჩხვლიტებოდა	ხოლმეობითი:	დავიჩხვლიტებოდი დაიჩხვლიტებოდი დაიჩხვლიტებოდა
ანმყოფ კავშირებითი:	ვიჩხვლიტებოდე იჩხვლიტებოდე იჩხვლიტებოდეს	მყოფადის კავშირებითი:	დავიჩხვლიტებოდე დაიჩხვლიტებოდე დაიჩხვლიტებოდეს

მეორე სერია

წყვეტილი:	დავიჩხვლიტე დაიჩხვლიტე დაიჩხვლიტა	მეორე კავშირებითი:	დავიჩხვლიტო დაიჩხვლიტო დაიჩხვლიტოს
-----------	---	-----------------------	--

მესამე სერია

პირველი თურმეობითი:	დაეჩხვლეტილეარ დაჩხვლეტილხარ დაჩხვლეტილა	მეორე თურმეობითი:	დაეჩხვლეტილიყავ დაჩხვლეტილიყავ დაჩხვლეტილიყოს
მესამე კავშირებითი:	დაეჩხვლეტილიყო დაჩხვლეტილიყო დაჩხვლეტილიყოს		

აღნიშნული ზმნის სამპირიანი გარდამავალი ფორმებისათვის ივარაუდება შესაბამისი ორპირიანი გარდაუქვები.

პირველი სერია

სუბიექტური წყობა ობიექტური წყობა

ანმყოფ:	ვეჩხვლიტები ეჩხვლიტები ეჩხვლიტება	მეჩხვლიტება გეჩხვლიტება ეჩხვლიტება
უწყვეტელი:	ვეჩხვლიტებოდი ეჩხვლიტებოდი ეჩხვლიტებოდა	მეჩხვლიტებოდა გეჩხვლიტებოდა ეჩხვლიტებოდა
ანმყოფ კავშირებითი:	ვეჩხვლიტებოდე ეჩხვლიტებოდე ეჩხვლიტებოდეს	მეჩხვლიტებოდეს გეჩხვლიტებოდეს ეჩხვლიტებოდეს
მყოფადი:	დავეჩხვლიტები დაეჩხვლიტები დაეჩხვლიტება	დამეჩხვლიტება დაგეჩხვლიტება დაეჩხვლიტება
ხოლმეობითი:	დავეჩხვლიტებოდი დაეჩხვლიტებოდი	დამეჩხვლიტებოდა დაგეჩხვლიტებოდა

მყოფადის კავშირებითი:	დაეჩხვლიტებოდა დაეეჩხვლიტებოდე დაეჩხვლიტებოდე დაეჩხვლიტებოდეს	დაეჩხვლიტებოდა დამეჩხვლიტებოდეს დაეეჩხვლიტებოდეს დაეჩხვლიტებოდეს
	მეორე სერია	
წყვეტილი:	დაეეჩხვლიტე დაეჩხვლიტე დაეჩხვლიტა	დამეეჩხვლიტა დაეეჩხვლიტა დაეჩხვლიტა
მეორე კავშირებითი:	დაეეჩხვლიტო დაეჩხვლიტო დაეჩხვლიტოს	დამეეჩხვლიტოს დაეეჩხვლიტოს დაეჩხვლიტოს
	მესამე სერია	
პირველი თურმეობითი:	დაეჩხვლეტივარ დაჩხვლეტიხარ დაჩხვლეტია	დამჩხვლეტია დაეჩხვლეტია დაჩხვლეტია
მეორე თურმეობითი:	დაეჩხვლეტოდი დაჩხვლეტოდი დაჩხვლეტოდა	დამჩხვლეტოდა დაეჩხვლეტოდა დაჩხვლეტოდა
მესამე კავშირებითი:	დაეჩხვლეტოდე დაჩხვლეტოდე დაჩხვლეტოდეს	დამჩხვლეტოდეს დაეჩხვლეტოდეს დაჩხვლეტოდეს

ბ) ღ—ა ხმოვანმონაცვლე ჟორმეგბი

ორპირიანი გარდამავალი ზმნები: ვშლი, მშლის

პირველი სერია

სუბიექტური ნყობა ობიექტური ნყობა

ანმყო:	ეშლი შლი შლის	მშლის გშლის შლის
უნყოვეტილი:	ეშლიდი შლიდი შლიდა	მშლიდა გშლიდა შლიდა
ანმყოს კავშირებითი:	ეშლიდე შლიდე	მშლიდეს გშლიდეს

მყოფადი:	შლიდეს გავშლი გაშლი გაშლის	შლიდეს გამშლის გაგშლის გაშლის
ხოლმეობითი:	გაეშლიდი გაშლიდი გაშლიდა	გამშლიდა გაგშლიდა გაშლიდა
მყოფადის კავშირებითი:	გაეშლიდე გაშლიდე გაშლიდეს	გამშლიდეს გაგშლიდეს გაშლიდეს

მეორე სერია

წყვეტილი:	გაეშალე გაშალე გაშალა	გამშალა გაგშალა გაშალა
მეორე კავშირებითი:	გაეშალო გაშალო გაშალოს	გამშალო გაგშალო გაშალოს

მესამე სერია

პირველი თურმეობითი:	გამიშლია გაგიშლია გაუშლია	გაეუშლივარ გაუშლიხარ გაუშლია
მეორე თურმეობითი:	გამეშალა გაგეშალა გაეშალა	გავეშალე გაეშალე გაეშალა
მესამე კავშირებითი:	გამეშალოს გაგეშალოს გაეშალოს	გავეშალო გაეშალო გაეშალოს

აღნიშნულ ზმნათა კონვერსიული ფორმაა „ვიშლები“, რომლის უღლების ნიმუშები ასეთია:

პირველი სერია

ანმყო:	ვიშლები იშლები იშლება	მყოფადი:	გაევიშლები გაიშლები გაიშლება
უნწყვეტილი:	ვიშლებოდი იშლებოდი იშლებოდა	ხოლმეობითი:	გაევიშლებოდი გაიშლებოდი გაიშლებოდა

ანმცოს კავშირებითი:	ვიშლებოდე იშლებოდე იშლებოდეს	მყოფადის კავშირებითი:	გავიშლებოდე გაიშლებოდე გაიშლებოდეს
------------------------	------------------------------------	--------------------------	--

მეორე სერია

წყვეტილი:	გავიშალე გაიშალე გაიშალა	მეორე კავშირებითი:	გავიშალო გაიშალო გაიშალოს
-----------	--------------------------------	-----------------------	---------------------------------

მესამე სერია

პირველი თურმეობითი:	გავშლილვარ გაშლილხარ გაშლილა	მეორე თურმეობითი:	გავშლილიყავ გაშლილიყავ გაშლილიყო
მესამე კავშირებითი:	გავშლილიყო გაშლილიყო გაშლილიყოს		

სამპირიანი ზმნები: ვუშლი, მიშლის

პირველი სერია

სუბიექტური ნყობა

ობიექტური ნყობა

ანმყო:	ვუშლი უშლი უშლის	მიშლის გიშლის უშლის
უნწყვეტილი:	ვუშლიდი უშლიდი უშლიდა	მიშლიდა გიშლიდა უშლიდა
ანმცოს კავშირებითი:	ვუშლიდე უშლიდე უშლიდეს	მიშლიდეს გიშლიდეს უშლიდეს
მყოფადი:	გავუშლი გაუშლი გაუშლის	გამიშლის გაგიშლის გაუშლის
ხოლმეობითი:	გავუშლიდი გაუშლიდი გაუშლიდა	გამიშლიდა გაგიშლიდა გაუშლიდა
მყოფადის კავშირებითი:	გავუშლიდე გაუშლიდე გაუშლიდეს	გამიშლიდეს გაგიშლიდეს გაუშლიდეს

	მეორე სერია	
წყვეტილი:	გაეუშალე გაუშალე გაუშალა	გამიშალა გაგიშალა გაუშალა
მეორე კავშირებითი:	გაეუშალო გაუშალო გაუშალოს	გამიშალოს გაგიშალოს გაუშალოს
	მესამე სერია	
პირველი თურმეობითი:	გამიშლია გაგიშლია გაუშლია	გაეუშლივარ გაუშლიხარ გაუშლია
მეორე თურმეობითი:	გამეშალა გაგეშალა გაეშალა	გაეეშალე გაეშალე გაეშალა
მესამე კავშირებითი:	გამეშალოს გაგეშალოს გაეშალოს	გაეეშალო გაეშალო გაეშალოს

ამ ზმნათა გარდაუვალი ფორმებია: „ვეშლები“ და „მეშლება“.

პირველი სერია

ა	სუბიექტური ნყობა	ობიექტური ნყობა
ანწყო:	ვეშლები ეშლები ეშლება	მეშლება გეშლება ეშლება
უნწყვეტელი:	ვეშლებოდი ეშლებოდი ეშლებოდა	მეშლებოდა გეშლებოდა ეშლებოდა
ანწყოს კავშირებითი:	ვეშლებოდე ეშლებოდე ეშლებოდეს	მეშლებოდეს გეშლებოდეს ეშლებოდეს
მყოფადი:	გავეშლები გაეშლები გაეშლება	გამეშლება გაგეშლება გაეშლება
ხოლმეობითი:	გავეშლებოდი გაეშლებოდი გაეშლებოდა	გამეშლებოდა გაგეშლებოდა გაეშლებოდა

მყოფადის კავშირებითი:	გავეშლებოდე გაეშლებოდე გაეშლებოდეს	გამეშლებოდეს გაგეშლებოდეს გაეშლებოდეს
	მეორე სერია	
წყვეტილი:	გავეშალე გაეშალე გაეშალა	გამეშალა გაგეშალა გაეშალა
მეორე კავშირებითი:	გავეშალო გაეშალო გაეშალოს	გამეშალოს გაგეშალოს გაეშალოს
	მესამე სერია	
პირველი თურმეობითი:	გაეშლივარ გაშლიხარ გაშლია	გამშლია გაგშლია გაშლია
მეორე თურმეობითი:	გაეშლოდი გაშლოდი გაშლოდა	გამშლოდა გაგშლოდა გაშლოდა
მესამე კავშირებითი:	გაეშლოდე გაშლოდე გაშლოდეს	გამშლოდეს გაგშლოდეს გაშლოდეს

აღნიშნული უღლების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ:

გარდამავალი ხმოვანმონაცვლე ზმნები, იქნება ეს ე—ი თუ **შ**—ა მონაცვლეობა, იდენტურობას გვიჩვენებენ იმ თვალსაზრისით, რომ, მიუხედავად აბლაუტის საფეხურთა სხვადასხვაობისა, ერთ ჯგუფში აქცევენ პირველი სერიისა და პირველი თურმეობითის ფორმებს (ე—ი ტიპისათვის ე საფეხურის მქონეს, ხოლო **შ**—ა ტიპისათვის **შ** საფეხურის მქონეს), ხოლო მეორე ჯგუფში — მეორე სერიისა და მესამე სერიის მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითის ფორმებს (ე—ი ტიპისათვის ი საფეხურის მქონეს, ხოლო **შ**—ა ტიპისათვის ა საფეხურის მქონეს).

გარდაუვალი ზმნები სხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებენ; კერძოდ, ე—ი მონაცვლე ზმნებისათვის ერთ ჯგუფში ექცევა პირველი და მეორე სერიის ფორმები (ი საფეხურის მქონე), ხოლო ცალკე დგას მესამე სერიის ფორმები (ე საფეხურის მქონე). **შ**—ა მონაცვლე ზმნებისათვის კი ერთ ჯგუფში ექცევა პირველი და მესამე სერიის ფორმები (**შ** საფეხური), ხოლო ცალკე დგას მეორე სერიის ფორმები (ა საფეხური).

ამრიგად, აღნიშნული უღლების გათვალისწინება იძლევა ზმნური ფორ-

მების განაწილების შესაძლებლობას აბლაუტის გარკვეული საფეხურების მიხედვით. აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია სერიებად და მწკრივებად დაყოფის მორფოლოგიურ და სინტაქსურ საფუძვლებთან ერთად დავასახელოთ ერთიც — მორფონოლოგიური საფუძველი (რ.ქურდაძე, 1997 (1), გვ. 50; რ.ქურდაძე, 1997 (2), გვ. 241).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ე—ი და მ—ა ტიპის გარდამავალი და გარდაუვალი ხმოვანმონაცვლე ზმნების აბლაუტის საფეხურები სერიებისა და მწკრივების მიხედვით შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ.

ტაბულა I. ე—ი და მ—ა ტიპის გარდამავალი და გარდაუვალი ხმოვანმონაცვლე ზმნების აბლაუტის საფეხურები სერიებისა და მწკრივების მიხედვით

სერიები	მწკრივები	გარდამავალი				გარდაუვალი			
		ე—ი ტიპი		მ—ა ტიპი		ე—ი ტიპი		მ—ა ტიპი	
		ე საფეხური	ი საფეხური	მ საფეხური	ა საფეხური	ე საფეხური	ი საფეხური	მ საფეხური	ა საფეხური
I სერია	ანმყო	ე	—	მ	—	—	—	მ	—
	უნყვეტელი	ე	—	მ	—	—	—	მ	—
	ანმყოს კავშირებითი	ე	—	მ	—	—	—	მ	—
	მყოფადი	ე	—	მ	—	—	—	მ	—
	ხოლმეობითი	ე	—	მ	—	—	—	მ	—
II სერია	მყოფადის კავშირებითი	ე	—	მ	—	—	—	მ	—
	ნყვეტილი	—	ი	—	ა	—	ი	—	ა
III სერია	II კავშირებითი	—	ი	—	ა	—	ი	—	ა
	I თურმეობითი	ე	—	მ	—	ე	—	მ	—
	II თურმეობითი	—	ი	—	ა	ე	—	მ	—
III სერია	III კავშირებითი	—	ი	—	ა	ე	—	მ	—

წარმოდგენილი ტაბულა ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება სერიებისა და მწკრივებში აბლაუტის საფეხურების მიხედვით ხმოვანმონაცვლე (ე—ი და მ—ა ტიპის) ზმნები. ამგვარი განაწილების მიხედვით საინტერესო სურათი გვაქვს ხმოვანმონაცვლე ზმნური ფორმების მწკრივთა წარმოებისას, რომლის განხილვასაც ქვემოთ ვაპირებთ. ამ საკითხის განხილვას ხმოვანმონაცვლე ზმნების მთავარ ფორმათა ანალიზით დავიწყებთ.

1.3. ხმოვანმონაცვლე ზმნათა მთავარი ფორმები

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აბლაუტი მორფოლოგიურ და სინტაქსურ საფუძვლებთან ერთად ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციის მორფონოლოგიური საფუძველია. ამ მხრივ საინტერესოა ზმნის საყრდენ ფორმათა განხილვა.

ზმნის მთავარ ფორმათა გარჩევისას ა.შანიძე აღნიშნავს: „მთავარი პქვია ფორმებს, რომელთა დასახელება საკმარისია იმისათვის, რომ ადვილად წარმოებულ იქნეს ყველა დანარჩენი“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 490). მკვლევრის აზრით, ქართულში ზმნის ოთხი მთავარი ფორმაა: ანმყო (ან მყოფადი), ნყვეტილი, I თურმეობითი და სანყისი.

თითოეული ამ ფორმის გამოყოფისათვის ავტორი გარკვეულ ნიშან-თვისებებს ასახელებს (ა.შანიძე, 1980, გვ. 490-491).

თუ ამ თვალსაზრისს გაეზიარებთ და ხმოვანმონაცვლე ზმნების ნიმუშებს წარმოვადგენთ, აღმოჩნდება, რომ ანმყო (ან მყოფადი), I თურმეობითი და სანყისი აბლაუტის საფეხურების თვალსაზრისით ერთი და იგივე იქნება. მაგალითად: ჩხვლეტს (ან უჩხვლეტს), უჩხვლეტია, ჩხვლეტა; შლის (ან გაშლის), გაუშლია, შლა. აბლაუტის საფეხურის მიხედვით განსხვავებული იქნება ნყვეტილი: უჩხვლიტა, გაშალა. ამიტომ იქნებ მართებული იყოს, აღნიშნულ ზმნათა მთავარი ფორმები სწორედ აბლაუტის საფეხურების მიხედვით წარმოვადგინოთ. ამ შემთხვევაში ხმოვანმონაცვლე ზმნების განხილვისათვის, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება ორი მთავარი ფორმა. ჩვენ არ ვასახელებთ კონკრეტულად რომელიმე მწკრივის ფორმას — არც ანმყოს (ან მყოფადს), არც ნყვეტილს, არც I თურმეობითს და არც სანყისს. ჩვენი აზრით, ხმოვანმონაცვლე ზმნებისათვის მთავარ ფორმებად შესაძლებელია გამოვადგეს ამავე ზმნების აბლაუტის საფეხურის მქონე ფუძეები. მაგალითად, ე—ი ტიპის ზმნებისათვის მთავარი ფორმები იქნება ე ხმოვნის შემცველი ფუძე და ი ხმოვნის შემცველი ფუძე. მ—ა ტიპის ზმნებისათვის კი მ-ის შემცველი ფუძე და ა ხმოვნის შემცველი ფუძე. მაშასადამე, ე—ი ტიპის იქნება ეს თუ მ—ა ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნა, თითოეულისათვის ორ მთავარ ფორმას ვვარაუდობთ, რომლებზეც ფაქტობრივად სხვა ფორმების წარმოებაცაა დამყარებული.

აღნიშნული მთავარი ფორმების მიხედვით განვიხილავთ ხმოვანმონაცვლე გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს.

ე - ი და მ—ა ტიპის გარდამავალი ხმოვანმონაცვლე ზმნებისათვის ე და მ საფეხურიანი ფორმები საყრდენია ამ ზმნათა I სერიის მწკრივებისა და I თურმეობითისათვის. ეს საფეხურებია წარმოდგენილი ამავე ზმნათა შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც.

ფაქტობრივად ამ ფორმებითვე ხდება აღნიშნულ ზმნათა სანყისების წარმოებაც, რომელთა მოყვანითაც, როგორც ა.შანიძე აღნიშნავს, „საზო-

გადოდ გადაწყვეტილია, თუ როგორ უნდა იყოს ნაწარმოები მიმღობა“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 491).

ე—ი და მ—ა ტიპის გარდაუვალ ხმოვანმონაცვლე ზმნებისათვის ე და მ საფეხურიანი ფორმები საყრდენია III სერიის სამივე მწკრივისათვის.

ე—ი და მ—ა ტიპის გარდამავალი ხმოვანმონაცვლე ზმნებისათვის ი და ა საფეხურიანი ფორმები დასაყრდენია წყვეტილის და II კავშირებითის მწკრივებისათვის. ამას გარდა იგივე საფეხურები გამოყენებულია ამ ზმნათა II თურმეობითისა და III კავშირებითის საწარმოებლად.

ე—ი და მ—ა ტიპის გარდაუვალ ხმოვანმონაცვლე ზმნებში ი საფეხური II სერიის მწკრივებთან ერთად I სერიის ექვსივე მწკრივის საყრდენია, ხოლო ა საფეხური გამოყენებულია წყვეტილსა და II კავშირებითში.

ამრიგად, ხმოვანმონაცვლე (ე—ი და მ—ა ტიპის) ზმნების ანალიზის დროს ჩვენ ფაქტობრივად ამ ზმნათა ორ მთავარ ფორმას გამოვყოფთ: ა) ე და მ საფეხურთა მქონე ფუძეები; ბ) ი და ა საფეხურთა მქონე ფუძეები. ეს ფორმები საყრდენია არა მხოლოდ ცალ-ცალკე I და II სერიის მწკრივებისათვის, არამედ, როგორც ზემოთ უჩვენეთ, გარკვეული წესის მიხედვით ამავე ფორმებს ემყარება მესამე სერიის წარმოებაც, ხოლო თავის მხრივ ანმყოს ფუძე სახელზმნურ ფორმათა საყრდენია.

ამდენად, ჩვენ მიერ გამოყოფილი ხმოვანმონაცვლე ზმნების მთავარ ფორმათა როლი სცილდება ცალკეულ სერიათა ფარგლებს და უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს აღნიშნულ პირიან და უპირო ფორმათა წარმოებისას.

1.4. ხმოვანმონაცვლე (ე—ი და მ—ა ტიპის) ზმნურ ფორმათა მწკრივების წარმოება

წინა ქვეთავში აღნიშნეთ, რომ აბლაუტის საფეხურთა მიხედვით ზმნურ ფორმათა დაჯგუფება საშუალებას იძლევა, თანამედროვე ქართული ხმოვანმონაცვლე ე—ი და მ—ა ტიპის ზმნათა ანალიზისათვის აბლაუტის საფეხურების მქონე ფუძეებს დავეყრდნოთ. ამ ფუძეებზე ფაქტობრივად დამყარებულია სხვა მწკრივებიც. ქვემოთ განვიხილავთ აღნიშნულ ზმნათა მწკრივების წარმოებას.

გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. გარდამავალი ე—ი და მ—ა ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე და მ საფეხურების მქონე ფორმები, რომლებიც პირველი სერიის მწკრივებსა და პირველ თურმეობითში გეხვდება. ამ ფორმათა წარმოებისას დიდია მსგავსება, თუმცა გვაქვს განსხვავებაც.

განსხვავება მხოლოდ პირველი სერიის მწკრივთა უღლებამია. კერძოდ, ე--ი ტიპის ზმნები უთემისნიშნოა, ხოლო მ—ა ტიპისა — ი თემისნიშნოა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ობიექტური წყობის უწყვეტელსა

და ხოლმეობითში არაა წარმოდგენილი მწკრივის ნიშანი. ამის მიზეზი ისაა, რომ ასეთი წყობით უღლებისას ობიექტური პირის ცვლა ხდება, სუბიექტი უცვლელია. იგი მესამე პირშია და -ა სუფიქსითაა გამოხატული.

სხვა მხრივ, აღნიშნულ ზმნებს იდენტური წარმოება ახასიათებთ; კერძოდ, ორივე ტიპის ზმნებს — როგორც საერთოდ გარდამავლებს — უწყვეტლის, ანმყოს კავშირებითის, ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის მწკრივებში აქვთ სავრცობი -დ-. ამავე მწკრივებში (ობიექტური წყობის უწყვეტლის და ხოლმეობითის გამოკლებით) წარმოდგენილია შესაბამისი მწკრივის ნიშნები: უწყვეტელსა და ხოლმეობითში -ი, ხოლო ანმყოსა და მყოფადის კავშირებითში — ე-.

ამ ზმნათა პირველი თურმეობითის წარმოებაშიც შეინიშნება მსგავსება. კერძოდ, აქ წარმოდგენილია -ი- მწკრივის ნიშანი¹ და შესაბამისად სუბიექტური წყობის ზმნათათვის სამივე პირში -ი-ა ტიპის წარმოება გვაქვს, ხოლო ობიექტური წყობის ზმნების წარმოება მეშველზმნიანია: 1. -ი-ვარ, 2. -ი-ხარ, 3. -ი-ა. სუბიექტური წყობის ზმნები პირველ და მეორე პირში ი პირფიქსიანია, ხოლო მესამე პირში და ობიექტური წყობის სამივე პირში უ პრეფიქსიანი. აღნიშნულ ი და უ ხმოვნებს ამ შემთხვევაში პირველი თურმეობითის მწკრივის სანარმოებელ საშუალებად განვიხილავთ. ჩვეულებრივ, ი და უ ზმნური პრეფიქსები სასხვისო (საობიექტო) ქცევის გამომხატველია (ა.შანიძე, 1980, გვ. 331).

ტაბულა II. ე--ი ტიპის გარდამავალი ზმნის ფუძე აბლაუტის [ე] საფეხურით²

მწკრივები	ანმყოფადი	უწყვეტელი ხოლმეობითი	ანმყოს კავშირ. მყოფადის კავშირ.	პირველი თურმეობითი
სუბიექტური წყობა	-ი	-დ-ი	-დ-ე	1. ი- — -ი-ა 2. ი- — -ი-ა 3. უ- — -ი-ა

1. სპეციალურ ლიტერატურაში ამ -ი- სუფიქსის წარმოშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ა.შანიძის აზრით, „ეს ი სუფიქსი წამოიჭრა ძველი -იე-სი“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 435), არნ.ჩიქობავა კი მას ხოლმეობითის -ი მანარმოებელს უკავშირებს (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 93-98). არსებობს მოსაზრება, რომელიც სტატუტურ ზმნათა ერთ ჯგუფსა და პირველ თურმეობითში წარმოდგენილ -ია (-იეს) დაბოლოებათა საერთო წარმოშობას ემყარება. ამ მოსაზრების მიხედვით, სტატუტურ ზმნათა ერთი ჯგუფი ანმყოს სანარმოებლად იყენებს ნამყო ძირითადის III პირის ფორმათა ყალიბს: პკიეს ← პკიეეს ← პკეეეს. „პკიეს“ ფორმაში -ეს იმპერსონალური წმკრივების ნიშანია, -ი კი -ეე სუფიქსის ნაშთი. ამ ვარაუდის თანახმად, ზმნათა ერთი ნაწილის I თურმეობითისათვისაც წარმოების იგივე პრინციპი ივარაუდება (მბერიძე, 1997, გვ. 8; იხ. აგრეთვე მბერიძე, 1994, გვ. 157-164).

ჩვენ ზემოაღნიშნულ -ი- სუფიქსს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა პირველი თურმეობითის მწკრივის ნიშნად განვიხილავთ, მიუხედავად იმისა, როგორია მისი წარმოშობა (გარდაუვალად შესახებ დანერღვებით იხ. ქვემოთ).

2. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტაბულები ემყარება ზემოთ მოცემულ ხმოვანმონაცველ (ჩხელტეს -- ჩხელიტა, შლის — შალა ტიპის) ზმნათა უღლებას.

მწკრივები	ანმყო მყოფადი	უნყვეტელი ხოლმეობითი	ანმყოს კავშირ. მყოფადის კავშირ.	პირველი თურმეობითი
ობიექტური წყობა	-0	-დ-0	-დ-ე	1. უ- -- -ი-ვარ 2. უ- -- -ი-ხარ 3. უ- -- -ი-ა

ტაბულებთან დაკავშირებით საჭიროა რამდენიმე შენიშვნა:

ა) როგორც ცნობილია, ზმნურ ფორმათა დაჯგუფებისას ახალ ქართულში სამ სერიას და თერთმეტ მწკრივს გამოყოფენ (ა.შანიძე). არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ახალ ქართულში ზმნური ფორმები სამ სერიად და რვა ნაკეთად ლაგდება. ამის მიხედვით I სერიაში სამი ნაკეთია: ანმყო-მყოფადი, უნყვეტელ-ხოლმეობითი, I კავშირებითი; II სერიაში — ორი: ნყვეტილი, II კავშირებითი; III სერიაში — სამი: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი (გ.გოგოლაშვილი, 1988; გვ. 97-98). სხვა თვალსაზრისით, მწკრივთა რაოდენობა ახალ ქართულში შესაძლებელია თექვსმეტამდე გაიზარდოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ პირველი სერიის მსგავსად მეორე და მესამე სერიის სრული და უსრული ასპექტის ფორმებიც ცალ-ცალკე იქნება წარმოდგენილი (ა.არაბული, 1992). ჩვენი აზრით, აბლაუტის საფეხური არ შეიძლება გამოდგეს მწკრივთა რაოდენობის განმსაზღვრელად. ასე მაგ., ე—ი და მ—ა ტიპის გარდამავალი ხმოვანმონაცვლე ზმნების აბლაუტის ე და მ საფეხურებიანი ფუძეები გვაქვს ამ ზმნათა I სერიის მწკრივებში და I თურმეობითში, ე.ი. სრულიად განსხვავებულ მწკრივებში, რომლებიც, მიუხედავად აბლაუტის საფეხურთა ერთიანობისა, სხვა თავისებურებებითაც ხასიათდებიან, რაც მათი ცალ-ცალკე დაყოფის განმსაზღვრელია. ასე რომ, მწკრივთა რაოდენობის დასადგენად აბლაუტის საფეხურებს ვერ გამოვიყენებთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია აბლაუტის საფეხურთა განაწილება და მათი ფუნქცია ზმნურ ფორმათა სისტემაში. მწკრივთა რაოდენობაზე მსჯელობა სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს და, ამდენად, ამ საკითხს არ შეეხებით. ჩვენს ტაბულებზე სამ გრაფაში გადანაწილებული I სერიის ექვსი მწკრივი მხოლოდ ტაბულების სიმარტივით აიხსნება; ბ) თემისა და მწკრივის ნიშნების არქონის შემთხვევაში ტაბულებზე გვხვდება 0. ასეა მაშინაც, როცა წა-ა კვეცს წინამავალ ხმოვნიან სუფიქსებს (-ი-ს და -ე-ს); გ) ტაბულებზე ცალ-ცალკეა მოცემული სუბიექტური და ობიექტური წყობის ფორმები, მაგრამ გარდამავალი ზმნების შემთხვევაში ინვერსიის გამო სუბიექტური წყობის გაგრძელებად III სერიაში მანის რიგის ფორმები გვევლინება, ხოლო ობიექტური წყობის გაგრძელებად — ვინის რიგისა; დ) -ე-, -ი- აფიქსებთან აბლაუტის საფეხურების ფორმოზრივი დამთხვევის გამო ამ უკანასკნელთ ფრჩხილუბში წარმოვადგენთ: [ე], [ი], [მ], [ა].

ტაბულა III. 8—ა ტიპის გარდამავალი ზმნის ფუძე აბლაუტის [8] საფეხურით

მწკრივები	ანმყოფადი	უნყვეტილი ხოლმეობითი	ანმყოფი კავშირ. მყოფადის კავშირ.	პირველი თურმეობითი
სუბიექტური ნყოფა	-0	-ი-დ-ი	-ი-დ-ე	1. ი- — -ი-ა 2. ი- — -ი-ა 3. უ- — -ი-ა
ობიექტური ნყოფა	-0	-ი-დ-ი	-ი-დ-ე	1. უ- — -ი-ვარ 2. უ- — -ი-ხარ 3. უ- — -ი-ა

2. ამ ჯგუფში ვხვდებით ე—ი და 8—ა ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნათა ი და ა საფეხურების მქონე ფორმებს, რომლებიც წყვეტილის, მეორე კავშირებითის, მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითის მწკრივებშია დადასტურებული. ამ შემთხვევაში ი და ა ტიპის ზმნურ ფუძეთა შორის წარმოების თვალსაზრისით სრული დამთხვევა გვაქვს. კერძოდ, მეორე სერიის მწკრივებში წარმოდგენილია შესაბამისი მწკრივის ნიშნები: წყვეტილში -ე, მეორე კავშირებითში -ო. ამ მხრივ ორივე ტიპისათვის გამონაკლისია წყვეტილის ობიექტური ნყოფის ფორმები, რომლებშიც არაა წარმოდგენილი მწკრივის ნიშნები. ეს გამოწვეულია ობიექტური ნყოფის თავისებურებით, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

საერთოდ, როგორც გარდამავალ ზმნებში, ჩვენს შემთხვევაშიც მესამე სერიის მწკრივებში (მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითში) გვხვდება ე პრეფიქსი. პირველი თურმეობითის გარდამავალი ფორმების ი და უ ხმოვანი პრეფიქსების მსგავსად მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითის პრეფიქსსაც აღნიშნული მწკრივების საწარმოებელ საშუალებად მივიჩნევთ.¹ ამასთან ერთად ამავე ფორმებში გვაქვს შესაბამისი მწკრივის ნიშნები: მეორე თურმეობითში -ე, ხოლო მესამე კავშირებითში -ო. ამ მხრივ (ი და ა საფეხურების მქონე ფუძეებისათვის) გამონაკლისია სუბიექტური ნყოფის მეორე თურმეობითი, სადაც ბოლოკიდური -ა სუფიქსის გავლენით დაკარგულია მწკრივის ნიშანი -ე. აქ ფაქტობრივად ისეთივე ვითარებაა, როგორც ამავე ზმნათა ობიექტური ნყოფისას წყვეტილში, ოღონდ მეორე თურმეობითში ბოლოკიდურ -ა სუფიქსს განსხვავებული კვალიფიკაცია ეძლევა. კერძოდ, როგორც ა.შანიძე აღნიშნავს, „... რომელიმე სუბიექტური პირის წარმოება წყვეტილში უდრის იმავე პირის ობიექტურისას II თურმეობითში“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 438).

ვინაიდან ე—ი და 8—ა ტიპის გარდამავალი ხმოვანმონაცვლე ზმნების ფორმები წარმოების სრული იდენტურობით ხასიათდება, მათთვის მხოლოდ ერთ ტაბულას წარმოვადგენთ.

1. ამ ზმნურ ხმოვანპრეფიქსთან დაკავშირებით იხ. ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, 1988, გვ. 110-111.

ტაბულა IV. ე—ი ტიპის გარდამავალ ზმნათა ფუძე [ი] საფეხურით და
 8—ა ტიპის გარდამავალ ზმნათა ფუძე [ა] საფეხურით

მწკრივები	წყვეტილი	მეორე კავშირებითი	მეორე კავშირებითი	მესამე კავშირებითი
სუბიექტ. წყობა	-ე	-ო	ე- -0	ე- -ო
ობიექტ. წყობა	-0	-ო	ე- -ე	ე- -ო

3. ამ ჯგუფში გარდაუვალ ე—ი და 8—ა ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე და 8 საფეხურების მქონე ფორმებია წარმოდგენილი:

ა) ე საფეხური გვხვდება მესამე სერიის მწკრივებში.

ბ) 8 საფეხური გვხვდება პირველი სერიის მწკრივებსა და მესამე სერიის მწკრივებში. ცალკე დგას 8 საფეხურის მქონე პირველი სერიის -ებ თემის-ნიშნის მწკრივები. პირველი სერიის ცალკე მდგომ ფორმებს ქვემოთ განვიხილავთ. რაც შეეხება ე და 8 საფეხურის მესამე სერიის ფორმებს, ისინი წარმოების მხრივ სრულიად ემთხვევიან ერთმანეთს. კერძოდ, ორივე ტიპისათვის ზმნათა ერთპირიანი ფორმები პირველ თურმეობითში მეშველ ზმნიანია: 1. -ვარ, 2. -ხარ, 3. -ა; ორპირიანი სუბიექტური წყობის ზმნებიც მეშველ-ზმნიანია, შესაბამისი მწკრივის ნიშნით: 1. -ი-ვარ, 2. -ი-ხარ, 3. -ი-ა; ხოლო ორპირიანი ობიექტური წყობის ზმნებში გამოყენებულია -ი-ა წარმოება.

აღნიშნული ზმნების ერთპირიანი ფორმები მეორე თურმეობითში „ვიყავ“ მეშველი ზმნით გვხვდება: 1. -ვიყავ, 2. -იყავ, 3. -იყო.

ორპირიანი ფორმები (სუბიექტური და ობიექტური წყობისა) წარმოგვიდგენენ -ოდ საერცობს. სუბიექტური წყობის ზმნებში გვაქვს -ი მწკრივის ნიშნად, ხოლო ობიექტური წყობის ფორმებში მწკრივის ნიშანი დაკარგულია იმ მიზეზთა გამო, რაზეც ზემოთ გვეჩინდა საუბარი.

მესამე კავშირებითში ერთპირიანი ზმნები ინარმოება იყო მეშველი ზმნით, ორპირიანები კი -ოდ საერცობით და შესაბამისი მწკრივის ნიშნით.

ტაბულა V. ე—ი ტიპის გარდაუვალ ზმნათა ფუძე [ე] საფეხურით

მწკრივები	პირველი თურმეობითი	მეორე თურმეობითი	მესამე კავშირებითი
ერთპირიანი	1. -ვარ 2. -ხარ 3. -ა	1. -იყავ 2. -იყავ 3. -იყო	-იყო
ორპირიანი	სუბიექტური წყობა	1. -ი-ვარ 2. -ი-ხარ 3. -ი-ა	-ოდ-ე
	ობიექტური წყობა	-ი-ა	-ოდ-ე

ტაბულა VI. 8—ა ტიპის გარდაუვალ ზმნათა ფუძე [8] საფეხურით

მწკრივები		ანმყოფადი	უნყვეტ. ხოლმ.	ანმყოფ. კავ.	პირველი თურმ.	მეორე თურმ.	მესამე კავშირ.
ერთპირიანი		-ებ-ი	-ებ-ოდ-ი	-ებ-ოდ-ე	1. -ვარ 2. -ხარ 3. -ა	1. -იყავ 2. -იყავ 3. -იყო	-იყო
ორპირიანი	სუბიექტური ნყობა	-ებ-ი	-ებ-ოდ-ი	-ებ-ოდ-ე	1. -ი-ვარ 2. -ი-ხარ 3. -ი-ა	-ოდ-ი	-ოდ-ე
	ობიექტური ნყობა	-ებ-0	-ებ-ოდ-0	-ებ-ოდ-ე	-ი-ა	-ოდ-0	-ოდ-ე

4. ამ ფუძეში გაერთიანებულია გარდაუვალ ე—ი და 8—ა ტიპის ხმოვან-მონაცვლე ზმნათა ი და ა საფეხურის მქონე ფორმები:

ა) ი საფეხური გვხვდება პირველი და მეორე სერიის მწკრივებში.

ბ) ა საფეხური გვხვდება მეორე სერიის მწკრივებში. ამ შემთხვევაში ნარმოების იდენტურობით ხასიათდება ი და ა საფეხურთა მეორე სერიის ფორმები. ცალკე დგას ი საფეხურის მქონე პირველი სერიის თემისნიშნის მწკრივები.

ი და ა საფეხურთა მეორე სერიაში ყველგან ნარმოდგენილია შესაბამისი მწკრივის ნიშნები (წყვეტილის ობიექტური ულლების გარდა): წყვეტილში -ე, მეორე კავშირებითში -ო.

აღსანიშნავია, რომ 8 საფეხურის მქონე პირველი სერიის და ი საფეხურის მქონე პირველი სერიის გარდაუვალი თემისნიშნის ფორმები, თავის შხრივ, ნარმოების სრულ იდენტურობას გვიჩვენებენ. კერძოდ, აღნიშნულ მწკრივებში გვხვდება თემის ნიშანი -ებ; უწყვეტილის, ხოლმეობითის, ანმყოფს და მყოფადის კავშირებითში მწკრივის საერცობი -ოდ; ანმყოფს, უწყვეტილის, მყოფადისა და ხოლმეობითის მწკრივებში მწკრივის ნიშანი -ი, ხოლო ანმყოფსა და მყოფადის კავშირებითში მწკრივის ნიშანი -ე.

ტაბულა VII. ე—ი ტიპის გარდაუვალ ზმნათა ფუძე [ი] საფეხურით

მწკრივები		ანმყოფადი	უნყვეტ. ხოლმ.	ანმყოფ. კავ. მყოფ. კავ.	წყვეტილი	მეორე კავშირ.
ერთპირიანი		-ებ-ი	-ებ-ოდ-ი	-ებ-ოდ-ე	-ე	-ო
ორპირიანი	სუბიექტური ნყობა	-ებ-ი	-ებ-ოდ-ი	-ებ-ოდ-ე	-ე	-ო
	ობიექტური ნყობა	-ებ-0	-ებ-ოდ-0	-ებ-ოდ-ე	-0	-ო

ტაბულა VIII. მ — ა ტიპის გარდაუვალ ზმნათა ფუძე [ა] საფეხურით

მწკრივები		წყვეტილი	მეორე კავშირებითი
ერთპირიანი		-ე	-ო
ორპირიანი	სუბიექტური წყობა	-ე	-ო
	ობიექტური წყობა	-0	-ო

ამრიგად, ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა — აბლაუტი მორფოლოგიურ და სინტაქსურ საფუძვლებთან ერთად თანამედროვე ქართულ ენაში ზმნური ფორმების დაჯგუფების მორფონოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ამას ნათლად გვიჩვენებს ხმოვანმონაცვლე ზმნათა აბლაუტის საფეხურების განაწილება (შესაბამის მწკრივთა წარმოების გათვალისწინებით) თანამედროვე ქართულ ზმნათა სერიებსა და მწკრივებში.

თავი II

ხმოვანმონაცვლე ზმნები ქართულ კილოებში

ხმოვანმონაცვლე ზმნები რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ამ ტიპის ზმნური და სახელზმნური ფორმები წარმოების მრავალფეროვნებით განსაკუთრებით ქართულ კილოებშია წარმოდგენილი. ბუნებრივია, ხმოვანმონაცვლე ზმნურ და სახელზმნურ ფორმათა წარმოების მხრივ შეინიშნება გარკვეული მსგავსებაც და განსხვავებაც როგორც ერთმანეთთან, ისე სალიტერატურო ქართულთან მიმართებით.

აღნიშნულ ზმნათა ანალიზის მიხედვით გამოიყოფა კილოები, რომლებიც შესაძლებელია გარკვეული საერთო ნიშნით დაჯგუფდეს. ფრიად მნიშვნელოვანია სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული დიალექტური ხმოვანმონაცვლე ფორმების აღწერაც. ამ თავისებურებების წარმოსაჩენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხმოვანმონაცვლე ზმნური ფორმების ცალკე განხილვა ქართულ კილოებში.

2.1. ხმოვანმონაცვლე ზმნები ქართულში

ქართლური დიალექტის მონაცემების მიხედვით ხმოვანმონაცვლე ზმნების პირველი სერიის ფორმები შეგვიძლია შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

ა) ე ხმოვნანი ათემატური ფუძეები:

„ძაფს დაფგრეს“ (ქართლ., 1968, გვ. 73); „წყალი რო მოდღღეს“ (ქართლ., 1981, გვ. 298); „მოფხელ მაგარ ცომსა“ (ქართლ., 1978, გვ. 185); „ისე გაქსრესენ“ (ქართლ., 1977, გვ. 139); „ხელებს მოისვრემენ“ (ქართლ., 1978, გვ. 136); „მერე ბატკანს აისხლეტენ“ (ქართლ., 1974, გვ. 139-140); „გაფვენთ, გავახმოფთ“ (ქართლ., 1974, გვ. 38); „რა ოცნება სად აფრენდა“ (ქართლ., 1978, გვ. 44); „არა მწყენს?“ (ქართლ., 1968, გვ. 61); „ერთიმეორეს თავითავათ იჭერენ“ (ქართლ., 1961, გვ. 276); „მინდის კერკს] გამოჭყლეტენ“ (ქართლ., 1978, გვ. 151); „ზოგჯერ მაიწდენს, რო თვალი აულოთ ცეცხლსა“ (ქართლ., 1978, გვ. 8).

ბ) ე ხმოვნანი თემატური ფუძეები:

1. -ავ თემის ნიშნით:

„გრეხავს“ (ქართლ., 1925, გვ. 141); „[ლობიოს]... მოგლეჯავენ“ (ქართლ., 1978, გვ. 169); „ეხლა ზელავს ცომ“ (ქართლ., 1978, გვ. 199); „[ბავშვები]... თავთავს შემოუკრეფავენ“ (ქართლ., 1978, გვ. 129); „ფქვილს ასვრემავენ“ (ქართლ., 1978, გვ. 148); „[ხორბალს] გამოუჩხრეკავენ“ (ქართლ., 1978, გვ. 142); „თოხს სამჭედლოში გამოსნკეპავენ“ (ქართლ., 1978, გვ. 68); „ცოლმვილიანათამავენყვებავ!“ (ქართლ., 1974, გვ. 17); „[მარილწყალში] აჭყლეტა-

ვენ ანუ გამოქყლებადენ ხამს" (ქართლ., 1978, გვ. 135); „ხეს რო გავხვერეტავ" (ქართლ., 1978, გვ. 72).

2. -ამ (← -ავ) თემის ნიშნით:

„დავგლესამდით ნაცრით" (ქართლ., 1974, გვ. 38); „[ჭილს] დავგრეხამდით ორსა ერთად" (ქართლ., 1974, გვ. 90); „ულოსავით მოვგლეჯამდით" (ქართლ., 1978, გვ. 72); „ვერ მოხსდრეკამ" (ქართლ., 1978, გვ. 78); „[მაზლის ცოლები] სწველამდენ, დღეებამდენ" (ქართლ., 1974, გვ. 33); „მოვზელამთ ცომსა" (ქართლ., 1978, გვ. 182); „გაასთქვეფამ კვერცხსა" (ქართლ., 1978, გვ. 67); „[ქალი] ბაგეფში ჰკრეფამს ხურმას" (ქართლ., 1961, გვ. 313); „მოაყრეფამ ცოცხალ კაკლას" (ქართლ., 1977, გვ. 134); „გაზაფხულით გადააჰკრეჭამ" (ქართლ., 1978, გვ. 67); „დასვრემამენ თანა" (ქართლ., 1981, გვ. 191); „ცივ წყალში ავსრესამთ ფქვილსა" (ქართლ., 1978, გვ. 184); „ბან ნამგალ შაასხეპამენ ხოლმე ხელსა" (ქართლ., 1961, გვ. 274); „გაჭფუნამდით თხლივ მზეზედა" (ქართლ., 1974, გვ. 125); „[ცოცხით] გავფხვიკამდით" (ქართლ., 1978, გვ. 186); „ავდარი შრეტამს პურსა" (ქართლ., 1978, გვ. 72); „თუ იმან [ტახმა] ადამიანს ეშვი გამოუქნია, დაშწლენამს" (ქართლ., 1974, გვ. 119); „როცა ვჩხეკამთ, ის ბალახია" (ქართლ., 1981, გვ. 480); „რალაცა შჩხელებამდა" (ქართლ., 1977, გვ. 139); „მოუჩხრეკამ ცეცხლა" (ქართლ., 1978, გვ. 37); „ბალახსა ცვეთამს" (ქართლ., 1977, გვ. 166); „[ქალი] დასწმენდამს, საჭმელ გააკეთამს" (ქართლ., 1961, გვ. 328); „[დეჟუა] ველარ ინრესამს ძველებურათ უღვაშეფსა" (ქართლ., 1981, გვ. 237); „სწყვეტამს" (ქართლ., 1925, გვ. 141); „ბოლოსაც მაანყვეტამ" (ქართლ., 1978, გვ. 78); „ხელით დასჭყველემამენ" (ქართლ., 1981, გვ. 191); „საჭყრეთელით დაჭყრეთამენ" (ქართლ., 1978, გვ. 43); „გამოვჭყლებამთ წყალში" (ქართლ., 1978, გვ. 72); „... თორე დაქხვერეტამენო" (ქართლ., 1977, გვ. 139).

3. -ან (←ამ ← -ავ) თემის ნიშნით:

„არნივი ხორცს ამოუგლეჯანდაო" (ქართლ., 1974, გვ. 83).¹

გ) ი ხმოვნინანი თემატური ფუძეები:

1. -ავ თემის ნიშნით:

„ბალახია, პჭყეინავს" (ქართლ., 1978, გვ. 35).

2. -ამ (← -ავ) თემის ნიშნით:

„იმას ხელით დავგლიჯამენ" (ქართლ., 1978, გვ. 73); „ცომსა ზილამს" (ქართლ., 1977, გვ. 166); „ამოვზილამთ ლობიასა" (ქართლ., 1974, გვ. 118); „გავთქვიფამთ რძეში" (ქართლ., 1978, გვ. 73); „დაჭკრიფამთ ლობიასა" (ქართლ., 1974, გვ. 118); „მოკრიჭამენ" (ქართლ., 1977, გვ. 166); „ფქვილს

1. ეს მაგალითი ხაშურის რაიონის სოფ. ბეკამის მეტყველების ნიმუშია. საერთოდ ვ → მ → ნ ბგერათა ცვლილება დამახასიათებელია დასავლეთ ქართლურისათვის, რომელშიც, ხაშურის რაიონის სოფ. ბეკამის მეტყველების გარდა შედის სურამის მუდამოვებისა და ბორჯომის რაიონის მეტყველება.

ხელზე ავსერიმამთ" (ქართლ., 1978, გვ. 73); „დაფინამთ მზეზე" (ქართლ., 1978, გვ. 73); „ეფრინამ" (ქართლ., 1925, გვ. 141); „დანვა ი და ქშვინამს" (ქართლ., 1961, გვ. 287); „გამოაჩიკამს ნინილეფსა" (ქართლ., 1977, გვ. 133); „[ყურძენს] მერე დაჭყლიტამენ" (ქართლ., 1977, გვ. 166).

3. -ემ (← -ებ) თემის ნიშნით:

„ტაბიკსა აპურს უჭირემენ" (ქართლ., 1961, გვ. 273).

ევ-იანი ზმნების შესახებ ვ.თოფურია აღნიშნავდა, რომ ქართლურში „ანამყო სუგუფში -ევიან ზმნებს ნამყო სრულის მესამე პირში ხანდახან ძირეული ვინი შერჩებათ: დალივა, გადმომიქნივა, შემამიტივა..." (ვ.თოფურია, 1924, გვ. 93).

გრ.იმნაიშვილმა ეს საკითხი შემდეგნაირად დააზუსტა: „ქართლურში (დასავლეთ ქართლურის გამოკლებით) -ევ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნებს... ე ენახებათ ზოგჯერ წყვეტილში (იშვიათად კავშირებით მეორე-შიც)" (გრ.იმნაიშვილი, 1974, გვ. 213). ავტორის აზრით, ანალოგიური მაგალითები აქ არ გვხვდება ისე ხშირად, როგორც მთიულურსა და ზოგიერთ აღმოსავლურ დიალექტში. ამ მხრივ ქართლური უფრო მოგვაგონებს კახურსო (გრ.იმნაიშვილი, 1974, გვ. 213).

ევ-იანი ზმნების მხრივ ქართლური დიალექტური მასალა, როგორც აღინიშნა, რეგიონების მიხედვით სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებს:

ა) ევ-იანი ზმნები მეორე სერიაში ე → ი ხმოვანთა ცვლილების შემდეგ ვ თანხმოვნის გარეშე:

1. წყვეტილში:

„დასბდნენ, დალიეს" (ქართლ., 1961, გვ. 316); „იმიხი მცხვარი თავის ნცხვარში შაურია" (ქართლ., 1961, გვ. 286); „გაუქნია თოკი" (ქართლ., 1961, გვ. 298); „ერთი ათასათ აქციეო" (ქართლ., 1961, გვ. 316); „შეეჩვიენ ამ მიქელაძეფსა" (ქართლ., 1974, გვ. 66); „რატომ მტერს არ დამნიე?" (ქართლ., 1961, გვ. 323). ასევეა სხვათა სიტყვის -ო ნანილაკის დართვის დროსაც: „ამოვამჭდიეო" (ქართლ., 1978, გვ. 42).

2. II კავშირებითში:

„მაშინ უნდა დაურიოთ ყოჩი" (ქართლ., 1961, გვ. 275-276); „[ვაშლი] ფრთხილათ გადაარჩიო" (ქართლ., 1961, გვ. 289); „გაიქნიოს თავი და ის რქები დასცივია" (ქართლ., 1961, გვ. 282).

ბ) ევ-იანი ზმნები მეორე სერიაში ე → ი ხმოვანთა ცვლილების შემდეგ ვ თანხმოვნით.

ვ.სომხიშვილი აღნიშნავს, რომ ქსნის ხეობის მეტყველებებაში ეს ვ შემონახული გვაქვს როგორც წყვეტილში, ისე II კავშირებითში: „აილე და დალიევი, რალას უცდი"; „ის ერთი მძლივს ავირჩიევი; ისეე მე უნდა ავირჩიევი; მოვიქნიევი, მოვიქნიევი, დაოსდა ერთი კალია"; „ყურადღება რო არავინ მიაქცივა, ჩამოსახლდა მიდელაანში"; „იმდენი ვირბინე, ძლივს დავენიევი" (ვ.სომხიშვილი, 1968, გვ. 67, გვ. 136).

ასეა დუშეთის რაიონის ქართლურშიც: „ყანა სუ ნააქცია“ (ქართლ., 1961, გვ. 275); „მერე ადგა და დაამწყვდია ეს ბავშვები ოთახში“ (ქართლ., 1974, გვ. 55). მსგავსი მაგალითი ალგეთის ხეობის ქართლურშიც გვხვდება: „ნამეწენია ფშაველი ნამოკოლთვილი ტყავ ზედა“ (ქართლ., 1978, გვ. 205).

ატენის ხეობის ქართლურში ვ თანხმოვანი ევ-იან ზმნებს პირველი სერიის ფორმებში ო ხმოვნის წინაც კი შენარჩუნებული აქვს: „ნელი-ნელა ეჩვევოდა“; „გავეხვევოდი თბილათა“ (გ.იალამიდი, 1977, გვ. 150).

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ამ ზმნათა II სერიის ფორმებში ვ-ს შენარჩუნებას ხელს უწყობს პოზიციურად მოსალოდნელი თანხმოვნით დანეხებული ან თანხმოვანი სუფიქსი:

1. ნევეტილში Σ პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი -ნენ:

„შეესივნენ და ეს ხალხი სულ ამოხოცეს“ (ქართლ., 1974, გვ. 128).

-ნ- სუფიქსი სტატიკური ზმნის ფორმაში: „მაგრამა იქ სიკვდილი კი ერჩივნა“ (ქართლ., 1974, გვ. 17).

2. II თურმეობითში -ნ- სუფიქსი:¹

„კუჩერს ფაიტონი გამეექცივნა, შეშინებულიყო“ (ქართლ., 1974, გვ. 16);

„ზამთარში ბაგაზე უნდა გვეჭმივნა საქმელი ექვსი თვე“ (ქართლ., 1974, გვ. 142).

3. ვ ბგერა შენარჩუნებულია აგრეთვე ევ-იან ზმნათა შერწყმისას. ასეთ შემთხვევაში ვ ბგერის შენახვას ხელს უწყობს მომდევნო ზმნის დასაწყისი თანხმოვანი:

„ზეით ნისქილსა აქვ თოხი, რო ქვა აასნიე-დაასნიოს“ (ქართლ., 1961, გვ. 274). ამ მაგალითში, პირველ ზმნაში VCC პოზიციაში ვ შენარჩუნებულია, ხოლო მეორე ზმნაში კი VCV პოზიციაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაკარგულია.

საინტერესო სურათს გვიჩვენებს ხმოვანმონაცვლე ზმნების სახელზმნური ფორმების წარმოებაც.

ქართლურში აღნიშნულ ზმნათა საწყისები ორნაირად გვხვდება:

ა) საწყისები, რომლებიც ეყრდნობიან ხმოვანმონაცვლე ზმნათა ვ ხმოვნიან ათემატურ ფორმებს:

„ნელა-დღეება ერთათა ქექონდა“ (ქართლ., 1978, გვ. 58); „ოდნავ ამოზელა უნდა“ (ქართლ., 1978, გვ. 57); „[მინის] ნმინდად გაფხვიერებას გათქვეფას უნოდებენ“ (ქართლ., 1978, გვ. 116); „ხელის მოსვრემას ხელის გაფშენეტასაც ეტყვიან“ (ქართლ., 1978, გვ. 136); „ურმის ადგილზევე მობრუნებას

1. ეს -ნ- სუფიქსი, როგორც ცნობილია, გვხვდება ყველა პირსა და რიცხვში I ან II თურმეობითში ქართლურის გარდა კახურში, ინგილოურში, მთიულურსა და სხვა აღმოსავლურ კილოებში (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ. 212). არაა გამორიცხული, რომ იგივე -ნ- სუფიქსი იყოს სტატიკური ზმნის ნევეტილის ფორმაში ზემოთ მოყვანილ მაგალითში ერჩივნა.

მოდრეჯა ენოდება" (ქართლ., 1978, გვ. 127); "...ამას გამოწვევას ეძახიან" (ქართლ., 1978, გვ. 157); "გამოწყლებთა რო დამთავრდება..." (ქართლ., 1974, გვ. 125); "დახვრემას დაჩითვასაც ეძახიან" (ქართლ., 1978, გვ. 166).

ბ) სანყისები, რომლებიც ეყრდნობიან ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე ხმოვნიან თემატურ ფორმებს:

"გლეჯვა", "ზეღვა", "კრეფვა" (გრ.იმნაიშვილი, 1974, გვ. 205); "ფხეკვა", "ჩხრეკვა" (გ.იალაშიდი, 1977, გვ. 167).

ცალკე უნდა გამოვყოთ სანყისი "დაჭერვა": "დაინყო დაჭერვა" (ქართლ., 1961, გვ. 294); "უფრო ხშირათ იმაზე დაჭერვა იყო გადანყევეტილი" (ქართლ., 1974, გვ. 76).

"დაჭერვა" ფორმის ფუძეში ე ბგერის არსებობა ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ეს სანყისი ამ ზმნის -ავ თემისნიშნიან ფუძეს ემყარებოდეს, მაგრამ აღნიშნული ზმნა ქართლურში არ გვხვდება -ავ სუფიქსით. ამ ფუძესთან მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეგვხვდა -ემ(← -ებ) ფორმანტი. იხ. ზემოთ.

"დაჭერვა" ფორმაში ვინი -ავ თემიან ზმნათა სანყისების ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი.

ქართლურში ხმოვანმონაცვლე ზმნების მიმღეობათა წარმოებისას შემდეგი ვითარება გვაქვს:

ა) ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობა წარმოდგენილია ე ხმოვნიანი ფუძით და -ილ სუფიქსით:

"მოხელილს გავაჩერებდით ხუთი დღე" (ქართლ., 1974, გვ. 38); "კაი გათქვეფილი მინააო იტყვიან" (ქართლ., 1978, გვ. 116); "... მოღრეცილი უნდა იყევს" (ქართლ., 1974, გვ. 91); "[ხომანდული] დაღრეჯილი მსხალია" (ქართლ., 1978, გვ. 173); "მოშრეტილი [პური], (პური ყვავილში მოიშრეტაო)" (ქართლ., 1978, გვ. 120); "... გამოჩენილი ახალგაზრდები იმას გამოეკიდებოდნენ" (ქართლ., 1978, გვ. 189); "ეს ადგილი უპატრონო, წახდენილი ყოფილა" (ქართლ., 1974, გვ. 101); "გუდა გახვრეტილი არ უნდა იყოს" (ქართლ., 1974, გვ. 112).

ბ) ქართლურში გვხვდება აღნიშნული ტიპის მიმღეობის ცალკეული შემთხვევები ე ხმოვნიანი ფუძით და -ულ სუფიქსით, კერძოდ, გრ.იმნაიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართლურში -ულ სუფიქსი ენაცვლება -ილ სუფიქსს. ავტორს საილუსტრაციოდ სხვა ფორმებთან ერთად ხმოვანმონაცვლე ზმნათა შემდეგი მიმღეობებიც აქვს დასახელებული: გადმოცვენული ხალხი იყო; გახვრეტული; მონყვეტული (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ. 226). ასეთ ფორმებთან დაკავშირებით თ.სალარიძე ალგეთის ხეობის ქართლურის განხილვისას წერდა: "ვნებითი გვარის ზმნათა შორის ზოგჯერ ვხვდებით ერთთემიან, ხმოვანმონაცვლე ან ფუძეში ე ხმოვნის მქონე და ზოგსაც სხვა ზმნას, რომელთაც ნამყო დროის მიმღეობა მოსალოდნელი -ილ'ის ნაცვლად -ულ

სუფიქსით აქეთ ნანარმოები -ულ'იანივე მიმღეობათა ანალოგიით". ავტორი სხვებთან ერთად ხმოვანმონაცველეთაგან ასახელებს „გათქვეფულს“ (თ.სალარიძე, 1978, გვ. 78).

ამ ფორმებთან დაკავშირებით განსხვავებულია გრ.იმნაიშვილის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ის ზმნები, რომელთაც ასეთი წარმოება აქეთ, ზოგჯერ ანმყოს ფუძეს -ავ თემის ნიშნით აწარმოებენ და მასდარშიც ვ-ს ავლენენ. ავტორის აზრით, ეს ზმნები -ულ მანარმოებელს დაირთავენ ზოგჯერ -ავ თემის ნიშანზე, რომელიც -ულ სუფიქსის დართვის გამო იკარგება ფონეტიკურ ნიადაგზე (გრ.იმნაიშვილი, 1974, გვ. 227).

გ) ქართლურში გვხვდება ხმოვანმონაცველ ზმნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობანი ამ ზმნათა ი ხმოვნისანი ფუძით და -ულ სუფიქსით: „დაბზინული“ (გ.იალაშიდი, 1977, გვ. 167).

ზოგჯერ ხმოვანმონაცველ ზმნათა მიმღეობებში -ებ თემისნიშნის ნიშნითა წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში ფუძეში ი ხმოვანი გვაქვს: „გამოჩინებული“ (ქართლ., 1978, გვ. 109). აღსანიშნავია, რომ თუ მიმღეობა ამავე ზმნის უთემისნიშნო ვარიანტს ემყარება, მაშინ ფუძეში ე ხმოვანი შენარჩუნებულია. ალგეთის ხეობის ქართლურში ორივე გვხვდება — თემისნიშნისანი და უთემისნიშნო ზმნური ფორმებისაგან მომდინარე მიმღეობანი: „გამოჩინებული // გამოჩენილი, მოთავე ახალგაზრდები სოფლად მოსაკრეფს (ლობიოს, კარტოფილს, სისირს...) მოკრეფდნენ საჭმლის დასამზადებლად“ (ქართლ., 1978, გვ. 141).

ამრიგად, ხმოვანმონაცველ ზმნები ქართლურ კილოში სამხაირად გვხვდება: ა) ე ხმოვნისანი ათემატური ფუძით (დრეკ-ს ტიპი), ბ) ე ხმოვნისანი თემატური ფუძით (დრეკ-ავ-ს ტიპი) და გ) ი ხმოვნისანი თემატური ფუძით (დრიკ-ავ-ს ტიპი).

აღნიშნულ ზმნათა საწყისები ჩვეულებრივ ორი ვარიანტით წარმოგვიდგება: ა) საწყისები, რომლებიც ე ხმოვნისან ათემატურ ფუძეებს ემყარებიან (დრეკა ტიპი) და ბ) საწყისები, რომლებიც ე ხმოვნისან თემატურ ფუძეებს ემყარებიან (დრეკვა ტიპი).

აღნიშნულ ზმნათა მოქმედებითი გვარის მიმღეობა, ჩვეულებრივ, ე ხმოვნისან ფუძეს გვიჩვენებს, ხოლო ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობა წარმოების ნაირსახეობებით ხასიათდება. გვაქვს სამი შემთხვევა: ა) მიმღეობანი ე ხმოვნისანი ფუძით და -ილ სუფიქსით (მოზელილი ტიპის), ბ) დასტურდება ცალკეული მიმღეობანი ე ხმოვნისანი ფუძით და -ულ სუფიქსით (მონყევეტული ტიპის), გ) ამავე ტიპის მიმღეობა გვხვდება ი ხმოვნისანი ფუძით და -ულ სუფიქსითაც (დაბზინული ტიპის).

განხილული მასალა საყურადღებო აღმოჩნდა ევ-იან ზმნებისათვისაც. როგორც ცნობილია, ქართლურში -ევ სუფიქსის ე ბგერა ამ ზმნებს ენახებათ II სერიის ფორმებში. სალიტერატურო ქართულში კი ასეთ შემთხვევებში ე

ბგერა დაკარგულია. დიალექტური მასალის განხილვისას აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში ვ ბგერის შენარჩუნებას ხელს უწყობდა თანხმოვნით დაწყებული ან თანხმოვანი სუფიქსი (შეესივნენ, გვეჭმინა), აგრეთვე ზმნათა შერწყმისას მომდევნო ზმნის სანწყისი თანხმოვანი (აასნიე-დაასნიოს).

ქართლურში ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოების ცალკეულ შემთხვევათაგან დავასახელებთ ზოგიერთს. კერძოდ, სტატიკური ზმნა „უჭირავს“ მხოლოდ ი ხმოვნისანი ფუძით გვხვდება:

„ხემნიფეს გარეთ ცხენები უჭირავს“ (ქართლ., 1961, გვ. 326); გვხვდება -ამ (← -ავ თემის ნიშნითაც): „უჭირამ დიდი პური ხელში“ (ქართლ., 1961, გვ. 299). ბოლო მაგალითში დაკარგულია სუფიქსი -ს, როგორც ეს ქართლურისათვის არის დამახასიათებელი (გრ. იმნაიშვილი, 1974, 144).

ალგეთის ხეობის ქართლურში თ.სალარიძე თემის ნიშნებთან დაკავშირებით შემდეგ ვითარებას ადასტურებს: „ორმაგი თემის ნიშანი გაუჩენია (-ეე + -ამ) „მოაჭდევეს“ ზმნას ანმყოს ჯგუფში: მოვაჭდევეამთ...“ ავტორს შესაძარებლად მოჰყავს მეორე მაგალითიც: დაამჭდევებენ, სადაც მისი აზრით, ორკეცი თემის ნიშანია (-ეე + -ებ) (თ.სალარიძე, 1978, გვ. 73).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ორივეჯერ ეე-იანი ფუძე -ებ თემის ნიშნით რთულდება, რადგან, როგორც ცნობილია, ქართლურში „აქა-იქ ეხვდებით -ებ და -ობ ბოლოსართების გაჩენის შემთხვევებსაც (ისევე იშვიათად, როგორც კახურში); მაგ.: მოიტანებენ; მოიყვანებენ, ვიხმარეფთ, იხმარებდნენ...“ (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ. 207). ასეა ეს „დაამჭდევებენ“ ფორმაციც, ხოლო „მოვაჭდევეამთ“ უნდა ყოფილიყო „მოვაჭდევებთ“, ე.ი. ამ მაგალითში -ებ იცვლება -ამ-ით. ასეთ ცვლილებას თ.სალარიძე ალგეთის ხეობის ქართლურშივე ადასტურებს. „-ამ (← -ავ) თემიან ზმნათა გავლენით -ამ ნიშანი გაბატონებულია -ებ-ის ნაცვლადაც; ხდება თითქმის სრული უნიფიკაცია. მაგ.: ნაცილებ მოიგონამსო; ყანა კოჭ გაიკეთამს; მერე შევაგემამთ და გიახლებით“ (თ.სალარიძე, 1978, გვ. 73).

ცნობილია, რომ სწორედ ქვემო ქართლის რაიონებშია განსაკუთრებით ფეხმოკიდებული -ებ თემის ნიშნის -ამ სუფიქსით შენაცვლების შემთხვევები. მაგ.: დავალეინამ, ჩავაბარამ, გავასწორამ და სხვ. (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ. 205).

აღნიშნულ ფორმებთან დაკავშირებით საინტერესოა „იდენს“ ზმნის ერთი მაგალითი, რომელიც დმანისის რაიონშია დადასტურებული: „[არაყი] იდინამს, მანამდინ ცეცხლი ეკიდება“ (ქართლ., 1974, გვ. 126). ეს ფორმა ასე უნდა იყოს მიღებული: ი-დენ-ს → ი-დინ-ებ-ს → ი-დინ-ამ-ს.

„დი“, როგორც აკაკი შანიძე წერს, „უზმინსწინოდ ჩვეულებრივ წყალზე ან სხვა სითხეზე ითქმის. ამ შემთხვევაში ის საშუალ-მოჭმედებითა და მე-3 პირის ფორმით იხმარება: წყალი დის, წყალი იდენს, წყალმა იდინა“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 536).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბოლნისის რაიონის ქართლურში დადასტურებული „დენს“, რაც „დის“ ზმნის ნაცვლად გვხვდება: „საიდა-ნაც წყალი დენს, იქიდან შეხვალ“ (ქართლ., 1961, გვ. 323).

ცალკეულ შემთხვევათაგან აღსანიშნავია აგრეთვე „დარჩენა“ ხმოვანმონაცვლე ფორმაში -ენ-ის ომ-ით შეცვლა: „აქ დარჩომილა ოზდაათი კომლი“ (ქართლ., 1974, გვ. 102); ასევეა მიმღობაშიც: „მარტო პურილა იყო დარჩომილი“ (ქართლ., 1968, გვ. 78).

ხმოვანმონაცვლე ზმნების ცალკეულ შემთხვევათაგან მეტად მნიშვნელოვანია ის ფორმები, რომლებშიც ხმოვანმონაცვლეობის წესები მოშლილია. კერძოდ, დუშეთის რაიონის ქართლურში დადასტურებული ზმნის !! კავშირებითის ფუძეში მოსალოდნელი ი-ს ნაცვლად ე გვხვდება: „სახნისსა მინა აჰყვება, უნდა მალიმან ჩაიფხეკოს ხონითა, რო დასუმუქდეი გუთანი“ (ქართლ., 1961, გვ. 273), შდრ.: ჩაიფხიკოს. მეორე მხრივ, არანაკლებ საინტერესოა ალგეთის ხეობის ქართლურში დადასტურებული ზმნის ნევეტილის (შუალობითი კონტაქტის) ფუძეში მოსალოდნელი ე-ს ნაცვლად ი: „ცომი მოაზილინეთ“. შდრ.: მოაზელინეთ. „მოაზილინეთ“ ფორმასთან დაკავშირებით თ.სალარიძე აღნიშნავდა, „... როგორც ფუძედრეკად ზმნაში, შეიძლება ნამყო სრულის ფორმის (მოზილა) ანალოგიასთან გვექონდეს საქმე“-ო (თ.სალარიძე, 1978, გვ., 23).

ზოგ შემთხვევაში ხმოვანმონაცვლედ წარმოგვიდგება სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით არახმოვანმონაცვლე ზმნა: „მერე გამოშჩიკამს ნინილეფსა“ (ქართლ., 1977, გვ. 166).

საყურადღებოა ხმოვანმონაცვლე ფორმებით დადასტურებული „ნკენტ“ ფუძეც:

„ჩამონკენტ-ს — ძლივძლივობით ჩამონველის“ (ქართლ., 1970, გვ. 277); „ინკინტებ-ა — ცოტას ინველის“ (ქართლ., 1970, გვ. 264).

ეს ფორმები დადასტურებულია სტ. მენტეშაშვილის მიერ ალგეთის ხეობის ქართლურში, ხოლო ქართლური დიალექტის ლექსიკონის მიხედვით ეს ფუძე არახმოვანმონაცვლეა, ე.ი. მხოლოდ ერთი (ე ხმოვნია) ფუძით გვხვდება, საილუსტრაციო მასალა კი ცენტრალური ქართლის რეგიონების მეტყველების მიხედვითაა მოხმობილი: „ჩამონკენტავ-ს — წვეთ-წვეთად ჩამონველის, ჩამონურავს“ (ქართლ., 1981, გვ. 469). „ინკენტებ-ა — ძალიან ცოტას ინველის (ძროხა...)“ (ქართლ., 1981, გვ. 237).

2.2. ხმოვანმონაცვლე ზმნები კახურში

ცნობილია, რომ ქართული ენის კახურ დიალექტში „უთემისნიშნო (წერს) და ფუძედრეკადებში (კრეფს) და აგრეთვე იმ ზმნებშიც, რომელთაც თემის-ნი ნიშანი აქვთ (გვის), ჯერ ჩნდება -ავ, შემდეგ ეს უკანასკნელი იცვლება:

-ამ-ად" (არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ. 86). ხმოვანმონაც-
ვლეთაგან აეტორები შემდეგ მაგალითებს ასახელებენ: გაფენავენ, იჭრავენ-
და; -ავ → -ამ: ვზელამ, კრეჭამს ყოველდღე, გამოიგლეჯამს, დავიჭრაამ-
დით, ხალიჩაი გაუფენამდნენ.

ხმოვანმონაცვლე ზმნათა ასეთი წარმოება, ბუნებრივია, ტექსტების გან-
ხილვისას სხვა ფუძეებშიც დადასტურდა:

ე ხმოვნიანი ფუძე -ავ თემის ნიშნით:

„ხუთ-ექვს ურემს ყურძენსა ვკრეფავდით ვენახში“ (კახ., 1956, გვ. 17);
„[ბატკანს] მემრე მოვსხლეთათ წველი დროს“ (კახ., 1956, გვ. 45); „ხონს
ასტმით აფხეკავენ ხოლმე“ (კახ., 1956, გვ. 52).

ე ხმოვნიანი ფუძე -ამ(← -ავ) თემის ნიშნით:

„თრიმლი წნელს მოგრეხამდნენ“ (კახ., 1956, გვ. 130); „მერე შავდღვე-
ბამთ“ (კახ., 1956, გვ. 48); „ცხენი გამთქერამდა ლეკურ ნაბადივით“ (კახ.,
1961, გვ. 221); „რო ჩადედდება ყველი, იმა დაურევს, გათქვეფამს“ (კახ.,
1956, გვ. 46); „[ბატკანს] მემრე ავსხლეთამთ“ (კახ., 1956, გვ. 166); „მამა
მაიფშენეთამდის თვალბ“ (კახ., 1961, გვ. 222); „თუ დასწყვეტამ თოქსაო,
გავიციებ“ (კახ., 1961, გვ. 200); „დახვრეტამენ ლურსმნით“ (კახ., 1956,
გვ. 135).

კახური დიალექტის შესახებ არსებულ მონოგრაფიაში აღნიშნულია,
რომ „ავ (//→ -ამ), -ებ თემის ნიშნები ზოგჯერ ინვევენ ფუძის დრეკას; მაგ.:
გავთქვიფავ, დაგრიხამდნენ, მოუჭირეფთ და სხვ.“ (არ.მარტიროსოვი და
გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ. 87). აეტორები იქვე სქოლიოში მიუთითებენ, რომ
ნაკლებ საფიქრებელია ი ხმოვანი აორისტიდან მოდიოდეს, როგორც ამას
ვარაუდობს ი.ცერცვაძე (იხ. ი.ცერცვაძე, 1941, გვ. 188-189).

ი ხმოვნის მქონე თემატურ ფუძეებს ჩვენ ქვემოთ სპეციალურ ქვეთაეში
განვიხილავთ. ამჯერად კი კახური დიალექტის სხვა ი ხმოვნიანი თემატურ
ხმოვანმონაცვლე ზმნებს დავასახელებთ:

ი ხმოვნიანი ფუძე -ავ თემის ნიშნით:

„სუ გაანათა, ისე პწყინავს“ (კახ., 1956, გვ. 142); „ფებდაფებ კურდღელ
იჭირავდაო“ (კახ., 1956, გვ. 172).

ი ხმოვნიანი ფუძე -ამ (← -ავ) თემის ნიშნით:

„მალლა ჩიტი ვერ დაფრინამს“ (კახ., 1956, გვ. 145); „თავი მოკვლაი რო
გადანყვიტამ, იმ სახჩობელაზე მაინც ჩამაიხჩე თავიო“ (კახ., 1956, გვ. 78);
„დავიჭირამდი ჯოხსა“ (კახ., 1961, გვ. 197); „მე გამიმძღვარიან ურემ წინ,
თითონ კი ხვრინამდნენ“ (კახ., 1961, გვ. 221).¹

ასეთივე ი ხმოვნიანი ფუძით და -ავ, -ამ (← -ავ) თემის ნიშნებით გვხვდე-
ბა „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმაც:

1. საყურადღებოა, რომ შვედეთში ერთი ევ-იანი (თევა) ზმნა -ებ სუფიქსით გართულებუ-
ლი, ფუძეში ი ხმოვნით: „იმ ლამეს ის იქ ათიებდა“ (კახ., 1961, გვ. 186).

„გორგალი უჭირავს“ (კახ., 1961, გვ. 191); „გიტარა უჭირამ“ ერთი“ (კახ., 1956, გვ. 72).

აღნიშნულთან ერთად კახური დიალექტური ტექსტები ფართოდ წარმოგვიდგენენ ფუძეში ე ხმოვნის მქონე უთემისნიშნო ხმოვანმონაცვლე ზმნებს:

„დაგლეჯენ ცახებსა“ (კახ., 1956, გვ. 49); „ამააგრეხს მარცხნიდან მარჯვნივ“ (კახ., 1956, გვ. 165); „ცომს ზელენ ოთხკუთხედ ხის ჭურჭელში“ (კახ., 1956, გვ. 50); „ვერფდით საკრეფლებში“ (კახ., 1956, გვ. 43); „მთაში რო ცხვარი ავა, დაარჩევენ მაშინ“ (კახ., 1956, გვ. 46); „ნაგიყვან და გადაგარჩენო“ (კახ., 1961, გვ. 186); „[პურს] ზაფხულში ლაიტზე გააფენენ“ (კახ., 1956, გვ. 51); „...ასტმით ფხეკენ“ (კახ., 1956, გვ. 52); „ამააძვრენს [ულოს]“ (კახ., 1956, გვ. 165); „აქეთ-იქით გადავანვენდიც. [ვაზსა]“ (კახ., 1956, გვ. 42); „ამ თამაშობასაც მოვიწყენდით“ (კახ., 1961, გვ. 205); „... ნყალს დაწყვეტენ ხოლმე“ (კახ., 1956, გვ. 55); „ტურასაც ხაფანგით იჭერენ უფრო“ (კახ., 1956, გვ. 57); „[კომბალს] ცხვარ გამოადებენ და დაიჭერენ“ (კახ., 1956, გვ. 135).

ამრიგად, ხმოვანმონაცვლე ზმნური ფორმები კახურ დიალექტში ისერიანში სამი პარალელური ვარიანტით გვხვდება: 1. ე ხმოვნის მქონე ათემატური ფუძეები, 2. ე ხმოვნის მქონე თემატური ფუძეები და 3. ი ხმოვნის მქონე თემატური ფუძეები.

აღნიშნულ ზმნათა სანყისების წარმოება კი შემდეგნაირია: სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია კახურში იმ ხმოვანმონაცვლე ზმნათა სანყისები, რომლებიც ე ხმოვნიან თემატურ ფუძეებს ემყარებიან: ცქერვა, დაჭერვა (არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ. 87); გრეხვა, კრეფა (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 332).

კახური ტექსტების გაცნობისას აღნიშნულ ზმნათა ისეთი სანყისებიც დავადასტურეთ, ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეებს რომ ემყარებიან:

„მოგრეხა ნნელისა“ (კახ., 1961, გვ. 184); „მოზელის დროს...“ (კახ., 1956, გვ. 52); „ისევ ჩემი ყანის გალენვა მირჩენია კირის თრევასაო“ (კახ., 1956, გვ. 86); „კრეფა დაუნყო მწვანისს“ (კახ., 1956, გვ. 157); „ახლა ამაზე შაჰყვენენ გამორჩევასა“ (კახ., 1956, გვ. 98); „რალა ეხლა მოგინდა უკან დარჩენაო“ (კახ., 1956, გვ. 109); „გამონკეპა დამჭირდა“ (კახ., 1961, გვ. 184).

ამრიგად, ხმოვანმონაცვლე ზმნათა სანყისები კახურში ორი პარალელური ფორმით გვხვდება: 1. სანყისები, რომლებიც ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეებს ემყარებიან, 2. სანყისები, რომლებიც ე ხმოვნიან თემატურ ფუძე-

1. მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი -ს კახურში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა აღმოსავლურ კილოში, ზოგჯერ არ გვხვდება გარკვეული ტიპის ზმნებთან, მათ შორის სტატიკურებთანაც (არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ. 108-109).

ებს ემყარებიან; მაშინ როდესაც შესაბამისი ზმნური ფორმები, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამი პარალელური ვარიანტით გვხვდება.

ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმლეობათაგან კახურში საყურადღებოა შემდეგი: ახალი დაკრეფულია, დაფლეთულია. ამ ფორმათა საყრდენად პირველი სერიის თემისნიშნიან ფუძეებს ვარაუდობენ (არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ. 113). ბუნებრივია, კახურშიც გვხვდება დაკრეფილი, დაფლეთილი ტიპის ფორმები, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მიმლეობები კასურისათვის სპეციფიკურია.

ერთ შემთხვევაში კახურში სხვა ტიპის მიმლეობაც გვხვდება:

„შე აღრინებულო, ე რა გვიქენიო“ (კახ., 1956, გვ. 142). ეს უკანასკნელი კი ი ხმოვნიან თემატურ ფუძეს ემყარება.

მაშასადამე, კახურში ხმოვანმონაცვლე ზმნის მიმლეობის სამი ვარიანტი გვხვდება.

1. მიმლეობა, რომელიც ე ხმოვნიან ათემატურ ზმნურ ფუძეს ეყრდნობა: კრეფ-ს → და-კრეფ-ილ-ი.

2. მიმლეობა, რომელიც ე ხმოვნიან თემატურ ზმნურ ფუძეს ეყრდნობა: კრეფ-აე-ს → და-კრეფ-ულ-ი;

3. მიმლეობა, რომელიც ი ხმოვნიან თემატურ ზმნურ ფუძეს ეყრდნობა: ა-ლრინ-ებ-ს → ა-ლრინ-ებ-ულ-ი.

ხმოვანმონაცვლე ზმნის მიმლეობის ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით კახურში, ისევე როგორც ქართლურში, საყურადღებოა, რომ „დარჩენილის“ ნაცვლად გაბატონებულია „დარჩომილი“ (← დარჩომა): „ღიათ იყო დარჩომილი“ (გ.შალამბერიძე, 1955, გვ. 114; არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ. 113). თუმცა კახურში გვხვდება „დარჩენილიც“: „დარჩენილი აქ ადგილი გულისპირსა“ (კახ., 1961, გვ. 200).

„დარჩომილი“ გვხვდება ი.ჭავჭავაძის თხზულებათა ენაშიც: „ჩემ წინ ნახევარმკვდარი კაცი იყო, ეგრე უნუგეშოდ დარჩომილი“ (ი.ჭავჭავაძე, II, 1985, გვ. 32); „-- სადილიდამ დარჩომილი კაი ცივად ძროხა გვაქეს“ (ი.ჭავჭავაძე, II, 1985, გვ. 146). მწერალი პარალელურად „დარჩენილსაც“ ხმარობს: „ეს ერთადერთი ქონებაა, მამი-ჩემისაგან დარჩენილი და გინდ დამცინე, სხვაგან სამოთხეს მირჩევნია“ (ი.ჭავჭავაძე, II, 1985, გვ. 357).

ცნობილია, რომ კახურში „-ევ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნებს, ქართლურისა და ზოგიერთი სხვა კილოს მსგავსად, ნამყო წყვეტილში (აგრეთვე კავშირებით მეორეში და იშვიათად დროთა III სერიაშიც) ე შემონახული აქვთ; მაგ.: ბუჟან ლახტი დაუქნევა, ტვინი ალაგ დაუნთხივა, იქიდან შემოუტივა, ეშვი შემოუქნევა და კალთა შაუხივა, ვერ დაენივა მდევარი, შიგერივა, გამააქცივა, ერთი ნაეაქცივე, მეეხვივნა, ვარაუდი გასნიევე, ძროხა ერთად გაურივოთ, არ მაიქნიეოს...

ე შემონახულია აგრეთვე ნამყოს ხოლმეობითის ფორმებშიც, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ვხვდებით ქიზიყურში; მაგ., დავლივით ე ლეინო“ (არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ. 94).

მოუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ვერ იქნება მისაღები ყველა ევ-იანი ზმნი-სათვის კახურში. პარალელიზმი აქაც შეინიშნება, გვხვდება ევ-იანი ზმნების მეორე სერიის ფორმები ვინის გარეშეც: „თოფები ჩაუმტურის“ (კახ., 1956, გვ. 7); „მე ეგრე შავაცნიე“ (კახ., 1956, გვ. 168); „ჯარი შემოახვიეს“ (კახ., 1956, გვ. 7).

2.3. ხმოვანმონაცვლე ზმნები ინგილოურში

ქართული ენის ინგილოური დიალექტი ხმოვანმონაცვლე ზმნების თავისებურ ვითარებას წარმოგვიდგენს. იმისათვის, რომ ეს თავისებურება ნათლად გამოჩნდეს, თავდაპირველად განვიხილავთ ხმოვანმონაცვლე ზმნების იმ ფორმებს, რომლებიც ინგილოურთან ერთად სხვა კილოებსა და (ზოგ შემთხვევაში) სალიტერატურო ქართულშიც გვხვდება, ხოლო შემდეგ წარმოვადგენთ ინგილოურის სპეციფიკურ წარმოებას.

ინგილოურში ვხვდებით ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე საფეხურის მქონე ფუძეებს I სერიაში თემის ნიშნის გარეშე:

„მოკაკულ ასტმით პურს ვიჭერთ“ (ინგილ., 1961, გვ. 229); „დად და ერ ქალ იჭერენ ჴელით, მოჰყონენ (//მიხყონენ) სახლი კერავთან“ (ინგილ., 1961, გვ. 234); „შუაზე ნეფეს დააჟდენდნენ ყიყიმზე და სასტულზე. კიდე ახლა პატარზალს გამოიყონნიდნენ, იმასაც ჟერგაითი დეკაცევეში დააჟდენდნენ“ (ინგილ., 1961, გვ. 235).

გვხვდება ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე საფეხურის მქონე ფუძე -ავ თემის ნიშნით:

„საწნავ მიწას ვჰწმენდავთ“; „ზირი ვგლეჟავთ ჩალთუქი გაზდაში ჴელ შანაშალ ალას“ (ინგილ., 1961, გვ. 228); „ლამაზა ცომს მოჰზელავ“; „... ტყელ-პირიანით [ასტამით] კი ვფხეკავთ“ (ინგილ., 1961, გვ. 229).

დასტურდება ხმოვანმონაცვლე ზმნათა ი საფეხურის მქონე თემისნიშნიანი ფუძე. კერძოდ, „ფუძედრეკად ზმნებსაც დაერთვის -ავ (სპორადულად) და ფუძისეული ე → ი; მაგ.: იჭირავს, დამიჭირავ, თულაჲ ჴოჴობი თავ აფრიწავს და მისთ.“ (გრ.იმნაიშვილი, 1966 (1), გვ. 115).

სამგვარად გვხვდება აღნიშნულ ზმნათა სანყისებიც: 1. სანყისები, პირველი სერიის ათემატურ ფუძეს რომ ემყარებიან: „განმენდას უკან ნავში ვყრუთ“ (ინგილ., 1961, გვ. 228); „მოზელი ცოტა დროჲ გავლას უკან ცომს მოუელი“ (ინგილ., 1961, გვ. 229); 2. სანყისი, პირველი სერიის ე ხმოვნიან თემატურ ფუძეს რომ ემყარება: ფენვა (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 356); 3. სანყისი, პირველი სერიის ი ხმოვნიან თემატურ ფუძეს რომ ემყარება: „გკაქეს დაჭირვა[ჲ]“ (გრ. იმნაიშვილი, 1966 (1), გვ. 115).

ინგილოურში სხვა კილოების (ფერეიდნულის, მთიულურის, კახურის, ქართლურის) მსგავსად ევ-იან ზმნებს II სერიაში შემონახული აქვთ ვინი:

„ლუნრჳ მოუქცივა ზალმა მინაზე“ (ინგილ., 1961, გვ. 233); „ამით დეეხ-ნივა (გათავდა) ქორნილ“ (ინგილ., 1961, გვ. 235).

ყოველივე ზემოაღნიშნული ძალზე ზოგადად წარმოგვიდგენს ხმოვან-მონაცვლე ზმნებს ინგილოური დიალექტის მიხედვით. მასალის განხილვის შედეგად ამ კილოში ე-ს (უ-ს) შემცველი ხმოვანმონაცვლე ზმნების თავისებური წარმოება გამოვლინდა. ეს საკითხი უკავშირდება ინგილოურისათვის დამახასიათებელ უმლაუტებს.

ცნობილია, რომ ქართული ენის ინგილოურ დიალექტში ვხვდებით რ, უ უმლაუტიან ხმოვნებს (გრ. იმნაიშვილი, 1953, გვ. 165).

სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ უ ენაცვლება ძველი ქართულის უ + ი და ე + ი-ს (გრ. იმნაიშვილი, 1953, გვ. 165).

სხვა მაგალითებთან ერთად გრ.იმნაიშვილს ხმოვანმონაცვლე ზმნის ფორმაც აქვს წარმოდგენილი: ინყუტების // ინყუტეც.

გრ.იმნაიშვილის დაკვირვებით: „უ-ს ვილებთ მაშინაც, როცა ი უშუალოდ არ მოსდევს უმარცვლო უ-ს. ძველი ქართულის უმარცვლო უ ინგილოურში ი-ს წინ გადანაცვლებით იძლევა უ-ს“ (გრ. იმნაიშვილი, 1953, გვ. 166).

ამ შემთხვევისთვისაც ავტორი სხვებთან ერთად ხმოვანმონაცვლე ზმნის ფორმებსაც ასახელებს (ძველი ქართულის შესაბამის ფორმებთან მიმართებით):

ინგილოური

გამოწრუტა

ჰუგრჳმა

ჭრჳტავს (← ჭურიტავს)

ძველი ქართული

გამოწურიტა

(მდრ.: უგუმირეს, გურემა)

ჭურეტს

რ ბგერა ინგილოურში „მიღებულია ძველი ქართულის უმარცვლო უ + ე ან ე + ე-საგან, აგრეთვე მხოლოდ ე-საგან (ლაბიალიზაციით) ან კიდევ ო-სა და უ-ს პალატალიზაციით. საერთო მათ შორის ის არის, რომ მათი წარმოთქმა გადახრილია ე-სკენ, განსხვავება კი ამ გადახრის მეტნაკლებობაშია“ (გრ. იმნაიშვილი, 1953, გვ. 168).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ძველი ქართულის უმარცვლო უ-ს ე-ნის წინ გადანაცვლებით მიიღება რ და სხვა მაგალითებთან ერთად ხმოვანმონაცვლე ზმნებსაც ასახელებს:

ინგილოური

ჭროტაჳ, უჭროტდა

წროტაჳ, წროტს

ძველი ქართული

ჭურეტაჳ

ჭურეტაჳ

მკვლევარი ე-ს წინ ე-ს გადანაცვლებით მიღებულ რ-საც ადასტურებს. ეს პროცესი სხვებთან ერთად აღინიშნება ხმოვანმონაცვლე ზმნებშიც: ნრჳდი (← *ნრჳედი ← *ნრჳედი ← ენევი).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინგილოურში ო და უ უმლაუტები გარკვეული ტიპის (ვ/უ-ს შემცველ) ხმოვანმონაცვლე ზმნებში ანმყოსა და ნამყოს ფორმათა განმასხვავებლად გვევლინებიან. უფრო ზუსტად, ამ შეინთხვევაში ო — უ მონაცვლეობა ერთგვარი ნაირსახეობაა აღნიშნულ ზმნათა ფუძისეულ ე — ი ხმოვანთა მონაცვლეობისა; ე.ი. ინგილოურის ო ხმოვნიანი ფუძე გვაქვს იმ ფორმებში, სადაც გვხვდება ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე საფეხურიანი ფორმა და ინგილოურის უ ხმოვნიანი ფუძე გვაქვს იმ ფორმებში, სადაც გვხვდება ი საფეხურიანი ფორმა. ეს ეხება ინგილოური ხმოვანმონაცვლე ზმნების როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ფორმებს:

ო უმლაუტიანი ხმოვანმონაცვლე ფუძე შეიძლება შეგვხვდეს (ანმყოში) უთემისნიშნოდ:

„ქერქს არ გახლჳენ, ფოთოლს გახლჳენ, ტყავს, კანს შლჳენ“ (ინგილ., 1988, გვ. 96).

უფრო ხშირად კი ო უმლაუტიანი ფუძე თემის ნიშნით გვხვდება:

„... დათს უკანი ყურევი იჭერს, ზინყუე აჟდრწავს“ (ინგილ., 1947, გვ. 253); „ავატყოფ ჰჭრტავს“ (ინგილ., 1947, გვ. 279); „დათესას უკან ნყალს მოჭწყტავთ“ (ინგილ., 1966, გვ. 166).

ო უმლაუტიანი ფუძე გვხვდება ანმყოში -ი-ს დაბოლოებით:

„მოლლა ნასრედინა უჭრტის, ეშმაკები მოდიან“ (ინგილ., 1966, გვ. 198).

ამ ზმნათა ო უმლაუტიანი ფუძეები უთემისნიშნოდ გვხვდება სახელზმნურ ფორმებში და პირველ თურმეობითში (მაგალითები ქვემოთ ზმნური ფორმების ჩამოთვლისას იქნება ნაჩვენები).

უ უმლაუტი ჩვეულებრივ გვხვდება ნამყოს ფორმებში:

„ე ბალმანჩიმ მოწყტა ე ვაშლ“ (ინგილ., 1947, გვ. 293).

უ გვხვდება აგრეთვე გარდაუვალ (ენებითი გვარის) ზმნებში:

„დედაკაცი ფენყერათ იჭრტობოდა“ (ინგილ., 1966, გვ. 199).

მაშასადამე, როგორც აღვნიშნეთ, ამ ზმნათა ო — უ ხმოვნიანი ფუძეების განაწილება ემთხვევა შესაბამის ე — ი ხმოვნიანი ფუძეების განაწილებას, თუმცა ერთ შემთხვევაში კვლავ თავისებური ვითარება გვაქვს. ცნობილია, რომ ინგილოურში თხრობითი კილოს მყოფადი სამგვარად ინარმოება: 1) პრევერბის დართვით (დოჟერ „დავიჭერ“); როგორც ეს ახალ ქართულშია. 2) კავშირებითის ფორმის გამოყენებით (დოჟირო, „დავიჭირო“), როგორც ძველ ქართულში იყო. 3) მყოფადის მიმლეობაზე მეშველი ზმნის დართვით (დააჭერევარ, დააჭერეხარ, დააჭერელია)“ (გრ.იმნაიშვილი, 1966 (1), გვ. 117-118; იხ. აგრეთვე გრ.იმნაიშვილი, 1954, გვ. 158; რ.ლამბაშიძე, 1957, გვ. 249-265; ე.ჯანგიძე, 1978, გვ. 82-83).

მყოფადში ჩვეულებრივ ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიის ე საფეხურიანი ფუძე გამოიყენება, მაგრამ, როდესაც ინგილოურში მყოფადის სანარმოებლად მეორე კავშირებითის ფორმაა ნახმარი, ბუნებრივია, ხმოვანმონაცვლე ზმნებში მეორე სერიის ი საფეხურიანი ფორმები გვექნება.

ამას კარგად გვიჩვენებს ზემოთ მოყვანილი ციტატის მაგალითები. ავტორს სწორედ ჩვენთვის საინტერესო ზმნის (ჭერ/ჭირ) ნიმუშები მოჰყავს. პირველ და მესამე შემთხვევაში ე საფეხურის მქონე ფუძეები გვაქვს: დოჟერ, დააჭერეარ, ე.ი. მაშინ, როდესაც ანმყოს ფუძეზე პრევერბის დართვით ან მყოფადის მიმღობაზე მეშველი ზმნის დართვით ხდება წარმოება, ხოლო II კავშირებითის შემთხვევაში ფუძეში ი საფეხურია: დოჟერო.

ი და უ საფეხურიანი ხმოვანმონაცვლე ფორმის მყოფადის სხვა მაგალითებსაც მოვიყვანთ:

„ზმაე ებნევის ველდაშეეს: მე ყარაულოვამ გაჭნივო, თქონ დაჰინით!“, „ერთი შენტან დაანუნე, ერთიც ჩემთან დავანუნო“ (ინგილ., 1957, გვ. 250, გვ. 251).

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში პირველ სერიაში აღნიშნული ზმნების ფუძეში გვხვდება ი (უ) საფეხური და არა ე (რ), მაინც ძალაში რჩება ამ ზმნების ანმყოს და ნამყოს ფორმათა გარჩევისათვის ე (რ) და ი (უ) ხმოვნების დაპირისპირება, როგორც დამატებითი მორფონოლოგიური ნიშანი, რადგან მყოფადის ფუნქციით გამოყენებული ი (უ) საფეხური მეორე კავშირებითის ფუძითაა. ამ შემთხვევაში მყოფადის გამოხატვა მეორე კავშირებითის ფორმის დამატებითი ფუნქციაა და ამიტომ მეორე კავშირებითის ფუძეა პირველ სერიაში გამოყენებული.

ამრიგად, აღნიშნულ ზმნებში რ—უ უმლაუტების მქონე ფუძეები ხმოვანმონაცვლე ზმნების ე—ი ხმოვნების შემცველ ფუძეთა ერთგვარ ვარიანტიბად გვევლინებიან.

ქვემოთ წარმოვადგენთ ინგილოური დიალექტის რ—უ უმლაუტების შემცველ ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმებს. მასალის განხილვისას ძირითადად ვეყრდნობით ნ.როსტიაშვილის „ინგილოურ ლექსიკონს“ (თბილისი, 1978 წ.) და რ.ლამბაშიძის „ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონს“ (თბილისი, 1988 წ.).

მაგალითების ჩვენებისას წარმოვადგენთ სალექსიკონო ერთეულს (სანყისს) და მასთან მითითებულ ანმყოს, წყვეტილის, პირველი თურმეობითის და მიმღობების ფორმებს, როგორც ეს ნ.როსტიაშვილის ლექსიკონშია მოცემული, სადაც თანმიმდევრულადაა ნაჩვენები რ და უ ხმოვნების შემცველი ფუძეები აღნიშნულ ფორმებში. რ.ლამბაშიძის ლექსიკონიდან მოგვყავს სალექსიკონო ერთეული (სანყისი) რ ხმოვნისანი ფუძით და შესაბამისი უ ხმოვნისანი ფუძის საილუსტრაციო მაგალითი, რადგან უ უმლაუტისანი ფუძე ავტორს მხოლოდ საილუსტრაციო მაგალითებში აქვს დამონმებული.¹

1. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე სალექსიკონო ერთეული წარმოდგენილია რ—უ და ე—ი მონაცვლეობით, ზოგჯერ კი რ—უ მონაცვლეობის მქონე ფორმებს ი საფეხურიანი ფუძეც გამოერევათ. ყველა ამ თავისებურებას ქვემოთ მაგალითების განხილვისას უჩვენებთ.

თითოეული მაგალითის ქვემოთ გამოვეყოფთ ო — უ ხმოვანმონაცვლე ფუძეებს ნორმატიულ ე — ი ხმოვანმონაცვლე ფუძეებთან შეპირისპირებით.

ა) ვ (უ) უშუალო მეზობლობაშია ფუძისეულ ე — ი ხმოვნებთან:

დარღწევა, გარღწევა ჩ(ო)მორღწევა, ჩ(ო)მორღევა, ნიშნავს დარღვევას. „ხურჭინი ყბა (პირი) გაარღწევა“; „კაბა ჩემეგერღევა“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: რღვ/რღვე. შდრ.: რღვევ/რღვივ დარცხონა — შერცხვენა. „რაბე დოგორცხუნი? (რატომ შეგვარცხენი?)“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: რცხონ/რცხუნ შდრ.: რცხვენ/რცხვინ

დარწევა, დარწვნა 1. სწავლა (სწავლობს); სწავლება (ასწავლის). „აი კაც საპთყენ (საითყენ) წაუდა, მე დამაჩივით (მასწავლეთ) გზა“; „პემანდ შენ პათარ გრხლი, დამაჩუო, ჟან, გადა! (მანდ როგორ გახვედი, მასწავლე რა, ბიჭო!)“; 2. დარწევა, გარწევა. „დევეჩუვ (დევეჩვიე)“; 3. ცხენის გახედნა. „ცხენ გააჩუვა“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ჩრვ/ჩრვე შდრ.: ჩვევ/ჩვივ

შაჩქოფა (ჩქოფს, ჩქოფავს, შაჩქუფა, შოჭქოფი, შანაჩქოფ, შაჩქოფულ) 1. ჭურჭელში სითხის შენჯღრევა; 2. ჩქარი ნაბიჯით წყალში გასვლა (წ.როსტ.); რ.ლამბ.).

ამ ფორმას უკავშირდება ხევსურული ჩქეფა, რაც წყალში ჩაყარდნილი საგნის მოდენილ ხმას ნიშნავს და ხმოვანმონაცვლეა: „აღელედა ჯელმნიფეები, შამაჩქვიფენს ზღვანა“ (ხევს., 1923-1924, გვ. 314, ხევს., 1984, გვ. 442).

მონაცვლე ფუძეებია: ჩქოფ/ჩქუფ შდრ.: ხევს. ჩქეფ/ჩქეფ

ანწნს — აწვენს. „აპყონს, აწწნს ყმანულ შიგე“ (ინგილ., 1966, გვ. 197); „ებეჩიმ დედაკაცი დაბანა, გადაყონა, ფართალში დაანწნა“ (ინგილ., 1966, გვ. 166).

მონაცვლე ფუძეებია: წწნ/წწნ შდრ.: წვენ/წვინ

გგდანყრტა (პწყრტავს, გგდანყრტა, გგდოუნყრტი, გადანანყრტი) შუშის დახერხვა ლუმელის ზომაზე (წ.როსტ.).

ეს ზმნური ფუძე რ.ლამბაშიძის ლექსიკონში უფრო ფართოდაა წარმოდგენილი. ბუნებრივია, შესაბამისი მაგალითები დასტურდება ო და უ ხმოვნების შემცველი ფუძეებით. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ საწყისებს: აწყრტრევა, აწყრტა — დაჯახება; გაწყრტა — განყვეტა, გაულეტა; დანყრტა — დახეთქება; მონყრტა — მონყვეტა, შენყვეტა, შეჩერება (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: წყრტ/წყრტ შდრ.: წყვეტ/წყვიტ

ხრვს --- ხვევს. „მაპყონს ყმანულს, ლამაზ ჩარჩავში ხრვს, ქოშაი დრმაგ უგევს, აწწნს“ (ინგილ., 1966, გვ. 197); „ახლა შეხუვა კურტნებში“ (ინგილ., 1966, გვ. 196).

მონაცვლე ფუძეებია: ხრვ/ხრვე შდრ.: ხვევ/ხვივ

ბ) ვ (უ) უშუალო მეზობლობაში არაა ფუძისეულ ე — ი ხმოვნებთან:

დაგრძმაი (გრძმავს, დაგრძმა, დოჟგრძმი, დანაგრძმ) რჩოლა (ნ.როსტ., რ.ლამბ.). მ.ჯანაშვილთან ეს ფორმა უმლაუტით დასტურდება: გრძმა რჩოლა, გურემა, რკინება (მ.ჯანაშვილი, 1913, გვ. 243).

ამ ზმნას უკავშირდება საბასეული გურემა („ჩხურა“, ჩხელეტა) და განგუმერა („მახვილის გაჩრა“) (ს.-ს. ორბელიანი, 1928, გვ. 76 და 58). დ.ჩუბინაშვილის მიხედვით ამ ზმნას ორგვარი განმარტება აქვს: გეემა; ცემა და მუცლის გერემა (დ.ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 319-320). მუცლის გერემის მნიშვნელობით გვაქვს ეს ზმნა ქეგლ-ში: დაგვრემს, დაგვრიმა, დაუგვრემია.

მონაცვლე ფორმებია: გრძმ/გრძმ შდრ.: გერემ/გერიმ.

გაზრძნაჲ, შაზრძნაჲ, ჩაზრძნაჲ, წაზრძნაჲ, გ(ო)მოზრძნაჲ, გამოზრძნაჲ — გაძერენა; გაყრა. „ქალო, კარევი ჳელ გამააზრძნუჲ (გამოაძერი-ნე)!“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ზრძნ/ზრძნ შდრ.: ძერენ/ძერინ'.

თქლრფაჲ, ათქლრფაჲ, შათქლრფაჲ, ჩათქლრფაჲ — თქვლეფა, შეთქვლეფა, შესვლეჲა. „ზალმა შათქლრფა შიჭმელ“; „კატამ ჩათქლრფა ზეჲ“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: თქლრფ/თქლრფ შდრ.: თქვლეფ/თქვლიფ

დაკნრტაჲ 1. იგივეა, რაც დაბლრუნზაჲ. დაბლრუნზა, მობლრუნზაჲ — დაბლუნძეა, დაკრუნჩხვა, დაჭმუჭნა, დანაოჭება. „მეამ ჳელეე დემეკნუტას!“ (წყევლაა: ხელეზი დამეკრუნჩხოს!)“; 2. დაკენეტა. „ზროხამ ხეეე დაკნუტა“ (რ.ლამბ.).

ამ ზმნის უ ხმოვნისანი ფუძე გამოყენებულია დერივატში კნუტ — კენიტი. მარილი კნუტ — მარილის პატარა ნატეხი. შაქარი კნუტ — შაქრის ოთხკუთხა ნატეხის მეოთხედი ნანილი (ნ.როსტ., რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: კნრტ/კნუტ შდრ.: კენეტ/კენიტ

მოკრრცაჲ, დაკრრცაჲ, აკრრცაჲ, აკრრცრცაჲ, გადაკრრცაჲ, კრრცაჲ — მოჭრა, მოკრეჭა, მოკვეცა, მოკენეტა (მცენარის წვერისა, შტოებისა, ფოთლებისა და მისთ). „წინილეე გ ზელ გაქ, მოა, პინწა მოკრრცო (წანწავეზი გრძელი გაქეს და მოდი 'ცოტა შეგკრიჭო', ცოტას შეგკრეჭ)“ (რ.ლამბ.). მ.ჯანაშვილი ამ ზმნას უ-თი ადასტურებს — კრეცა (მ.ჯანაშვილი, 1913, გვ. 251).

ამ ფორმას უკავშირდება ხვესურული კერეცა, რაც შუაზე გაჩეხვას, მოკვეცას, მოჭრას ნიშნავს და ე—ი ხმოვანმონაცვლეობით ხასიათდება. „თმათ წაეიკერეცაჲ“; „მეეკერიც ლამით თმაი“ (ხვეს., 1923-1924, გვ. 282; ხვეს., 1975, გვ. 8, გვ. 70; ხვეს., 1984, გვ. 341).

მონაცვლე ფუძეებია: კრრც/კრრც შდრ.: ხვეს. კვეც/კერიც

1. ზ (← ძ) აიხსნება იმით, რომ ინგილოურში არ გვხვდება ძ და ჯ აფრიკატები. მათ ზ და ჟ სპირანტები ცვლის (გრ.იშნაიშვილი, 1963, გვ. 84-86; ე.კუზიბაბაშვილი, 1992, გვ. 9-10). მესაბამისად, გვხვდება უ (← ჯ): დაეგლრმაი (← დაეგვლემმა), დაედრნაი (← დაეჯენა); იხ. ქვემოთ.

დამსხვრევა — დამსხვრევა. „ხიზედათი კაც ჩამოარდა, დამსხვრევა“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: მსხრრე/მსხრრე შდრ.: მსხვრეე/მსხვრეი
გგმომცრრეა (იმცრრეის, გგმამცრრეა, გგმომცრრეი, გამნამცრრე)
1. რთელის შემდეგ ვაზებზე შერჩენილი ყურძნის მოკრევა; 2. აბრეშუმის
ჭიის ცახზე ასვლის შემდეგ ნაზირში ჩარჩენილი პატარა, წვრილი ჭიების
გამოკრება და ცალკე მოთავსება (ნ.როსტ., რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: მცრრე/მცრრე შდრ.: მცერეე/მცერეი
დაფგლრმა (ეგლრმავს, დაფგლრმა, დოუფგლრმი, დანაფგლრმ) მუჯღლ-
გუნის ნაკრა, დატუქსვა, მძლავრად შერყევა, შენჯღრევა (ნ.როსტ.).

მონაცვლე ფუძეებია: ფგლრმ/ფგლრმ შდრ.: ჯგვლემ/ჯგვლიმ
მოფლრმა (ელრმავს, მოფლრმა, მოუფლრმი, მონაფლრმ, მოფლ-
ლრმულ) ხელებით და ფეხებით ქელვა, სრესა, მობეფვა, მოჩეჩქვა (ნ.როსტ.).

მონაცვლე ფუძეებია: ელრმ/ელრმ შდრ.: ევლემ/ევლიმ
დსლრმა — შეთქვლევა, ხარბად ჭამა. „ყონალლულში მოუდნენ, ეინი
დოგსლრუმეს (წვეულებაში მოვიდნენ, ყველაფერი შეთქვლიფეს)“ (რ. ლამბ.)

მონაცვლე ფუძეებია: სლრმ/სლრმ შდრ.: სვლემ/სვლიმ
დასრრმა (სრრმავს, დასრრმა, დოუსრრმი, დანასრრმ, დასრრმულ)
ტანის დაზელა გაციების დროს, რომ ოფლი მოედინოს; დასრესა, დაჭყლე-
ტა; დაბლუჯვა (ნ.როსტ., რ.ლამბ.).

ჟ ხმოვნინანი ფუძე დასტურდება დერივატივ უსრრმ, რაც მაცვლის ან
ალუბლის დაჭყლეტის შედეგად დამზადებულ წვინან საჭმელს ნიშნავს, იგი-
ვეა, რაც ისრიმი (რ.ლამბ.).

ფვიქრობთ, ისრიმიც ხმოვანმონაცვლე სვრემ/სვრიმ ზმნას უნდა უკავ-
შირდებოდეს (ისერიმი → ისრიმი) და ამ ზმნის ი ხმოვნინან ფუძეს უნდა
ემყარებოდეს.

ინგილოურ უსრრმ ფორმაში ფუძისეული ხმოვნის გაუმლაუტების შემ-
დეგ თავკიდური ი ასიმილაციით უ-დ შეიცვალა (თავის მხრივ ეს ი (ჟ) პრე-
ფიქსი ცალკე მსჯელობის საგანია და მასზე აქ არ შეეჩერდებით).

მონაცვლე ფუძეებია: სრრმ/სრრმ შდრ.: სვრემ/სვრიმ
დატყრრნა (ატყრრნს, ატყრრნავს, დაატყრრნა, დოუტყრრნი, დანატყ-
რრნი) ტკაცუნი (ნ.როსტ.).

გატყრრნა, დატყრრნა — გახეთქს (ხეთქს). „არ დაატყრრნო! (არ
გახეთქო!)“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ტყრრნ/ტყრრნ შდრ.: ტყერენ/ტყერინ

1. რ.ლამბაშიძე დაფლრმა, დაფგლრმა ფორმებს ერთად წარმოგიდგენს: დაფლრ-
მა, დაფგლრმა, დაფლრმა, ელრმა, ელრმა, ელრმა, ელრმა, რაც გულმოსულობით უის-
მე შენძნევის, მძლავრად შერყევის, შენჯღრევის ნიშნავს; გადატანით მუჯღლგუნების
კერით ცემა. „დაფლრმა (//დაფგლრმა) ყმანულუ თაე“ (რ.ლამბ.).

დაფშნრტაჲ (ფშნრტაჲს, დაფშნრტა, დოუფშნრტი, დანაფშნრტი, დაფშნრტიულ) ფშნა, გაფხვიერება; სიმინდის ტაროსაგან მარცვლების გამოცლა (ნ.როსტ.).

მონაცვლე ფუძეებია: ფშნრტი/ფშნრტი შდრ.: ფშნრტი/ფშნრტი

გაყლწჷაჲ 1. გაბდღენა, ბუმბულის გაცლა; 2. გადატ. გაგლეჯა. „მელამ ე ქათამ გაყლწჷა, ჭამა“ (რ.ლამბ.). მ.ჯანაშვილთან ეს ზმნა ე უმლაუტით გვხვდება ყლწჷა (მ.ჯანაშვილი, 1913, გვ. 266).

მონაცვლე ფუძეებია: ყლწჷა/ყლწჷა შდრ.: ყვლეფ/ყვლეფ

დაშლრპაჲ (შლრპაჲს, დაშლრპა, დოუშლრპი, დანაშლრპ, დაშლრპულ) ფეხზე მოჭერილი ფეხსაცმლის ჩაცმის გამო კანის დაშავება; ჯერ კიდევ უღელს შეუჩვეველი საქონლის კისრის გადატყავება (ნ.როსტ.);

გაშლრპაჲ აშლრპაჲ, დაშლრპაჲ — გამვლემა, გაყვლეფა (კანისა, ტყავისა, ქერქისა...). „ქუთაჲ დემეცა, ჳელ გაშლრპა“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: შლრპ/შლრპ შდრ.: შვლეპ/შვლეპ

მოჭრრთაჲ, მოჭრრთაჲ — გაცვეთა, გალევა (ნალისა საქონელზე). „ჩონ კამმერ მაჭრრთა, ცხენი ნალ გალეულ, მოჭრრთულ“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ჭრრტი/ჭრრტი შდრ.: ჭვრეტი/ჭვრეტი

შაჭრრტი(ნ)აჲ, შ(ო)მოჭრრტიაჲ იგივეა, რაც შახედნაჲ, შ(ო)მოხედნაჲ. „გამათეულ, იჭრრტიე აგრ-იგრ (გაკვირებულა, იხედება აქეთ-იქით)“; „ემ ხი ნორზე შაჭრრტი! (ამ ხის წვერს შეხედე!)“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ჭრრტი/ჭრრტი შდრ.: ჭვრეტი/ჭვრეტი

დახლრპაჲ (ხლრპაჲს, დახლრპა, დოუხლრპი, დანახლრპ, დახლრპულ) იგივეა, რაც გახვლემა, ფოთლების ან წვრილ-წვრილი ნორჩი შტოების ხელის გასმით გაცლა; გაყრევილება (ნ. როსტ., რ. ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ხლრპ/ხლრპ შდრ.: ხვლეპ/ხვლეპ

დახრრტიაჲ (ჰხრრტი/ჰხრრტიაჲს, დახრრტი, დოუხრრტი, დანახრრტი, დახრრტიულ) გადატანით ნიშნავს ცხვირიდან ჩამოდენილი ცინგლის შესუნთქვით უკან დაბრუნებას (ნ.როსტ.);

შახრრტიაჲ — შეხვრემა (ნ.როსტ.);

გაჯრრტიაჲ, ჩაჯრრტიაჲ — გახვრემა. „ცუტცუტლში შამფურქრ (ღერძის ქვეშ) ამნაყუდეჲ კინაჲ ამაზე კეპტეჲ (იმისათვის არის), რუმ შამფურმა ნუ გაჯრრტიას კინაჲ, ნუ ჩაჯრრტიასაჲ ქრმ“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ხრრტი/ხრრტი შდრ.: ხვრეტი/ხვრეტი

გ. ინგილოურში რ — უმლაუტები იმ ხმოვანმონაცვლე ზმნებშიც დასტურდება, რომელთა ფუძემიც არ გვხვდება ვ (ჳ). ბუნებრივია, ამას კვლავ შესაბამის ე — ი მონაცვლეობის მქონე ფუძეებთან შეპირისპირებით აღვნიშნავთ. ასეთი ნიშნებისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რ ინგილოურში ჳ+ე, ე+ე შემთხვევების გარდა მიღებულია აგრეთვე მხოლოდ ე-სგან (ლაბიალიზაციით) (გრ. იმნაიშვილი, 1953, გვ. 168). ასე უნდა ჩნდებოდეს რ ქვემოთ მოყვანილი ზმნების

ანმყოს ფორმებში, ხოლო იმავე ზმნების ნამყოს ფორმებში უ-ს გაჩენა შესაძლებელია რ — უ მმლაუტიანი ხმოვანმონაცვლე ზმნების ანალოგიით აიხსნას:

დგრნაჲ (დგრნავს, დგრუნა, პუდგრნი, ნადგრნ) გადადგება, ჩადგება (ნ.როსტ.).
დგრუნა — ტყაპანის გადენა, გადასროლა (მ.ჯანაშვილი, 1913, გვ. 244).

მონაცვლე ფუძეებია: **დგრნ/დგრუნ** შდრ.: **დგრნ/დგრინ**

ჩაუდრნაჲ (აუდრნავს, ჩაუდრუნა, ჩოუდრნი, ჩანაუდრნ) 1. ჩასმა; 2. კბილის გაყრა, გასვლა მეორე მხარეს; 3. წყლის გასვლა ტანისამოსში (ნ.როსტ.);
დაუდრნაჲ 1. დასმა. „ჭუჭულევე ექ არ დააუდრნო“; 2. საცხოვრებლად დაყენება, დასახლება, დაბინავება. „კაჲ სახლეუში (ოთახებში) დაგაუდრნ (დაგაყენე, დაგაბინავე)“ (რ.ლამბ.);

შაუდრნაჲ — შესმა, შეჯენა. „შეეხრნ, ურემზე შაგაუდრნას (შეგვას)“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: **უდრნ/უდრუნ** შდრ.: **ჯენ/ჯინ**

დასტრნაჲ (ასტრნს, დაასტრუნა, დოუსტრნი, დანასტრნ) იგივეა, რაც დასტენა. **დასტენაჲ** (ასტენს, დაასტინა, დოუსტენი, დანასტენ) დაცდენა, ნიშანში ვერ მოხვედრება. „ჩიტს თოფ დაასტინა“ (ნ.როსტ.);

გასტრნაჲ — განვდენა, მყოფინება (ანვდენს, ამყოფინებს). „მიჭმელ გაასტრნ ბუთუმს! (საჭმელი გაანვდინე ყველას!)“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: **სტრნ/სტრუნ** შდრ.: **ინგილ. სტენ/სტინ**

ატკრრცაჲ, **შატკრეცაჲ**, **შატკრრცაჲ**, **დატკრრცაჲ** — ატკრეცვა, ალანძბა. „ცხელ თორნეში პურ დაკრაში პურ იტკრრცევე“; „შენამ შაიტკრრცევე!“ (ითქმის წყველისას ან მოფერებისას) შენ მოკვდი! (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: **ტკრრც/ტკრრცე** შდრ.: **ტკრეც/ტკრიც**

გატყრპაჲ, **დატყრპაჲ** — გატყეპა, მაგრად ცემა (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: **ტყრპ/ტყრპე** შდრ.: **ტყეპ/ტყიპ**

გაქლრფაჲ (პქლრფავს, გაქლრფა, გოუქლრფი, განაქლრფ, გაქლრფულ) ცხელი წყლის დასხმა და ბენვის, კანის გაცლა, გაძრობა (ნ.როსტ., რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: **ქლრფ/ქლრფე** შდრ.: **ქლეფ/ქლიფ**

დაჭყეცაჲ, **დაჭყრცაჲ** — დაკვირვება (თვალის მოუშორებლად), დაშტერება. „აგერ ეჭყრტევე (//ეჭყრტოვ), იგერ ეჭყრტევე, ამმა ვერ ცნოვს (ასე აკვირდება, ისე აკვირდება, მაგრამ ვერ ცნობს)“; „ორნიმ ერთმანეთს დაჭყეციან (ორივე ერთმანეთს დაშტერებია)“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: **ჭყრტ/ჭყრტე** შდრ.: **ჭყეც/ჭყიც**

დ ალსანიშნავია ის ზმნებიც, რომელთა ანმყოსა და ნამყოს ფორმებში ჩვენ რ — უ მონაცვლე ფუძეებს გამოვეყოფთ, თუმცა ჯერჯერობით ვერ ვადასტურებთ შესაბამის ფუძეებს ე — ი ხმოვანმონაცვლეობით:

გაბრგაჲ, **დაბრგაჲ**, **გაბრგაჲ** — გაბგევა, მაგრად ცემა. „ე დედაკაცი თაღ მრპკაჲ ბრგევეს (მაგრად ბგევეს), ზნიყვეს (სცემევეს)“; „ეს რამ გაბრგევეს (//გაბრგევეს), ნეფეზე ვერ აპტანდა (ისე გაბგევეს, რომ სულს ვერ იღებდა)“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ბრგ/ბუგ

დატრპაჲ (პტრპავს, დატრპა//დატუპა, დოუტროპი, დანატრპ, დატროპულ)
ცემა, ტყეპა, აგრეთვე მოთელვა (ქსოვილის); დაბეგვა, ცემით დატკეპნა
(ახლად მონწული რამისა); დაზერგნა (მინის) (ნ.როსტ.; რ.ლამბ.). მ.ჯანაშვილი
ამ ზმნას ე-თი ადასტურებს — ტუპაჲ (მ.ჯანაშვილი, 1913, გვ. 262).

მონაცვლე ფუძეებია: ტრპ/ტუპ

მოტკრფაჲ 1. (პტკრფავს, მოტკუფა, მოუტკრფი, მანატკოფ, მოტკო-
ფულ) ქურჭლის პირამდე გავსება; 2. იტკუფრვის, მაიტკუფა, მოტკრფულ,
მანატკრფ, მოტკოფულ — ხეხილზე ბევრის დასხმა (ნ.როსტ.);

ჩატკრფაჲ (ტკრფავს, ჩატკუფა, ჩოუტკრფი, ჩანატკრფ, ჩატკრფულ) 1.
გაჭედვა; 2. ცეცხლის ჩაქრობა ცუდად დანთების გამო (ნ.როსტ.);

დატკრფაჲ, ტკრფაჲ ძლიერ დატვირთვა, დიდი ტვირთის აკიდება. გადა-
ტანით ნიშნავს დაკერას, დარტყმას, ცემას (რ.ლამბ.).

რ.ლამბაშიძე ამ ზმნას უკავშირებს ქიზიყურ დატკევეფას, ტკევეფას, რაც
დახურვას, დატვირთვას, მსხმოიარობას ნიშნავს (ქიზიყ., 1943, გვ. 54, გვ.
174). ქიზიყურ ლექსიკონში ამ ზმნასთან შედარებულია სულხან-საბა ორბე-
ლიანის ლექსიკონში დადასტურებული ტკუეფ. ს.-ს. ორბელიანის ლექსი-
კონში ვხვდებით ტკეფ ფორმასაც, რომელთანაც მითითებულია ნატკევეფი.
თავის მხრივ, ნატკევეფი (ნატკევეცი, ნატკეცი B) განმარტებულია, როგორც
ჭაჭის ნანახი, შამანი (ს.-ს. ორბელიანი, 1928, გვ. 333, გვ. 252).

სემანტიკურად ამგვარი დაკავშირებანი არაა ინტერესმოკლებული, მაგ-
რამ ტკეფ ფუძე ი საფეხურით (* ტკეფ) ვერ დავადასტურეთ.

ე უმლაუთით გვხვდება აღნიშნული ფუძე მ.ჯანაშვილის სალექსიკონო
მასალებში — ტკუფა (მ.ჯანაშვილი, 1913, გვ. 262).

ნ.როსტიაშვილისა და რ.ლამბაშიძის ლექსიკონების მიხედვით ამ ზმნი-
სათვის შემდეგ მონაცვლე ფუძეებს გამოვეყოფთ: ტკრფ/ტკუფ

შატრრმაჲ (იტრრუმეის, იტრრუმეე, შატრრუმა, შატრრმულ, შანატრრმ) ბუზ-
ღუნით, შუბლის შეკვრით ლაპარაკი, ბუტიანობით პასუხის მიცემა (ნ.როსტ.);

დატრრმაჲ, შატრრმაჲ, ტრრმაჲ, ტრრნაჲ — საყვედური და წყრო-
მით, გულმოსულად ვინმესთან ლაპარაკი. „რომ მრზრბელმა მაგრა დამტრრ-
მა“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ტრრმ/ტრრმ

ატყლრმაჲ ათქვლეფა, აზელა, ასრესა. „თუ თბილ წყლით შაადლრბ
(შეადლევებ) ნაარამაჲ (სადლევებელი), იმაშინ, — იტყლრუპეე კარაქივ, — ამბო-
ვენ, ჩუღ კეპტავ (ჩვილი ხდება), კაჲ არ გამოდის“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ტყლრპ/ტყლუპ

დაფხტრნაჲ (აფხტრნს, აფხტრნავს, დააფხტუნა, დოუფხტრნი, დანაფხ-
ტრნი) დაფრთხობა (ნ.როსტ.).

მონაცვლე ფუძეებია: ფხტრნ/ფხტუნ

ჩხლორთაჲ, დაჩხლორთაჲ, გ(ო)მოჩხლორთაჲ, გამოჩხლორთაჲ — ნეე-ტიანი საგნით (ნემსით, სადგისით და მისთანათი) დაჩხვლეტა, დახვრეტა, ჩიჩქნა, თხრა რამესი. „ჩემ დაჲ აჲად იყო, ჰაქიმმა ელასალა (სულ მთლად) დაპჩხლურთა (დაჩხვლიტა)“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: ჩხლორთ/ჩხლურთ
ჩხორაჲ, დაჩხორაჲ იგივეა, რაც ჩხლორთაჲ. „ლამუჩკაჲ იძილმა (ლამპის სინათლემ) თოლევში დამჩხურა“ (რ.ლამბ.).

მონაცვლე ფუძეებია: თხორ/ჩხურ
აცროთრვაჲ, აცროთაჲ — ტმასნა, ძალიან ახლოს მისვლა, შეხება, ხახუნი. „იქითყენ დაჲ, ნუ მეცრუთევ (ნუ მეტმასნები)!“ (რ.ლამბ.). უმლაჲ-ტით გვხვდება ეს ზმნა მ.ჯანაშვილის ლექსიკონში — ცრუთა, ეცრუთების — ეტმასნება (მ.ჯანაშვილი, 1913, გვ. 270).

მონაცვლე ფუძეებია: ცროთ/ცრუთ
მოჭყრმაჲ (ჭყრმავს, მოჭყრმა, მოჭყრმი, მონაჭყრმ, მოჭყრმულ) მწვა-ნილის, ბალახისა და მისთანების მობოჭვა, მუჭის დატაცებით და არა გამორ-ჩევიტ მოკრეფა (ნ.როსტ.).

მონაცვლე ფუძეებია: წყრმ/წყრმ
ამრიგად, ინგილოურისათვის სპეციფიკური მოვლენა — ო და უ უმლა-უტები ხმოვანმონაცვლე ზმნების ანალიზის დროს მეტი ღირებულების მქონეა. კერძოდ, ამ შემთხვევაში ო—უ მონაცვლეობა ფონეტიკური ნაირ-სახეობაა ამ ზმნათა ე—ი მონაცვლეობისა. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ფორმებში ო—უ უმლაუტიანი ხმოვნების შემცველ ფუძეთა დაპირისპირე-ბაც (ისევე როგორც ე—ი ხმოვნების შემცველი ფუძეებისა) ანმყო-ნამყოს ფორმანარმოების დამატებით საშუალებად გვევლინება (რ.ქურდაძე, 1998 (1), გვ. 119-120).

მაშასადამე, მორფონოლოგიური თვალსაზრისით ამ ფორმების შემცველი დიალექტები (ინგილოური, ნანილობრივ მოხეურიც — იხ. ქვემოთ) იმ საერთო აბლაუტის წესს მისდევს, რაც სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექ-ტებში მოქმედებს. ხოლო ანალოგიურ ფორმებში ო—უ უმლაუტიანი ხმოვნე-ბის შემცველი ფუძეების დაპირისპირება შესაბამისი ე—ი ხმოვანმონაცვლე ფუძეების დაპირისპირების დიალექტურ ნაირსახეობას წარმოადგენს.

2.4. ხმოვანმონაცვლე ზმნები ფერეიდნულში

ქართული ენის ფერეიდნული დიალექტიც ხმოვანმონაცვლე ზმნების სპეციფიკური წარმოებით ხასიათდება, რაც ინგილოურის მსგავსად კვლავ ვინის შემცველ ფუძეებთანაა დაკავშირებული. ინგილოურისაგან განსხვა-ვებით, ეს ფუძეები, პირობითად შეიძლება ითქვას, უმლაუტის გამარტივე-ბულ საფეხურს წარმოგვიდგენენ. იმისათვის, რომ ეს თავისებურება უკეთ

გამოჩნდეს, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით სრულად წარმოვადგინეთ ფერეიდნული ხმოვანმონაცვლე ზმნის წარმოების ნიმუშებს.

ბუნებრივია, სხვა ქართული კილოებისა და სალიტერატურო ქართულის მსგავსად, ფერეიდნულშიც გვხვდება ე ხმოვნის მქონე უთემისნიშნო ფუძე | სერიის ფორმებში:

„ესეები ანქა დემსა გლეჯენ, დემი ხორბალსა“ (ფერ., 1975, გვ. 100); „ცომს მოვზელთ“ (ფერ., 1975, გვ. 36); „იმ დღეს სუს მაჰკრეფენ“ (ფერ., 1979, გვ. 90); „მოშლენ ის უფროსი მენადირეები, გასჩხრევენ და გოუჭრიანყე ღემეებსა ჯარს, შააჯერებენყე ერთმანერთში“ (ფერ., 1927, გვ. 241); „ჩონ მინანყალს იჭერენო“ (ფერ., 1985, გვ. 198); „[ხილს] ქარხანაჩი ნაიღებენ, დაჰჭყლეტენ, ადღულებენ, შაქმნების შირა“ (ფერ., 1975, გვ. 39).

სხვა კილოების მსგავსად ფერეიდნულში აღნიშნულ ზმნათა ე ხმოვნისანი ფუძე -ავ თემის ნიშნითაც გვხვდება | სერიის ფორმებში:

„ერთია ას თუმანს მოგლეჯავს, ერთია ორმოც თუმანს მოგლეჯავს, ერთია ოზდაათ თუმანს ამაღლებს, ერთია — ოც თუმანს, ერთია — ცხორს მოგლეჯავს, ერთია — ბატკანს მოგლეჯავს და ემას ბეურ ფულს მრტანენ, ებლა შაქნების საღამო“ (ფერ., 1985, გვ. 205); „მოვზელავთ ზეს პურსა, ზეს ჩაეასბამთ, კერცხსაც შიგ ჩაეაწლით და ბადიონს ჩოოყრით და ემასაც მოვზელავთ“ (ფერ., 1985, გვ. 201); „ცხორს შამოდგომაზე გაჭკრენჭავთყე, გაჭკრენჭავთ და იმ მატყლსა გავრეცხავთ“ (ფერ., 1985, გვ. 206); „შამოდგომა რო მუა, ყურზენ დაჭკრეფავთ“ (ფერ., 1985, გვ. 210); „ელ ეგრე ებლა ამის მეჯარე მოა და ნყალს დაიჭერავს“ (ფერ., 1979, გვ. 90).

-ავ თემის ნიშანი დასტურდება ევ-იან ზმნათა პირველი სერიის ფორმაშიც:

„ბრინჯსაც ავარჩევათ“ (ფერ., 1985, გვ. 211).

ჩვეულებრივ ევ-იან ზმნათა გართულება თემის ნიშნით არ ხდება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ზმნის ორმაგ სუფიქსაციასთან გვექონდეს საქმე. ცნობილია, რომ „ფერეიდნულში ზმნის ფუძის გართულების პროცესი კიდევ უფრო შორს არის წასული. ზოგჯერ -ავ სუფიქსი ერთვის მოქმედებითი გვარის ზმნათა ანმყო-მყოფადის ფორმებს: გააკეთებავს, დაანყობავს, მისცემავს... ზმნის ეს ფორმები ზოგადი ანმყოს სემანტიკას გადმოსცემენ, ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივ ხდება (კოჭობაჩი ყათულს ჩავაღებავთ, ბევრ ზე რო არი, ქოთანჩი ჩავადებავთ... ყველს ჩავდებავთ ქოთანჩი...)“ (დ.ჩხუბიანიშვილი, 1991, გვ. 37). ამ ტენდენციის გაფართოების შედეგი უნდა იყოს ზემოთ მოყვანილ ევ-იან ზმნაში -ავ სუფიქსის გაჩენა.

ე ხმოვნისანი ფუძესთან შეგვხვდა -ევ თემის ნიშანიც:

„და იმასა გლეჯევდეს გორაზე და ამ ერთმა მოიდა ექა და ჩადრი ნაილოყე“ (ფერ., 1975, გვ. 100).

გვხვდება ი ხმოვნისანი ფუძე -ავ თემის ნიშნით:

„[ყურძენს] იქ დაეჭყლიტავთ-ყე და იქით გამუა, ერთი სხოგან დაქურდე-ბის-ყე“ (ფერ., 1975, გვ. 33).

ასევეა „ჭერა“ ზმნაც:

„პარ ადამიანს თავის მიწა და მამული თავის ჳელჩი უჭირავ და თავისიც არი“ (ფერ., 1979, გვ. 90).

ფერეიდნულში, როგორც არაერთ სხვა ქართულ კილოში, -ეე სუფიქსის ვ II სერიის ფორმებში დღემდე შენახულია: „დავლივეთ, დავლივოთ; აირივა გაფი, გამაარკეივა საქმე; იტყიან: შოუტივევო... (=დავლიეთ... აირია... გამა-არკეივა... შოუტივევო...)“ (არნ.ჩიქობავა, 1927, გვ. 211).

აღნიშნულ ხმოვანმონაცვლე ზმნათა სანყისები უთემისნიშნოდ გვხვდება:

„ეს ჩონ ცომის მოზელა!“ (ფერ., 1985, გვ. 200); „ერთ პაჭტა რო ნავა, პარასკევს ხალლი იქა, მისაც რო უნდოდეს, რო მოკრიფონ, პარასკევსაცა მოკრეფას დაიჭერენ“ (ფერ., 1979, გვ. 89); „გახივეს და ემ შირმა ... გახევაჩი ემ შირსა პირი-დ' ესეები: მეურივა სისხლჩი“ (ფერ., 1985, გვ. 185).

ასეთია ხმოვანმონაცვლე ზმნების ნარმოება ფერეიდნული დიალექტის მიხედვით. ამ მხრივ ფერეიდნული სიახლოვეს ავლენს სხვა ქართულ კილოებთან. ქვემოთ ნარმოვადგენთ ვინის შემცველი ხმოვანმონაცვლე ზმნების ნარმოებას, რაც ამ კილოსათვის სპეციფიკურია.

ვინის რეფლექსების შესწავლას ფერეიდნულში გარკვეული ისტორია აქვს (არნ.ჩიქობავა, 1923; არნ.ჩიქობავა, 1927; გრ.იმნაიშვილი, 1953; მ.მაჭავარიანი, 1985).

ცნობილია, რომ ვინის რეფლექსების მიხედვით ფერეიდნულს ბევრ შემთხვევაში პარალელი მოეპოვება ინგილოურთან. ეს აღნიშნული აქვთ არნ.ჩიქობავას და გრ.იმნაიშვილს.

ინგილოურის განხილვისას ვინის შემცველი ხმოვანმონაცვლე ზმნები (ვ (ჳ) + ე →)რ და (ვ (ჳ) + ი →)ჳ უმლაუტიანი ხმოვნების მქონე ფუძეთა მიხედვით ნარმოვადგინეთ. ფერეიდნულში ამ მხრივ სხვაგვარი ვითარება გვაქვს. სახელდობრ, აქ ვ (ჳ) და ე გვაძლევს ე-ს ან ო-ს (იშვიათად ე-ს და რ-ს), ხოლო ვ (ჳ) და ი გვაძლევს ი-ს ან უ-ს (არნ.ჩიქობავა, 1923, გვ. 78, გვ. 79, გვ. 81; არნ. ჩიქობავა, 1927, გვ. 203-205; გრ.იმნაიშვილი, 1953, გვ. 174-176). არის ვარაუდი, რომ ფერეიდნულმა შემდეგი საფეხურები გაიარა: ჳე → რ → ე//ო, ჳი → ჳ → ი//უ (გრ.იმნაიშვილი, 1953, გვ. 176).

ბ.ჯორბენაძის ვარაუდით, ფერეიდნულში „გვექონდა *გობარა, *კორცხი (ინგილოურის მსგავსად), რომელთაგან პირველმა დეუმლაუტიზაცია განიცადა (→ გობარა), მეორემ — დელაბიალიზაცია (→ კერცხი)“ (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 364).

ვინის რეფლექსები ფერეიდნულში მოიცავს ამ კილოში მთლიანად ვ (ჳ)-ს შემცველ ფუძეებს. მათგან ჩვენ გამოვყოფთ მხოლოდ ხმოვანმონაცვლე ზმნებს.

აღსანიშნავია, რომ ძალზე იშვიათ შემთხვევაში ხმოვანმონაცვლე ზმნუ-
რი ფორმა I სერიაში გვხვდება ო (← ვ (ჟ) ე) ხმოვნით და II სერიაში უ (← ვ
(ჟ) ი) ხმოვნით. მაგალითად:

„სოფელთან რო მოახლოუდებიან, ხალღი მოეხოვის, რო აბა მის მოუ-
ლაგო და მის არაო“ (ფერ., 1927, გვ. 241); „სუმ (=ყველამ) გაიგო და შეშე-
ხუნეს, რო უვანბოსყე“ (ფერ., 1961, გვ. 259).

ასეთი ფორმები, როგორც ვთქვით, ძალზე იშვიათია. სამაგიეროდ,
ფერეიდნულში ფართოდ ვხვდებით ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეებს
(ვ (ჟ) ე →) და (ვ (ჟ) ი →) ი ხმოვნებით, რომლებიც შესაბამისად I და II სერი-
ის ფორმებში გვხვდება:

I სერიის ფორმები:

ა) ვ (ჟ) გაუჩინარებამდე უშუალო მეზობლობაში იყო ფუძისეულ ე ხმო-
ვანთან (CCვVC ან CCჟVC ტიპის ფუძეები):

„რაქტენ დღეს უკან ყათულს შაღღებენ და ემას კარაქს დოოჭერენ,
დოსაც მადღლებენ და დააგებენ ყურუს“ (ფერ., 1979, გვ. 89); „ემასა
გერიმ კერცხს ჩავაწლით და გაჭთქეფავთ ნამა და...“ (ფერ., 1985, გვ. 201).

გვხვდება -ავ თემისნიშნიანი ფორმები:

„ექითაყ ამბავი მიჰქონდაყე, ამბობენ, ჩონ თავრობასა და შახსა-დ' ემეებ-
სა გაჭწყეტავთ“ (ფერ., 1985, გვ. 188).

ბ) ვ (ჟ) გაუჩინარებამდე უშუალო მეზობლობაში არ იყო ფუძისეულ ე
ხმოვანთან (CCვSVC, CვSVC ან CCჟSVC, CჟSVC ტიპის ფუძეები):

უთემისნიშნო ფუძეები:

„და შონყრებიან წარეფსა, გავრანს ვიძახით, სამჭრესა, სამჭრეს იძახით
ქენ, არა? უჩხლეტენ და ნავა“ (ფერ., 1975, გვ. 42); „ეხლა კი, შაჰჭრეტენ
ერთმანერთსა და ემასა დღებენ“ (ფერ., 1975, გვ. 74); „მე დავდექ დარვაზის
უკან, სამოთხიც იქ დავაყენე ჩონყი, რო თუ არ გაალებთ მეთქი, ტყვიავათ
კარს დავხრეტთ საკლიტურს და შამულათ“ (ფერ., 1927, გვ. 227); „და დავას-
ხამთ ბადიფფში, მრტანთ-ყე, შაჰხრეტენ“ (ფერ., 1975, გვ. 36).

გვხვდება -ავ, -ამ თემისნიშნიანი ფუძეებიც:

„ესლა, რო ყენი შაქნილა, უჭრეტავთ-ლა ჩონ, სუ რამეს პატრონი შაქნილ-
ვართ“ (ფერ., 1975, გვ. 65); „ქათამს რო დაქკლავთ, ცხელ ნყალ ავადულეფთ,
დავასხამთ და ნაფტკენათ დაჭყლევამთ, ჩავდეფთ“ (ფერ., 1985, გვ. 211).

II სერიის ფორმები:

ა) ვ (ჟ) გაუჩინარებამდე უშუალო მეზობლობაში იყო ფუძისეულ ი ხმო-
ვანთან (CCვVC, CვVS ან CCჟVC, CჟVS ტიპის ფუძეები):

„ნეჰრა ჩამოაბი, შავდღიბი, ის კარაქი მოიტანიყე, პარსელებ მიცვიყე“
(ფერ., 1985, გვ. 210); „ეს ოცი, ორმოცი სახლი, ორი, ხუთი დღეზე ნამაარნი-
ან-ყე და იმ დროს, ეხლა მოადიან, ანივიან-ყე, დღეჩიგა ერდგან ესები ანივი-
ან-ყე და იქ ნაყვანიან-ყე და ხოშობდიან-ყე“ (ფერ., 1975, გვ. 44); „დომზადე

აკვანიცა იმაშინავე, ჩავანინე აკვანჩი" (ფერ. 1985, გვ.192); "არც მაშინი იყო, რო ნაიდენ სადმე, მისანრან და ეს სისხლი შონყიტონ" (ფერ., 1985, გვ. 198).

ბ) ვ (უ) გაუზინარებამდე უშუალო მეზობლობაში არ იყო ფუძისეულ ი ხმოვანთან (CCეSVC, CეSVC ან CCუSVC, CუSVC ტიპის ფუძეები):

„სახჩი რო შაველ, ეხლა კი, დედაკაცი რო მაჰყოლიყო ამ ჩემ ახანძალსა, შაჰჩხლიტა, თქო, რო: „ადე ფეჰზე, შენ ქმარი შამოჰდა, ადე ფეჰზე!“ (ფერ., 1975, გვ. 85); „თაგმა გახრიტა“ (ფერ., 1975, გვ. 90).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ვარაუდი ფერეიდნულში ვინის რეფლექსების შესახებ, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. ფერეიდნული კახურის განაყარი დიალექტია. კახურში უმლაუტიანი ხმოვნები არ დასტურდება. კახეთს მოსახლეობის ეს ნაწილი (შემდგომში ფერეიდნელებად წოდებულნი) მე-17 საუკუნეში ჩამოაცილეს, ჩვენ კი აწ კილოს შესახებ მე-20 საუკუნეში ჩანერილი ტექსტების მიხედვით ვმსჯელობთ. ასეთ პირობებში ისმის კითხვა: 400 წელი საკმარისია თუ არა იმისათვის, რომ გარკვეულ ბგერათკომპლექსებში უცხო ენის (სპარსულის) გავლენით ჯერ გაჩნდეს, ჩამოყალიბდეს უმლაუტიანი ხმოვნები, შემდეგ მოხდეს მათი დეუმლაუტიზაცია, დელაბიალიზაცია და გამარტივებული კომპლექსები დაგვრჩეს?!

კვლევა ამ მიმართულებით თავისთავად საინტერესოა, თუმცა ჩვენი საკითხის ფარგლებს სცილდება, მაგრამ თუ დავეუშვებთ, რომ ფერეიდნულში უმლაუტიანი ხმოვნები არც გვექონია, მაშინ როგორ უნდა აიხსნას ამ კილოში ვინის შემცველი ხმოვანმონაცვლე ფუძეების თავისებურებანი? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში უბრალოდ იკარგება ვინი (დღებ/დღიბ ტიპის ფუძეებში) ხმოვნის წინ, ხოლო (ჩხლეტ/ჩხლიტ და ხრეტ/ხრიტ ტიპის ფუძეებში) სონორი თანხმოვნების წინ. რაც შეეხება ხოვ/ხოვ ფუძეს, როგორც ამას მ.მაჭავარიანი ფიქრობს, „აქ ლაბიალიზაციას ფუძეში ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ [Cუ] მიმდევრობას მოსდევდა ისევე ლაბიალური [ვ]. შეიძლება ხელშემწყობი ფაქტორი იყო აგრეთვე ისიც, რომ C — ხ, ჩ" (მ.მაჭავარიანი, 1985, გვ. 156).

ამრიგად, ხმოვანმონაცვლე ზმნების მხრივ ფერეიდნულ დიალექტში ვ (უ)-ს შემცველი ფუძეები თავისებურ ვითარებას გვიჩვენებენ. დანარჩენ ფერეიდნულ ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოება სხვა კილოებისა და სალიტერატურო ქართულის მსგავსია.

2.5. ხმოვანმონაცვლე ზმნები მესხურში (სამცხურ-ჯავახურში)

სპეციალურ ლიტერატურაში მესხური და ჯავახური დამოუკიდებელ დიალექტებად ითვლებოდა. ასეთი დაყოფა წმინდა ენობრივი თვალსაზრისით არ იყო გამართლებული. ახლანდელი მესხეთი ისტორიულად სამცხედ იწოდებოდა და უფრო ვრცელ ტერიტორიას აერთიანებდა. დღევანდელი

გაგებით მესხეთი და სამცხე ერთმანეთის ფარდ ტერმინებადაა ნახმარი. „თუ ისტორიულ ვითარებას გავითვალისწინებთ და ამჟამინდელ მდგომარეობასაც გაუწევთ ანგარიშს, ალბათ უმჯობესი იქნებოდა დიალექტურ ერთეულად გამოგვეყო მესხური, რომლის კილოკავებს ნარმოადგენენ სამცხური და ჯავახური“ (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 374). ამ მოსაზრებას დღეისათვის მყარი საფუძველი აქვს, რადგან, როგორც ბოლოდროინდელი კვლევის შედეგად დადასტურდა: „ის „დომინანტი“ მოვლენები, რომლითაც თითქოს ჯავახური განსხვავდება სამცხურისაგან, დამახასიათებელია სამცხურისათვისაც. ამ ორი კუთხის მეტყველების თავისებურებათა შეჯერება გვიჩვენებს, რომ არავითარი ენობრივი საფუძველი მათი ცალკე დიალექტებად გამოსაყოფად არ არსებობს“ (მ.ბერიძე, 1993, გვ. 200).

ამრიგად, ისტორიული სინამდვილისა და ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით დიალექტად სამცხურ-ჯავახური გამოიყოფა, თუმცა მ.ბერიძე მიუთითებს, რომ: „ალბათ ანგარიში უნდა გაენიოს ტრადიციასაც. ამიტომ შეიძლება დარჩეს ტერმინი „მესხურიც“, ოღონდ ყოველთვის სათანადო მითითებით: მესხური — „სამცხურ-ჯავახური“ (და არა მესხური = სამცხური)“ (მ.ბერიძე, 1993, გვ.200).

ხმოვანმონაცვლე ზმნების ნარმოება სამცხურსა და ჯავახურში ძირითადად ერთნაირია.¹ ამ მხრივ ეს კილო მოგვაგონებს ქართლურსა და კახურს, თუმცა გვხვდება განსხვავებაც.

სხვა კილოების და სალიტერატურო ქართულის მსგავსად, მესხურში (სამცხურ-ჯავახურში) ვადასტურებთ ხმოვანმონაცვლე გარდამავალი ზმნების ე ხმოვნიან უთემისნიშნო ფუძეს პირველი სერიის ფორმებში.

სამცხურში: „[ძმები] ხიებს სულ ძირიანად გლეჯდნენ“ (სამცხ., 1961, გვ. 373); „ჩემ ვაჟაკობასა ისეთი ვეჭი ვიყავიო, რო კლავ ვერავინ მაშიდრეკდაო“ (სამცხ., 1992, გვ. 250); „ნუხელი ჩემ ცხვარსა გელი წყვეტდაო“ (სამცხ., 1992, გვ. 254); „ბატონებსაო წინ უძლოდაო და ისეთ-ისეთ სიტყვიებ ეტყოდა, რომ აწყენდა ხოლმეო“ (სამცხ., 1961, გვ. 364); „ხუთ თევზზე მეტს ველარ დაიჭერდა“ (სამცხ., 1974, გვ. 11).

ჯავახურში: „[ბულა] დედამინას გლეჯს“ (ჯავახ., 1988, გვ. 230); „... შემდეგ უთხრა, რო: მოგიჩვენო [შვილს]“ (ჯავახ., 1984, გვ. 202); „იფრენს ეს დოელათყუში“ (ჯავახ., 1984, გვ. 218); „[თურქები] გაჩხრეკდნენ“ (ჯავახ., 1984, გვ. 122); „[მეცხვარე] ყვირის, მაგრამ ხმას ვერ აწვდნენ“ (ჯავახ., 1984, გვ. 189); „[ფაშამ] კრება მოიწვია, სამართალს სწყვეტდნენ“ (ჯავახ., 1984, გვ. 156); „გადასწყვეტდნენ დროს ქალის მოყვანისასა“ (ჯავახ., 1961, გვ. 334); „მამას რო მოენონებოდა, შეუგზავნიდა მაშუალი, მერე დაიჭერდნენ და მოვიდოდნენ სანახავად“ (ჯავახ., 1961, გვ. 334).

1. არსებული მცირე განსხვავებების საჩვენებლად ამ კილოკავების მონაცემებს ცალცალკე წარმოვადგენთ.

სამცხურისაგან განსხვავებით ჯავახურში, სხვა აღმოსავლური კილოვების მსგავსად, დადასტურდა აღნიშნულ ზმნათა ე ხმოვნისანი ფუძე -ამ (← -ავ) თემის ნიშნით პირველ სერიაში:

„შვიდობა რო არ გეთქვა, აქვე დაგგლეჯამდიო“ (ჯავახ., 1961, გვ. 347); „[გადასახადს] მოეკრეფამ და ჩაგაბრიო“ (ჯავახ., 1984, გვ. 161); „ეიც ჩეწ შვილ მაარჩენამს, თავი ნონა ოქროს მიეცემო!“ (ჯავახ., 1961, გვ. 202); „ცოლათ არაბი რო ყავს, ის ძალოფს, არ მისდევს და ჯარს უწყვეტამს“ (ჯავახ., 1984, გვ. 199); „თვალეზ აჭყეტამდა შეუინებული“ (ჯავახ., 1988, გვ. 223); „შენ თუ ამას ვერ დაანტიციემ, რო ეს ყველაფერი ტყვილია, შენ მიგზვრეტამ“ (ჯავახ., 1988, გვ. 238).

სამცხურსა და ჯავახურში სხვა კილოების და სალიტერატურო ქართულის მსგავსად დასტურდება ხმოვანმონაცველ ზმნათა ი ხმოვნის მქონე თემისნიშნისანი ფუძე პირველი სერიის ფორმებში:

სამცხურში:

ი ხმოვნისანი ფუძე -ავ თემის ნიშნით:

„ჩემი შიშით მანდ ჩიტი ვერ ფრინავს“ (სამცხ., 1974, გვ. 78); „[არაბი] გვილდიზარს მიუჩქმიტავს, გამობრუნდება, გვილფერის მოუჩქმიტავს“ (სამცხ., 1974, გვ. 80); „სისხლს გადანმინდავს“ (სამცხ., 1974, გვ. 78).

ასევეა ნანარმოები „ჭერა“ ზმნაც: „კობალი უჭირავს“ (სამცხ., 1974, გვ. 51).

ი ხმოვნისანი ფუძე -ამ (← -ავ) თემის ნიშნით:

„[ბავშვი] გლიჯამს კრიანოსელს“ (სამცხ., 1974, გვ. 88); „რომელი ბევრ ვაშლს მოკრიფამთ?“ (სამცხ., 1974, გვ. 11); „თვალეზს ისრისამს“ (სამცხ., 1974, გვ. 91); „მონყვიტამ და შესჭამ იმ პეკალსაო“ (სამცხ., 1974, გვ. 30).

ი ხმოვნისანი ფუძე -ან (← -ამ ← -ავ) თემის ნიშნით:

„[ნადირი] დედამინას გლიჯანს“ (სამცხ., 1992, გვ. 254); „თვალეზ ინმინდანს“ (სამცხ., 1961, გვ. 371).

გვხვდება ი ხმოვნისანი ფუძე -ებ თემის ნიშნით: „იმრთენი ასნავლა ამ ძაღლებს, რომა ჩიტ არ აფრინებენ“ (სამცხ., 1974, გვ. 51); „ე დათიები პუნკებენ, გლიჯებენ“ (სამცხ., 1992, გვ. 256).

გვხვდება აგრეთვე -ობ თემის ნიშნითაც: „დაუდენ ესენი და სწყვიტობენ სასჯელსა, ალაპარაკებენ ამ ქალსა“ (სამცხ., 1974, გვ. 88).

ჯავახურში ი ხმოვნისანი ფუძე -ამ (← -ავ) თემის ნიშნით დავადასტურეთ (-ავ და -ან სუფიქსებისანი ხმოვანმონაცველ ზმნები არ შეგვხვედრია):

„ამ დროს მოკეთიები, განაყოფები, ნათესავეები ბანიდან ქათმეზს გადმოაფრინამენ“ (ჯავახ., 1961, გვ. 335); „[ხარი] სწყვიტამს აპურებ“ (ჯავახ., 1961, გვ. 333).

ასევეა „ჭერა“ ზმნაშიც: „ჩემი გუთან, რომელიც რომ მე მიჭირამს, ბუთ. ნომრისანი“ (ჯავახ., 1961, გვ. 333).

დასტურდება ი ხმოვნიანი ფუძე -ებ სუფიქსით: „იმ ტკივილიდან მოარჩი-
ბებენ ... კლავს გლიჯებდა“ (არ.მარტიროსოვი, 1984, გვ. 74).

ჩვეულებრივ, ხმოვანმონაცვლე ზმნის ფუძე -ავ და -ებ თემის ნიშნებით
რთულდება (მესაბამისად გვაქვს: დრეკ-ავ-ს, დრიკ-ავ-ს და ა-ლხინ-ებ-ს
ტიპის ფორმები). ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ეს ასეა სამცხურ-ჯავახურ-
შიც. მაგრამ ამ კილოსათვის დამახასიათებელია აღნიშნული ზმნების პირვე-
ლი სერიის ფორმებში -ევ, -ემ სუფიქსების გამოვლენა (-ავ, -ამ სუფიქსების
ნაცვლად).¹ სამცხურის მაგალითებში -ემ სუფიქსი უწყვეტლის ი ხმოვნიან
ფუძეს ერთვის: „შვილო, ამომავალ ყანაში ვაშლს ვკრიფემდი!“ (სამცხ.,
1974, გვ. 11); „ტრედი მიფრინემდაო“ (სამცხ., 1974, გვ. 80).

ჯავახურში მსგავსი ვითარება მყოფადის ფორმებში გვხვდება. აღსანიშ-
ნავია ისიც, რომ გამოყენებულია როგორც ე ხმოვნიანი ფუძე: „ამის გამამ-
სროლელი გმირი რომ მოვიდეს, გაგვნყვიტემს“ (ჯავახ., 1961, გვ. 339),
ისე ი ხმოვნიანი ფუძე: „გაიგემს ჩემი შვილი, ხეთაგანი, და გაგვნყვიტევს
ორივეს“ (ჯავახ., 1961, გვ. 340). აღსანიშნავია, რომ ეს ორი მაგალითი ერთი
პირის მეტყველებაშია დამონშებული.

სამცხურ-ჯავახურში ხმოვანმონაცვლე -ევ თემისნიშნიან ზმნებს მეორე
სერიის ფორმებში სუფიქსისეული ვ ჩვეულებრივ დაკარგული აქვთ. თუმცა
ჯავახურში ზოგჯერ ეს ვ შენახულია: „ნაუაქცივე, დაგარბივეს, შემოგვიტი-
ვა, შემოგვესივა, გაურივა“ (არ.მარტიროსოვი, 1984, გვ. 83).

სამცხურ-ჯავახურში ენებითი გვარის ზმნების წყვეტილის ფორმებში
ვინი შენარჩუნებულია, როცა მის მომდევნოდ ნვ-ის მრავლობითი რიცხვის
-ნენ სუფიქსია: „დეესივნენ გოგიები“ (სამცხ., 1974, გვ. 11); „აირივნენ ეს
თათრები“ (ჯავახ., 1988, გვ. 246).

სამცხურში ვ შემონახულია ენებითი გვარის მეორე კავშირებითის მრავ-
ლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში, როცა კავშირებითის -ო სუფიქ-
სის წინ -ნ სუფიქსია ჩართული: „ამოვიდა ჰეკალი და უნდა მიეხვიენონ და
ჰეკალი გააშორამს“ (სამცხ., 1974, გვ. 26).

ასეთ შემთხვევებში -ევ სუფიქსის ვ-ს შემონახვა თანხმოვნის წინა პოზი-
ციაში ერთგვარი ნორმაა. ეს ფორმები ასე გვხვდება სალიტერატურო ქარ-
თულსა და კილოებში (არ გვხვდება: *დაესინენ, *აირინენ, *მოეხვიენონ).

საინტერესო ვითარებაა ამ მხრივ სამწერლო ენაში. კერძოდ, თუ მწერა-
ლი მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად ორივეს -ნენ-ს
და -ენ-ს იყენებს, ევ-იან ზმნათა მეორე სერიაში (-ევ →)-იე სუფიქსის ვინს
-ნენ სუფიქსთან, ბუნებრივია, წარმოგვიდგენს, ხოლო -ენ სუფიქსთან არა:
„ამასობაში თაფლაძენი შემოერივნენ ხალხში, ჩვეულებრივის სალამ-

1. ხმოვანმონაცვლე ზმნების გარდა ეს მოვლენა სხვა ტიპის ზმნებშიც დასტურდება,
გვხვდება სხვა კილოებშიც (ამ საკითხისათვის იხ.: არნ.ჩიქობავა, 1964, გვ. 125-134; არ.
მარტიროსოვი, 1984, გვ. 75, მ.ბერიძე, 1993, გვ. 161).

ქალამით" (ენინოშვილი, 1954, გვ. 227), შდრ.: „უკანასკნელ დაერიენ ერთმანეთს ხელდახელ“ (ენინოშვილი, 1954, გვ. 79); „[კაკები]... მერმე აირიენენ პაერში და მელნის ლაქებად შეესხნენ სადაფისფერ ცას“ (კ.გამსახურდია, II, 1959, გვ. 523), შდრ.: „[დიაცებმა] სტეჟურა გადმოლახეს და ჩაერიენ მებრძოლებს კივილით“ (კ.გამსახურდია, II, 1959, გვ. 204).

-ეე სუფიქსის ვ ბგერის შემონახვა მეორე სერიის მწკრივებში თანხმოვნის წინა პოზიციაში ძველი ქართულის მიხედვით აღნიშნული აქვს ი.იმნაიშვილს, ეს ხდება მაშინ, როდესაც ზმნაში გამოხატულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა -ნ(← -ენ) სუფიქსით (ი.იმნაიშვილი, 1963, გვ. 136-137). ეს სუფიქსი მოქმედებითიდან პრეფიქსიან ენებითის ფორმებშია გადაყოლილი (ი.იმნაიშვილი, ვ.იმნაიშვილი, 1996, გვ. 300-301).

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია აგრეთვე ძველი ქართულის ევიან ზმნათა ენებითის ფორმები, რომლებშიც ამ -ნ(← -ენ) სუფიქსის წინ შემინახულია ვინი და გამოვლენილია ის ფორმებიც, რომლებშიც -ეე სუფიქსის ვ არ არის წარმოდგენილი. კერძოდ: შვირყინენ, შვიცურინეს, იძლინიან, იძლინეს, შვითხინეს, იზღვინენ (თ.ცოფურაშვილი, 1988, გვ. 132-133).

ამ ფორმებთან მიმართებით საინტერესოა სამცხურში დადასტურებული ენებითი გვარის -ეე სუფიქსიანი ფორმა, რომელშიც ვ ბგერა გაუჩინარებულია ან მრავლობითი რიცხვის -ნენ სუფიქსის წინ: „დაუროქეს ხემნიფეს, ემთხეინენ ფეხებზე“ (სამცხ., 1974, გვ. 87).

სამცხურშივე დადასტურდა ფორმა, რომელსაც ვ ბგერის დაკარგვის შემდეგ გარკვეული ცვლილება (შესაძლებელია მეტათეზისი) განუცდია: „[ბიჭები] მიენნიენ დედამის და ქარვანს“ (სამცხ., 1974, გვ. 75). მიენნიენ ← მიენიენენ.

სამცხურ-ჯავახურში საყურადღებოა ზოგიერთი ხმოვანმონაცვლე ზმნის თავისებური წარმოება. ამ მხრივ საინტერესოა „ჯენა“ და „სხდომა“ ზმნების ფორმები. სალიტერატურო ენის მიხედვით ამ ზმნებში სხვადასხვა ტიპის ხმოვანმონაცვლეობანი გვაქვს: ჯენ/ჯინ ე—ი, ხოლო სხედ/სხდ ე—ი, ჯავახურში კი ამ ზმნათა „აჯედენს“ და „ასხედენს“ ფორმებია დადასტურებული, რომლებიც ნყეეტილსა და სხვა მწკრივებში „დააჯედუნა“, „დაასხედუნა“-თი იცვლება (გრ.ბერიძე, 1988, გვ. 124).

განხილული ტექსტები „აჯედენს“ ზმნის სხვადასხვაგვარ წარმოებას გვიჩვენებენ. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით ამ ფუძეში განვითარებულია ვ, ან ვდ (დვ) ბგერები.

ა) პირველი სერიის ფორმები ე ხმოვნიანი ფუძით:

სამცხური: „ამირანაჲ ექესი თვის იყო, ქუქურაზე შევიჯვდენდით მე და ალათოი“ (სამცხ., 1992, გვ. 255).

ჯავახური: „რეზინი ფაიტონზე დაიჯვენდა გვერდით და სოფლის გარშემო გულაომდა“ (ჯავახ., 1988, გვ. 258).

ბ) მეორე სერიის ფორმები ი ხმოვნინანი ფუძით:

სამცხური:

„ამ ამხანიკმა დააჯვდინა გოგო“ (სამცხ., 1961, გვ. 371); „დამიჯვდინა მარხილზე“ (სამცხ., 1992, გვ. 255).

ჯავახური:

„ხენნიფემ მაშინვე გააშლეინა სუფრა, დააჯვდინა ეს გლები თავი გვერდით“; „ხენნიფეს მარცხნიდან მოუჯვდინეს გლები“. საყურადღებოა ის, რომ ეს ორი მაგალითი ერთი და იმავე პირის მეტყველებაშია დადასტურებული. ე.ი. ერთი პირის მეტყველებაში გვხვდება სხვადასხვა მიმდევრობის ედ და დვ ბგერების მქონე ფუძეები (ჯავახ., 1988, გვ. 228).

ამრიგად, ეს ფუძე სალიტერატურო ფორმასთან მიმართებით ერთგვარად სახეცვლილია, მაგრამ მაინც ე — ი მონაცვლეობით ხასიათდება. შდრ.: ჯენ/ჯინ, ჯვდენ/ჯვდინ // ჯდეენ/ჯდეინ.

ამ ფუძეში დ ბგერა გარდაუვალი ომიანი სანყისის „ჯდომა“-ს მიმსგავსებით უნდა იყოს გაჩენილი. თავის მხრივ, ამ ფორმებში ვინის განვითარებაც საინტერესოდ გვეჩვენება. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე უნდა ყოფილიყო ვ ბგერა გაჩენილი იმ ფუძეებში, რომელთაგანაც ინგილოურში შივილეთ უდრნ/უდუნ. როგორც ცნობილია, რ და უ უმლაუტიანი ხმოვნების მიღებისათვის ვ ბგერის არსებობას ფუძეში გარკვეული მნიშვნელობა აქვს (ვე → რ, ვი → უ).

სამცხურ-ჯავახურში, როგორც ცნობილია, ეს ზმნა ნყვეტილსა და სხვა მწკრივებში ფუძეში უ ხმოვანს გვიჩვენებს. ხომ არ უნდა დავუშვათ, რომ ნყვეტილის ფუძეში ვი → უ და შემდეგ სხვა მწკრივებზეც გავრცელდა. საინტერესოა, რომ ვე → ო პროცესს ვადასტურებთ სამცხურ-ჯავახურ ხმოვანმონაცვლე ფორმებშიც: „მუწონოდნენ ბევრ ხალხსა და დაადგენდნენ [ქორნილის დღეს]“ (ჯავახ., 1988, გვ. 245). ასეთივე ო ხმოვნინანი ფუძე მიმლეობაშიც შეგვხვდა: „კრება მონოვილი იყო სკოლიჰ კარზე“ (სამცხ., 1992, გვ. 248).

ვე → ო და ვი → უ ცვლილებების შედეგად მოსალოდნელი იყო ზემოაღნიშნულ ფორმებში: ჯვდენ//ჯდეენ → *ჯდონ და ჯვდინ//ჯდეინ → ჯდუნ, ამის შესაბამისად *ჯდონ/ჯდუნ ხმოვანმონაცვლე ფუძეები. მაგრამ ეს ფუძე ჯავახურში სამივე სერიის ფორმებში უ ხმოვნინან ფორმებს გვიჩვენებს.

სამცხურში ძირითადად მეორე სერიის მწკრივებში ვხვდებით უ ხმოვნინან ფუძეს:

„მესამე დღეს შევაჯდუნე ცხენზე [საცოლე]“ (სამცხ., 1992, გვ. 261); „მაგის სიკეთის მქნელსა ხემნიფის ტანისამოსი ჩააცვანო, იმ ცხენზე შეაჯდუნონ, რომელზეც ხემნიფე ჯდება“ (სამცხ., 1974, გვ. 18).

ჯავახური მასალის მიხედვით ეს ფუძე სამივე სერიის მწკრივებში დავადასტურეთ.

პირველი სერია:

„ამის შემდეგ რძალ ჩამუაჯდუნებენ ფახირ ქვაბზე“ (ჯავახ., 1961, გვ. 334-335).

მეორე სერია:

„დააჯდუნა თავი ძმა“ (ჯავახ., 1984, გვ. 204).

„[პატარძალს] სახლში რო შეიყვანებენ, უნდა დააჯდუნონ“ (ჯავახ., 1961, გვ. 334).

მესამე სერია:

„[ქალი] — ძალიან პატიოსანი მიმიღია კიდეც და თავზეც შემოიჯდუნებია კიდეცო“ (ჯავახ., 1984, გვ. 216).

უ ხმოვნიანი ფუძით შეგვხვდა სანყისიც:

„ძველებურ სახლებიდან ვერ გამოდიოდნენ, სიჯდუმეში იყვნენ“ (ჯავახ., 1988, გვ. 234).

ასე, რომ, სამცხურ-ჯავახურში ამ ზმნის უ ხმოვნიანი ვარიანტები სამივე სერიაში ერთსა და იმავე ფუძეს წარმოგვიდგენენ, რის გამოც მათ ხმოვანმონაცვლედ ველარ მივიჩნევთ. ხოლო ამავე ფუძის ჯვდენ/ჯვდინ//ჯდვენ/ჯდვინ ვარიანტები ფუძისეული ე — ი მონაცვლეობის გამო, ბუნებრივია, ხმოვანმონაცვლეთა რიგში დარჩებიან.

ხმოვანმონაცვლე ზმნათა სანყისები სალიტერატურო ენის და სხვა კილოების მსგავსად ე ხმოვნიან უთემისნიშნო ფუძეებზეა დამყარებული სამცხურ-ჯავახურში:

„ჩამოხტა ბებერი და კრეფა დაუნყო“ (სამცხ., 1974, გვ. 91); „ქალმა კილო-ბანში ჩხრეკა დაინყო“ (ჯავახ., 1984, გვ. 172).

ჯავახურ კილოკაეში ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან მომდინარე ვნებითი გვარის მიმლეობათა სპეციფიკურ წარმოებას ვხვდებით. კერძოდ, -ილ სუფიქსის ნაცვლად -ულ სუფიქსს ვადასტურებთ: დაგლეჯული, დაგრეხული, მოკრეფული, დაფლეთული, მოხდენული (არ.მარტიროსოვი, 1984, გვ. 94; გრ.ბერიძე, 1988, გვ. 132).

აღნიშნული მიმლეობები ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე ხმოვნიან თემატურ ფუძეებს ემყარებიან.

ჯავახურში შეგვხვდა ხმოვანმონაცვლე ზმნისაგან მომდინარე მიმლეობაც, რომელიც ი ხმოვნიან თემატურ ფუძეს ემყარება და -ულ სუფიქსით იწარმოება: „ძაან გაპწყინებული ქვეყანა ყოფილა საქართველო თამარ დედოფლის დროსაო“ (ჯავახ., 1961, გვ. 351).

აღნიშნული მიმლეობები ჯავახურისათვის სპეციფიკურია, თუმცა ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულსა და სხვა კილოებში, ჯავახურშიც გვხვდება ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმლეობები (დაგრეხილი, დაკრეფილი, დარჩენილი და სხვ.), რომლებიც ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეებს ემყარებიან და -ილ სუფიქსით იწარმოებიან.

2.6. ხმოვანმონაცველ ზმნები ხვესურულში

ქართული ენის ხვესურულ დიალექტში ხმოვანმონაცველ ზმნები პირველი სერიის ფორმებში ხშირად ე ხმოვნიან უთემისნიშნო ფუძით გვხვდება:

„[დელგმა ძნასაც] მოღგლეჯს და გაისრევს“ (ხევს., 1975, გვ. 12); „რო ტყრაშთ გაადენს სილაითა-დ' სილა იმას იტყვიან“ (ხევს., 1975, გვ. 13); „ჩაზელენ ტყავს“; „რაშია ტყავს ზელენ, ჳიმური ხქვიან ი ქვას“ (ხევს., 1961, გვ. 6); „ფრჩხილებს ვიკერეც“ (ხევს., 1975, გვ. 9); „გავსხლეთ ურჯულოს ნიავ-ღვარსაო“ (ხევს., 1960, გვ. 424); „აი პურს რო გახფენენ ფარდაგებზედ, აურევენ სარევაით“ (ხევს., 1975, გვ. 18); „[ტყვია] ჳელად დააფშენეტს ვაპკაცსა“ (ხევს., 1960, გვ. 407); „იმაში ჩახფხეკენ ვერცხლს“ (ხევს., 1975, გვ. 53); „ — თუ მტრისად-ა, ქვე დაშქენს (გველი)“ (ხევს., 1975, გვ. 12); „შიგით გამაეიდოდ იმაჩი, რო დიდხან ვერ უცქერდნ კაც, როგორც აი მზეს უცქერდნ“ (ხევს., 1975, გვ. 16); „არას აწყენენ“ (ხევს., 1961, გვ. 8); „ქალ-ვაჟთ ანევენ“ (ხევს., 1961, გვ. 5); „ლუდის თასებს დაიჭერენ ჳელში“ (ხევს., 1984, გვ. 48); „მემრე შინაურად დარიგებას მააჯდენენ“ (ხევს., 1975, გვ. 31).

უთემისნიშნო ფორმებთან შედარებით იშვიათია ე ხმოვნიანი ხმოვანმონაცველ ზმნები -ავ თემის ნიშნით.

ასე ინარმოება „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმა:

„ის ეგონ, ჳელშიავ მიჭერავავ ქალნ“ (ხევს., 1975, გვ. 33); „თას თუ გიჭერავ ჳელჩია, ძმას მიე(ც) მგელურასაო“ (ხევს., 1960, გვ. 388); „ჳელში ლუდინ ჯამ უჭერავ“ (ხევს., 1984, გვ. 53).

მეორე სერიაში ყურადღებას იქცევს ევ-იან ზმნათა ფორმების წარმოება.

ცნობილია, რომ ხვესურულში -ევ, -ივ კაუზატივის მანარმოებელია, რთული სუფიქსის შემთხვევაშიც -ევ -ივ (→ -ევი) გვაქვს. ცნობილია, ასევე, რომ -ივ სუფიქსის ე დაკარგულია ორ ხმოვანს შორის (ალ.ჭინჭარაული, 1960, გვ. 145-149). ამის მაგალითები საკმაოდაა წარმოდგენილი სპეციალურ ლიტერატურაში. ამიტომ ყველა შემთხვევას არ მოვიყვანთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ორ ხმოვანს შორის ვინი მეორე სერიის ყველა მწკრივში იკარგება:

წყვეტილში: „თუ ხათრ არ გაუნია“ (ხევს., 1961, გვ. 12).¹

მეორე ხოლმეობითში: „მაუქციიდი(თ)“ (ხევს., 1960, გვ. 110);

მეორე კავშირებითში: „ღმერთმა საამურ ნუ დაგილიასთ“ (ხევს., 1984, გვ. 45).

აღსანიშნავია, რომ დადასტურდა ორიოდე მაგალითი, რომლებშიც -ივ

1. მოყვანილ ფორმათაგან, შესაძლებელია ზოგიერთი კაუზალური მიმართებისაგან დაცლილი იყოს, მაგრამ რადგან ისინიც -ევ-იანი ზმნებია და მათშიც სერიათა ცვლასთან ერთად -ევ → -ივ მონაცველობა დასტურდება, მათაც აქ განვიხილავთ.

სუფიქსისეული ვინი იკარგება წყვეტილში მაშინაც, როდესაც *სვ* პირის მხ. რიცხვის -ა სუფიქსი მოკვეცილია. ასეთ ფორმებში ვინის მოსალოდნელ დაკარგვაზე მიგვითითებს ის, რომ იგი ტექსტში ფრჩხილებშია ჩასმული:

„ქალი ელოდა მამასა, ჯართ მადლით ასმი(ვ) წყალია“ (ხევს., 1960, გვ. 371); „ბაბუამ მახკრ მზექალას ჳელი' გადმასნი(ვ) თავ-ჩალმისკე“ (ხევს., 1960, გვ. 338).

მეორე სერიის ყველა ეს შემთხვევა, რომლებშიც -ივ სუფიქსის ვ ორ ხმოვანს შორის იკარგება, ხეესურულში -ივ სუფიქსის სრულყოფილი საბითაც (ვინის დაუკარგავადაც) გვხვდება.

ქვემოთ ფართოდ განვიხილავთ მეორე სერიის ფორმებს, რომლებშიც -ივ სუფიქსის ვინი შენარჩუნებულია.

ვ შენარჩუნებულია ორ ხმოვანს შორის:

ა) წყვეტილში:

„ქალმა დაავლივა ოთალები“ (ხევს., 1984, გვ. 56); „თუ რა ათქმივეს, მან ლუდ უნდა მისცეს მუჯად მყოფმ“ (ხევს., 1961, გვ. 9); „საპირისნამლე დაამტვრივა“ (ხევს., 1923-1924, გვ. 177); „თუ არხოტულ ჳორნილში პირიქითელ ჳეესური გამაერივა, არხოტიენები ბუგრას ქვეც გასტოშენ“ (ხევს., 1923-1924, გვ. 133); „[გიორგიმ] თითონ არ ესრივა“ (ხევს., 1975, გვ. 63); „დეეტივა ყარაბოლლი და დაიჭირა კურდლელი“ (ხევს., 1984, გვ. 58); „ლეგუამ გამაინივა, ვაუიკამ დაიჭირაო“ (ხევს., 1960, გვ. 391); „შამაიხვივა მირგელივა ჳარი ნაწოცი მკედრისაო“ (ხევს., 1923-1924, გვ. 224).

ბ) მეორე ხოლმეობითში:

„ქურდზედავ ჳელისაწოც ნაიხვივისავ აბამავ, ნამიყვანისავ ტყერიაო' იქ ვიყვნიდითავ, ძალით ვხყვანდიდივ“ (ხევს., 1975, გვ. 63).

გ) მეორე კავშირებითში:

„სუ დამლივას, თუ მე შენ გაგტეხავ“ (ხევს., 1975, გვ. 42); „ნეზირმ უთხრა: შენ ყოფილხარ მკითხავი და ნეფეს უნდა გამოურჩივა, რა ეშველები-სავ“ (ხევს., 1984, გვ. 54); „ამ ადუას გარმაებრუნ თოფი, ამ ჳიგ-მანურისად უნდა ესრივას“ (ხევს., 1923-1924, გვ. 197); „გუთნისდედადამც მაქცივაო“ (ხევს., 1960, გვ. 329); „რალა შააჭმივას?“ (ხევს., 1984, გვ. 59); „დავხვივათ შუაკაცები, ნაცად რჳულ-სამართალშია!“ (ხევს., 1923-1924, გვ. 208).

მეორე სერიაში -ივ სუფიქსის ვინი შენარჩუნებულია მაშინაც, როდესაც წყვეტილში *სვ* პირის მხოლოდითი რიცხვის სუფიქსი -ა და მეორე კავშირებითის სუფიქსი -ა მოკვეცილია. ამ შემთხვევაში ვინი, ფაქტობრივად, ხმოვნის შემდეგ და პაუზის წინა პოზიციაშია შენარჩუნებული.

წყვეტილში:

„ათქმივ ამ ცოლმ ბოლოს“ (ხევს., 1960, გვ. 328); „-- გამარეტ სიკედლიმ, გონი გამამაცალ, ღონე დალივ“ (ხევს., 1975, გვ. 10); „წემნიფის შვილმ კოკა გამიმტვრივ“ (ხევს., 1984, გვ. 55); „ჯერ მასბარაობა დამინყ, მემრ შულლ

გამაპირივ, კარჩი გამამინვივ, თაოდ ნინ გამავიდ" (ხევს., 1975, გვ. 32); „ნააგლიჯ თავი და ჯაგებჩი გაისრივ" (ხევს., 1984, გვ. 59); „ყარაბოლლიმ სახლჩი არ შაუტივ" (ხევს., 1984, გვ. 60); „შამაიქნივ ამირანმ მათრაჯი" (ხევს., 1975, გვ. 44); „გაუდგ უქენ და ვერ დეენივ" (ხევს., 1975, გვ. 45); „არ აჭმივ ამ დედამთილმ ზლებს პური" (ხევს., 1961, გვ. 7); „თაოდ შეახვივ კარგად ნატყვიარი გიგიაისად" (ხევს., 1923-1924, გვ. 200); „ქათობ მეცე აიე-სეთაის ფარჩისა, დაკერულჩ, აის დამიხვი, აი საჯელ სრუ მამიხვი" (ხევს., 1975, გვ. 33).

მეორე კავშირებითში:

„განა ლმერთ გაძლევს, რო სრუ მაძლივ?" (ხევს., 1923-1924, გვ. 258); „... აქ რაი(ც) ცხენებჩ დგას, რომენ ერთს ვაძლივ გულჩ?" (ხევს., 1975, გვ. 21).

ამრიგად, ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში მეორე სერიის ფორმებში -ივ სუფიქსი შესაძლებელია გვექონდეს როგორც ვინის გარეშე, ისე ვინით, მაგრამ ბევსურულში მეორე სერიაში დასტურდება ისეთი ფორმებიც, რომლებშიც -ივ სუფიქსი ყოველთვის სრულყოფილადაა წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ ბევსურულში გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელად, ხოლო გარდაუვალში სუბიექტის სიმრავლის აღმნიშვნელად -ენ (→//--ნ) სუფიქსი გვაქვს (ალ.ჭინჭარაული, 1960, გვ. 118). სწორედ ამ სუფიქსის უზმოვნო ვარიანტის (-ნ-ს) ნინ შენარჩუნებულია -ივ სუფიქსის ვინი.

1. გარდამავალი ზმნები:

წყვეტილი:

-ნ (← -ენ) -ეს სუფიქსის ნინ: „დაგვლივენს ტურიაშვილთა, ცეცხლზე დაგვისხეს წყალი" (ხევს., 1960, გვ. 385);

-ნ (← -ენ) -ა სუფიქსის ნინ: „გადაიყრივნა ნაბადნი, აჯსენა ლმერთი მალალი" (ხევს., 1923-1924, გვ. 221). ამავე პოზიციაში შესაძლებელია -ა სუფიქსი მოკვეცილი იყოს: „ვემნიფემ ჯარებ ვამოუტივენ წყალზე" (ხევს., 1984, გვ. 58);

მეორე ხოლმეობითი:

-ნ (← -ენ) -იდ სუფიქსის ნინ: „სახელ-სარგებელს დასნივნიდი, სავნებელს მაარიდნიდი" (ხევს., 1984, გვ. 50).

მეორე კავშირებითი:

-ნ (← -ენ) -ა სუფიქსის ნინ: „შეყარნას ჩემებ სწორები, შიბნ დაავლივნას კლდისანი" (ხევს., 1975, გვ. 78).

2. გარდაუვალი ზმნები:

-ნ (← -ენ) წყვეტილში -ე სუფიქსის ნინ:

„თითო ლიტრა ქერით შევენივნეთავ" (ხევს., 1984, გვ. 48).

-6 (← -ენ) წყვეტილში -ეს სუფიქსის წინ:

„მგელნ დეერივენეს ჩდილსაო“ (ხევის., 1960, გვ. 382); „ბუყიეხ ჩამეწიე-ნეს, ისარს აუცხეს სხამია“ (ხევის., 1960, გვ. 371); „ეს მენადირეი' დათე ისე მამმწყვიდენეს ზეავის ძირჩი, ამასაჯდომ არცაით ხქონდ მენადირეს“ (ხევის., 1975, გვ. 28); „შამაეხვიენეს ცეფადა: „ჯარი ორთ მთავროისაო“ (ხევის., 1960, გვ. 405).

-6 (← -ენ) მეორე კავშირებითში -ა სუფიქსის წინ:

„არიქავ, აგებ მივეწინათავ, ეგ ქალ უნდა გამავეიტაცათავ ხთისოსა-დავ“ (ხევის., 1960, გვ. 338).

როგორც მაგალითები გვიჩვენებენ, -ივ სუფიქსის ვ შენარჩუნებულ-ლია მაშინ, როდესაც -ენ სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი რედუცირდება. როდესაც -ენ სუფიქსი სრული სახითაა წარმოდგენილი, -ივ სუფიქსის ვინი ინტერვოკალურ პოზიციაში ექცევა და ჩვეულებრივ იკარგება. ეს ხდება წყვეტილში გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში. -ენ სუფიქსს მოსდევს თანხმოვანგამყარი ხმოვანი, რომელსაც რედუქციის გამოწვე-ვა არ შეუძლია.

გარდამავალი ზმნა:

„წარნი გამოუტიენით წყალზედავო“ (ხევის., 1984, გვ. 58).

გარდაუვალი ზმნები:

„ბადრმა თქვა: „დავილიენით, ნაქნარნ ორთ უბედურთანი!“ (ხევის., 1960, გვ. 344); „წოვიას წყალთ ძირჩი, აი გამარიყულ ჴევ რო ას, აიმაჩი აშავენე-ნით“ (ხევის., 1960, გვ. 338).

ასეთია ხმოვანმონაცვლე ზმნის პირიან ფორმათა წარმოება ხევისურულ-ში. ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისები ხევისურულში სხვა კილოების და სალიტერატურო ენის მსგავსად აღნიშნულ ზმნათა ე ხმოვნიან უთემიანიშ-ნო ფუძეებს ემყარებიან:

„დიაცებმ კი არ იციან იმაზედ დენა“ (ხევის., 1975, გვ. 7); „მაკრატლით კვრეცას, კრეჭას დაიწყებენ, დიდ რო იქნების“ (ხევის., 1975, გვ. 36); „სულით აკრეფა ვიცით არხვატ“ (ხევის., 1923-1924, გვ. 147); „ღმერთო, რა დიდი ბრალია არევა ქალაქისაო, დალევა ბაგრატიონთა, დაქცევა ჴმელეთისაო!“ (ხევის., 1923-1924, გვ. 203) და სხვ.

2.7. ხმოვანმონაცვლე ზმნები ფშაურში

ქართული ენის ფშაურ კილოში პირველ სერიაში ხმოვანმონაცვლე ზმნე-ბი ჩვეულებრივ ე ხმოვნიანი უთემისნიშნო ფუძით გვხვდება:

„თავს მოგგლეჯ“ (ფშავ., 1984, გვ. 125); „ქარი გლეჯს იქაობას“ (ფშავ., 1961, გვ. 127); „კრეფს წყალსა და ცხავი არ იჭერს“ (ფშავ., 1984, გვ. 65); „კარაქს რასამა მკრეფდენ“ (ფშავ., 1978, გვ. 142); „რისვის მემრე ცხვარს

იდეე მატყლს გააკრეჭენ"; „ბატკანსა ჰკრეჭენ, ჰპარსვენ“ (ფშავ., 1978, გვ. 128); „თუ გადაგირჩენ კიდევა, ამაგანოდი ყირითა“ (ფშავ., 1984, გვ. 70); „[მატყლს] დააფენენ და გაშრება“ (ფშავ., 1961, გვ. 129); „გამოუჩენს ისი კურდღელს“ (ფშავ., 1984, გვ. 63); „ხილიანაში რძლებსაი სჩქმეტო“ (ფშავ., 1984, გვ. 92); „არც კი ჩვენ ეაცდენთ ლიბანსა“ (ფშავ., 1974, გვ. 379); „რა მნმედს“ (ფშავ., 1978, გვ. 128); „ამერე ცემით ნელს მოგწყვეტო“ (ფშავ., 1978, გვ. 171); „ენმაკს დაიჭერს“ (ფშავ., 1961, გვ. 133).

ფშაურში იშვიათია ხმოვანმონაცვლე ზმნის ვ ხმოვნიანი ფუძე -ავ თემის ნიშნით:

„იმ ქვალილასა ჩავდებდით თიკემი, იმას ამოვშწყლეთა, დით, ამოვწყლეთავდით“ (ფშავ., 1978, გვ. 199).

ასევე იწარმოება „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმაც:

„ველში გიჭერავ ნინდაი“ (ფშავ., 1984, გვ. 89); „თოფ უჭერავ ჩემკე“ (ფშავ., 1978, გვ. 161).¹

იშვიათად გვხვდება აგრეთვე აღნიშნულ ზმნათა ი ხმოვნიანი თემისნიშნიანი ფუძე. ასეთი მაგალითები თითო-თითო დავადასტურეთ -ავ და -ებ თემის ნიშნებით:

„ხვრინავენ, ჩემ ამხანაგიცა და ის კაციც“ (ფშავ., 1978, გვ. 159); „შენ თუნდა ნუ მომეშველები, ნაუჭირებ ყელშია მანამ ველს არ მაამორებ“ (ფშავ., 1978, გვ. 159).

ცნობილია, რომ ფშაურში ეე-იან ზმნათა მეორე სერიის ფორმების ორი მოდელია გავრცელებული: ვძლეე — ვძლივე და ვძლიე; ეწყევ — დაეწყიე და დაეწყიე (გ.ცოცანიძე, 1978, გვ. 80).²

მიუხედავად ამისა, ფშაურშიც, ისევე როგორც ზოგ სხვა კილოში, მეორე სერიის მწკრივებში გვხვდება ეე-იან ზმნათა ფორმები, რომლებშიც ვინი მყარადაა წარმოდგენილი. უფრო ზუსტად, ვინის გარეშე ეს ფორმები არ დასტურდება.

ეს ხდება მაშინ, როდესაც გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელად, ხოლო გარდაუვალში სუბიექტის სიმრავლის აღმნიშვნელად -ენ (→//ნ) სუფიქსი გვხვდება. ეს სუფიქსი მომდევნო, ხმოვანი თუ ხმოვნიანი სუფიქსების გავლენით -ნ-ს სახითაა წარმოდგენილი.

1. მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ამ ფორმებში ხან ნულოვანია, ხან კი -ის სუფიქსითაა წარმოდგენილი. შდრ.: უჭერავისთ. ამ ზმნებს შორის სრული პარალელიზმია, ოღონდ მეორენი ექსპრესიულობით სჭარბობენ პირველი (გ.ცოცანიძე, 1978, გვ. 74).

2. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ -ოდე სუფიქსით წარმოებული ეე-იანი ზმნები მხოლოდ ვინის გარეშეა დამონშებული. მათ ა.ჭინჭარაული ხოლმეობით-ბრძანებითს უნ-ოდებს, ხოლო გ.ცოცანიძე — კავშირებითის ფორმებს, რომელთაც ერთგვარი სახეობა ნაკიზებით ბრძანებითის ელფერი გადაუკრავს: „გობარებ, ძმაო, ჩემს ცვენსა ქერ აჭმიოდე ბაკნითა“, „ჩემი ნათიბი ნიკორასა მარილად მინც აჭმიოდეთ“ (ალ.ჭინჭარაული, 1960, გვ. 111; გ.ცოცანიძე, 1978, გვ. 83).

სწორედ ამ -ნ სუფიქსის წინ შენარჩუნებულია -ივ სუფიქსის ვინი:

1. გარდამავალი ზმნები:

წყვეტილში -ნ (← -ენ) -ა სუფიქსის წინ: „დაგვლივნა ჯომარის გორმ-წყლისა არ გამოდენამა“ (ფშავ., 1984, გვ. 81); „ბევრ ძროხამ გადაიქნივნა ტრანით დაგოზილ კაჩანი“ (ფშავ., 1984, გვ. 117).

-ნ (← -ენ) -ეს სუფიქსის წინ: „ი მკითხავებმ უფრო გადარივნეს აი დედ-მამანი“ (ფშავ., 1978, გვ. 148).

მეორე კავშირებითში -ნ (← -ენ) -ე სუფიქსის წინ: „მე რო აქ სახნ დავაქციენე, ჩემ დედაკაც გომურში ნამყოფ რას გაიგებსო!“ (ფშავ., 1961, გვ. 142).

-ნ (← -ენ) -ა სუფიქსის წინ: „შეიდნივემც ქალად გვაქცივნა“ (ფშავ., 1984, გვ. 76).

2. გარდაუვალი ზმნები:

წყვეტილში -ნ (← -ენ) -ეს სუფიქსის წინ: „[ხეესურები] რორცა მივიდეს ქისტეთსა, გადაერივნეს გზანიო“ (ფშავ., 1984, გვ. 82); „ვერ შეენივნეს ბენინიასა“ (ფშავ., 1961, გვ. 139); „შემეხვივნეს ფშაველები“ (ფშავ., 1984, გვ. 80).

-ივ სუფიქსის ვინი ფშაურში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, შენარჩუნებულია *სვ* პირის მრ. რიცხვის -ნენ სუფიქსის წინაც:

„აუთანდილს მეუნივნენ იმ ადგილას, საცა ახლა კოპალაის ხატია“ (ფშავ., 1974, გვ. 376).

-ივ სუფიქსის ვინი მყარი ჩანს აგრეთვე ორ შერწყმულ ევ-იან ზმნათაგან პირველში, მეორეში კი შეიძლება იყოს და შეიძლება დაიკარგოს:

„აუპკლიე-ჩაუპკელიე ჩემს თავსა, გულ ალაგს აღარ დამდგარა“ (ფშავ., 1984, გვ. 126); „ისითა მასმიე-მაჭმიეს, რაც არ მინახავს ძმასთანა“ (ფშავ., 1984, გვ. 138).

ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია -ივ სუფიქსის სრული გაუჩინარება; პირველი ზმნის ფუძეში:

„აიმაში მიინ-მაინიეს ერთმანეთისაკე“ (ფშავ., 1978, გვ. 152).

ფშაურში ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეებთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგიც: კერძოდ, ე და ი ხმოვნების მონაცვლეობა დასტურდება იმ ზმნებშიც, რომლებიც სხვა დიალექტებისა და სალიტერატურო ქართული ენის მიხედვით არ არიან ხმოვანმონაცვლენი. ამას ყურადღება მიაქცია ალ.ჭინჭარაულმა. მკვლევარმა ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონის წინასიტყვაობაში წარმოგვიდგინა ფორმები, რომელთა ფუძეში, ხმოვანმონაცვლეთა მსგავსად, ანმყოში გვაქვს ე, ხოლო წყვეტილში - ი: „გამოეჩიკა (გამოეჩეკა), დაღირებულს (მოღერებულს), ნამამიღირა (მომიღერა), ღირება (ღერება), შემოგვიღირებს (მოგვიღერებს), მალიროს (მომიღეროს)...“ (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969, გვ. 16).

აღნიშნულ ფორმებს ჩვენი მხრით დაუშვალბებთ შემდეგსაც:

„კაცო, მეშვილნენ ისენი, ი ჩვენებურები. მეშველნენ იმასა“ (ფშავ., 1961, გვ. 161). ამ შემთხვევაში პირველ მაგალითში ი ხმოვნაანი ფუძეა, მეორეში - ე ხმოვნაანი.

ასეთივე ი ხმოვნაანი ფუძე უნდა იყოს გაჩენილი „ჩქეფა“ ზმნის მეორე სერიოს ფუძეშიც (თანაც ამ შემთხვევაში ვინი უნდა იყოს განვითარებული):

„დევთა ქინიყო ქორნილი, ეჩქეფა დიდი ნყალიო“ (ფშავ., 1984, გვ. 69).

ჩვენ მიერ მოყვანილი ფორმები დიალექტური ტექსტებიდანაა. როგორც ჩანს, ზნღურ ფორმებში ხმოვანმონაცვლეობის ამგვარი გაფართოება ფშავურისათვის დღესაც დამახასიათებელია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უფრო ადრე ამან ასახვა პოეზია ვაჟას თხზულებებში.

ფშავურში ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისები მხოლოდ ე ხმოვნაან უთემისნიშნო ფუძეებს ემყარებიან:

„ეინ შააქლო ტახტის დანგრევა მაგ ძველი რუსეთისაო“ (ფშავ., 1978, გვ. 196); „დაუნყეს კრეფა იმ ჭიანჭველეებმ“ (ფშავ., 1978, გვ. 130); „საერთოჲ მატყს გაკრეჭის (გაპარსვის) მემრე გაერეცხენ“ (ფშავ., 1961, გვ. 129); „სუ ჩიუბი ერებს შორისა, ჟლეტა ამ გლეხებისაო“ (ფშავ., 1978, გვ. 196); „შტროივ; რან შაგიჩანგებენ, გადეუშები ფრენითა?“ (ფშავ., 1984, გვ. 113); „ლანთ ლრენა რადამ დაინყო“ (ფშავ., 1984, გვ. 126); „კერათ დაუნყებს წმენდასა“ (ფშავ., 1984, გვ. 122).

2.8. ხმოვანმონაცვლე ზმნები თუშურში

ქართული ენის თუშურ დიალექტში, სხვა ქართული კილოებისა და სალიტერატურო ენის მსგავსად, ვხვდებით ე ხმოვნის მქონე ხმოვანმონაცვლე ზმნების ათმატურ ფუძეებს:

„იფქლის უცბობდე პურებსა, ერბოს უზელდე ჯამშიგა“ (თუშ., 1984, გვ. 252); „თურმე ტომოტებში ერბონყვავს ზელენ“ (თუშ., 1960, გვ. 88); „შურთხი სტვენს“ (თუშ., 1960, გვ. 175); „ხანდიხან პირიქითელნი, — ჩარღუნს ჩასტყევენ ცხენებსა“ (თუშ., 1984, გვ. 24!); „თვალთაგან იწმენდს ცრემლსაო“ (თუშ., 1960, გვ. 182); „ი ბიჭი ხის ქვედ ზისა-დ' თავს დახრის იმათზე და თავს გადანყევეტს“ (თუშ., 1984, გვ. 224).

ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე ხმოვნაანი ფუძე -ავ თემის ნიშნითაც გვხვდება:

„მშობლებიც იმედს სხლეტავენ — ამის მორჩენა ძნელია“ (თუშ., 1960, გვ. 184).

ასეთი ფორმები გვხვდება თუშურ პროზაულ და პოეტურ ტექსტებში. ამ მხრივ აღნიშნული ტექსტები ფაქტობრივად განსხვავებას არ გვიჩვენებენ. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ თემის ნიშნის დართვა ლექსში მარცვალთა რაოდენობის საჭიროებითაა განპირობებული. შდრ.: ქვემოთ მოყვანილი მაგალითები. რომელთაგან რთული ზმნისნიშნის მქონე უთემისნიშნოა,

ხოლო მარტივი ზმნისნიის მქონე — თემისნიშნის:

„თოფი დაგვიკრეს ბერიზეს, სისხლის გადმოშჩქევს ღვარია“ (თუშ., 1960, გვ. 145);

„თოფი შჭებს, ზარბაზანი ხქუხს, სისხლის მოშჩქეფავს ღვარია“ (თუშ., 1960, გვ. 144).

ე ხმოვნისანი თემატური ფუძით: გვხვდება „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმაც:

„ყველაჲმ თითო ქოჯო ცრუკიდ, თან კიდენა-დ' ანთებულეზ უჭერაჲ ველში“ (თუშ., 1960, გვ. 86); „ჭალაყს წაჲიდ თივის თიბად, ჳელთ უჭერაჲ ნამგლის ტარი“ (თუშ., 1984, გვ. 245).

ცნობილია, რომ თუშურში გვაქვს სტატიკური ვნებიების როგორც ავ, ისე ავის დაბოლოებიანი ფორმები (თ.უთურგაიძე, 1960, გვ. 52). ზემოთ წარმოვადგინეთ ავ დაბოლოებიანი მაგალითები (ერთი პროზაული და ერთი პოეტური ტექსტიდან). ლექსში გვხვდება ავის დაბოლოებიანი ფორმაც, რაც მარცვალთა გარკვეული რაოდენობის აუცილებლობით აიხსნება:

„ღვინიაჲ ელანაყისძე — ქორი ციხეში ზისაჲ,

ჳელთ უჭერაჲვის სიათა, კონდახს უკეენით ზისაჲ“ (თუშ., 1960, გვ. 154).

თუშურში ი ხმოვნისანი ხმოვანმონაცვლე თემატური ფუძეები იშვიათად გვხვდება:

„ცხენო, გატყობან, გეშინის — ბექებს ვერ ღფრინაჲ მაღალსაჲ“ (თუშ., 1960, გვ. 158); „გატყობ, გეშინის, საღარო, ბეგს ვერა ხფრინაჲ მაღალსა“ (თუშ., 1960, გვ. 183); „ერთ სისხლის წვეთ ფრინაჲს მაღლა-მაღლა-დ' იძახის...“ (თუშ., 1960, გვ. 84).

-აჲ თემის ნიშნის ნაცვლად დადასტურდა -ეჲ სუფიქსიც:

„მარტო მიუგდო მარტოსა, ირმულად ფრინეჲდიანო“ (თუშ., 1960, გვ. 153).

-აჲ, -ეჲ სუფიქსების ასეთი შეცვლა ხდება არა მარტო ხმოვანმონაცვლე ზმნებში, არამედ სხვა ფორმებშიც. ეს საკითხი უკავშირდება ძველი ქართულის და ზოგი დიალექტის -აჲ და -ამ თემისნიშნის ზმნათა უღლებას. გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებანი (იხ. ლ.კიკნაძე, 1947; ქ.ძონენიძე, 1950-1951). თ.უთურგაიძე სამართლიანად თელის ვარაუდს, რომლის მიხედვითაც უწყვეტლის პირველ და მეორე პირში უფუნქციო -ი-ს გაჩენამდე უნდა ყოფილიყო -ეჲ და ეს სუფიქსი არ არის მიღებული -აჲ-ისაგან. მკვლევრის აზრით, ამ მხრივ საყურადღებოა მთის კილოების (თუშურის, ხევსურულის) მონაცემებიც, სადაც -ეჲ წყვეტილის პირველი და მეორე პირის გარდა გვხვდება მესამეშიც და პირველი სერიის სხვა მსკრივებშიც (თ.უთურგაიძე, 1960, გვ. 45).

„ჭერა“ ზმნის სტატიკური ვნებითის ფორმა ი ხმოვნისანი თემატური ფუძითაც გვხვდება:

„ჳელთ უჭირაჲ ნამგლის ტარი“ (თუშ., 1960, გვ. 177).

ცნობილია, რომ -ევ სუფიქსი თუშურში გამოყენებულია შუალობითი კონტაქტის სანარმოებლად. მეორე სერიაში მას ი ცვლის, რომელიც -ივ სუფიქსის ნაშთია -ი ← -ივ ← -ევ (თ.უთურგაიძე, 1960, გვ. 55).

თუშურში წყვეტილში S პირის მხ. რიცხვის -ა სუფიქსი ხშირად დაკარგულია. -ევ-იან ზმნათა ფორმებში, როგორც აღენიშნეთ, მეორე სერიაში ვინიც იკარგება. ამრიგად, ასეთი ფორმები წყვეტილის მესამე პირში მხოლოდ -ი (← -ივ ← -ევ) ხმოვნითაა დაბოლოებული.

გარდამავალი ზმნები:

„მემრ მეორე ძმამან ასრი ისარი“ (თუშ., 1984, გვ. 229); „რ ცხენ ზღვად აქცი ცნვამ ქალმ.“ (თუშ., 1960, გვ. 134); „[თინამ] თავს შემოიხვი მანდილი“ (თუშ., 1960, გვ. 169).

გარდაუვალი ზმნები:

„შენი ქისტის შვილებსა ლურჯაი ლამ-ქაფიანი“ (თუშ., 1984, გვ. 239); „მთელ ქისტების ჯარ ციხეს გარშემო მუცხვი“ (თუშ., 1961, გვ. 107).

ამას შგავს ბრძანებითის ფორმები, რომლებიც წყვეტილის მწკრივს ემყარება. კერძოდ, დაკარგულია ვინი და წყვეტილის -ე სუფიქსი:

„ქუჯი ეტყოდა ბოლოლაცს: — ნინალ შენ დალი ნყალია“ (თუშ., 1960, გვ. 154).

აღსანიშნავია, რომ და კავშირის წინ S პირის მხ. რიცხვის -ა სუფიქსი წარმოდგენილია, რის შედეგადაც ევ-იან ზმნათა ფორმებში -ი-ა დაბოლოებას ეხვდებით:

„ჯივეს ასრია და მოხვდა“ (თუშ., 1984, გვ. 229); „ცრეს ბიჭი დიაკენად აქცია-დ' ცრეს ქალ კიდე ბებერ ღვდლად იქც“ (თუშ., 1960, გვ. 134).

ეს მაგალითები პროზაული ტექსტებიდანაა. ასევეა პოეტურ ტექსტებშიც:

„ციხითამ ელანაჯიზემ შორით მოხკიდა თვალიო,

ასრია-დ' გამოაგორა ლეკის ბელადი ძაღლიო“ (თუშ., 1960, გვ. 150).

მსგავს პოზიციებში მოსალოდნელია ბრძანებითის მეორე პირის ფორმებისათვის წყვეტილის -ე სუფიქსიც გამოვლინდეს.

ეს, რაც შეეხებოდა ევ-იან ზმნებს. ფაქტობრივად S პირის მხ. რიცხვის -ა სუფიქსის გამოვლენის ასეთივე პირობა გვაქვს სხვა ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნებთან (და არახმოვანმონაცვლე ზმნებთანაც), კერძოდ, და კავშირის წინ აღნიშნული -ა სუფიქსი ყოველთვის წარმოდგენილია.

წყვეტილში:

„ნაივ, ცრემ ბიჭმ ერთ ნიხლ დანჯილა-დ' მთელ დანჯტერი ცრეს სტობაჲ“ (თუშ., 1960, გვ. 122);

მეორე თურმეობითში:

„სუ სახლებ ეგლიჯა-დ' ენგრი ზარბაზნით“ (თუშ., 1960, გვ. 96) და სხვ.

კვლავ ევ-იან ზმნებს დაუბრუნდეთ. ამ მხრივ საყურადღებოა მეორე

ხოლმეობითის ნარმოვაც. თუშურში მეორე ხოლმეობითის სანარმოებლად პირველ და მეორე პირში -იდ სუფიქსია გამოყენებული, მესამეში კი ძველი ქართულის ფორმაა დაცული (ა.შანიძე, 1981, გვ. 238; თ.უთურგაიძე, 1960, გვ. 47).

თუშურში ევ-იან ზმნებს მეორე ხოლმეობითში ვინი ყველა პირში დაკარგული აქვთ, მიუხედავად ამ მწკრივის შერეული ნარმოებისა.

პირველ პირში:

„გზა უკულმა აუქციიდიით ამათ მტერსა“ (თუშ., 1960, გვ. 154); „ზოგთ საქონ მუჟდიოდა-დ' ზოგთ ცერებ შუჟკართ ქისტებსა-დ' ცხვაკის გასავალაჲ გზა აღარ ვაძლიიდიით“ (თუშ., 1960, გვ. 91).

„საქმის კეთებას ყურ მოვიხვიიდიით მანდილზე ზედისკითაჲ“ (თუშ. 1960, გვ. 94).

მეორე პირში მეორე ხოლმეობითით თხოვნით-ნაქეზებითი ბრძანებითი. გადმოცემული:

„გრემამ რო დაგიტიოსაჲ, შენაც დუჟტიიდიჲ“ (თუშ., 1960, გვ. 132); „სამ ქალ მყავაო-დ' რომელიც გინდ დანჯრჩიიდიჲ“ (თუშ., 1960, გვ. 133).

მესამე პირში:

„ბელადიც გრემამ მოსრულიყო გონთ, ქართულ ვერ აწერჯის, დიდურად უქციის“ (თუშ., 1960, გვ. 108); „გრემათ ობოლაჲ და-ძმებ ანვალიან, სცემიან, ჭამა გარ აჭმიაან“ (თუშ., 1961, გვ. 121); „გიმ სულაძალღებულმ, გიმ ხაზინმ ჭამაიცი კი გონთ არ გვაჭმიის“ (თუშ., 1961, გვ. 121).

ამრიგად, თუშურში მეორე სერიაში -იე სუფიქსი უმთავრესად ვინის გარეშე გვაქვს. ეს მაშინ, როდესაც ეს ვინი ინტერვოკალურ პოზიციაშია. თუმცა დადასტურდა ერთი შემთხვევა, როდესაც ვინი შემონახულია ინტერვოკალურ პოზიციაში:

„ივანესა და ნანოზეს მზე ნითლად მოუვიდაო,

მთის ძირას შემოგვენივა, მგელოზის ნადირ ვარიო“ (თუშ., 1984, გვ. 247).

თუშურში -იე სუფიქსის ვინი ზოგი სხვა კილოს მსგავსად შემორჩენილია გარდაუვალი ზმნების წყვეტილის ფორმებში -ნ (← -ენ) სუფიქსის წინ. ეს -ნ სუფიქსი ნარმოშობით პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნადაა მიჩნეული, რომელიც მოქმედებითიდან ვნებითშია გადასული. თავის მხრივ, -ნ სუფიქსი -ეს სუფიქსის წინაა ნახმარი, რაც წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის ნიშანია მრავლობით რიცხვში:

„ქეიმაზე ლამენ მენივნეს“ (თუშ., 1984, გვ. 251); „თხილოან შუაში მენქმწყვიდვენეს [დიდოელებს]“ (თუშ., 1960, გვ. 79); „შემოეხვიენეს ფშაველები, თუშებს დახკოცნეს პირზედა“ (თუშ., 1960, გვ. 143).

აღნიშნული -ნ სუფიქსი გვხვდება მეორე ხოლმეობითის და მასზე დამყარებულ მეორე ბრძანებითის ფორმებშიც:

„თუშებჲ ჩაზძახეს ლეკებსა: ... ჰაბა, აწეხლ ესცადოთ ჯმალია!“

დნეკრივნიანა ერთურთში, ხმლისა გამოდის ჩქამია" (თუშ., 1960, გვ. 152);

"ანამ სუ დაილივნიან, ანამ განყეიტოს ჭირმარო,
ან ხისოს ძირა-დ' ალაზანმ, ან კესმორისა ზევემარო" (თუშ., 1960, გვ. 151).
ასეთია ხმოვანმონაცვლე პირიან ფორმათა წარმოება თუშურში. აღნიშნულ ზმნათა სანყისები (უპირო ფორმები), სალიტერატურო ქართულისა და ზოგი სხვა კილოს მსგავსად, ჩვეულებრივ ე ხმოვნიან უთემისნიშნო ფუძეებს ემყარებიან:

"მთელ გომენარი მოკრეფით მოსრულიყვენესა-დ'..." (თუშ., 1960, გვ. 89);
„ან ვიცოდ ულვეშის კრეჭა ვაციათ მათესავით" (თუშ., 1984, გვ. 254); „შეკრიფეთათ თითო სრევა ნამალივ" (თუშ., 1961, გვ. 107); „დასწყიე, დედო, ჩემ ქმარსავ სნორთ ნინ წაქცევა მუჭლისავ, ამოსელა თოფის ლიშანში, მტრისა მორევაი ჯელისავ!" (თუშ., 1960, გვ. 159); „[მომწყინდა] კოჩხოთ დახვერება ნყლისაო" (თუშ., 1960, გვ. 158).

2.9. ხმოვანმონაცვლე ზმნები მოხეურში

ქართული ენის მოხეურ დიალექტში ხშირია ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე ხმოვნის მქონე უთემისნიშნო ფუძეთა ხმარება პირველ სერიაში. მაგ.:

„კავს ეძაბოდეს, იმით გრეხდეს და აკეთებდეს ვალდახს" (მობ., 1985, გვ. 25); „ლომი დიდ-დიდ ნაჭერს ჯორცს ღგლეჯდა კამბეჩსა და შჭამდა" (მობ., 1985, გვ. 146); „იმ თავითვე რო ნითელია ტყაეი, ზელენ, ზელენ, ჰამრე გასთლიან დანითა, ღნახავენ და თუ თეთრია, აღარ უნდა ზელა" (მობ., 1985, გვ. 91). უთემისნიშნოდ გვხვდება ეს ფუძე ლექსშიც: „თბილის წყლით ძუას უბანდა, ერბოთ გაუზელდა ნელსა" (მობ., 1984, გვ. 204); „იმ რბოლაჩი გასცუიოდა სუყელაი და ხალხი ხკრეფდა" (მობ., 1985, გვ. 103); „ნილი რასაც არგენდა, ეგრე იყო" (მობ., 1985, გვ. 107); „ეგრე ჯორცისოდენა ხარშვაი კი უნდა, მზეზე გავფენთკე" (მობ., 1961, გვ. 31). უთემისნიშნოდ გვხვდება ეს ფუძე ლექსშიც: „დაერეცხავ ტანისამოსსა, გაღაუფენ დუქნის ბანზედა" (მობ., 1984, გვ. 212); „სალომე ისრი მამზადებულიყო, რო სიფროს ბატკანი ვერ გადუფრენდა" (მობ., 1961, გვ. 36); „[ტყაეის] გათლილი ჯოხით ვფხეკთკე" (მობ., 1985, გვ. 91); „მალამ ვანყენდით ერთი მეორესა, მალან გაკუყარენით" (მობ., 1985, გვ. 116); „პალოზე დაუჭერდით თავსა" (მობ., 1961, გვ. 30-31); „მააწდენდეს ძმად გაფიცვას" (მობ., 1985, გვ. 106).

ე ხმოვნის მქონე თემისნიშნიანი ფუძეები მოხეურში (დრეკავ, კრეფავ ტიპისა) ჩვენი საანალიზო ტექსტების მიხედვით არ დადასტურდა.

მოხეურში იშვიათია ი ხმოვნის მქონე თემისნიშნიანი ხმოვანმონაცვლე ზმნები:

„აქ მადი, რას ღფრინავ იქი-აქაო!" (მობ., 1985, გვ. 129); „სულ მულამ

ღრინავ დაუნდოდ, როგორც რომ ჩვენი მურია" (მობ., 1984, გვ. 219); „იქ დროს მივიდა იმათთანა, რომ იმათ კარგა ზძინიათ და ხჭრინევენ" (მობ., 1985, გვ. 116).

„ჭერა" ზმნის სტატიკური ფორმები გვხვდება როგორც ე ხმოვნიაანი ფუძე-მისნიშნო ფუძით, ისე ი ხმოვნიაანი თემისნიშნიაანი ფუძით. აღსანიშნავია, რომ ე ხმოვნიაანი ფუძეები ოთხმარცვლიანია და პროზაულ ტექსტებში დასატურდება, ხოლო ი ხმოვნიაანი ფუძე სამმარცვლიანია და ლექსში გვხვდება:

„ემშაკს უჭერია დიდი სარი" (მობ., 1984, გვ. 193); „მარჯუნა ჴელით ჴმალაი უჭერია ჴურგს უკან" (მობ., 1985, გვ. 125). შდრ.: „სიმაგრეც მაგათ უჭირავს ყუროისა და ჴდისაო" (მობ., 1984, გვ. 203).

ი.ქავთარაძე აღნიშნავს, რომ „-ეე სუფიქსიან ფუძედრეკად ჴმნებთან ნამყო სრულის ფუძისაგან ნარმოებულ ნაკეთებში ხმოვნებს შორის ვ ხან შემონახულია, ხან იკარგება:

ა) ცოტა პური მიჭამივა (სახალბ. ლექს., გვ. 2); სოფელს სახელი ვაჭმრ-ვა (ს.მაკალ., 280); ბევრჯერ კარ-კლიტენ გიმტერიენა (მუზ., 720); ხალხმა ამაირჩივის (გერგ., 7); დეესიენეს ეს ლუღუშაურები (კარკ.); შამაველივიან დედუფალი კერასა; იმათ გაირივიანკე ცხორი; ბ) ნყალი რო არაცად დალი-ვი (გერგ., 17); ჴორცი აჭმიეთ დილითა (სნო, 3); პური მაჭმიეს (გერგ.); დაღ-რიეს ჴელი და მიღრეკეს (ყან., 158); გამაველია სოფელჩი; ამ გარბანს სიარუ-ლითა სულ დემეზია ბანდული (აჩხოტი)" (ი.ქავთარაძე, 1985, გვ. 55-56).

ეე-იან ხმოვანმონაცვლე ჴმნათა მეორე სერიის ფორმებში ვ ბგერა შენარჩუნებულია ალ.ყაზბეგის თხზულებათა ენაშიც: „შუადღემ მოაღნი-ვა" (ალ.ყაზბეგი, I, 1948, გვ. 81); „მათიამ შეამჩნია ეს ნდგომარეობა" (ალ.ყაზბეგი, I, 1948, გვ. 59). მათ გვერდით გვხვდება უეინო ფორმებიც: „ბინდმა მოაღნია" (ალ.ყაზბეგი, I, 1948, გვ. 119); „ფათიმ მალე შეამჩნია მიხეილს გელის აცრუება" (ალ.ყაზბეგი, I, 1948, გვ. 381).

ასეთივე ვითარებაა მესამე სერიაშიც, კერძოდ, მეორე თურმეობითში. გვაქვს ფორმები ვ ბგერით: „[მოხუცს] თუმცა ვერ გამოერკვივა ქალი იყო თუ კაცი" (ალ.ყაზბეგი, I, 1948, გვ. 348); „ქალმა ჴერ კიდევ არ იცოდა, თუ სადავდინ მიელნია დაღვენდელს უბედურებას" (ალ.ყაზბეგი, I, 1948, გვ. 37). ეს ფორმები დასტურდება ვინის გაუჩინარებითაც: „ყველა, რაც საუკუ-ნობებით გამოერკვია" (ალ.ყაზბეგი, IV, 1950, გვ. 258); „შსურდა გულამდე მიელნია" (ალ.ყაზბეგი, IV, 1950, გვ. 153). ამრიგად, აღნიშნული ფუძეები პარალელურად გვხვდება ალ.ყაზბეგის ენაში.

ი.ქავთარაძე უთითებს, რომ სალიტერატურო ქართულში დაეხევა (დაე-ხა) და დახევს (დახია) ნამყო ძირითადს განსხვავებულად ანარმოებს, მოხუ-ური და ჴოგი დიალექტი კი ამ ჴმნებში ერთგვარობას იცავს (ი.ქავთარაძე, 1985, გვ. 56).

მოხუერში აჭმევს ჴმნის მეორე სერიის ფორმა აჭმია: „მე მთელი ჩემ

ქონება თქვენ შეგაჭმით და ეხლა კი თქვენც მაჭმით, მშვიდი ვარ" (მობ., 1985, გვ. 145); „ობჰამზე კი ჯორცი მოუხარმა და ძმებს აჭმია" (მობ., 1985, გვ. 147). ამ ზმნის მეორე სერიის „აჭამა" ფორმის ცალკეული შემთხვევები, ი.ქავთარაძის აზრით, „ბარის კილითა გავლენის შედეგი (ან რედაქტორის ნახელავი) ჩანს ლექსში: „დედავ, ჩამადი დედაო, ქალი ზის წყაროზედაო, ვაჭამოთ პური და ყველი, გაუშვათ ნელაზედაო"; შდრ.: ცხენს ქერი აჭმიე (ს.მაკალ. 269; 278)" (ი.ქავთარაძე, 1985, გვ. 56).

ჩვენს ხელთ არსებულ მოხეურ ტექსტებში ხმოვანმონაცვლე ზმნათა სანყისები მხოლოდ პირველი სერიის უთემისნიშნო ფუძეე ' ემყარებიან: „[ტყავს] ისრი კი დღენახევარი მაინც უნდა ზელა" (მობ., 1985, გვ. 91); „ხორობლის კრფის დრო იყო" (მობ., 1985, გვ. 118); „ყოფსა ფრენა გულსა პქონდა, ჯელის ახრა მეტი იყოო" (მობ., 1985, გვ. 154); „მალ-მალ მაჩხრეკა უნდოდა, ნაკორჩხალი მეეძებნა" (მობ., 1985, გვ. 94).

მოხეურიდიალექტის ხმოვანმონაცვლე ზმნების განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უ—ვ ბგერის შემცველი ფუძეები.¹

ცნობილია, რომ ო და უ უმლაუტიანი ხმოვნების მიღების წესი მოხეურში ისეთივეა, როგორც ინგილოურში, ხოლო უმლაუტიანი ხმოვნების დელაბიალიზაციის პროცესი მსგავსებას იჩენს ფერეიდნულთან (ი.ქავთარაძე, 1985, გვ. 21-22).

აღნიშნული ეხება მოხეური დიალექტის უ—ვ ბგერის შემცველ ფუძეებს საერთოდ. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ხმოვანმონაცვლე ზმნებზე, რომლებშიც ვინის რეფლექსები ერთგვარად პირველი და მეორე სერიის ფუძეების გარჩევაშიც მონაწილეობენ.

ა) თავდაპირველად წარმოვადგინთ იმ ფუძეებს, რომლებიც უე და უი კომპლექსებს შეიცავენ:

პირველი სერიის ფორმები უე კომპლექსით:

„დოს არ შავსდღუბეკე, ლალას ვაგროვებეკე, კარგა ხანია, მამრე რაჩივ ჩასბმული მაქუ, ის რო აივსება, ავილებ და ჩავასხამ სადლობელჩი და გავსდღუბე კარაქსა" (მობ., 1985, გვ. 90); „ლასტი გუოქ, ტოლს დავასველებ თბილს წყალში, დავასუნთ ლასტზე და დედაკაცები კლავებნაკეცილები სთელვენ, ვიდრე შაითელება" (მობ., 1961, გვ. 31); „როცა ნადირი ბატკანს მაიგებს, მამრე საძოვარზე წავა, ბატკანს დასტუმენს და დაიმალება ჩუილი: ქვებჩიგა" (მობ., 1985, გვ. 96); „რო ვინმე გამაჩნდის, ესენი წამადგებიან და ისრი მაგრა დაუშტუმენენ, ყურებში გეეჭედება" (მობ., 1985, გვ. 95); „ამით

1. აღნიშნული ფუძეების შესახებ მსჯელობა „ქართულ დიალექტოლოგიასა" (თბ., 1961) და ი.ქავთარაძის მონოგრაფიაში („ქართული ენის მოხეური დიალექტი", თბ., 1985) წარმოდგენილი ტექსტების მიხედვით გვექნება. რადგან ა.შანიძის მიერ შეკრებილ შთის კილითა ტექსტებსა და ლექსიკონში, როგორც მკვლევარი შენიშნავს, ვ და უმარცვლო უ გარჩეული არ არის (ა.შანიძე, 1984, გვ. 477).

ერთი დღე თუ არა, მეორე დღეს მაინც შაენჭევა" (მობ., 1985, გვ. 87); „[პატი-
ოსანი კაცები] მაინჭევედეს სოფელსაც, მოკეთეს და მანჯდენდეს შარიგ-
ბასა" (მობ., 1985, გვ. 106); „ნაგრამა იმის გარეშე იქ გორის უფროსობა და
სათემო საბჭო იყო და აქ საქმეს ეს სწყუტდა" (მობ., 1961, გვ. 37); „ნასთი
— ეგრე ორი ლოლი — ამიხჭევა და გუირგულად შაიხჭევა" (მობ., 1961,
გვ. 30) და სხვ.

მეორე სერიის ფორმები უი კომპლექსით:

1. უშუალო მეზობლობაშია ფუძისეულ ი ხმოვანთან:

„უნინ იცოდიან, როცა დაასჭინიან კრუტი, თავზე მატყლის რუდაი
დაისჭინიან, რო ქოჩორები გამოვლენო" (მობ., 1961, გვ. 32); „[დათვი] შაე-
დოდა ფარაჩი, უკანას თათებზე ადგის და ნაუსტჭინისკე, რო ცხორი არ
დამთხოლიყო" (მობ., 1985, გვ. 89); „აილეს და სულ ხანჯლებით სჩაჭირ. ს.
ლასტებჩიგათა და დაჯოცეს იქა" (მობ., 1985, გვ. 120); „შაიქმნა სათემო
საბჭო და იქ გადაუნყუტით, რაიც ეკუთნოდა მამკლავთა გადასაჯდელი"
(მობ., 1961, გვ. 36); „[დაჭრილს] ცხენის ჩორო დავადეთ და შავხჭიეთ პერან-
გითა" (მობ., 1985, გვ. 108).

II. უშუალო მეზობლობაში არაა ფუძისეულ ი ხმოვანთან: „[დათვი]:
ლულით დაიჭირა თოფი და სულ მიაძხჭურია ქვაზე" (მობ., 1985, გვ. 89); „ა.
ძეგლი იყო, დააქციეს, დაამტურივეს" (მობ., 1985, გვ. 99).

ბ) უე — უი კომპლექსიან ხმოვანმონაცვლე ზმნებთან შედარებით (უე →
ი და უი → უ) უმლაუტების შემცველი ხმოვანმონაცვლე ზმნები იშვიათია.
პირველი სერიის ფორმა ი ხმოვანით:

„როცა სეტყუა მოდიოდა, ხალბი ფითილას დაახრედეს ტარზე, დაასახე-
ლებდეს თავ-თავის სალოცავებსა" (მობ., 1985, გვ. 99).¹

მეორე სერიის ფორმები უ ხმოვანით:

„ტანზე გაიწადა და წყაროს ჩხატს მკერდი შაუშურა" (მობ., 1985, გვ.
144); „აბა, რაი ექნა, ვასილავ, ე ბალლებმა ნელი მაინყუტეს და ვერა თიბეს
რა" (მობ., 1985, გვ. 153).

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითში ერთი პირის მეტყველებაში დასტურ-
დება უ და უ ბგერების შემცველი ერთი და იგივე ფუძე:

„მივიდა თუ არა, ტყემ ცახცახი დაინყა და მეფისნულს მეესმა — „მოდო,
შემეშხეხეო". მართლაც, მივიდა შემეშხე და იმ ქალის სხეული კი იგრძ-
ნა" (მობ., 1985, გვ. 143).

გ) აღნიშნულ ზმნათა მცირე ნაწილს იშვიათად პირველ სერიაში ო ხმოვ-
ნის მქონე ფუძე აქვს. ი. ქავთარაძის ვარაუდით, უე > ო (ი. ქავთარაძე, 1985,

1. ი. უმლაუტიანი ფუძე შეგვხვდა მიმლეობით გადმოცემულ შედგენილი შემასმენლის
სახელად ნაწილშიც, რაც თავის მხრივ პირველი სერიის ფუძეს ემყარება: „ბოლოს ვეღარ
მაითბინა მელამ და ლომს უთხრა: — ამიერჩიგათ ჩუენი შეგობრობა შანყრტილია, შა.
შენთუი და მე ჩემთუი, მე შენთან არას გაეხარებო" (ი. ქავთ., 1985, გვ. 146).

გვ. 21). არ არის გამორიცხული ამ შემთხვევაშიც ფერეიდნულის მსგავსად უე → ო → ო:

„სადლობდეს და ამადიოდა კარაქი, რჩებოდა დო“ (მოხ., 1985, გვ. 87); „თოვლდაფარული სუილი სიცივეს ეჩოვა ჯეჯილობაჩივე და გაზაფხულზე, როგორც კი მინა გაეუუუნდება, იმ ნუთჩი ტანს აიყრისკე“ (მოხ., 1985, გვ. 84); „მატყლს შახოვდეს და გააკეთებდეს კანძებადა“ (მოხ., 1985, გვ. 88).¹

ამ ზმნათა (უი → უე → უ) ხმოვნის მქონე მეორე სერიის ფორმები მოხეურში ჩვენი მასალის მიხედვით არ დადასტურდა.

ამრიგად, მოხეურში პირველი სერიის ფორმებში ხმოვანმონაცვლე ზმნე-ლი სალიტერატურო ქართულის და სხვა დიალექტების მსგავსად ე ხმოვნია-ნი უთემისნიშნო ფუძით გვხვდება. აღსანიშნავია, რომ არ დადასტურდა ე ხმოვნიაანი თემისნიშნიაანი ფუძეები, ი ხმოვნიან თემისნიშნიაან ფორმებს კი იშვიათად ვხვდებით.

მოხეურის თავისებურებად, ინგილოურის და ფერეიდნულის მსგავსად, უ — ე ბგერის შემცველი ხმოვანმონაცვლე ფუძეები გვევლინება. ინგილოურისა და ფერეიდნულისაგან განსხვავებით, ეს ფუძეები არაერთგვარობას გვიჩვენებენ. კერძოდ, მოხეურში პირველი და მეორე სერიის ფორმათა დაპირისპირებისას გვაქვს როგორც უე — უი მონაცვლეობა (ხუეე/ხუი (ე) და სხვ.), ასევე (უე → ო) ო — (უი → უ) მონაცვლეობა (ხრე/ხუე და სხვ.). საყურადღებოა ისიც, რომ მოხეურში იშვიათად გვხვდება აღნიშნულ ზმნათა ფორმები ო ხმოვნიაანი ფუძით (როგორც ეს ფერეიდნულშია), შესაბამისი მეორე სერიის ფორმები უ ხმოვნიაანი ფუძით კი ვერ დავადასტურეთ (ხოვ/*ხუე).

2.10. ხმოვანმონაცვლე ზმნები მთიულურ-გუდამაყრულში

„მთიულურ-გუდამაყრულში, როგორც თვით სახელწოდება მიგვანიშნებს, გამოიყოფა ორი კილოკავი: მთიულური და გუდამაყრული. გუდამაყრულს დასტყობია მოხეურის, ხევსურულისა და ნანილობრივ ფშაურის გავლენა. მთიულურისა და გუდამაყრულის ძირითად განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევა გრძელი ხმოვნების (ტონური მახვილის) მქონებლობა მთიულურში

1. ასეთივე ვითარებაა მიმღეობებშიც, რომელიც პირველი სერიის ფუძეზეა დამყარებული: „სადლობდეს ვეძახით“ (მოხ., 1985, გვ. 87); „მჭეზია გახოული ციხის გუმბათი და იჩრზე კუპრი მაუდის“ (მოხ., 1985, გვ. 140). საყურადღებოა, რომ დადასტურდა „გახოული“ მიმღეობის ვარიანტი ე(ე)-იანი ფუძით. მაგალითები შემდეგ კომპოზიტებში შეგვევლია: „[მათხოვარს] დახეულ-დაქენცილი ქალი მაზდევედა“ (მოხ., 1985, გვ. 142); „ფეფელ: ტანისამოსმამახეული ... ზის და ტირის“ (მოხ., 1985, გვ. 121). ასეთი პარალელური წარმოება რომ დამაბნელებელია მოხეურისათვის, ამას ი.ქავთარაძეც შენიშნავდა და ნიშნავდა შემდეგ მაგალითებს ასახელებდა: განყუტალია, განყოტალია, განყრტალია (ი.ქავთარაძე, 1985, გვ. 21). ჩვენი მხრით დავამატებთ იმასაც, რომ ერთ შემთხვევაში დადასტურდა ამ ფუძის ნორმატიული ფორმაც: „გავნსყვეტ მარცოლს — თითო ლოლს“ (მოხ., 1961, გვ. 30).

და მათი უქონლობა გუდამაყრულში" (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 274).

ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმათა წარმოების მიხედვით მთიულური და გუდამაყრული მცირედ განსხვავებას გვიჩვენებენ. კერძოდ, გუდამაყრულში ხმოვანმონაცვლე ზმნები მხოლოდ ე ხმოვნიანი ათემატური ფუძით გვხვდება (შესაძლებელია ეს გუდამაყრული ტექსტების სიმცირის გამო იყოს). მთიულურში კი ხმოვანმონაცვლე ზმნებს I სერიაში სამი პარალელური ვარიანტი აქვთ.

მთიულურში პირველი სერიის ფორმებში ხმოვანმონაცვლე ზმნების ე ხმოვნიანი ფუძე ხშირად უთემისნიშნოდ გვხვდება:

„შიშით გაიგლეჯს წვერებსა“ (მთიულ., 1978, გვ. 71); „[ძაფს] დავგრეხთ და მემრე შევლებთ“ (მთიულ., 1978, გვ. 18); „ცომს რო მოვზელთ, წყალში მოვზელთ“ (მთიულ., 1978, გვ. 30); „ჰკრეფენ კვერცხებს“ (მთიულ., 1978, გვ. 54); „ბატკნებ დავკრეჭთ“ (მთიულ., 1978, გვ. 23); „[მხალს] დავსრესთ მარილით“ (მთიულ., 1967, გვ. 153); „მერე გავფენთ ტყავს“ (მთიულ., 1967, გვ. 152); „[ტყავს] დავფხკეთ“ (მთიულ., 1967, გვ. 153); „ხანჯლებ უჩხვლეტდენ ერთურთსა“ (მთიულ., 1978, გვ. 170); „აგე იმ ქალსა სჩხრეკენ“ (მთიულ., 1978, გვ. 232); „დაიჭერდენ და ამუშავებდა ხალხსა“ (მთიულ., 1978, გვ. 96); „დავაძვრენ წერიმლიანშია“ (მთიულ., 1984, გვ. 181); „მაგ როსტიანთა სულ გასწყვეტ“ (მთიულ., 1984, გვ. 183); „სუ გვიჭვრეტდიან“ (მთიულ., 1978, გვ. 92); „წელით ამოვშყყლეთ“ (მთიულ., 1961, გვ. 57); „[ცხვარს] ყურებს ამოუხვრეტდიოთ“ (მთიულ., 1978, გვ. 43); „ქორფა ბატკანი ორ თევზმდე სწოვდეს და მემრე მოვსხლეთდიოთ“ (მთიულ., 1978, გვ. 44).

ასეთი ფორმები გვხვდება გუდამაყრულშიც:

„ნიაღვორი როცა მუა, ჳევებს დაგლეჯს“ (გუდ., 1961, გვ. 84); „სხვისა ეალს არ გადასწყვეტს“ (გუდ., 1961, გვ. 92); „მამრე აახელს [თეალსა]“ (გუდ., 1984, გვ. 153).

ასევე გვხვდება „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმები:

„მილში მაჭყლი უჭერია ჯოხის“ (მთიულ., 1978, გვ. 21);

„— აბა საით წამოვიდე, ჩემ გულ ტილებს უჭერია.

— გაიწადე, დაიმდულრე, წყალ ხო დევს არ უჭერია?“ (გუდ., 1984, გვ. 157).

აღნიშნული ფორმებიდან არცერთი არაა ერთმარცვლიანი. ზმნისნიშებისა და აფიქსების დართვით ეს მაგალითები ორ და სამ მარცვლიანებად შეიძლება გვეფიქრა, რომ მთიულურში ხმოვანმონაცვლე ზმნათა ათემატური ფუძეები ორ და მეტ მარცვლიან ზმნებს ახასიათებს, ხოლო თემის ნიშანი (ხმოვნის შემცველი აფიქსი) ერთვის ზმნას მაშინ, თუ ამ უკანასკნელის ხარჯზე ხდება მარცვლის მომატება, ანუ გაორმარცვლიანება.

ამას მხარს დაუჭერდა ზოგი -ავ და -ამ (← -ავ) თემისნიშნიანი მაგალითიც:

„სწმენდავს ცხორს“ (მთიულ., 1978, გვ. 43); „ვეკრეფამთ და ვარჩევით

[ქართოფილს]" (მთიულ., 1978, გვ. 250).

მაგრამ მთიულურში ხმოვანმონაცვლე ზმნის თემატური ფუძეები ზმნის-ნიშნებითაც გვხვდება:

ა) ე ხმოვნის მქონე ფუძე -ავ, -ამ (← -ავ) თემისნიშნებით:

„თხილის წნელს მოაგრეხავდენკე“ (მთიულ., 1978, გვ. 11-12); „დავგლეჯამთ, თხლათ გაუსომთ მამრე იმ ხაივს იმ ქერქზე“ (მთიულ., 1978, გვ. 30); „მამრე მოვკრეფამთ, ნებაზე მოვკრეფთ და გამოვწურამთ ჯამშია“ (მთიულ., 1978, გვ. 30). ბოლო მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ თემის ნიშანი ერთეის ორმარცვლიან ფორმასაც, რომელიც თემატური სუფიქსის ხარჯზე სამმარცვლიანი ხდება (ორივე ფორმა გვხვდება ერთ ფრაზაში: მოვკრეფთ და მოვკრეფამთ).

ანალოგიურია სხვა მაგალითებიც:

„ბურით მოვხვრეტამთ ქვას“ (მთიულ., 1978, გვ. 8); „წყალს აადულევენ, კვერცხს ჩაასხამენ შიგ და თქვეფამენ“ (მთიულ., 1978, გვ. 36).

ბ) -ავ, -ამ (← -ავ) თემის ნიშნებით შეგვხვდა ი ხმოვნისანი ფუძეც:

„ეტლი მიფრინავს“ (მთიულ., 1978, გვ. 86); „იმას ვახმარებთ შაქარს, ერბოს და იმაზე მოვზილამთ“ (მთიულ., 1978, გვ. 35) (მხოლოდ ეს ორი მაგალითი დაედასტურეთ).

ი ხმოვნისანი თემატური ფუძით გვხვდება „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმები (უმთავრესად ლექსებში):

„წელში უჭირავ მათრაყი სამოცდასამი მკლავიო“ (მთიულ., 1984, გვ. 173); „ჯაგმოფარებულ რძალ-მულთა ცხენი უჭირავს წელშია“ (მთიულ., 1978, გვ. 143).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნამყო წყვეტილისა და მეორე კავშირებითის -ივ მთიულურს უკვეცელი სახით აქვს შემონახული (არნ.ჩიქობავა, 1937, გვ. 54; ლ.კაიშაური, 1967, გვ. 26). ბ.ჯორბენაძე მთიულურ-გუდამაყრულის შესახებ წერდა, რომ „-ევ-იან ზმნათა ნამყო ძირითადად-ში დაცულია -ივ: ნააქცივა „ნააქცია“, დაამტვრივეს „დაამტვრიეს“. შენარჩუნებულია იგი II ხოლმეობითშიც: ნააქცივის... თუმცა II კავშირებითში, ჩვეულებრივ, იკარგვის: ნააქციოს...“ (ბ.ჯორბენაძე, 1939, გვ. 283).

ამ მხრივ მნიშვნელოვანია გაირჩეს ის ფორმები, რომლებშიც ერთი მხრივ -ივ/-ი პარალელურად იქნება წარმოდგენილი, ხოლო მეორე მხრივ ის ფორმები, რომლებშიც მხოლოდ -ივ სუფიქსი გვექნება.

-ივ/-ი პარალელურად წყვეტილსა და მეორე კავშირებითში გვაქვს.

წყვეტილში:

„ცეტმა ფარჩა შამაიხვივა ტანზე და ი ქკვიანმა ვერაფერი ვერა შამაიხვივა რა“ (მთიულ., 1961, გვ. 65). შდრ.: „გავახვიეთ ძაფი ცხემლაზე“ (მთიულ., 1978, გვ. 17).

მეორე კავშირებითში:

„ვარჩივით ქალი და რძალი“ (მთიულ., 1978, გვ. 115). მდრ.: „ვარჩივით ქალი და რძალი“ (მთიულ., 1967, გვ. 163).

უნდა აღინიშნოს, რომ -ივ სუფიქსიანი ფორმები დიდი რაოდენობითა: წარმოდგენილი, ვ-ს დაკარგვის შემთხვევები კი იშვიათია.

აღნიშნულ ზმნათა მეორე ბოლმეობითის ფორმები მხოლოდ -ივ სუფიქსით გვხვდება:

„აეადულით ნყალი და ცხრილით გადავასბით, მემრე შევხვივით და გაეთელით“ (მთიულ., 1978, გვ. 15); „ზოგი ქილიკი კაცი იყო და გადაეხვივის ვაკოცებო“ (გუდ., 1961, გვ. 85).

-ივ შენარჩუნებულია აგრეთვე თანხმონიით დაწყებული ან თანხმოვან-სუფიქსის წინ. მაგალითად, გარდაუვალ ზმნათა წყვეტილში *წე პირის მრავლობითი რიცხვის -წენ სუფიქსის წინ:*

„შიეხვივენ თხები იმ ვაშლის ძირა“ (გუდ., 1961, გვ. 94); „ალარ ენივენ სტუმრები“ (მთიულ., 1984, გვ. 172); „ცხენები დევსივენ“ (მთიულ.-გუდ., 1974, გვ. 351).

პრეფიქსიანი ენებითი გვარის ზმნებში ნაშუაში *წე პირის მრავლობით-რიცხვის ნიშნად ძველი ქართულის მსგავსად -ეს სუფიქსი დასტურდება. რომლის წინ -ნ(←ენ) ფორმანტიც გვხვდება. ეს უკანასკნელი წარმოშობით პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნადაა მიჩნეული, რომელიც მოქმედებითიდან ენებითი გვარის ფორმებშია გადმოყოლილი. ჩვენი საკვლევი კილოს მიხედვით აღნიშნულ -ნ-ეს სუფიქსთან წინ -ივ სრულადაა წარმოდგენილი:*

„გადაეხვივენ მანიჯანი და ბეჟანი“ (მთიულ.-გუდ., 1974, გვ. 351).

ასეთი ვითარება გარდამავალ მოქმედებითი გვარის ზმნაშიც დადასტურდა:

„დაგვლივენ ვუდამაყრელთა, აგოცვეს ჳლმისა ფბაზედა“ (გუდ., 1961, გვ. 155).

მთიულურ-გუდამაყრულში გვხვდება *ვე → ო* (ლ. კაიმაური, 1967, გვ. 12; ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 278).

მთიულურ ტექსტებში *ვე → ო* ხმოვანმონაცვლე ფორმებშიც დადასტურდა:

„კიდევა ედლობავთ, ედლობავთ და მემრე მოვჯდით სერასა“ (მთიულ., 1961, გვ. 58).

ასეთი ო ხმოვანიანი ფუძე გვხვდება სანყისშიც:

„დლობაი რო დაუნყებთ“ (მთიულ., 1961, გვ. 58).

ისევე როგორც სხვა დიალექტებში, აქაც ო ხმოვანიანი ფუძით გვხვდება გაარსებითებული მიმღობა „სადლობელი“:

„სადლობელი სავსე არ უნდა იყოს“ (მთიულ., 1961, გვ. 58).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფორმის ზმნა და სანყისი ვე კომპლექს

თაც დასტურდება:

„ედლებზე თიწის სადღობელში“ (მთიულ., 1978, გვ. 25); „შადღვება რო მიგვიხსენებდა“ (მთიულ., 1961, გვ. 57).

კი → ო პროცესი ხვევ / ხვი(ვ) და ჩვევ / ჩვი(ვ) ხმოვანმონაცველ ფუძეთაგან მომდინარე ფორმებშიც გვხვდება: „ხოული (ხვეული); ხატებისთინ ხოული უნდა გამოვაცხოთ; ჩოულობრივ; როგორც ჩოულობრივ გაზარდა, ანოებდა“ (ლ.კაიშაური, 1967, გვ. 12).

მაგრამ არ დასტურდება ვი → უ, რის გამოც ზემოაღნიშნული ფორმები მერვე სერიიდან არ გვიჩვენებენ *დღუბ, *ხუ(ვ), *ჩუ(ვ) ფუძეებს.

ჩვეულებრივ, მთიულურ-გუდამაყრულში ხმოვანმონაცველ ზმნების სან-ყისებო ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეებს ემყარება:

„მოდის და მოდის ქშენითაო“ (მთიულ., 1978, გვ. 117); „რამდენი დილა ვათენდა, იმდენი უფრო წყენისა“ (მთიულ., 1978, გვ. 149); „ადვილია სატარე ტოტის გამოჭერეტა“ (მთიულ., 1978, გვ. 23) და სხვ.

2.11. ხმოვანმონაცველ ზმნები იმერულში

ქართული ენის იმერული დიალექტი ორად იყოფა: ზემოიმერული და ქვემოიმერული. ხშირად მათ შორის ისეთი სხვაობა იჩენს თავს, რომ შესაძლებელად მიიჩნიათ ორი დამოუკიდებელი დიალექტის გამოყოფა (კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 13). ასახელებენ გარდამავალ ზოლს — შუაიმერულსაც, თუმცა შუაიმერული არ არის ერთიანი სამეტყველო სისტემა, იგი თქმებად იშლება, რომელთაგან ზოგი ზემოიმერულს უახლოვდება, ზოგიც ქვემოიმერულს. ამიტომ შუაიმერულის ერთიან კილოკავად გამოყოფა ძნელდება (ქ.ძონენიძე, 1973, გვ. 260).

ხმოვანმონაცველ ზმნების წარმოების მხრივ იმერულის კილოკავეები გარკვეულ განსხვავებას გვიჩვენებენ. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხმოვანმონაცველ ზმნები ზემოიმერულში ხშირად თემის ნიშნებს დაირთავენ. ეს ზმნები გვხვდება -ავ თემის ნიშნით, უფრო ხშირად კი -ამ-ით: წყეტამს, მოკრეფამს, ვიჭერამ, გლეჯამს, ვგრეხამთ, კრიფავს, დავხვრიტამთ, მოვზელამ, კრეფამ (ქ.ძონენიძე, 1973, გვ. 27; გვ. 61; გვ. 87; გვ. 105; გვ. 127; გვ. 155; გვ. 189).

ტექსტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზემოიმერულ კილოკავეში ხმოვანმონაცველ ზმნური ფორმები (მსგავსად სალიტერატურო ენისა და დიალექტებისა) სამი პარალელური ვარიანტით ხასიათდება:

ა) ხმოვანმონაცველ ზმნები ე ხმოვნიანი ათემატური ფუძით:

„ვზელთ ბის გობზე“ (იმერ., 1973, გვ. 478); „პურს მოვზელთ საფუარით“ (იმერ., 1973, გვ. 479); „ერთი რამე სურიელი ვარდისა წვენსა კრეფსაო“ (იმერ., 1973, გვ. 514); „[ვენახი] მერე რო დამნიფდება, მოკრეფენ“ (იმერ.,

1973, გვ. 403); „ტრედს აფრენდენ“ (იმერ., 1961, გვ. 454); „დაუფნთ ძირ საფენს“ (იმერ., 1973, გვ. 412); „მათი ნახვა უცეფ გულსა მჩხვლელტდისა“ (იმერ., 1973, გვ. 448); „ხელობით მე თებზს არ ვიჭერ“ (იმერ., 1973, გვ. 407); „თევზ მაინც დევიჭერ ფშანში“ (იმერ., 1973, გვ. 546); „ქვეერის სარქველსქ სასულეს უკეთეფთ — ლერნამს, გახერეტენ და დაარჭობენ“ (იმერ., 1973, გვ. 516).

ბ) ხმოვანმონაცვლე ზმნები ე ხმოვნიანი თემატური ფუძით:

-ამ (← -ავ) თემის ნიშნით:

„მერე დაზელილ აყალო მინას დავგლესამთ“ (იმერ., 1973, გვ. 365); „[ფშანს] ვკრეფამ და ისხამსო“ (იმერ., 1973, გვ. 387); „ერთს მოვკრეფამ კიდე“ (იმერ., 1973, გვ. 531).

გ) ხმოვანმონაცვლე ზმნები ი ხმოვნიანი თემატური ფუძით:

-ავ თემის ნიშნით:

„დავგლისავთ აყალოთი“ (იმერ., 1973, გვ. 340); „საფუვერით მოვზილავთ“ (იმერ., 1973, გვ. 478); „ყურძენს რო მოვკრიფავთ, ბეში ჩავყრით“ (იმერ., 1961, გვ. 462); „პურს კი არ ვცრით, ვტკიცავთ სამტკიცვი“ (იმერ., 1973, გვ. 478); „დაფრინავს ტრედი“ (იმერ., 1973, გვ. 335); „ძმები მაშინ იფშვნიტავენ თვალებს და იბანენ პირს“ (იმერ., 1961, გვ. 452); „ხელით ემარგლით, ამოვწმინდავთ ბალახეფს“ (იმერ., 1973, გვ. 486); „სადანაც სისიოვლე ექნება ფოთოლს, იქანა გახვრიტავს“ (იმერ., 1973, გვ. 535).

-ამ (← -ავ) თემის ნიშნით:

„[ჭურს] დავგლისამთ აყალო მინით“ (იმერ., 1973, გვ. 339); „ზოგჯერ ვკრიფამთ პარკეფს“ (იმერ., 1973, გვ. 516); „რა არი ეს, რა მიფრინამსო?!“ (იმერ., 1961, გვ. 455); „[ფრინველს] მოვწყვიტამ თავს, პატონო-თქი“ (იმერ., 1973, გვ. 435).

ასეთივე ფუძე გვხვდება -ებ თემის ნიშნითაც:

„მერე ავკონით, ნნელს მოუჭირებთ“ (იმერ., 1973, გვ. 485).

ი ხმოვნიანი ფუძით გვხვდება -ავ და -ამ თემის ნიშნებით გართულებული „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმებიც:

„სახარება უჭირავს ხელში“ (იმერ., 1973, გვ. 330); „ამ კაცს დასაკრავ ხელში უჭირამს“ (იმერ., 1973, გვ. 377).

სხვა დიალექტების და სალიტერატურო ენის მსგავსად, ზემოიპერულში გვხვდება ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისები, რომლებიც ე ხმოვნის მქონე ათემატურ ფუძეებს ემყარებიან:

„რო გაათავებდენ კრეფას გლეხები, შემდექ დოუდებდენ ურმებზე [ყურძენს]“ (იმერ., 1973, გვ. 445); „იქ დარჩენა არ შეიძლებოდა“ (იმერ., 1973, გვ. 407); „ჭაჭების ჩაქცევა მოუხთა“ (იმერ., 1973, გვ. 338); „წინასწარ ვიცოდა აოშვა, ნიადაგის განმენდა ბალახებისაგან“ (იმერ., 1973, გვ. 486); „[ქველიდან თევზის] შეიძლება დანრეგით გამოყვანაც“ (იმერ., 1973, გვ. 407); „თებ-

ის ჭერა მიყვარდა" (იმერ., 1973, გვ. 434). დადასტურდა ი ხმოვნის მქონე მატარებელი ფუძის სანყისიც: „ქათამი ფრინვეთ მიდის" (იმერ., 1974 (1), გვ. 393).

ცალკეულ შემთხვევათაგან საყურადღებოა, რომ ჩვეულებრივ ე ხმოვნია-ნი ზმნა „ჩვენება" ზემოიმერულში მეორე სერიის ფორმებს ხმოვანმონაცვლე-თა მსგავსად ი ხმოვნით წარმოგვიდგენს. „ნამუვიდა ისე საქმე, რო მაჩინეს ქალი" (იმერ., 1973, გვ. 355); „ნამიყვანა და მაჩინა" (იმერ., 1973, გვ. 487).¹

ქვემოიმერულში, კ.კუბლაშვილის დაკვირვებით, ხმოვანმონაცვლე ზმნე-ბი „ანწყოსა და მისგან ნანარმოებ მწკრივებში ჩვეულებრივ -ავ თემის ნიშანს დაირთავენ ხან ანწყოს, ხან კიდევ წყვეტილის ფუძეზე, ამიტომ გავრცელებულია პარალელური ფორმები: გლეჯავს // გლიჯავს: გლეჯავს ჯაურობას..., გლიჯავს ქარი ყველაფერს..., კრეფავს // კრიფავს: კრეფავს ჩაის..., კრიფავს კარქა ვაშლს..., კეჩავს // კიჩავს: კეჩავს ვაშლის..., კი-ჩავს მშიერივით..., ჩხრეკავს // ჩხრიკავს: ჩხრეკავს ყველაფერს..., ჩხრიკავს საბლს..., გაფხეკავს // გაფხიკავს: აცალე, თვითონ გაფხეკავს..., გამოართ-ვა ბელში, თვარა გაფხიკავს და გაფუჭტება..., გატლიკავს // გატლიკავს: უყურეფ ერთი, რაფრათ გატლიკავს..., გატლიკავს მარილს ცოტა..." (კ.კუბ-ლაშვილი, 1985, გვ. 157).

ავტორი იქვე მიუთითებს, რომ უწყვეტელსა და მისგან ნანარმოებ მწკრივებში უპირატესად წყვეტილის ფუძეს დაერთვის -ავ თემის ნიშანი: წარიკავდა, კიჩავდა, კრიფავდა, გლიჯავდა, გრიხავდა, ბზიკავდა, დაჩ-ბიტიკავდა, გაფლიტიკავდა და მისთ.

ცნობილია, რომ ხმოვანმონაცვლე ზმნებზე თემატური სუფიქსის დართ-ვის ტენდენცია ქართული ენის სხვა დიალექტებისა და რამდენადმე სალიტე-რატურო ენისთვისაც არის დამახასიათებელი. „ქვემოიმერულში კი, სადაც მძლავრად მოქმედებს გაერთფეროვანების ტენდენცია, ფუძედრეკადი ზმნები, ჩვეულებრივ, თემის ნიშნით წარმოგვიდგებიან" (კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 157).

ქვემოიმერულში ხმოვანმონაცვლე ზმნათა სანყისებთან დაკავშირებით კ.კუბლაშვილი აღნიშნავს, რომ, რადგან სანყისის სანარმოებლად პირველი სერიის თემა საჭირო, ხმოვანმონაცვლე ზმნათა სანყისის ფუძეში ე უნდა იყოს და არა ი. მაშასადამე, უნდა გვექონდეს: გრეხა და არა გრიხა, ჟლეტა და არა ჟლიტა, კებნა და არა კბინა, თუმცა ავტორი წერს, რომ ქვემოიმერულ-ში სწორედ ეს უკანასკნელია გავრცელებული, „მაგრამ არა იმიტომ, რომ ამოსავალ ფუძედ აქ სანყისი II სერიის თემას იყენებს, არამედ იმის გამო,

1. ე.—ი ხმოვნათა ცვლილებას აქვს ადგილი „ბენვი" სახელისაგან ნანარმოებ ზმნაშიც: გა-ბენვა, გაბინვა, რაც ქვემოიმერეთის რეგიონშია დადასტურებული და ბუმბულის, წვრილი ლინდლების გაცლას ნიშნავს: „დაკლულ ბატს გაუტყის მერე კარქა გაბინვა უნდა და მოტ-რუსება" (იმერ., 1986, გვ. 156).

რომ ყველა ფუძედრეკადი ზმნა -ავ თემატურ სუფიქსს დაირთავს I სერიის ფუძეზე უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების შედეგად: წყვიტავს, კრიფავს..., ამიტომ ისინი ჩვეულებრივ ორთემიან ზმნათა რიგში გადაირიცხებიან და სანყისს წესისამებრ, ანმყოს ფუძიდან აწარმოებენ: დეინყო უმწოთ ბზიკვა..., დოუკვირდი და მესმის რაცხა ქმინვა..., ისტაველა ღრინვა..., მოუბთა მავას თმის გაკრიჭვა..., ჩავყრით ყურძენს სანნახელში და დევიწყებთ ფეხით ჭყლიტეას..., ვაშლი კრიფვა თელი დღე არაა ადვილი საქმე..., ეტაკა და დაუნყო კპინვა..." (კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 129).

ამრიგად, მკვლევრის აზრით, ამ ტიპის სანყისებში კვლავ ანმყოს ი ხმოვნინანი თემატური ფუძეა საყრდენი; თუმცა, როგორც ზემოთ ჩანდა, ასეთსავე ფუძეებს ავტორი სხვაგან წყვეტილის სახელით მოიხსენიებს. ი ხმოვნის შემცველი თემატური ფუძეების შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ამჯერად კ ჩვენთვის ქვემოიმერული ბმოვანმონაცვლე ზმნების სანყისების ჩვენება იყო მთავარი. ცალკეულ შემთხვევათაგან საყურადღებოა შემდეგი:

ა) ქვემოიმერულში შესაძლოა ფუძე -ევ სუფიქსით გართულდეს: ატნევეს ფულს..., ატნევედა მზითებს..., გაატნია ფული..., გაატნისო მზითები. ეს უკანასკნელი ფორმები კი ევ-იან ზმნათა II სერიის მსგავსადაა ნაწარმოები; შდრ.: არკევეს — გაარკვია, ამწყერევეს — დაამწყერია (კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 158).

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ქვემოიმერულში ფართოდაა გავრცელებული ი ხმოვნინანი თემატური წარმოება, „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმები ე ხმოვნინანი ათემატური ფუძით გვხვდება: უჭერია. ეს და მსგავსი ზმნები სალიტერატურო ენაში პარალელური წარმოებითაა ცნობილი: უჭირავს // უჭერია. ქვემოიმერულში კი ისინი -ია დაბოლოებიანი წარმოებით გვხვდება: „... ცალ ხელში პური უჭერია...“ (კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 151). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში -ია დაბოლოებიანი წარმოების ფართოდ გავრცელების გამოა ე ხმოვნინანი ათემატური ფუძე შენარჩუნებული.

გ) ქვემოიმერულში შუალობითი კონტაქტის ფორმები ასმევეს, აჭმევეს, აცმევეს, ართმევეს, ჩვეულებრივ I სერიაში წარმოდგენილია -ევ სუფიქსის დაურთველად: ასუმს, აჭუმს, აცუმს, ართუმს სახით, II სერიაში კი: ჩააცმია, წაართმია, ასმია, აჭმია ფორმებით (კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 172-173).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ იმერულის კილოკავები ხმოვანმონაცვლე ზმნების წარმოებისას, მიუხედავად ერთგვარი განსხვავებისა, საერთოს ბევრს გვიჩვენებენ. ეს უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ ორივე კილოკავში I სერიაში დასტურდება აღნიშნულ ზმნათა თემატური ფუძეები (ეს უკანასკნელი ძირითადია ქვემოიმერულისათვის). ამას გარდა, ზემოიმერულ და ქვემოიმერულ ბმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოებისას მსგავსება სხვა მხრივაც ვლინდება:

1. მთელ იმერულში ვე კომპლექსი გვაძლევს ო-ს. ეს პროცესი სხვებთან

ერთად ხმოვანმონაცვლე ევ-იან ფუძეებშიც გვხვდება. მათ შორის როგორც ზმნურ, ასევე სახელზმნურ ფორმებში: ირკოვს, ახოედენ, არლოედენ; მიჩო-ული, გახოული და სხვა (ქ.ძონენიძე, 1973, გვ. 45, გვ. 145, გვ. 207; კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 78).

2. საერთოდ მთელ იმერულში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, -ევ სუფიქსიანი ზმნები მეორე სერიის მწკრივებში (წყვეტილსა და მეორე კავშირებითში) ე-ი მონაცვლეობით ხასიათდება, ხოლო ვინი იკარგება ცნობილი მიზეზების გამო და გვრჩება მხოლოდ (-ევ → -ივ → -ი) -ი (არკვევს - გაარკვია და სხვ.).

3. როგორც ზემო-, ასევე ქვემოიმერულში, „ჭერა“ ზმნის I თურმეობითის ფორმები გვხვდება ი ხმოვნისანი თემატური ფუძეებით:

„დეევს დუჭირავენ ეგენი“ (იმერ., 1961, გვ. 475); „გამოვარდნილა მისი მამაპოილი და მოუბევენია ხელი, დოუჭირავს ასე“ (იმერ., 1973, გვ. 424). ამგვარ ფორმათა საყრდენად I სერიის ი ხმოვნისანი თემატური (იჭირავს ტიპის) ფუძეები ივარაუდება.¹

4. იმერულში სწორია მიმლეობის ფუძისაგან -ობ → -ოფ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნები: კეხულობს, ჩემულობს, ტანულოფს, სნაღლულოფს და სხვ. (ი.ქავთარაძე, 1960, გვ. 190-194; ქ.ძონენიძე, 1973; გვ. 130; გვ. 247; კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 158). აღსანიშნავია, რომ ამგვარი ნარმოებით გვხვდება ხმოვანმონაცვლე ზმნა „რჩენა“ დ.კლდიაშვილის თხზულებებში: „— თავს ველარ ვრჩენულობთ, დედა... თავს ველარ ვრჩენულობთ! ... ნელში ეწყდებით მუშაობით, მარა არა გამოდის რა...“ (დ.კლდიაშვილი, 1961, გვ. 556).

2.12. ხმოვანმონაცვლე ზმნები ლეჩხუმურში

ცნობილია, რომ ქართული ენის ლეჩხუმურ კილოშიც, სხვა კილოებისა და სალიტერატურო ენის მსგავსად, „ფუძედრეკად ზმნებს დაერთვის ანმყოს ჯგუფის მანარმოებელი აფიქსი -ავ: წყვეტ-ავ, ხვრეტ-ავ, უნეტ-ავ, დრეკ-ავ, ღლეთ-ავ, კრეფ-ავ, სრეს-ავ, წმენდ-ავ, ხლერ-ავ, კრეჭ-ავ, გლეჯ-ავ; წყვიტ-ავ, ხვრიტ-ავ, კრიჭ-ავ, გლიჯ-ავ“ (მ.ალავიძე, 1941, გვ. 233).

ჩვენი მხრით, ამ მაგალითებთან ერთად გვინდა დავასახელოთ ლეჩხუმური ხმოვანმონაცვლე ზმნები ე ხმოვნის მქონე ათემატური ფუძეებით:

„ყველს მოეზელთ“ (ლეჩხ., 1961, გვ. 495); „[მახა] რო დამნიფდებოდა,

1. ვფიქრობთ, ასეთივე ი ხმოვნისანი ფუძე უნდა იყოს საყრდენი მიმლეობისათვის დაჭირული, რაც ქვემოიმერულშია დადასტურებული და შედგენილი შემასენლის სახელად ნაწილად გვხვდება: „გოგე რო დაჭირულია, ვინ იცის ეგი“ (კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 130). ვარაუდობენ, რომ ამ მიმლეობაში -ულ, ჩეულებრივ, გვაქვს მაშინ, როცა საყრდენი ზმნური ფუძე -ავ თემისნიშანია: ...იჭირავს → დაჭირული“ (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 487), შდრ.: იფერს → დაჭერილი.

ეკრეფდით მაშაკით"; „[ხორბალი] დამნიფდებოდა, მოვკრეფდით“ (ლეჩხ., 1961, გვ. 490); „გამევიარე ლასხანას, ქალები კრეფდენ შავფხანალას“ (ლეჩხ. 1941, გვ. 246); „ყავარს გაენმენდო“ (ლეჩხ., 1961, გვ. 494).

ამრიგად, ლეჩხუმურშიც პირველ სერიაში ხმოვანმონაცვლე ზმნები სამს. პარალელური ვარიანტით გვხვდება: ა) ე ხმოვნის მქონე ათემატური ფუძეები, ბ) ე ხმოვნის მქონე თემატური ფუძეები, გ) ი ხმოვნის მქონე თემატური ფუძეები.

არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ლეჩხუმურში გაბატონებული მდგომარეობა მეორე სერიაზე დამყარებულ ხმოვანმონაცვლე ზმნებს უჭირავთ. ამის დასადასტურებლად შემდეგ ფაქტებს ასახელებენ:

„ა. თუ სალიტერატურო ენაში ფუძედრეკადი ზმნები I თურმეობითს ძირითადად I სერიის თემით ანარმოებენ (გაუკრეჭია, გაუნნენდია, გაუსრესია, მოუდრეკია...), ლეჩხუმურში ყოველთვის II სერიის თემას იყენებენ. გოუკრიჭია, გოუნმინდია, გოუსრისია, მოუდრიკია...“

ბ. მეორე სერიის ფუძეა გამოყენებული მასდარის წარმოების დროს: კრ:ჭავს (←გაკრიჭა) → გაკრიჭვა, ხლიჩავს (←გახლიჩა) → გახლიჩვა, წმინდავს (←განმინდა) → განმინდვა...

გ. მეორე სერიაზე დამყარებულ ფუძეს იყენებს მიმლეობაც, ოღონდ აღსანიშნავია ისიც, რომ ასე ნაწარმოები მიმლეობები სალიტერატურო ენაში გავრცელებული ფორმისაგან განსხვავდებიან არა მარტო ფუძისეული ხმოვნით ე/ი, არამედ სუფიქსითაც. სახელდობრ, თუ სალიტერატურო ენაში ფუძედრეკადი ზმნებისაგან მიმლეობა -ილ სუფიქსით იწარმოება, ლეჩხუმურში უკვე მანარმოებლად -ულ-ი გვაქვს. შდრ.: დრეკს → დრ:კა → მოდრეკ-ილ-ი. ნყვეტს — ნყვიტა — მონყვეტ-ილ-ი, ჟლიტს — ჟლიტა — გაჟლიტ-ილ-ი და: დრიკ-ავ-ს — დრიკ-ე-ა — მოდრიკ-ულ-ი, ნყვიტ-ავ-ს — ნყვიტ-ე-ა — მონყვიტ-ულ-ი, ჟლიტ-ავ-ს — ჟლიტ-ე-ა — გაჟლიტ-ულ-ი...

-ულ- სუფიქსის უ მიღებული უნდა იყოს ვი კომპლექსისაგან, რომელსაც ქმნის თემისნიშნისეული -ვ და -ილ სუფიქსისეული -ი: კრიფ-ე-ა — მოკრიფ-ე-ილ-ი → მოკრიფ-ულ-ი, ლლიტ-ე-ა — გალლიტ-ე-ილ-ი → გალლიტ-ულ-ი, ხლიჩ-ე-ა — გახლიჩ-ე-ილ-ი → გახლიჩ-ულ-ი...“ (ქ.აკაიტაძე, 1987, გვ. 141).

ი ხმოვნის შემცველი ხმოვანმონაცვლე თემატური ფუძისა და სახელზმნებში მისი გამოვლენის შესახებ ჩვენს დამოკიდებულებას ქვემოთ წარმოვადგენთ, რადგენადაც ასეთი ფუძე მხოლოდ ერთ რომელიმე დიალექტს არ ახასიათებს. ის დიალექტთა უმრავლესობასა და სალიტერატურო ქართულშიც გვხვდება.

ამჯერად კი გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ლეჩხუმური ხმოვანმონაცვლე ზმნების პირველ თურმეობითზე, კერძოდ, გოუკრიჭია, გოუნმინდია, გოუსრისია, მოუდრიკია ტიპის ფორმებზე.

ჩვენი აზრით, ამ ფორმებისათვის ამოსაველად მეორე სერიის კრიჭა, ნმინდა, სრისა, დრიკა ზმნებს ვერ ვივარაუდებთ, რადგან პირველი თურმეობა...

აი, ჩვეულებრივ, ანმყოს ფუძეს იყენებს და არა ნყვეტილისას.

ზემოთ აღნიშნული პირველი თურმეობითის ფორმებისათვის ამოსავლად ითუ ანმყოს ნიმუშებს ვიგულისხმებთ, ბუნებრივია, თემატურ ფუძიანი ფორმებია სავარაუდო, რადგან ი ხმოვნიათი ათემატური ფუძეები პირველ სერიაში საერთოდ არ გვხვდება არც ლეჩხუმურში და არც სხვა დიალექტებსა თუ სალიტერატურო ენაში.

ამრიგად, ლეჩხუმური პირველი თურმეობითის გოუკრიჭია ტიპის ზმნებისათვის ამოსავლად პირველი სერიის ი ხმოვნის მქონე თემატური კრიჭავს ტიპის ფორმები უნდა ვივარაუდოთ. რაც შეეხება პირველ თურმეობითში -ია დაბოლოების გამოვლენას, ეს იმის შედეგია, რომ ლეჩხუმური ცდილობს ყველა ზმნა ერთ ყალიბში მოაქციოს. „კერძოდ, I თურმეობითში ზმნები (გარდა მესველზმნიანებისა) იღებენ -ია დაბოლოებას. ნაცვლად შემხედავს, დამიხატავს, დამიბარავს, დამიქსელავს და ა.შ. გვექნება: შემხედია, დამიხატია, დამიბარია, დამიქსელია...“ (კ.კაკიჭაძე, 1987, გვ. 142).

ასე რომ, ეს მესამე სერიაში მომხდარი ცვლილებაა (გოუკრიჭავს → გოუკრიჭია).

სხვა თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი.

ა) ზემოთ ციტირებულ მასალაში წარმოდგენილია ი ხმოვნიათ თემატურ ფუძეებზე დამყარებული სანყისები (გაკრიჭვა და მისთანა). შევნიშნავთ, რომ ლეჩხუმურში ე ხმოვნის მქონე ათემატურ ფუძეებზე დამყარებული სანყისებიც გვხვდება:

„მიტო იყო, რო შოთა ვერ ბედავდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოჩენას“ (ლეჩხ., 1941, გვ. 237); „არავინ ფიქრობდა მის გადარჩენას“ (ლეჩხ., 1941, გვ. 240).

ბ) ლეჩხუმურშიც, ქვემოიმერულის მსგავსად, შესაძლოა ზმნის ფუძე-ეე სუფიქსით გართულდეს და ეე-იან ზმნათა მიხედვით აწარმოოს მეორე სერიის ფორმები:

„იგინი სხვა სარწმუნოების ხალხი იყო და ქალეფს არ ატნევედენ“ (ლეჩხ., 1941, გვ. 236); „ნერილს ვინმეს გავატნეე“; „მზითვი გავატნიეთ“ (ლეჩხ., 1955, გვ. 39).

გ) ლეჩხუმურში ეე-იან ზმნათა მეორე სერიაში ვინი დაკარგულია -ეე → ი(ე): „მაინძელმა დალია ერი სტაქანი ლეინო“; „ერთხელ ეწვია ცოლისძმა“ (ლეჩხ., 1941, გვ. 243) და სხვ.

დ) ზოგი ზმნა მიდრეკილებას იჩენს ფუძის გახმოვანების ცვლისაკენ უღვლილებისას: ა-ჩვენ-ებ-ს — ა-ჩვინ-ა, რაც ვნებითშიც აისახება (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 507). ასეთი ვითარება ლეჩხუმურის გარდა გვხვდება ზენოიმერულში და რაჭულში. ამ მხრივ ეს ფორმა ხმოვანმონაცვლეთა მსგავს წარმოებას გვიჩვენებს:

„იგენმა სთხოვეს ყენს, რომე ჩენი ნეფე გვაჩვინეო, სამოცი ოქრო შესწირეს, ოლონ გვაჩვინეო“; „გამეიყვანეს ნეფე და აჩვინეს“ (ლეჩხ., 1941,

გვ. 243).

ე) სხვა ქართული კილოების მსგავსად, ლეჩხუმურშიც ეე კომპლექსი გვაძლევს ო-ს. აღნიშნული პროცესი ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმათა მიმღებობებში დადასტურდა:

„არ მიყვარს ჯაგლაგი ცხენი, იორლას ვარ დაჩოული“; „ასლა პრალა პურზე მყავან ყველ-ერბო დაჩოულები“ (ლეჩხ., 1941, გვ. 246).

ვ) „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმა შემდეგნაირად იწარმოება: უჭირია (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 507).

2.13. ხმოვანმონაცვლე ზმნები რაჭულში

რაჭულშიც, სხვა ქართული კილოებისა და სალიტერატურო ქართული მსგავსად, ხმოვანმონაცვლე ზმნები | სერიის ფორმებში სამი პარალელურ ვარიანტით გვხვდება.

ა) ე ხმოვნიანი ათმატური ფუძეები:

„[ბეუანი] გაღვიძებისას გაზმორვით ყველა ჯაჭეებსა გლეჯდა“ (რაჭ., 1974, გვ. 281); „მოგლეჯენ ერთ ოქროს“ (რაჭ., 1974, გვ. 138); „სოლომანს დედა მოტირს, მოიგლეჯდა ძუძუ-მკერდას“ (რაჭ., 1974, გვ. 170); „ნინას ტუას დავგრეხდით და უკეთებდით აპოვრად“ (რაჭ., 1961, გვ. 559); „მოხეარა შავთ და გავზელთ [ლობიოს]“ (რაჭ., 1961, გვ. 540); „გაივსება ოქრო-ვერცხლი და კრეფს ქვე კი არ გადაყრის“ (რაჭ., 1974, გვ. 185); „შარამი მჭადის მარცვალსა რა აკრეფს, ნინილის მეტი“ (რაჭ., 1974, გვ. 165); „მოუყრიდით თავს ხეავს და დაეკაკებედით, ავკრეფდით ცალებში“ (რაჭ., 1961, გვ. 528); „ლორი სტკვერს ამ ტყესა“ (რაჭ., 1974, გვ. 145); „აფრენდენ მტრედს“ (რაჭ., 1961, გვ. 512); „უმფროსი კი ოქროს აჩენს“ (რაჭ., 1974, გვ. 130); „ჩემი ცოლი ვერაინ შეაცდენს, გააბრიყვებსო“ (რაჭ., 1974, გვ. 201); „ამთენი ქალები ნავიდოდეს და გასწმენდეს“ (რაჭ., 1961, გვ. 536); „გველი და ბაყაყი და ხელიკი იბრძვიან, ერთმანეთსა წყვეტენ“ (რაჭ., 1974, გვ. 183); „მითხარი, თვარე მოგსწყვეტო ძუძუს თავსაო!“ (რაჭ., 1974, გვ. 139); „[ერთი კაცი] ჩიტებს იჭერს“ (რაჭ., 1974, გვ. 289); „არ იცოდო, შე უგნურო, ვერ დეიჭერს ლომსა ბადე“ (რაჭ., 1974, გვ. 238); „მანიჯა თავს დაადგა და ჭვრეტს“ (რაჭ., 1974, გვ. 128); „ხვალ რომ დავგვხვრეტენო...“ (რაჭ., 1974, გვ. 139); „ეკატუნებოთ შეახვრეტდენ პურზე“ (რაჭ., 1961, გვ. 523); „[ძვლებს] ცქიფივით გახლევს“ (რაჭ., 1974, გვ. 194); „[კაცი თხას] ჯგველმს“ (რაჭ., 1974, გვ. 147).

ბ) ე ხმოვნიანი თემატური ფუძეები:

-ავ თემის ნიშნით:

„ე ლორი ტკვერავს, ტკვერავს და ღარავს“ (რაჭ., 1974, გვ. 145); „სარკ: ნმენდავს კაცი“ (რაჭ., 1974, გვ. 267);

-ამ (← -ავ) თემის ნიშნით:

„ისეთი ღრიალობს, რო იქაურობასა ვლევჯამს“ (რაჭ., 1974, გვ. 219); „შენ მაგას არ მოიგლეჯამდიო!“ (რაჭ., 1974, გვ. 216); „თვალებს იფშენეტამს“ (რაჭ., 1974, გვ. 240).

გ) ი ხმოვნიათი თემატური ფუძეები:

-ავ თემის ნიშნით:

„კარი კრინავს, ძალი ღრინავს, კარს ვერ გაგიღებო!“ (რაჭ., 1974, გვ. 168);¹ „ერთი კაცი ზეით ფრინავს“ (რაჭ., 1974, გვ. 289); „ზეით ქორი მოფრინავდა“ (რაჭ., 1974, გვ. 167); „[ბიჭი] ი ლომთან შევაო და ის მოკლამს, დაფხლინავსო“ (რაჭ., 1961, გვ. 520); „ნადულს წრიტავს“ (რაჭ., 1987, გვ. 129); „ერთი კაცი კურდღლებს გადაახტება და იჭირავს“ (რაჭ., 1974, გვ. 188); „[ბიჭი] თან ხვრინავს, ვითამ ძინავს“ (რაჭ., 1974, გვ. 264).

-ამ (← -ავ) თემის ნიშნით:

„ეს ვინ მოფრინამს ტყი პირსა?“ (რაჭ., 1974, გვ. 240); „[ცეცხლს] გადმოვჩხიკამთ ძალიან“ (რაჭ., 1974, გვ. 219); „ნეტავი დევიჭირამდეთო [დათვს]“ (რაჭ., 1974, გვ. 223).

-ებ თემის ნიშნით:

„გადასაკრავებს ვადაუჭირებდით ორსა“ (რაჭ., 1961, გვ. 530). ამ თემის ნიშნით გვხვდება ეს ფუძე III სერიაშიც: „გაიარა და ერთ ხეზე შემომჯდარიყო იმისთანე მფრინველი, რომ წვერი მინაზე დაუჭირებია“ (რაჭ., 1974, გვ. 114).

-ევ თემის ნიშნით:

„მეკალმახე იყო ერთი და თევზებ იჭირედა ზღვი პირზე“ (რაჭ., 1974, გვ. 184).

ი ხმოვნიათი თემატური ფუძით (-ავ სუფიქსით) ნარმოდგენილია აგრეთვე „ჭერა“ ზმნის სტატიკური ფორმები:

„რკინი კეტი უჭირავს დევს“ (რაჭ., 1974, გვ. 193); „თოფი უჭირავ ყირმიზის“ (რაჭ., 1974, გვ. 207). ბოლო მაგალითში დაკარგულია მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანი, რაც შესაძლოა მოხდეს ზემორაჭულ და რივნისთაურ ინვერსიულ ფორმებში (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 408).

რაჭულის კილოკავების (რივნისთაურის, გლოლურის, ზემორაჭულისა და ქვემორაჭულის) მიხედვით ჩვენ მიერ განხილული მასალა ევ-იან ზმნათა წარმოების საინტერესო სურათს გვიჩვენებს. ცნობილია, რომ რაჭულში ზოგჯერ -ივ სუფიქსი აღნიშნულ ზმნათა მეორე სერიაში თავს იჩენს სრული სახით: გააქცივა (რივნისთაური), გააქცივნა (გლოლური) (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 435).

ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტექსტებში რივნისთაურში და ზემორაჭულში -ივ სუფიქსის ვ ბგერა -ა ხმოვანი სუფიქსის ნინ შენარჩუნებულია.

რივნისთაური:

1. გვხვდება ასეც: „კარი ჭრინავს, ძალი ღრინავს, კარს ვერ გაგიღებო!“ (რაჭ., 1974, გვ. 246).

- „გააქცივა [დევი]" (რაჭ., 1974, გვ. 191); „ერთი მომძაბა საჩქაროდ: ქალო, მოგდია ძმანიო" (რაჭ., 1974, გვ. 207).

ზემორაჭული:

„გელმა რა ეს დაინახა, გეინიე-გამოინიეა და სუ ძირში ამონვეციტა კული" (რაჭ., 1974, გვ. 215-216). „ვითა ბურთი განასრივა" (რაჭ., 1974, გვ. 238).

გლოლურში -ივ სუფიქსის ვ ბგერა შენარჩუნებულია თანხმოვანი სუფიქსის წინ. ეს ხდება მაშინ, როდესაც გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის სიმრავლის აღმნიშვნელად, ხოლო გარდაუვალში სუბიექტის სიმრავლის აღმნიშვნელად -ნ (← -ენ) სუფიქსი გვხვდება:

ა) -ივ სუფიქსის ვ ბგერა შენარჩუნებულია სუბიექტის სიმრავლის გამოხატველი -ნ (← -ენ) სუფიქსის წინ, რომელსაც თავის მხრივ -ენ სუფიქსი მოსდევს:

„აირივნენ ქიორლები" (რაჭ., 1974, გვ. 208); „მოენივნენ შუა გზაზე" (რაჭ., 1974, გვ. 117); „ერთ ღამესა სულ შემუეხვივნეს ნადირი ამ ქალსა, მარე ე ქალი არ შეჭამესო" (რაჭ., 1974, გვ. 125).

ბ) -ივ სუფიქსის ვ ბგერა შენარჩუნებულია ობიექტის სიმრავლის გამოხატველი -ნ (← -ენ) სუფიქსის წინ, რომელსაც -ა სუფიქსი მოსდევს:

„ამ დევმა ველარ გაარჩიენა" (რაჭ., 1974, გვ. 126); „[კაცმა] მოიჩვიენა ე დევები" (რაჭ., 1974, გვ. 136); „იმას ძალლები დაახვიენა და შეაჭამა" (რაჭ., 1974, გვ. 118). აღსანიშნავია, რომ -ნ სუფიქსის გარეშე ვინიც არ იქნება შენარჩუნებული, ამას კარგად გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი, რომელშიც პარალელური ფორმები გვაქვს (პირდაპირი ობიექტით. მხოლოებით რიცხვში და პირდაპირი ობიექტით მრავლობით რიცხვში):

„[კაცი] წამოვიდა და მათრახი დახკრა ცოლს და ჭკვიერად აქცია და მეორე მამალ ვირად აქცია... შეაბნა კალოში და ოცი ნელინადი არ გამოუნვა... აქციენა ვირად და აღენეინა..." (რაჭ., 1974, გვ. 118).

-ნ (← -ენ) სუფიქსს შეიძლება მოსდევდეს -ის სუფიქსიც:

„ეს ცხენები წაერთმინენეს ქურდებისათვის" (რაჭ., 1974, გვ. 153).

ქვემორაჭულში ევ-იან ზმნათა მეორე სერიაში -ივ სუფიქსის ვინი არ შეგვხვედრია. ფაქტობრივად, ასეთი ვითარება რაჭულურ სემოლნიშნულ სამ კილოკავშიც გვხვდება, მაგრამ ამ კილოკავებში ვინის შენარჩუნების ცალკეული შემთხვევებიც გვაქვს, როგორც ეს ზემოთ წარმოვამოხილეთ მასალაში ჩანდა.

რაჭულში აღნიშნულ ზმნათა სანყისები ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეების ემყარებიან:

„ქნევა ხრმალისა" (რაჭ., 1974, გვ. 162); „კოდალაზა იცის ფუტურო ხის გახერეტა" (რაჭ., 1974, გვ. 283).

გვხვდება აგრეთვე ისეთი სანყისებიც, რომლებიც ი ხმოვნიან თემატურ:

ფუძეებს ენყარებიან:

„ძალიან ძნელია სიკინკალას დაჭირვა“ (რაჭ., 1987, გვ. 45); „ნრიტვა წრეტა“ (რაჭ., 1967, გვ. 129).

ცალკეულ შემთხვევათაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. „ზოგი ფუძედრეკადი ზმნა სერიების მიხედვით გახმოვანებას არ იცვლის: „რა ბედს უნდა მ-ნე-ო-ნ (=მნიოს) თევზმაო“; შე-უ-ტევე-ე-თ „შეუტევე-თ“, შემო-უ-ტევე-ა „შემოუტევა“ (ჯლოლური); და პირაქით -- გახმოვანებას იცვლის ზმნა, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, ეს მოვლენა არ ანიშანდობლივი: „ა-ჩინ-ა (// აჩენა) დათვის კვალი“ (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 422).

ჩვენი მხრით შევნიშნავთ, რომ „შეუტევა“ ტიპის წარმოება გლოლურის გარდა დადასტურდა რივნისთაურშიც:

„რავეც შეუტევა, ნევიდა ბოსელში, ნამოიყვანა ეს ქალი“ (რაჭ., 1974, გვ. 173). რაჭულის დანარჩენ ორ კილოკაეში, ზემორაჭულსა და ქვემორაჭულში, მსგავსი ვითარება ვერ დავადასტურეთ.

ჩვენი მასალის მიხედვით ასეთივე ვითარება გვაქვს „აჩინა“ ტიპის წარმოებისას. კერძოდ ეს უკანასკნელიც გლოლურსა და რივნისთაურში დასტურდება. შევნიშნავთ, რომ მსგავსი ფორმა ზემოიმერულსა და ლეჩხუმურშიც გვხვდება. ამ ზმნის ფუძეში ი ხმოვნის გაჩენა შესაძლებელია ხმოვანმონაცვლე ჩენ/ჩინ ფუძის ანალოგიით იყოს განპირობებული.

2. რაჭულში შესაძლოა ფუძე -ვე სუფიქსით გართულდეს (ატნ-ვე-ს) და გამოვანმონაცვლეთა მსგავსად ანარმიოს მეორე სერიის ფორმები:

„ქარებში თითი დაატნია“ (რაჭ., 1987, გვ. 38). ასეთი ვითარება რაჭულის გარდა ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურშიც გვაქვს.

3. სხვა ქართული კილოების მსგავსად, რაჭულშიც ვე კომპლექსი გვაძლევს ო-ს. აღნიშნული პროცესი ხმოვანმონაცვლე ზმნისაგან მომდინარე მიმღობაში დავადასტურეთ, რომელიც დღეს არსებით სახელად გამოიყენება:

„გაიმსებოდა სათავე და სადლობელში ჩაასხამდნენ (//ჩაასხემდნენ)“ (რაჭ., 1961, გვ. 515).

2.14. ხმოვანმონაცვლე ზმნები გურულში

ქართული ენის გურულ კილოში „...ზოგი ზმნა (უპირატესად -- ფუძედრეკადი) თემის ნიშნით რთულდება: გრიხ-ავ-ს, ნყვიტ-ავ-ს, ი-ჭირ-ავ-ს. ფუძე ჩვეულებრივ, ი -- გახმოვანებით დასტურდება“ (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 531).

„დავიჭირავ“ გვხვდება ე. ნინოშვილის თხზულებათა ენაშიც: „ -- მაცა, დარიკო, შე დავიჭირავ! -- მიაძახა სიმონამ შორიდან“ (ე.ნინოშვილი, 1954, გვ. 160).

ასეთივე ფუძე გურულში გვხვდება -იდ სუფიქსითაც:

„თათრები გამოდოდენ და იჭირვიდენ ქალეფს“ (გურ., 1961, გვ. 418).

მსგავსი ფუძე შესაძლებელია პირველ თურმეობითშიც გვეპოვნება:

„[ლორი] ერთი უგუმუროთ დუუჭირვენ“ (გურ., 1961, გვ. 418).

გურული ტექსტების განხილვისას დავადასტურეთ ე ხმოვნიათ ათემატური ფუძეებიც:

„ორივე გაჩუმებული უბზერენ ამ ფთას“ (გურ., 1977, გვ. 46); „წურც დაბ-
გლევჲ კპილსა კინისასა“ (გურ., 1936, გვ. 184); „საქმარო ჩუმათე აფრენს
ფულს“ (გურ., 1936, გვ. 136); „კითხეს: ყმანვილო, იარალს რო წმენდ. არ შეგ-
ვისრულო, რო გვპირდებოდი“ (გურ., 1936, გვ. 151); „თუ ვინმე დააპაუვებდა,
იძას როზგს გადუნყვიტედენ“ (გურ., 1961, გვ. 424); „ვინც დეიჭერდა, იძას
უნდა ნახოლოდა“ (გურ., 1927, გვ. 21); „ეთქუა -- დამხრეტენ, არ ეთქუა --
-- დამხრეტენ მაინც“ (გურ., 1936, გვ. 111).

მაშასადამე, გურულში დასტურდება ხმოვანმონაცვლე ზმნების რიგ
პარალელური ფუძე: ი ხმოვნიათ თემატური და ე ხმოვნიათ ათემატური.
ე ხმოვნიათ თემატური ფუძეები (დრეკავს ტიპისა) ჩვენ მიერ განხილულ
გურულ ტექსტებში არ შეგვხვედრია.

აღნიშნულ ზმნათა სანყისებიც ორგვარად იწარმოება გურულში:

ა) სანყისები, რომლებიც ე ხმოვნიათ ათემატურ ფუძეებს ეყარებიან:

„დღუნყო წმენდა [მაჭახელას]“ (გურ., 1936, გვ. 151); „გამჯავრდა ივანთ-
ქარმა და მომღელს დახრუტა გადუნყვიტა“ (გურ., 1936, გვ. 111).

ბ) სანყისები, რომლებიც ი ხმოვნიათ თემატურ ფუძეებს ეყარებიან:

„დღლიზვა -- მაგრად დარტყმა, ხეთქება“ (გურ., 1936, გვ. 223); „შეუდგა
პურის მოზილვას და გამოცხოხას“ (გურ., 1961, გვ. 420); „აი ქალის დაჭირ-
ვის ამბავი გუგია ელექმელექის ხემნიფეს“ (გურ., 1977, გვ. 30).

სხვა თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

გურულში ევ-იან ზმნათა მეორე სერიაში -ივ სუფიქსს ღინი დაკარგულ
აქვს (ამირჩია, მუჭუქნია და სხვ.).¹

ასეთივე სუფიქსი -ი (-ივ ან -ინ) ამ კილოში კაუზატივის ფორმების
მანარმოებლად გვხვდება (ა.შანიძე, 1960, გვ. 361; გ.კვერენაშვილი, 1941,
გვ. 205; გრ.იმნაიშვილი, 1966 (2), გვ. 264).

საერთოდ, გურული კილოს ევ-იან ზმნებში მომხდარი ცვლილებებისათ-
ვის საყურადღებოა კაუზატივის სხვა ტიპის წარმოებაც. აღნიშნულ ფორმა-
თა ანალიზს ბ.ჯორბენაძის მონოგრაფიიდან წარმოვადგენთ: „-ეე სუფიქსი-
ანი კაუზატივების ნაცვლად გურულში ფუძის გახმოვანებაცვლილი ფორ-

1. გურულში „ზოგი ზმნა -ივ → -ი ფორმანტი ირთულვებს ფუძეს: ითასხმეფეს „ითარხ
მებს“, იხმაროფეს „იხმარს“, იმორიფეს „იმორებს“ (ბ.ჯორბენაძე, 1987, გვ. 531). აღსანიშ-
ნელი სუფიქსი რედუქციის საფეხურზეა და მისი ამოსავალი -ეე სუფიქსი უნდა იყოს. რიგ-
შიც მომდგენო ხმოვნიათ სუფიქსის გამო ი საფეხურს გვიჩვენებს და კარგავს კ: -ეე
-ებ → -ივ + -ებ → -ი + -ებ // -ი + -ეუ.

მეზია გამოყენებული: აჭუმს „აჭმევს“, ასუმს „ასმევს“, აცუმს „აცმევს“, ათქუმს „არქმევს“; ნამყო ძირითადი: აჭმა, ასმა, ჩააცმა, ათქმა, რონ-
 ლებიც -ევ → -ივ// -ი გადაბგერებით ჩანს მიღებული: აჭმევს → *აჭმევა →
 აჭმა (აჭუმს და აჭმა ორი პარადიგმის კონტანინაციით უნდა იყოს მიღებუ-
 ლი: აჭუმს აჭამა და აჭმევს -- აჭმა, აქედან: აჭუმს -- აჭმა). გარდა ამი-
 სა, გვხვდება ასეც: ა-ჭმ-ი-ეფ-ს // ა-ჭმ-ოვ-ი-ეფ-ს, ასმიეფს // ასმოვიეფს,
 აცმიეფს // აცმოვიეფს; ნამყო ძირითადი: აჭმა // აჭმოვია, ასმა // ასმო-
 ვია, ჩააცნია // ჩააცმოვია (ა-ჭმ-ი-ა ნამყო ძირითადად უნდა მოუდოდეს
 ა-ჭმ-ი-ეფ-ს ფორმას, მაგრამ შეესაბამება *ა-ჭმ-ი-ეფ-ს → ა-ჭმ-ი-ეფ-ს ფორ-
 მას და იმედგეროულად ა-ჭუმ-ს ფორმის ნამყო ძირითადიცაა). შეენიშნავთ,
 რომ ა-ჭუმ-ს, ა-ჭმ-ი-ეფ-ს და ა-ჭმ-ოვ-ი-ეფ-ს ერთმანეთს სემანტიკურაჯ
 კერ ფარავს: აჭუმს „აჭმევს“, მაგრამ: აჭმიეფს // აჭმოვიეფს „აჭმევიებს“,
 ასევე: აცუმს „აცმევს“ - აცმიეფს // აცმოვიეფს „აცმევიებს“. დაჩნდება
 ოდენ -ოვ სუფიქსიანი ფორმებიც: ა-ჭმ-ოვ-ს, ა-სმ-ოვ-ს, ა-ცმ-ოვ-ს; იგივეა,
 რაც: აჭუმს, ასუმს, აცუმს“ (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 532).

2.15. ხმოვანმონაცვლე ზმნები აჭარულში

ქართული ენის აჭარულ კილოში ფართოდაა გავრცელებული ხმოვან-
 მონაცვლე ზმნები ი ხმოვნის თემატიური ფუძით. შ.ნიჟარაძე აღნიშნავს,
 რომ „მათთან | სერიაში ე ხმოვანი ი-ნითაა შეცვლილი; მაგალითად სხამ
 ბოუნყოფ, დევიჭირავ, თოკ წაკაბამ ფეხზედავო... თელი ქერქიდან თოკ
 გგრიხავთ ჩვენ... აღნიშნული თემის ნიშანი გვხვდება არაფუძედრეკად
 ზმნასთანაც ჩაკნერავ: თუარ გაცდენ, ჩაკნერავ შენც! | ...

მოყვანილ „ფუძედრეკად“ ზმნებში ე ხმოვნის ნაცვლად ი-ნის არსებობა
 შემდეგნაირად უნდა აიხსნას: თემის ნიშნის დართვის გამო ზმნა იქცევა
 ორთემიანად, | სერიის ფუძე წარმოადგენს II სერიაში ხმარებულ ფუძეს (ე-
 გრის-ე, დევი-ჭირ-ე) -ავ თემის ნიშნით“ (შ.ნიჟარაძე, 1957, გვ. 46, იხ. აგრეთ-
 ვე, შ.ნიჟარაძე, 1975, გვ. 147; ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 560).

შესაძლებელია თემისნიშნისუფლი ხმოვანი მომდევნო ხმოვნის სუფიქ-
 სის გავლენით შეიკუმშოს:

„ეზანს დეიძახებს და ბოლოს მინარეიდან გადმოხტება და ქვეშ ხალხი
 გროვდება და იჭირვენ, რომ არ დეიმტრას“ (აჭარ., 1981, გვ. 133).¹

ასეთივე ფუძით გვხვდება | თურმეობითის ფორმაც:

„ბოლოს ისინიც დუჭირვან თურქეფ, გუდუსახლებიან თურქეთ და იქ
 დუშმარჯვან“ (აჭარ., 1957, გვ. 75).

საყურადღებოა, რომ გარდამავალ ზმნათა | თურმეობითი მკვიდრდე-

1. ეს მოყვანა აჭარულში კარგადაა ცნობილი, კერძოდ: ანწყოსა და მყოფადის მწკრი-
 ვეში შესაძე სუბ. პირის მრავლობითის აღნიშვნელი -ენ სუფიქსის დართვისას იკარგება
 -ავ და -ამ თემის ნიშანთა ა ხმოვანი“ (შ.ნიჟარაძე, 1975, გვ. 147).

ბა -ია დაბოლოებიანი წარმოება -აე/-ამ თემისნაშენიან ზმნებთანაც, რის გამოც ზოგი ხმოვანმონაცვლე ზმნა (იჭირავს...) | თურმეობითი ი ხმოვნიანი ათემატური ფუძით გვხვდება: დამიჭირია „დამიჭერია“, დაგიჭირია „დაგიჭერია“, დუჭირია „დაუჭერია“ (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 564).

„ჭერა“ ზმნის ი ხმოვნიანი ფუძე პირველ სერიაში გვხვდება -ებ თემის ნიშნითაც:

„ღივები რომ ქვას უჭირებენ ხელს, ფშნიან“ (აჭარ., 1981, გვ. 58).

ი ხმოვნიანი თემატური ფუძით იწარმოება ამ ზმნის სტატისტიკური ჯორმაც:

„სული კილით უჭირავს“ (აჭარ., 1981, გვ. 104).

აჭარულ ტექსტებში ხმოვანმონაცვლე ზმნები პირველ სერიაში ე ხმოვნიანი ათემატური ფუძითაც გვხვდება:

„ღივები გლეჯენ ნიფლებს და აწყობენ“ (აჭარ., 1981, გვ. 58); „ზოგს კისერს უგრებენ, ზოგს ტურებს უქცევენ, ზოგს კლავენ“ (აჭარ., 1981, გვ. 41); „ერ მოზელა მინას სამი კაცი, ერ საათს მოზელს“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 412); „ხეჭეჭურას და სართულას მოვეკრეთ“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 396); „ორ-სამოქნევაზე თლათ გავუღვტ ამ ბუზეფსო“ (აჭარ., 1961 (2), გვ. 219); „ასე იოლათ ირჩენდა თავს“ (აჭარ., 1957, გვ. 110); „ჩავერი გასტკლევდა [ჭურჭელს]“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 411); „მიერე ნელინადს მოვნმენდთ ჩალის ლერება“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 410); „გადანყვეტს ის კაცი, რომ ამას ძინავს“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 405); „ბანრის ერთ თავს ვეზირი დეიჭერს“ (აჭარ., 1981, გვ. 94); „როცა დავწყებთ ჩავერს გაურევთ წყალს“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 411).

ამრიგად, აჭარულში ძირითადად ხმოვანმონაცვლე ფორმები ორი პარალელური ვარიანტით (ე ხმოვნიანი ათემატური და ი ხმოვნიანი თემატური ფუძეებით) გვხვდება.

ერთ შემთხვევაში დადასტურდა ე ხმოვნიანი თემატური ზმნური ფუძეც:

„ახორის კედლეჲ კარქა შეგლეხვენ“ (აჭარ., 1961 (2), გვ. 158).

აღნიშნულ ზმნათა საწყისებიც ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი აჭარულში.

ა) საწყისები, რომლებიც ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეებს ემყარებიან: „[კიდელს] ჩამოვკიდავ კიდო და დევწყეფ კრეფწს“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 403); „[ბრინჯს უნდა] ბოლოს წმენდა ისე, რაცხაფერ სიმინდი გავწმინდეთ“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 410); „დაჭნეხიდან მეზუთე დღეს დაღვინებულია“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 411).

საყურადღებოა, რომ ერთ შემთხვევაში დადასტურდა საწყისი, რომელიც სწორედ ე ხმოვნიან თემატურ ფუძეს ემყარება, თუმცა ოვით ზმნური ფორმა აჭარულ ტექსტებში ვერ დაედასტურეთ:

„ადესა ყურძენს უნდა სხეპვა, გადანყობა“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 411).

მ.რ.: სხეპ/სხიპ. ზემოაღნიშნულ საწყისში ვინი თემისნიშნისეულია.

ბ) საწყისები, რომლებიც ი ხმოვნიან თემატურ ფუძეებს ემყარება:

„შენ ყველთინ მასე ფომფოთ იცი საქმის დაჭირვა!“ (აჭარ., 1961 (2), გვ. 186); „ანუშევენ ხრინვა“ (აჭარ., 1981, გვ. 33).

საყურადღებოა, რომ ი ხმოვნიან თემატურ ფუძეებს ემყარება შემდეგი მიმღეობებიც:

„ამ დაჭირულმა თებ ზმა, კტარმა თებ ზმა გეიცინა დიდათ“ (აჭარ., 1981, გვ. 152); „ისე მაგრათ ქონდა მოჭირებული ხელი, რომ ვერაფრით ვერ მუშავებიეთ“ (აჭარ., 1971, გვ. 273).

ცალკეულ შემთხვევათაგან აღსანიშნავია შემდეგი:

აჭარულშიც, დასავლური კილოების მსგავსად, ევ-იან ზმნათა მეორე სერიამი -ივ (← -ევე) სუფიქსს ვინი ეკარგება:

ცნობილია, რომ „მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად ყველა ტიპის ზმნათა ნამყო უსრულსა და გარდაუვალ ზმნათა ნამყო ძირითადში ზემოაჭარული ივენებს პარალელურად -ნ-ენ// -ენ ფორმანტებს... ქვემოაჭარული ოდენ -ენ ფორმანტს...“ (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 558).

ევ-იან ზმნათა მეორე სერიამი მრავლობითი რიცხვის S3 პირის ნიშნების დართვისას შემდეგი სურათი გვაქვს: -ენ სუფიქსის დროს ვინი დაკარგულია, ხოლო -ნენ სუფიქსის დროს შენარჩუნებული: „გულო კარი და გადიეხვიენ ერთქვანებს და ბევრიც კოცნეს“ (აჭარ., 1981, გვ. 89); მდრ.: „გადიეხვიენენ ერთქვანებს და გუუდგენენ გზას“ (აჭარ., 1981, გვ. 71).

ი (← -ივ ან ← -ინ) სუფიქსი, ისევე როგორც გურულში, აჭარულშიც გამოიყენება კაუზატივის სანარმოებლად (შ.ნიჭარაძე, 1957, გვ. 50; ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 565).

ასევე, გურულის მსგავსად, აჭარულშიც -ევე სუფიქსიანი კაუზატივების ნაცვლად დასტურდება „აჭუმს“, „ასუმს“ ფუძის გახმოვანებაცვლილი კაუზატივის ფორმები:

„არ აჭუმდა საკმარისად და არ ასუმდა“ (აჭარ., 1981, გვ. 122).

სხვა კილოების მსგავსად, აჭარულშიც ვე კომპლექსი გვაძლევს ო-ს ხევე/ხვიე ხმოვანმონაცვლე ზმნის პირველ სერიამი:

„გუულებს კარებს, გადიეხვიიან ერთქვანებს“ (აჭარ., 1981, გვ. 102).

2.16. ხმოვანმონაცვლე ზმნები იმერხელში

ქართული ენის იმერხელ დიალექტში ხმოვანმონაცვლე ზმნები პირველი სერიის ფორმებში შემდეგი სახით გვხვდება:

ე ხმოვნიანი ათემატური ფუძეები:

„[ნენე] უცხო ბალახებ გლეჯს“ (იმერხ., 1993, გვ. 246); „ჭადს გობში მოვხელთ“ (იმერხ., 1993, გვ. 334); „მეშინია ქი მიკბენს [ძალლი]“ (იმერხ., 1993,

გვ. 218); „მემთვერები კრეფენ, ფხალ აკეთებენ“ (იმერხ., 1993, გვ. 376); „თუთას მოჰკრეფენ“ (იმერხ., 1993, გვ. 208); „ქარიშებ გავსნევთ, დაეფნო. დავარივებთ ოდიებსა“ (იმერხ., 1993, გვ. 197); „ვინც მივა, რაც აცვია ტანზე, იმასა მუაფრენს და იმ ხეზე ააკოჭებს“ (იმერხ., 1993, გვ. 289); „კალოზ ბალახს ფხეკენ“ (იმერხ., 1993, გვ. 267); „გადანყვეტენ, როსნა ნეიყუაბონ გელინი“ (იმერხ., 1993, გვ. 335); „თესლი რომ დამწიფდება, გამოხრესენ“ (იმერხ., 1993, გვ. 209); „ღრამს ამოვსჭრით. დავხრეთ შუაზე“ (იმერხ., 1993, გვ. 197).

ე ხმოვნიანი ფუძე გვხვდება სხვადასხვა თემის ნიშნით გართულებულ -
-აე თემის ნიშნით:

„ღათე მოუკლელი ყაბ ნუ დაგრეხავო“ (იმერხ., 1993, გვ. 242); „სიმინ-
დასა გაერეცხით, გავფენავთ ჩულებზე“ (იმერხ., 1993, გვ. 248); „ჩემი ზნ. ა.
ფხეკაეს [სიმინდს]“ (იმერხ., 1993, გვ. 239); „[შემთბარძეს] ჩახეი გადაე.
ხამთ, ქეიქუემ შამოვდებთ, გავხრესავთ“ (იმერხ., 1993, გვ. 276).

ე ხმოვნიან ფუძესთან -აე თემის ნიშანი შეკუმშული საბითაც გვხვდებ-
ბა. მარედუცირებელ ძალას მრავლობითი რიცხვის წე პირის -ენ სულიქსა:
იწენს:¹

„ისენი ყანაში სიმინდ ფხეკენ“ (იმერხ., 1993, გვ. 240).

ე ხმოვნიანი ფუძე -ებ თემის ნიშნით:

„ჩვენ ფუტკარაძიებს წყალი უწყვეტებდენ მეგემ ვინცხაები“ (იმერხ.,
1993, გვ. 330).

ე ხმოვნიანი ფუძე -ევ თემის ნიშნით:

„ის კაცი ხოფაში ჩაის მოჰკრეფედა“ (იმერხ., 1993, გვ. 236).

ბ ჯორბენაძე შენიშნავდა, რომ იმერხეულში „შეიმჩნევა ზმნის მარტივი-
ფუძის გართულების შემთხვევები: იჭირავს „იჭერს“ (ბ.ჯორბენაძე, 1989
გვ. 583). იმერხეულში ხმოვანმონაცვლე ი ხმოვნიანი თემატური ფუძე „იჭი-
რავს“ ფორმის გარდა სხვა ზმნებშიც იჭირავს:

„ნერგი მოვგლიჯავთ“ (იმერხ., 1993, გვ. 303); „უსოი წყალით მოვზი-
ლავ“ (იმერხ., 1993, გვ. 297); „ქერის ემიებ, ნარჩენებ მოვკრიფავთ ყანები
დამ“ (იმერხ., 1993, გვ. 253); „გუფინავთ მოთიბულსა მურულათ“ (იმერხ.,
1993, გვ. 307); „ცაში მიფრინავს მიმინო“ (იმერხ., 1993, გვ. 281); „მისი ქოლი
იჭმება, გაფხიკავ“ (იმერხ., 1993, გვ. 301); „მე გინიკავ მაგას“ (იმერხ., 1993,
გვ. 202); „გამოცხოვნილი ქალი დავხრისავთ“ (იმერხ., 1993, გვ. 205); „[ხეს]
გავჭრიტავთ“ (იმერხ., 1993, გვ. 200).

ხშირია ი ხმოვნიან ფუძესთან -აე თემის ნიშნის შეკუმშული სახეც
(აღნიშნული რედუქციის შესახებ ზემოთ გეჭონდა საუბარი):

„ამოგლიჯვენ, დარგვენ ნერგსა“ (იმერხ., 1993, გვ. 343-344); „სიხალ

¹ გვხვდება ასეთივე რედუქციებული ფუძის ნიშნის მქონე სხვა (არახმოვანობის ცვლ.
ფუძეებიც (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 583).

მოკრეფვენ" (იმერხ., 1993, გვ. 323); „დეჭირვენ" (იმერხ., 1911, გვ. 80); „[იქებს] შიგანას გამოხვრიტვენ" (იმერხ., 1993, გვ. 307).

ი ხმოვნიახი ფუძე შექმდეგი სუფიქსებითაც გვხვდება გართულებული.

-ებ თემის ნიშნით:

„მჭაზე დაგრიხებენ, დაგრიხებენ გალსა, ქადრებზე დაკიდებენ, გაბმე-სო" (იმერხ., 1993, გვ. 307).

-ეფ (-ეზ) თემის ნიშნით:

„მუჭირეფს კლავსა, მუჭირეფს იმგუარ ქი, რომ გააკეთებს მოტე-ხილ კლავსა" (იმერხ., 1993, გვ. 245-246).

-ევე თემის ნიშნით:

„იმათ ვუქედბოდა, ეჭედებოდა, დაფრინევედა" (იმერხ., 1993, გვ. 298);

„აქაერელეზ იჭირევედა" (იმერხ., 1993, გვ. 212).

ი ხმოვნიახი თემატური ფუძით გვხვდება „ჭრა" ზმნის სტატიკური ფორმაც:

„თუალი უჭირავს ჩემ ციცაზე" (იმერხ., 1993, გვ. 215).

ასეა ეს აღნიშნული ფორმის პირველ თურმეობითშიც:

„ახალათ დოუჭირავან სახლი" (იმერხ., 1993, გვ. 202).

ამრიგად, იმერხულში ხმოვანმონაცვლე ზმნები პირველ სერიაში სამი პარალელური ვარიანტით გვხვდება (ე ხმოვნიახი ათემატური ფუძით, ე ამოვნიახი თემატური ფუძით და ი ხმოვნიახი თემატური ფუძით), მაშინ როდესაც აღნიშნულ ზმნათა სანყისები ორი ვარიანტით დაედასტურეთ:

1. სანყისები, რომლებიც ე ხმოვნიახ ათემატურ ფუძეებს ემყარება:

„მაკრეფა არ მამასტრა" (იმერხ., 1993, გვ. 285); „ნიანი ფხეკა, მეორე ფხეკა სიმინდსა უნდა" (იმერხ., 1993, გვ. 255).

2. სანყისები, რომლებიც ი ხმოვნიახ თემატურ ფუძეებს ემყარება:

„მეტი შაგარია მისი მოზილვა" (იმერხ., 1993, გვ. 323); „იმის მერე მე ნავე-დი ექსი-შვიდი კაცით იმის დაჭირვაზე, იმის (გოგოს) მოპარვაზე" (იმერხ., 1993, გვ. 325).

გვხვდება ამავე ფუძეზე დამყარებული მიმლეობაც:

„ბურსას დაჭირული არი, ისტანბული დაჭირული არი" (იმერხ., 1993, გვ. 218).

სხვა მხრივ, ხმოვანმონაცვლე ზმნებთან დაკავშირებით იმერხულში აღსანიშნავია შემდეგი:

1. ამ კილოში ევ-იან ზმნებს მეორე სერიაში ჩვეულებრივ ვინი არ შემო-ენახებათ. აღნიშნულ ფორმებში ვინი გვხვდება მაშინ, თუ მას თანხმოვნით დაწყებული სუფიქსი მოსდევს. კერძოდ, მრავლობითი რიცხვის S ვ პირის -ნენ ფორმანტი:

„აჰანდა დეგვენნივენ, აჰანდა დეგვენნივენ, არ იქნა!" (იმერხ., 1993, გვ. 285).

2. დღევანდ/ღვინი ზმნის პირველი სერიის ფორმაში დასტურდება ვე → ო

მონაცვლეობა:

„მანონ რომე ვარიასი შევდლობავთ, დო ამუა“ (იმერს., 1993, გვ. 241).

3. იმერხეულში „ზოგჯერ ფუძე გართულებულია -იე → -ი სუფიქსით: იშვილიეფს „იშვილებს“ (ნამყო ძირითადი: იშვილია „იშვილა“)" (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 583). ამგვარი ვითარება გურულშიც გვხვდება. ამ სუფიქსის ამოსაყვად ევ-ს ვეარაუდობთ (იხ. ზემოთ).

2.17. ხმოვანმონაცვლე ზმნათა პარალელური ფორმები ქართულ კილოებში (მასალები დიალექტოლოგიური ატლასისათვის)

ქართული ენის დიალექტები ზმნურ ფორმათა წარმოების მრავალფეროვნებით ხასიათდება. პირველი სერიის ფორმათა ანალიზისას ყურადღებას იქცევს ზმნების თემატური წარმოების გაფართოების შემთხვევები. ამის დამადასტურებელ ფორმებს აღნუსხავდნენ და წარმოგვიდგენდნენ სხვადასხვა მკვლევრები, რომლებიც ამა თუ იმ დიალექტს განიზილავდნენ. ამ საკითხის შესახებ არსებობს დ.ჩხუბიანიშვილის სპეციალური გამოკვლევა — „К Расширению тематического образования глагольных основ в диалектах грузинского языка“.

ავტორის აზრით, ზმნური ფუძეების ისტორიული შესწავლა გვიჩვენებს, რომ ანალოგიის ფაქტორის გავლენით თემატური წარმოების სუფიქსი საინდათან ფართოვდება. ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციას განსაკუთრებით ძლიერია ქართული ენის დიალექტებში. ფუძე ძირითადად -ავ, -ი და -ებ ელემენტებით რთულდება.

ავტორი წერს, რომ სხვა ზმნებთან ერთად ხმოვანმონაცვლე (აბლაუტური) ზმნებიც იჩენენ ფუძეზე -ავ ელემენტის დართვის მიდრეკილებას პარალელური თემატური ვარიანტებით: დრეკავს//დრიკავს.

დ.ჩხუბიანიშვილი აღნიშნავს, რომ ზმნის თემატური წარმოება ქართულ დიალექტთა უმეტესობაში ფართოდაა გავრცელებული. ხმოვანმონაცვლე ფორმებთან დაკავშირებით იგი შენიშნავდა: „Обращают на себя внимание тематические варианты глаголов с аблаутом основы *dreḡavs//driḡavs* (ср. исконные формы настоящего — *dreḡs*, аориста *driḡa*), из которых первый вариант характерен для восточных диалектов, а второй — для западных“ (დ.ჩხუბიანიშვილი, 1975, გვ. 114).

დიალექტური მასალის განხილვამ შესაძლებლობა მოგვცა, ეს საკითხი უფრო დეტალურად გაგვეანალიზებინა. თითოეული დიალექტისათვის გაითვალისწინეთ შესაბამისი ათემატური ფორმებიც, რის შედეგადაც აღნიშნულ ზმნათა ნაირსახეობები შემდეგ ჯგუფებად შეგვიძლია წარმოვადგინოთ შესაბამისი დიალექტების ჩვენებით:

1) ხმოვანმონაცვლე ზმნები სამი ვარიანტით პირველი სერიის ფორმებში:

ა) ე ხმოვნიათ ათემატური ფუძე,

ბ) ე ხმოვნიათ ლემატური ფუძე,

გ) ი ხმოვნიათ თემატური ფუძე

ამგვარ ნარმოებას გვიჩვენებენ:

ფშაური, თუშური, მთიულური (კილოკავი), ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, ჯავახური (კილოკავი), რაჭული, ზემოიმერული (კილოკავი), ლეჩხუმური, იმერხეული.

2) ხმოვანმონაცვლე ზმნები ორი ვარიანტით პირველი სერიის ფორმებში:

I ა) ე ხმოვნიათ ათემატური ფუძე,

ბ) ი ხმოვნიათ თემატური ფუძე

მოხეური, სამცხური (კილოკავი), გურული, აჭარული

II ა) ე ხმოვნიათ ათემატური ფუძე,

ბ) ე ხმოვნიათ თემატური ფუძე

ხევსურული

III ა) ე ხმოვნიათ თემატური ფუძე,

ბ) ი ხმოვნიათ თემატური ფუძე

ქვემოიმერული (კილოკავი)

3) ხმოვანმონაცვლე ზმნები ერთი ვარიანტით პირველი სერიის ფორმებში:

ე ხმოვნიათ ათემატური ფუძე

გუდამაყრული (კილოკავი)

ხმოვანმონაცვლე ზმნათა სანყისები ქართული ენის დიალექტებს მიხედვით შემდეგ ჯგუფებს გვაძლევს:

1) სანყისები, რომლებიც ე ხმოვნიან ათემატურ ხმოვანმონაცვლე ზმნებს ეყრდნობიან. ამგვარი ნარმოება გვხვდება:

მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, თუშურში, ფშაურში, ხევსურულში, ფერეიდნულსა და სამცხურ-ჯავახურში.

2) სანყისები, რომლებიც ი ხმოვნიან თემატურ ხმოვანმონაცვლე ზმნებს ეყრდნობიან, გვხვდება

ქვემოიმერულში.

მე-3 და მე-4 ჯგუფებში სანყისები პარალელური ნარმოებით ხასიათდება:

3) ა) სანყისები, რომლებიც ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეებს ემყარებიან,

ბ) სანყისები, რომლებიც ე ხმოვნიან თემატურ ფუძეებს ემყარებიან:

ქართლური, კახური

4) ა) სანყისები, რომლებიც ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეებს ემყარებიან,

ბ) სანყისები, რომლებიც ი ხმოვნიან თემატურ ფუძეებს ემყარებიან:

რაჭული, ზემოიმერული (კილოკავი), გურული, აჭარული, იმერხეული, ლეჩხუმური.

ცალკე გამოვეყოფთ ინგილოურს, რომელშიც ხმოვანმონაცვლე ზმნათა

საწყისები, ჩვენ მიერ განხილული მასალის მიხედვით, ძირითადად ე ხმოვნთან ათემატურ ფუძეებს ემყარებიან, თუმცა გვაქვს ორიოდე მაგალითი: საწყისებისა, რომლებიც ე და ი გახმოვანების თემატურ ფუძეებზეა დაწყებული (იხ. ზემოთ).

ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმლეობები, ჩვეულებრივ, აღნიშნულ ზმნათა პირველი სერიის ე ხმოვნიან ფუძეებს ემყარებიან. ქართული ენის დიალექტებში ყურადღებას იქცევს ხმოვანმონაცვლე ზმნათა ვნებითი გვარის წარსული დროის მიმლეობები, რომლებიც სალიტერატურო ენაში, ჩვეულებრივ, ილ სუფიქსით ინარმოება.

კერძოდ, ქართულურსა, კახურსა და ჯავახურში აღნიშნული მიმლეობები: სამგვარად გვხვდება:

1) მიმლეობა -ილ სუფიქსით, რომელიც ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე ხმოვნთან ათემატურ ფუძეს ემყარება.

2) მიმლეობა -ულ სუფიქსით, რომელიც აღნიშნულ ზმნათა ე ხმოვნთან თემატურ ფუძეს ემყარება.

3) მიმლეობა -ულ სუფიქსით, რომელიც აღნიშნულ ზმნათა ი ხმოვნიან თემატურ ფუძეს ემყარება.

სხვა დიალექტებში აღნიშნული მიმლეობა, ჩვეულებრივ, ილ სუფიქსით: ინარმოება და ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეს ემყარება. აღსანიშნავია, რომ ქვემოთმეორულ კილოკავში. აჭარულში და იმერხეულში გვხვდება -ულ სუფიქსიანი მიმლეობაც, რომელიც აღნიშნულ ზმნათა ი ხმოვნიან ფუძეს ემყარება. ასეთი ფორმები საგრძნობლად ხშირია ლეჩხუმურში.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში მეორე სერიაში ევ-იანი ზმნები -ევ → -ივ ცვლილების შემდეგ ინარჩუნებენ ე ბგერას.

დიალექტური ტექსტების განხილვისას გამოვლინდა, რომ ე ბგერის შენარჩუნებას როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში ბელს უწყობს მის მომდევნოდ მყოფი თანხმოვნით დაწყებული ან თანხმოვანი სუფიქსი.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ი. იმნაიშვილი ერთ-ერთ ცნობილ გამოკვლევაში წერდა: „შეიძლება კი ე მეორე სერიის მწკრივებში ხმოვანსა და თანხმოვანს შორის მოხედეს? პასუხი იქნება: დღეს — არა, ძველად — კი“ (ი. იმნაიშვილი, 1963, გვ. 132-133). ავტორის აზრით, მას ადგილი ექნებოდა მხოლოდ პირდაპირი ობიექტის მრავლობითში წარმოდგენისას, როდესაც ეს პირი -ენ → -ნ სუფიქსით იქნებოდა გადმოცემული: დასთხვეს მას (მათ) --- დასთხივნა იგინი. მკვლევარი წერდა, რომ ეს არის თეორიული წარმართა, რაც სინამდვილეში შევთხვევათა დიდ ნაწილში დაცულია: განაბნივნა, დასთხივნეს, გამოირჩივნა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში „ბანდაბან ე ჩანდება ენებითი გვა-

რის ზმნებშიც, როდესაც ისინი მრავლობით რიცხვშია" (თ. ცოფურაშვილი, 1988, გვ. 132). მოხმობილია შემდეგი ფორმები. იზღვიენენ, მიემთხვნეს, აღვირინეს, დაირღვენინან.

აქრიგად, აღნიშნულ ზმნათა დაბოლოება ივენ სახეს იღებს, რაც ძველ ქართულში ინნ-საც გვაძლევდა (ი. იმნაიშვილი, 1975, გვ. 45-46; თ. ცოფურაშვილი, 1988, გვ. 133, ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996, გვ. 306). ინნ დაბოლოების შესახებ მსჯელობა ამჟამად სცილდება ჩვენი ინტერესების სფეროს, ამიტომ კვლავ ევ-იან ზმნათა ვინის შემონახვის შემთხვევებს დაეუბრუნდებით.

თანხმოვნის წინა პოზიციაში -ევ → -ივ სუფიქსის ვინის შემონახვის მიხედვით ქართული ენის დიალექტები ძირითადად ისეთივე სურათს წარმოგვიდგენენ, როგორიც ძველ ქართულშია, თუმცა ქართულ კილოებში ძველი ქართულისაგან განსხვავებული ვითარებაც გვაქვს; სახელდობრ:

1) ვ ძველი ქართულის მსგავსად დაცულია -ნ (← -ენ) ფორმანტის წინ, რომელიც მომდევნო ხმოვნაანი სუფიქსის გავლენით რედუცირებული სახით გვხვდება.

ქართულ კილოებში ამ სუფიქსის წინ ევ-იან ზმნებში ვ-ს შემონახვის ორი შემთხვევა დაეადასტურეთ:

ა) გარდამავალ ზმნებში, როდესაც -ნ (← -ენ) სუფიქსი პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს აღნიშნავს:

ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, რაჭული (გლოლურ კილოკავში).

ბ) გარდაუვალ ზმნებში, როდესაც -ნ (← -ენ) სუფიქსი სუბიექტის სიმრავლის მაჩვენებლად გვევლინება:

ხევსურული, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, რაჭული (გლოლურ კილოკავში).

2) ვ შემონახულია გარდაუვალ ზმნათა ნყვეტილში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ნენ სუფიქსის წინ:

მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური, ქართლური, სამცხურ-ჯავახური, აჭარული, იმერბული.

3) ცალკეულ შემთხვევებში ვ-ს შემონახვა დაეადასტურეთ -ნ სუფიქსის წინ სტატიკური ზმნის ფორმაში და მეორე თურმეობითში (იხ. ქართლური) და ამავე სუფიქსის წინ მეორე კავშირებითში (იხ. სამცხური კილოკავი).

ასეთია ზოგადად ხმოვანმონაცვლე ზმნური ფორმების თავისებურებანი შესაბამისი დიალექტების ჩვენებით. ვფიქრობთ, აღნიშნული შედეგები და დასკვნები ფაქტობრივად ერთგვარი იზოგლოსებია, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ქართული დიალექტოლოგიური ატლასის შედგენისას.

თავი III

ხმოვანმონაცვლე ზმნურ და სახელზმნურ ფორმათა ნარმოების საკითხები

3.1. ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიის ფორმათა ნარმოება

უთემისნიშნო და ხმოვანმონაცვლე ზმნებში თანდათან გზას იკაფავს - აუთემის ნიშანი, რაც უნიფორმაციის ტენდენციით აიხსნება.

ე.ბაბუნაშვილის დაკვირვებით, „-აუ ფორმანტი, როგორც ჩანს, დაერთვის ყველა ერთმარცვლიან ფუძედრეკად ზმნას (თუ ეს ზმნა თანაშედროვე ქართულში იშვიათი ხმარებისა არ არის) და არ დაერთვის ორ და მეტ მარცვლიანებს“. მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ თემისნიშნიანმა ფორმებმა მხოლოდ და მხოლოდ პარალელური ხმარების უფლება მოიპოვეს (ე.ბაბუნაშვილი, 1977, გვ. 30-34).

თუ ერთმარცვლიანი ხმოვანმონაცვლე ზმნა თემის ნიშნის გარდა სხვა მორფოლოგიური ელემენტის საშუალებით ორ ან მეტმარცვლიანი ხდება, მაშინ, ზემოაღნიშნული წესის თანახმად, თემის ნიშნის დართვა არცაა მოსალოდნელი. ამას კარგად გვიჩვენებს ერთი ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნები ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ენიდან. კერძოდ, ზოგი ხმოვანმონაცვლე ზმნა ვაჟა-ფშაველას ენაში ნარმოდგენილია ი ხმოვნაიანი თემატური ფუძით: „ქმინაედა დიაბეგი“ (ვაჟა, III, 1961, გვ. 311); „... სიზმარშიც სიბრაზით მაინც ღრინაედა, ობრაედა“ (ვაჟა, I, 1961, გვ. 253). შდრ.: „კატარა შევარდენი მიქშენდა, თვალებს მაფეთებდა“ (ვაჟა, III, 1961, გვ. 399); „ღმერთუნებდა ტოტია და ულრენდა კბილს ხან ერთს, ხან ჰეორეს“ (ვაჟა, III, 1961, გვ. 299).

ამრიგად, როდესაც ეს ზმნები ობიექტური წყობით არიან ნარმოდგენილნი და ქცევის ი და უ პრეფიქსების ბარჯზე ორმარცვლიანდებიან, ე ხმოვნაიანი ათემატური ფუძით გეხვდებიან. უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ზმნა არ ექვემდებარება ამ წესს; კერძოდ, „ფრენა“ იმავე მწერლის თხზულებებიდან: „მე ფრთები გამომსვლოდა და ჰაერში დაფერიწავდი“ (ვაჟა, III, 1961, გვ. 215). თუმცა ვაჟას ენაში ამ ზმნის ორ და სამმარცვლიანი ობიექტური წყობის ფორმები კვლავ ე ხმოვნაიან ათემატურ ფუძეებს გვიჩვენებენ: „თაყს დაძფრენს ტკბილი ოცნება“ (ვაჟა, I, 1961, გვ. 299); „მბრებზედ შეგისეამ, აგაფრენ ცაში“ (ვაჟა, IV, 1961, გვ. 315).

ორი და მეტი მარცვლის მქონე ხმოვანმონაცვლე ზმნები ი ხმოვნაიანი ათემატური ფუძით გეხვდება კილოებშიც. მაგ.: მათიულურში და სხვაგან (იხ. ზემოთ).

დღეისათვის -ავ თემის ნიშნის მქონე ხმოვანმონაცვლე ზმნათა უმრავ-
ლესობას პირველ სერიაში სამი პარალელური ვარიანტი მოეპოვება: გრებს
და გრეხავს, გრიხავს; გლეჯს და გლეჯავს, გლიჯავს; კენეტს და კენეტავს,
კენიტავს; კრეჭს და კრეჭავს, კრიჭავს; წმენდს და წმენდავს, წმინდავს;
ცვეთს და ცვეთავს, ცვითავს; ხერეპს და ხერეპავს, ხერიპავს და ა.შ. (ნორ-
მები, 1986, გვ. 204).

გვაქვს -ებ თემისნიშნის ხმოვანმონაცვლე ზმნებიც ორი პარალელური
ვარიანტით: ალხენს, ალხინებს; ავლენს, ავლინებს; აჩენს, აჩინებს და სხვ.

ხმოვანმონაცვლე ზმნათა თემატური ფუძეების (კერძოდ, დრიკავს, ალხი-
ნებს ტიპის) შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ა) -ავ დაერთო მეორე სერიის
ი ხმოვანი თემას (ა.შანიძე, 1980, გვ. 409; ი.ცერცვაძე, 1941, გვ. 188; გ.კვე-
რენჩილაძე, 1941, გვ. 209-210; ბ.ჯორბენაძე, 1975, გვ. 117; ა.პარისი, 1925,
გვ. 185), ბ) პირველ სერიაში ე → ი მონაცვლეობის საფუძველია რედუქცია,
რასაც -ავ, -ებ თემის ნიშნები ახდენენ (ვ.თოფურია, 1942, გვ. 492; ი.ქავთარა-
ძე, 1954, გვ. 118; არ.მარტიროსოვი და გრ.იმნაიშვილი, 1956, გვ. 87; ა.თაყაიშ-
ვილი, 1974, გვ. 16-18; ლ.ნოზაძე, 1993, გვ. 18-19; ი.ლუტიძე, 1998, გვ. 12).¹

ჩვენ ამ მოსაზრებათაგან უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნდა მეორე (რ.ქურ-
დაძე, 1995, გვ. 96), მაგრამ, როგორც ირკვევა, მასაც ახლავს გარკვეული
უზენსულობანი. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ის ძირითადი დებულებანი,
რომლებიც საფუძველად უდევს როგორც ერთ, ისე მეორე მოსაზრებას, წარ-
მოვაჩინოთ ის ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც ხელს გვიშლის დავეთანხ-
მით ან ერთს, ან მეორეს და, რაც მთავარია, გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდე-
ბულება ამ საკითხის მიმართ.

პირველი მოსაზრება აღნიშნული ზმნების ფუძეში ი საფეხურის არსე-
ბობისათვის გამორიცხავს ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ფაქტორებს.
ამ მოსაზრების თანახმად, ანმყოში და პირველი სერიის სხვა მსკრივებში ი
ხმოვნიანი ფუძე მეორე სერიიდან მომდინარედ ითვლება, ფუძეზე სუფიქ-
სის დართვა კი საჭირო გახდა ანმყოსა და ნამყოს ფორმათა გასარჩევად.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია სხვა ქართველუ-
რი ენების მონაცემებიც. სვანური მასალის განხილვისას თ.გამყრელიძე
და გ.მაჭავარიანი აღნიშნავენ, რომ „რედუქციის საფეხურის გადმოტანა
აორისტიდან ანმყოში და ათემატური წარმოების შეცვლა თემატურით პარა-
ლელს პოვებს მეგრულ-ჭანურსა და ახალი ქართული ენის დიალექტებში:
ჭიდ-ე, დიგ-ე, კუმი-ე -- მეგრ. დირიკ-უნ-ს, შქირიტ-უნ-ს, ჭყვიდ-უნ-ს (ჭან.
ჭყვიდ-უფ-ს); ქართ., დიალექტ. დრიკ-ავ-ს, გლიჯ-ავ-ს, წყვიტ-ავ-ს. ყველა-
ზე უფრო თანამიმდევრულად ეს ტენდენცია მეგრულ-ჭანურშია გატარებუ-
ლი“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 211).

1. თავის მხრივ არნ.ჩიქობავა ხმოვანმონაცვლე ზმნათა მეორე სერიაში ე → ი მონაც-
ვლეობას ფონეტიკურ ნიადაგზე ხსნიდა (არნ.ჩიქობავა, 1940, გვ. 36-37).

სევანურის მონაცემების გაანალიზებამდე ავტორები ამ საკითხს მეგრულ-ჭანურში იხილავენ. მათი აზრით, აბლაუტის ი საფეხური მეგრულ-ჭანურში, ისევე როგორც ქართულში, გამოყენებულია მეორე სერიის საწარმოებლად: მეგრ. დირიკ-უ (<*დღ-იკ-ა) — ქართ. დრიკ-ა. მაგრამ მეგრულ-ჭანურში პირველი სერიის ფორმებსაც ი გახზოვანების ფუძე აწარმოებს: დირიკ-უნ-ს (ქართ. დრეკს, უფრო ხშირად დრიკ-ავ-ს).

ავტორები აღნიშნავენ: „ამკარაა, რომ ი საფეხური (დირიკ-) მეგრულ-ჭანურში აორისტის ფორმებიდან, რომლებიც კანონზომიერად რედუქციის საფეხურზე წარმოდგენილ *დღ-იკ- ფუძეს ასახავენ, ანმყოს ფორმებზედაც გავრცელდა. ამავე დროს ანმყოს ათემატური წარმოება (შდრ.: ქართ. დრეკ-ს) თემატურით შეიცვალა (შდრ. მეგრ. დირიკ-უნ-ს, ჭან. დრიკ-უმ-ს, ნ დრიკ-უფ-ს). ანალოგიური ტენდენცია ახალ ქართულში სასაუბრო ენაშიც (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) იჩენს თავს: გრეხ-ს -- გრიც-ა > გრიხ-ავ-ს; წრეტ-ს -- წრიტ-ა > და-წრიტ-ავ-ს და სხვ.“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 192).

მკვლევარნი ისტორიულად მეგრულ-ჭანურშიც ათემატურ ფუძეს ვარაუდობენ, რომელიც მასდარსა და ნამყო დროის მიმდევობაშია შენახული: მეგრ. დირ-აკ-ა -- ქართ. დრ-ეკ-ა; მეგრ. დირ-აკ-ილ-ი, ჭან. (სარფ.) ნ-დრ-აკ-ელ-ი — ქართ. დრ-ეკ-ილ-ი.

ამრიგად, მეგრულში ი საფეხურიანი ანმყოს ფუძე მხოლოდ თემატური სუფიქსით გვაქვს.

ზემოთ დასახელებულ სევანურ ფუძედრეკად ზმნათათვისაც (ვიდ-ე. დიგ-ე, კუიშ-ე) ავტორები ათემატურ ანმყოს ვარაუდობენ; როგორც ისინი აღნიშნავენ: „ათემატური ანმყოს გადმონაშთები შემონახულია რამდენსა-მე ზმნასთან: ბზ. კედ „ჟლეტს, ხოცავს“ (აორ. ან-კიდ); თერ „ცნობს“ (აორ. ა-თირ); ა-ყერ „იცემს, ირტყამს“ (აორ. ი-ყირ)“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 208).

კედ ზმნასთან დაკავშირებით ავტორები მიუთითებენ, რომ პარალელურად დასტურდება თემატური წარმოებაც: კიდ-ე, ლაშხ, კედ-ე „ჟლეტს“.

მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ ტიპის ზმნები სევანურში თემატურ ანმყოში ი საფეხურს გვიჩვენებენ, შემორჩენილი ათემატური ფორმები კი ე საფეხურს. ხოლო ერთი ზმნა, რომელსაც ანმყოში თემატური ვარიანტიც მოეპოვება და ათემატურიც, შესაბამისად ხმ.წინებსაც ერთგვარად ანაწილებს: ე საფეხური გვხვდება იქ, სადაც არა გვაქვს ხმოვანი სუფიქსი (მაგ.: ბზ. კედ „ჟლეტს, ხოცავს“), ხოლო ი საფეხური გვხვდება იქ, სადაც გვაქვს ხმოვანი სუფიქსი (კიდ-ე ანდა ე · ლაშხ. კედ-ე).

ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ასეთი ზმნების ფუძეში ი ხმოვანი გვაქვს მხოლოდ ხმოვანი (თუ ხმოვნიანი) სუფიქსის დართვისას.

ვფიქრობთ, რომ ერთდროულად პარალელური ფორმების არსებობა (სე. კიდ-ე//კედ; ქართ. დაიჭირავს//დაიჭერს; ავლინება//ავლენს) გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ი საფეხური ანმყოში სმოვან (თუ ხმოვნიან) სუფიქსს დაუტკავშიროთ. უამსუფიქსოდ ამ ზმნათა ფუძეში ხომ კვლავ ე საფეხური გვექნებოდა, როგორც ამას ი.ცერცვაძეც აღნიშნავს: „...კრეფს, გრებს, ფრენს, ბრწყინს... არა: კრიფს, გრიზს, ფრინს... ე.ი. ი ხმოვნიანი ფუძე მხოლოდ -ავ სუფიქსიან ფორმებში გვაქვს“ (ი.ცერცვაძე, 1941, გვ. 188).

ანალოგიის შემთხვევაში თუ ი საფეხურიანი ფუძე უშუალოდ მეორე აკრივიდან გადმოვიდა, უნდა გექონოდა *კიდ ანკიდ; *დაიჭირს -- დაიჭირა; *ავლინს -- ავლინა. ვფიქრობთ, პირველ და მეორე სერიათა შორის უპირისპირება მაინც განხორციელდებოდა (შდრ.: ე-ნერ — ე-ნერ-ე ტიპის ე(ღ)ღება). ე.ი. დაპირისპირება იქნებოდა მხოლოდ ძირითადი ნიშნების მიხედვით და არა დამატებითი, აბლაუტის ე და ი საფეხურებითაც (ქვემოწვევებითაც).

მაშასადამე, აღნიშნულ ზმნათა ფუძეში ი საფეხური ხმოვნიან სუფიქსს მიგნებდა. მაგრამ ი.ცერცვაძე ასახელებს ზმნებს, სადაც ეს ასე არ ხდება. კერძოდ, კვება, ლესავ, ხედავ, თესავ, პბედავ ... რეკ(ავ), ლენ(ავ), კვეთ(ავ), ხვეწ(ავ)... ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ამ ფუძეებში, როგორც უსიბოლია, ი საფეხური არაა მოსალოდნელი, რადგანაც ისინი არ ეკუთვნიან ხმოვანმონაცვლეთა ტიპს. ი.ცერცვაძის მიერ მოყვანილი ფორმებიდან უჩნები: ზედავ, თესავ, ბედავ, რეკავ, როგორც ფერთელიშვილმა აღნიშნა, „დრეკადი ფუძეების ზოგადი სტრუქტურული მოდელის ორ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ: ანლაუტში ცალი თანხმოვანი გვაქვს, ხოლო ე-ს მეზობლად სონანტი არ ჩანს“ (ფერთელიშვილი, 1970, გვ. 102).

დრეკადი ფუძეების ზოგადი სტრუქტურული მოდელის მოთხოვნილებას სრულად ვერც ლესავ და ლენავ ფორმები აკმაყოფილებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფუძეებში ე-ს მეზობლად ლ სონანტი გვაქვს, ანლაუტი ცალი თანხმოვნითაა წარმოდგენილი. ხოლო კვება, კვეთავ, ხვენავ ფუძეებისათვის სავსებით მართებულად მიგვაჩნია შ.აფრიდონიძის ვარაუდი: „აუ ვ მოსდევს წინაენისმიერებს, აბლაუტი ხორციელდება (კვეთ - ცკით-ე); თუკი ე მოსდევს უკანაენისმიერებს, ე ხმოვანი შენარჩუნებულია (ხვეწ -- და ხვენ-ე)“ (შ.აფრიდონიძე, 1987, გვ. 21). ასევე იქნება კვება, კვეთავ.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ სერიაში ხმოვანმონაცვლე ზმნებში ე → ი მონაცვლეობის საფუძვლად რედუქცია ცხადდება, რომელსაც -ავ, -ებ თემის ნიშნები იწვევენ. ამდენად, ამ თვალსაზრისით, პროცესი ფონეტიკურია.

ამ მოსაზრების მომხრეებიც ძირითადად ეყარებიან იმ ფაქტს, რომ პირველ სერიაში ე → ი მონაცვლეობა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხმოვანმონაცვლე ზმნას ახლავს ხმოვნიანი სუფიქსი.

ასეთი მსჯელობისას მხედველობის გარეშე რჩება ის ფაქტი, რომ ეს ზმნები აბლაუტური ფორმების პარალელური ვარიანტებია; მართალია, დრიკ-ავ-ს — დრიკ-ა, ა-ვლინ-ებ-ს — ა-ვლინ-ა აღარ გვიჩვენებს აბლაუტურ მიმართებას, მაგრამ დრეკ-ს — დრიკ-ა, ა-ვლინ-ს — ა-ვლინ-ა და დრეკ-ავ-ს — დრიკ-ა დღესაც აბლაუტის წესით უპირისპირდება ერთმანეთს. თუმცა დრეკ-ავ-ს ფორმის შესახებ ბ.ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ერთდროულად აბლაუტისა და აგლუტინაციის პრინციპებია. ხდება პირველი და მეორე სერიის ფუძეთა დაპირისპირება. მკვლევრის აზრით, „...ერთდროულად გვაქვს ორი სივადახსება ნიშანი ერთი და იმავე მოვლენისათვის. ანუ: გვაქვს ჭარბი მორფოლოგიური ინფორმაცია, ობიექტურად ენა ამას არ საჭიროებს“ (ბ.ჯორბენაძე, 1995, ვვ. 369).

ამრიგად, მოუხედავად იმისა, რომ დრიკ-ავ-ს — დრიკ-ა, ა-ვლინ-ებ-ს — ა-ვლინ-ა დღეს აღარ გვიჩვენებს აბლაუტს, მაინც ძნელია ამ ფუძეების ჩამოცილება მათივე პარალელური დრეკ-ს, დრეკ-ავ-ს და ა-ვლინ-ს ფორმებისაგან, რომლებიც კვლავ აბლაუტური მიმართების მონაწილენი არიან.

მასასადამე, „დრიკავს“, „ავლინებს“ აბლაუტური ზმნების ცალკეობა და შეუქლებლად გვიჩვენება, რომ პარალელურ ფორმათაგან ერთი ნაწილისათვის გამოდგეს მორფოლოგიური წესი — აბლაუტი (დრეკ-ს — დრიკ-ა, დრეკ-ავ-ს — დრიკ-ა; ა-ვლინ-ს — ა-ვლინ-ა), ხოლო მეორესათვის ფონეტიკური — რედუქცია (დრიკ-ავ-ს — დრიკ-ა, ა-ვლინ-ებ-ს — ა-ვლინ-ა).

ვფიქრობთ, აღნიშნულ ზმნებზე საუბრისას ფონეტიკური წესების მომკვლიება ერთგვარად ენიშნააღმდეგება აბლაუტის ზოგად წესებს.

დღეისათვის წარმოუდგენელია იმ ფონეტიკური გარემოცვისა და პირობების არსებობა, რასაც აღნიშნულ ფორმებში შეეძლო წივცა რედუქციის ის საფეხური. მოკლედ, ამ ფუძეებზე საუბრისას არ უნდა დავევიწყოთ აბლაუტის ძირითადი დებულებანი, კერძოდ — ის დებულება, რომ „მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვანმონაცვლეობა ანუ აბლაუტი წარმოშობით შეიძლება ფონეტიკური ხასიათისა იყოს, შეპირობებული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე არსებული ფონეტიკური გარემოცვით. ფონეტიკური წივცაზე აღმოცენებულმა ხმოვანმონაცვლეობამ შენაძლებელია გარკვეული მორფოლოგიური ფუნქციები შეიძინოს და ნმინდა მორფოლოგიური ღირებულების ხმოვანმონაცვლეობად იქცეს მას შემდეგ, რაც მოისპობა ან მონაცვლეობის გამომწვევი ფონეტიკური მიზეზები. ამგვარი მორფოლოგიური ფუნქციის მქონე მონაცვლეობა სინქრონიულად უკვე მოკლებულია ფონეტიკურ მოტივაციას; იგი განაილულ უნდა იქნეს როგორც შედეგად ოდინდელ ფონოლოგიურ მონაცვლეობათა მორფოლოგიზაციისა“ (თ.გაბაშვილიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 177).

მასასადამე, მართალია, „დრიკავს“, „ავლინებს“ ტიპის ზმნები აბლაუტური მიმართების მონაწილენი აღარ არიან, მაგრამ ისინი აბლაუტურ

ნიმართებაში მყოფ ზმნათა ცალგებია და, ამდენად, ძნელდება მათში მომხ-
დარი ცვლილების ფონეტიკური მოტივაცია; უფრო ზუსტად, შეუძლებელია
აღნიშნულ ფუძეებში კვლავ ოდინდელი ფონეტიკურად აქტიური მოტივა-
ცია დავაბრუნოთ.

ყოველივე ამის შემდეგ მაინც როგორ უნდა შევაფასოთ „დრიკავს“
და „აელინებს“ ტიპის ფორმები? ი ხმოვნისანი ფუძის უშუალოდ გადმოტანა
მეორე სერიიდან და ფონეტიკური მოტივაცია ფაქტობრივად ვამოირიცხა,
მაგრამ ფაქტია, რომ პირველ სერიაში ი საფეხური ხმოვნისანი სუფიქსის
არსებობის დროს გვაქვს (ასეა სხვა ქართველური ენების შესაბამის ფუძე-
ებშიც).

გამოდის, რომ დღეისათვის პირველ სერიაში ი საფეხური გვხვდება
თემატურ პირობებში, მაგრამ არააქტიური ფონეტიკური მოტივაციით.
ფაქტობრივად ამ შემთხვევაში განმეორდა ის ყალიბი, რაც უკვე ცნობილი
იყო ქართულსა და ქართველურ ენებში და რაც ი საფეხურისა და ხმოვნისანი
სუფიქსის ერთდროული არსებობით ხასიათდება. ამ ეტაპზე უკვე არსებუ-
ლი ყალიბის განმეორებისათვის შესაძლებელია აღარც ყოფილიყო საჭირო
აქტიური ფონეტიკური მოტივაცია.

ასეთი ყალიბი ფაქტობრივად მეორე სერიის ფორმებში გვაქვს, მაგრამ
უშუალოდ მეორე სერიის ი ხმოვნისანი (დრიკ, ვლინ) ფუძე კი არ გადმოვი-
და პირველ სერიაში და დაირთო -ავ სუფიქსი, არამედ პირველი სერიის
ფორმებშიც გავრცელდა ის ყალიბი, რაც მეორე სერიაში გვქონდა. ყალიბი,
რომელშიც ი საფეხურიან ფუძეს მოსდევს ხმოვნისანი სუფიქსი. ბუნებრი-
ვია, პირველ სერიაში ეს სუფიქსი თემის ნიშანი იქნებოდა. აღსანიშნავია
ისიც, რომ ფუძე ი საფეხურით და ხმოვნისანი სუფიქსით მეორე სერიაში ამ
სერიის სრულ ფორმას გვიჩვენებს, ფუძეს ანუ მეორე სერიის თემას და
პირის ნიშანს (დრიკ-ა); ხოლო პირველ სერიაში ფუძე ი საფეხურით და ხმო-
ვნისანი სუფიქსით მხოლოდ პირველი სერიის თემას გვიჩვენებს (დრიკ-ავ-).
შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფუძე ი საფეხურით (ამ ტიპის ზმნებში) ყოველი-
ვის ხმოვნისანი სუფიქსით უნდა გვექონდეს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი
დროის ფორმას გვიჩვენებს და, ამასთანავე, ეს ყალიბი სრულ ფორმას წარ-
მოგვიდგენს თუ სრული ფორმის ნაწილს.

ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხდება ი-ს გამო, „რაკი /ი/ ფონემა წარ-
მოშობით სონანტია და არა საკუთრივ ხმოვნისანი, ამდენად რედუქციის საფე-
ხური ისტორიულად აბლაუტური მექანიზმის თვალსაზრისით ნულ --- საფე-
ხურს უტოლდება“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 184).

იქნებ ამ ისტორიული მდგომარეობის გათვალისწინებით აიხსნას ის
ფაქტი, რომ არსებითად ი საფეხურიანი ფუძე ქართულსა და ქართველურ
ენებში ხმოვნისანი თუ ხმოვნისანი სუფიქსის გარეშე არ გვხვდება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ი საფეხური

ანმყოსა და, შესაბამისად, პირველი სერიის ფორმებში დღეისათვის მიენერება ერთგვარ სიმულტანურ მოვლენას, რომელიც ხორციელდება გარკვეული ტიპის ზმნებში სრულ საფეხურზე მყოფი ხმოვანი (თუ ხმოვნინანი) სუფიქსის დართვისას. ერთდროულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ ტიპის ზმნებში ფუძეში ი საფეხური თემატური სუფიქსის გარეშე ნარჩო-უდგენელია (რ.ქურდაძე, 1997 (3), გვ. 152).¹

3.2. 2 საფეხურიანი ფუძე ხმოვნინანი სუფიქსით

ზემოთქმულის მიხედვით, აღნიშნული ზმნების პირველი სერიის ფორმებში ი საფეხური ხმოვანი (თუ ხმოვნინანი) სუფიქსის დართვის შემთხვევაში გვაქვს. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ასეთი სუფიქსის არსებობის დროს ფუძეში ე საფეხურს ვხვდებით. კერძოდ, მრავლობითი რიცხვის მესამე პირის დრეკენ და გრეხავს ტიპის ფორმებში.

ამ ფორმათა შესახებ შევნიშნავთ, რომ, როგორც ცნობილია, ანმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ნიშანი ხმოვნით იწყება (-ენ), შესაბამისად, რომელიმე ხმოვანმონაცვლე ზმნაში მოსალოდნელი იყო *დრკ-ენ ან *დრიკ-ენ, გვაქვს კი დრეკ-ენ. ამ მოვლენას მორფოლოგიურად მიიჩნევენ და არა ფონეტიკურად. ე გახმოვანება ამ ტიპის ზმნებში დამახასიათებელია ანმყოს თემისათვის. სწორედ ე გახმოვანებით ეს ფუძე უპირისპირდება აორისტის ი გახმოვანებას (სრული საფეხური უპირისპირდება რედუქციის საფეხურს) როგორც ანმყოს ფუძის დამატებითი მორფოლოგიური ნიშანი.

თ.გამყრელიძე და გ.მაჭავარიანი აღნიშნავენ: „ამიტომ ბუნებრივია, რომ ე გახმოვანება იჩენს ტენდენციას გავრცელდეს ანმყოს უღელილების მთელ პარადიგმაზე. შედეგად ვიღებთ „რეგულარულ“ დრეკ-ენ ფორმას თეორიულად ნაგარაუდევრი და ოდესღაც ალბათ არსებული დრკ-ენ ან დრიკ-ენ ფორმის მაგივრად“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 186).

მაშასადამე, ე ხმოვანი ანმყოს თემისათვის აუცილებელია, მაგრამ -აე ან -ებ სუფიქსების მეზობლობაში ვხვდებით ი ხმოვნინან ფუძეს (დრიკავს, ალხინებს). ამ შემთხვევაში ანმყო-მყოფადის თემის ჩვენება სწორედ თემის ნიშნებს (-აე-სა და -ებ-ს) ეკისრება და ეინაიდან ანმყოს ფუძე აორისტის ფუძეს უკვე უპირისპირდება როგორც რთული (თემატური) მარტივს (ათემატურს): დრიკავს — დრიკა, ალხინებს — ალხინა, ფუძისეული ხმოვანი თავისუფლდება ანმყო-მყოფადის თემის ჩვენებისაგან, რის გამოც ჩნდება შესაძლებლობა ზემოხსენებული ი საფეხურიანი და ხმოვნინანი სუფიქსის მქონე ყალიბის გავრცელებისა პირველ სერიაში. ამდენად, აღარც ქვემოთფენება საჭირო ე → ი და აბლაუტიც ერთგვარად იშლება.

1. რა თქმა უნდა, ასეთივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ხმოვანმონაცვლე ზმნათა ვნებშიც. ითს ფორმებში არაკლები ი ხმოვნინან თემატურ ფუძეებსაც: იგრაიხება, ეგრიხება; იხილება, ეხილება და სხვ

ანრიგად, ე ხმოვანი ხმოვანმონაცვლე ზმნათა ანმყოს ფუძის მთელ პარადიგმაზე ვრცელდება მაშინ, თუ ზმნა უთემისნიშნოა, ხოლო თუ ხმოვანმონაცვლე ზმნა თემისნიშნოა, პირველი სერიის თემას თემის ნიშნები გვიკვერნებს, ე ხმოვნის ნაცვლად კი ი გვაქვს, მაგრამ არა ყოველთვის, კერძოდ, ავ-იან ხმოვანმონაცვლე ზმნებში გვხვდება როგორც კრიფავს, გრიხავს, ასევე კრფავს, გრფავს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლ.ნოზაძე აღნიშნავს: „ქართული ენის რიგ ლიტერატურაში დადასტურებული ფორმები: ვგრეხავ, ვხლეჩავ, ვცვეთავ და მისთ. ნაცვლად მოსალოდნელი: ვგრეხავ, ვხლეჩავ, ვცვეთავ... ფორმებისა, ვგრეხ, ვხლეჩ, ვცვეთ ტიპის პარადიგმის შემოქმედების შედეგია. ამას აღდასტურებს ის ფაქტი, რომ ვგრეხავ ტიპის წარმოება ფიქსირებულია იმ საისტემაში, სადაც პარალელურად არსებობს ვგრეხ ტიპის ფორმებიც. თუ არა გვაქვს, ან არ არის ჩვეულებრივი ეს უკანასკნელი ტიპი (ვგრეხ...), არა გვაქვს არც ვგრეხავ მოდელი“ (ლ.ნოზაძე, 1993, გვ. 18-19).

ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ დღეისათვის -ავ თემის ნიშნის მქონე ხმოვანმონაცვლე ზმნათა უმრავლესობას სამი პარალელური ვარიანტი მოეპოვება (გრეხს, გრეხავს, გრიხავს -- იხ. ზემოთ), ვფიქრობთ, რომ იქ, სადაც იქნება -ავ, წარმოდგენილი იქნება ი საფეხურიც (ვგრეხავ). ასეა ქართულ კოლონებშიც. ზეინ მასალის მიხედვით ერთადერთი გამონაკლისია ზეესურელი, სადაც ე ხმოვნიანი თემატური ფუძე დაეადასტურეთ, ი ხმოვნიანი თემატური კი -- ვერა.

სხვა საკითხია, რატომ შემოგვრჩა პარალელურად ვგრეხავ ტიპიც.

ზემოთ წარმოდგენილ ხმოვანმონაცვლე ზმნათა ვარიანტთაგან „გრეხს“ არის სალიტერატურო ქართული სათვის დამახასიათებელი ფორმა. იგი ნორმადაა აღიარებული. სწორედ ამიტომ ე ხმოვნიანი ფუძის ძალა დიდია; იგი გვხვდება სამ პარალელურ ვარიანტთაგან ორში: გრეხს, გრეხავს. ამდენად, ვფიქრობთ, ე ხმოვნიანი (ვგრეხავ) ფუძის არსებობა სალიტერატურო ენის ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული.

3.3. აბლაუტის მოშლისა და აღდგენისათვის

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დღეისათვის -ავ თემის ნიშნის მქონე ხმოვანმონაცვლე ზმნათა უმრავლესობას პირველ სერიაში სამი პარალელური ვარიანტი მოეპოვება (დრეკს, დრეკავს, დრიკავს), ხოლო -ებ თემისნიშნოებს ორი (ალხენ, ალხინებ).

საინტერესოა, ამ ფორმათაგან რომელია აბლაუტური მიმარჯობის ნეერი, რომელი - არა და რატომ? ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობის -- აბლაუტის მოშლისა და აღდგენის შემთხვევათა განხილვა.

კერძოდ, აღნიშნულ ზმნათაგან დრიკ-ს//დრიკ-ავ-ს -- დრიკ-ა, აგრეთვე ა-ლხენ-ს -- ა-ლხინ-ა წარმოგვიდგენს ხმოვანთა ფუნქციურ მონაცვლეობას -- აბლაუტს. პირველი სერიის ფუძე ე ხმოვნიანია, მეორე სერიის ფუძე -- ი ხმოვნიანი. ხოლო ზმნები დრიკ-ავ-ს -- დრიკ-ა, ა-ლხინ-ებ-ს -- ა-ლხინ-ა პირველ სერიაში ისეთივე საფუძურს გვიჩვენებენ, როგორცაც მეორე სერიაში. ამიტომ ეს ფორმები აღარ წარმოგვიდგენენ ხმოვანთა ფუნქციურ მონაცვლეობას. აქ ი ხმოვანი გვხვდება როგორც პირველი სერიის, ისე მეორე სერიის ფუძეში. ამდენად, ამ შემთხვევაში აბლაუტი მოშლილია.

ჩვენი აზრით, ასეთივე ვითარებაა მეგრულ-ჭანურშიც. როგორც უკვე ზემოთ აღნიშნეთ, ისტორიულად მეგრულ-ჭანურშიც ამ ტიპის ათემატურ ფუძეს წარმოადგობენ, რაც მასდარსა და მიმღებობაშა შენახული: მეგრ. დირ-აკ-ა ქართ. დრ-ეკ-ა; მეგრ. დირ-აკ-ილ-ი, ჭან. (სარგ.) ნ-დრ-აკ-ელ-ი ქართ. დრ-ეკ-ილ-ი.

მეგრულ-ჭანური დირიკ-უნ-ს//დირიკ-უმ-ს -- დირიკ-უსეკე აღარ გვიჩვენებს აბლაუტს, როგორც ქართული დრიკ-ავ-ს -- დრიკ-ა.

სპეციალურ ლიტერატურაში ხმოვნიანი სუფიქსის როლი აბლაუტურ მიმართებათა ჩამოყალიბებაში კარგადაა ცნობილი და მასზე ჩვენ არ შევწერდებით. ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესოა ხმოვნიანი სუფიქსის როლი აბლაუტის მოშლის თუ აღდგენის დროსაც.

საბელდობრ, აბლაუტი მოიშალა მაშინ, როდესაც პირველ სერიაში: განწ-და ხმოვნიანი სუფიქსები. კერძოდ, ქართულში -ავ და -ებ; მეგრულ-ჭანურში -უნ// -უმ. ამ სუფიქსების დართვის შედეგად განხორციელდა პირველ სერიის ფუძეებში ე → ი პროცესი. ფაქტობრივად ხმოვნიანი სუფიქსების მონაწილეობით პირველ სერიაში ზემოაღნიშნული სიმულტანური ყალიბის გაერცვლებით აბლაუტი იშლება. რადგან ამ ზმნებზე დაკარგეს პირველ სერიის თემისათვის დამახასიათებელი ე ხმოვანი, რითიც ისინი მეორე სერიის ი ხმოვნიან თემას უპირისპირდებოდნენ, სამაგიეროდ ახლა ამ ზმნათა პირველი და მეორე სერიის თემათა დაპირისპირება, როგორც ცნობილია, თემის ნიშნებით ხორციელდება (დრიკ-ავს -- დრიკ-ა, ა-ლხინ-ებ-ს -- ა-ლხინ-ა).

სხვა მხრივ, სწორედ ამ ხმოვნიანი სუფიქსის დაკარგვით შეიძლება აბლაუტი აღდგეს. კერძოდ, აშანიძე აღნიშნავს: „ძველად, XI ს.-ში, გეჭონდა ზმნა „დამჭირვა“, რომელსაც შემდეგ მ ჩამოჰპოვდა: „დაჭირვა“... ზმნა აკიარი იყო, მაგრამ იგი ხმოვან-მონაცვლეებში გადავიდა, თუმცა საპოლიოოდ არა. გვხვდება როგორც დავიჭირავ, ისე დავიჭურ“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 409).

ხმოვნიანი სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ აბლაუტის აღდგენა, „დავიჭირავ“ ზმნის გარდა, კარგად ჩანს -ებ თემისნიშნის ხმოვან-მონაცვლე ზმნების მაგალითზეც.

ებ-იან ხმოვან-მონაცვლე ზმნებში თემის ნიშნათა არსებობა ავ-იანე... შედარებით ქრონოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებულია. კერძოდ, აქ თემის ნიშანი ადრევე გეჭონდა. როგორც ცნობილია, ძველად იყო „ავი“

„კბს“, „ვლინება“. შემდეგ დაიწყო გამარტივება, მომდევნო პერიოდში (XI საუკუნიდან) ჩნდება პარალელური ფორმები: ალადგინებს//ალადგენს, წარგავლინებს//წარგავლენ და სხვ. (ზ.სარჯველაძე, 1984, გვ. 424-425).

ი საფეხურიანი ფუძისა და ხმოვნისანი სუფიქსის არსებობა რომ ერთჯამი-ერია, ამას კარგად გვიჩვენებს ამ ფორმებიდან ხმოვნისანი სუფიქსის ჩამოცი-ლება, რადგან ამის შემდეგ ი საფეხური კი არ გვრჩება ფუძეში დაიჭირ-ს, *ა-ვლინ-ს), არამედ აღდგება ე საფეხური (დაიჭერ-ს, ა-ვლენ-ს).

ამრიგად, აღნიშნულ ზმნებში ხმოვნისანი სუფიქსის არსებობა განაპირო-ბებს ხმოვანთა ფუნქციურ მონაცვლეობას (დრეკ-ს — დრიკ-ა, ა-ლხენ-ს ა-ლხინ-ა). ამ შემთხვევაში აბლაუტური მიმართების ცალთაგან ერთი (პირველი) სახეუცვლეულია, მეორე კი რედუქციის საფეხურს გვიჩვენებს.

სხვა შემთხვევაში პირველ სერიაში ხმოვნისანი სუფიქსის გამო აღნიშ-ნული ერთჯამიერი ყალიბის გავრცელების პირობებში აბლაუტური მიმარ-თების პირველმა ცალმაც შესაძლებელია გვიჩვენოს რედუქციის ისეთივე საფეხური, როგორსაც მეორე გვიჩვენებდა და ამით აბლაუტური მიმარ-თება მოიშლება: ქართ. დრიკ-ავ-ს — დრიკ-ა, ა-ლხინ-ებ-ს — ა-ლხინ-ა; მეგრ.-ჭან. დირიკ-უნ-ს//დირიკ-უმ-ს — დირიკ-უ.

აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ აბლაუტური მიმართების პირველ ცალში, რომელიც ხმოვნისანი სუფიქსის გამო რედუქციკრებული გახდა და ამით მეორე ცალს დაემსგავსა, დაიკარგა ხმოვნისანი სუფიქსი, მაშინ გაქრება რედუქ-ციის საფეხურიც და შესაბამისად აბლაუტი აღდგება:

და-ი-ჭირ-ავ-ს — და-ი-ჭირ-ა → და-ი-ჭერ-ს — და-ი-ჭირ-ა
ა-ლხინ-ებ-ს — ა-ლხინ-ა → ა-ლხენ-ს — ა-ლხინ-ა

3.4. ხმოვანმონაცვლე ზმნათა სახელზმნური ფორმების წარმოება

საინტერესო ვითარება გვაქვს ხმოვანმონაცვლე ზმნათა სახელზმნური ფორმების (საწყისისა და მიმლეობის) წარმოებისას.

ჩვეულებრივ აღნიშნულ ზმნათა საწყისები ე ხმოვნისანი ათემატურ ფუძე-ებს ეყრდნობიან: დრეკა, გლეჯა, გრეხა და სხვ.

ზემოთ აღინიშნა, რომ გარკვეულ შემთხვევაში (ხმოვნისანი სუფიქსის დარ-თვისას) პირველ სერიაში გვაქვს ამ ზმნათა ი ხმოვნისანი ფუძე. ამასთან დაკავ-შირებით ლ.ნოზაძე შენიშნავს: „ხმოვანმონაცვლე ზმნათა მასდარის ფორ-მები იმავე პოზიციას ი არ წარმოგვიდგენს რედუქციის საფეხურს, გვაქვს: გრეხა, გლეჯა, ცვეთა... და არა გრიხა, გლიჯა, ცვითა... არა გვაქვს ამგვარი მასდარები (გრიხა და მისთ.)“. მკვლევრის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ თავიდან იქნას აცილებული ფორმათა დამთხვევა, მოსალოდნელი ომონიმია. გრიხა, გლიჯა, ცვითა... გრეხს/გრიხავს, გლეჯს/გლიჯავს, ცვეთს/ცვითავს... ზმნათა მეორე სერიის ფორმებია (ლ.ნოზაძე, 1993, გვ. 19).

გარდა იმისა, რომ თავიდან უნდა იქნას აცილებული მოსალოდნელი ჰომონიმია (*გრიბა — სანყისი, გრიბა — მეორე სერიის მესამე პირის ნრ.რ.). ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ისაა, რომ მასდარული ფორმისათვის პირველი სერიის ფუძეა აუცილებელი, ეინაიდან სანყისის წარმოება შემდეგნაირად ხდება: „სანყისის ნიშანია ა, რომელიც დაერთვის პირველი სერიის თემას, გაუვრცობელს, ე.ი. თემას, რომელიც ანწყოს (ან მყოფადის) ფორმებში ჩანს“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 560).

როგორც უკვე აღინიშნა, ე გახმოვანება იჩენს ტენდენციას, გავრცელდეს ანწყოს უღვლილების მთელ პარადიგმაზე (ეს იმ შემთხვევაში, როცა ზმნას არ ახლავს თემის ნიშანი).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის აღნიშნული, „ამითვე აიხსნება, რომ ყველა კატეგორია, რომელიც ანწყოს ფუძისაგან არის ნაწარმოება სტაბილურად წარმოგვიდგენს ანწყოს ფუძეს ძირეული მორფემის ნულ-გაგმოვანებითა და სუფიქსური მორფემის ე გახმოვანებით, მაგალითად: შაღდარი: დრეკ-ა, კრებ-ა, შრეტ-ა, გრებ-ა, ჯლერ-ა და მისთ.“ (თ.გამყრელიძე, გამაჭავარიანი, 1965, გვ. 186).

საყურადღებოა, რომ არსებობს ე ბგერის შემცველი სანყისები ე იმოვინანი ფუძით. ქართული ენის დიალექტებში დასტურდება ასეთი ფორმები: გრებ-ვ-ა, კრეფ-ვ-ა, გლეჯ-ვ-ა, ფბეკ-ვ-ა, ჩხრეკ-ვ-ა და ა.შ. (იხ. ზემოთ — თავი მეორე).

როგორც დიალექტებში, ასევე სალიტერატურო ქართულში გვხვდება აგრეთვე ე ბგერის შემცველი ფორმები ი ხმოვინანი ფუძით: ფშინ-ვ-ა, ქშინ-ვ-ა, ღრინ-ვ-ა, ხვრინ-ვ-ა და სხვ. აი, საილუსტრაციოდ ორიოდე მაგალითი: „გლებების მონანილე თავადაზნაურობამ მოინდომა გლებების თავიდან მოშორება; ჯერ ნელ-ნელა დაუნყეს ღრინვა — გლებს კანონის ძალით ტუნ არ ეკუთნის, ტყე ჩვენიაო“ (ე.ნინოშვილი, 1954, გვ. 213); „მმ...ო-ცო-ხლეთ!!“ — უპასუხა ენის ჟლაჟნით მამასახლისმა გლებებს, შვეიდა ოთაბში, გაიშოტა და ამოუშვა ხვრინვა“ (ე.ნინოშვილი, 1954, გვ. 410); „ერთი საათის შემდეგ ოცდარეა სულმა მშვიდი ფშინვა ამოუშვა“ (მ.ჯავახიშვილი, 1989, გვ. 402).

მამასადამე, პირველი სერიის ხმოვანმონაცვლე ზმნის სამივე პარადიგლურ ფორმას შეუძლია აწარმოოს შესაბამისი სანყისები. უნდა ითქვას, რომ ეს ვარიანტები შესაძლოა სამივე არ იყოს ერთად წარმოდგენილი, მაგრამ ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში სამივეს ვადასტურებთ.

ასეთივე ვითარებაა ამ ზმნების მიმლეობათა წარმოებისას. ჩვეულებრივ, ხმოვანმონაცვლე ზმნათა ნამყო დროის მიმლეობანი ე ხმოვინან ფუძეს გვიჩვენებენ და დაირთავენ -ილ სუფიქსს: და-გლეჯ-ილ-ი, და-გრენ-ილ-ი და-კრეფ-ილ-ი, და-კრეტ-ილ-ი, გა-ფრენ-ილ-ი, ა-ლრენ-ილ-ი და სხვ.

ეს ფორმები ძირითადია სალიტერატურო ენისათვის და, როგორც დიალექტების განხილევისას ეაჩვენეთ, ისინი ხშირად გვხვდება ქართულ

კილოვებშიც. მაგრამ ქართული ენის დიალექტებში (ქართლურში, კახურში, ჯავახურში) გვხვდება ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმღებობანი ე ხმოვნიანი ფუძით, ოღონდ -ულ სუფიქსით (რაც -ილ სუფიქსის ლაბიალიზირებული სახეა). როგორც ცნობილია, -ულ სუფიქსი გვაქვს იმ ზმნათა მიმღებობებში, რომელთა თემის ნიშანიც ბაგისმოური ბგერით ბ-ლოვდება (გ.დევეტერსი, 1930, გვ. 223; ა.შანიძე, 1980, გვ. 574; ე.ოსიძე, 1957, გვ. 193). ამ შემთხვევაში -ულ სუფიქსი სწორედ იმაზე მიგვითითებს, რომ საყრდენად -ავ თემისნიშნისანი ფუძეა გამოყენებული: და-გლეჯ-ულ-ი, გა-თქეფ-ულ-ი, და-კრეფ-ულ-ი, და-ფლეთ-ულ-ი, მო-წყვეტ-ულ-ი, გა-ხერეც-ულ-ი (ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ. 363; რ.ქურდაძე, 1995 (1), გვ. 98-99).

ნამყოფ დროის მიმღებობის -ილ, -ულ სუფიქსებთან დაკავშირებით ა.არაბული ძველი ქართულის მაასალაზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც გარკვეულ ფორმებში ლაბიალიზაციის შემაკავებელი ფაქტორია ფუძეში ო და უ ლაბიალური ხმოვნების არსებობა. ამ შემთხვევაში დაცულია -ილ სუფიქსი. რაც მიმღებობებში შეიმჩნევა მერყევი სუფიქსაცია (მაგ.: ქმნული//ქმნილი და სხვ.), რასაც, მკვლევრის აზრით, უნდა იწვევდეს ფუძეში არსებული (არაკიდური) ლაბიალური თანხმოვანი (ა.არაბული, 1979, გვ. 199; ა.არაბული, 1984, გვ. 129).

ან საკითხს ა.არაბულმა სხვა ნაშრომშიც უძღვნა, რომლის ერთ-ერთ სქოლიოში მკვლევარი შენიშნავს, რომ ძველ ქართულში ლაბიალური თანხმოვნები ფ, ვ არ გვხვდება მიმღებობის სუფიქსის წინ, თანამედროვე ქართულის იმ დიალექტებში კი, რომლებმაც უფრო მეტად შეინარჩუნეს მიმღებობის წარმოების ძველი მორფოფონემატური პრინციპი, ფ, ვ თანხმოვნები ახდენენ გავლენას მიმღებობის სუფიქსზე. ავტორი ასახელებს შემდეგ ფორმებს: დაკრეფული, გატყეპული, მოშვლეპული, შეხვრეპული... (ა.არაბული, 1987, გვ. 74).

აღნიშნული მიმღებობები ხმოვანმონაცვლე ფუძეებს ემყარება. ასეთი ფორმები ე ხმოვნისანი ფუძით და -ულ სუფიქსით, როგორც ზემოთ ვნერდით, გვხვდება ქართლურში, კახურში და ჯავახურ კილოვებში. მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ დებულებას, თითქოს ზემოთ მოყვანილ („დაკრეფული“ ტიპის) მიმღებობებში ფ, ვ ლაბიალური თანხმოვნები ახდენენ გავლენას მიმღებობის სუფიქსზე, რადგან აღნიშნულ კილოვებში (განსაკუთრებით ქართლურსა და ჯავახურში) ამ მიმღებობებთან ერთად გვხვდებიან ისეთებიც, რომელთა ფუძეში არაა ლაბიალური თანხმოვანი, მაგრამ მაინც -ულ სუფიქსით იწარმოებიან. კერძოდ: და-გლეჯ-ულ-ი, და-გრეხ-ულ-ი, მო-წყვეტ-ულ-ი; მო-ხდენ-ულ-ი, გა-ხერეც-ულ-ი (ზაგალითები წარმოდგენილია ზემოთ შესაბამისი დიალექტების განხილვისას).

ამრიგად, ამ ფორმებში -ილ სუფიქსის ლაბიალიზირებული ვარიანტის -ულ-ის არსებობას კვლავ იმ ფაქტს მივანერთ, რომ აღნიშნული მინდვი-

ბები ხმოვანმონაცვლე ზმნათა თემატურ (ამ შემთხვევაში -ავ სუფიქსიან; ფუძეებს ემყარებიან.

ქართულში, კახურსა და ჯავახურში გვხვდება აგრეთვე ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან მომდინარე მიმლეობანი, რომელთაც ფუძეში ი ხმოვანი აქვთ: და -ულ- სუფიქსით ინარმოებიან: და-ბზინ-ულ-ი, გა-პწყინ-ულ-ი, ა-ღრინ-ებ-ულ-ი და სხვ. (იხ. ზემოთ — თავი მეორე). ბუნებრივია, ამ ფორმათათვისაც ამოსავლად პირველი სერიის თემატური ფუძეები უნდა ვივარაუდოთ. არაა გამორიცხული „აღრინებული“ ტიპის მიმლეობები სხვა კილევებზე გამოვლინდეს, მაგრამ ზემოაღნიშნული საში დიალექტისათვის მთავარია ის, რომ მათში „განწყვეტული“ ტიპის ფორმები გვაქვს, რის გამოც ხმოვანმონაცვლე ზმნების მიმლეობები სამ წარიანტს გვიჩვენებენ.

აღნიშნული ტიპის (ი ხმოვანი თემატური ფუძე -ულ სუფიქსით) მიმლეობები დიალექტების გარდა გვხვდება ქართულ მწერალთა ენაშიც:

ა) გვაქვს ფორმები, რომლებიც ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიის ი საფეხურიან თემატურ ფუძეებს ეყრდნობიან და მიმლეობებში თემატური სუფიქსი (კერძოდ, -ავ) არ ჩანს: „აბა, ტრაგედია აქ არის და: ცალკე ოთხასმანეთიან ქურქში: გახვეული გაბლინძული თავადია და ცალკე ნახევრად შიმველა გლეხი“ (ი.ჭავჭავაძე, V, 1967, გვ. 140); „შვილი ვარ და სტაეულული ვარ, კოტე მანალიძემ უნდა თქვას!“ — ამბობდნენ ტვერეთელები, როცა დაინახავდნენ ვერობულ ახალ „კოსტიუმში“ გამონკიპულ კოტე მამალიძეს“ (ენინოშვილი, 1954, გვ. 203); „მელქისედეკს“ გატყრინული უსმენდა დიდი და მცირე“ (კ. გამსახურდია, II, 1959, გვ. 768); „ნეაპოლიტანელი უთუოდ სხვაგვარი ადამიანი იქნებოდა. ღმერთსა და სატანას შორის გაჩხირული რომ არ ყოფილიყო“ (კ. გამსახურდია, II, 1959, გვ. 145); „ნანისქვილარის არხზე რომ გადავხტი, ანკიპული თოფი განვივარდა, ლამის თვალი არ დამივსო დენტმა“ (კ. გამსახურდია, II, 1959, გვ. 55).

ბ) გვაქვს ფორმები, რომლებიც ხმოვანმონაცვლე ზმნათა პირველი სერიის ი საფეხურიან თემატურ ფუძეებს ეყრდნობიან და მიმლეობებშიც წარმოდგენილია თემატური სუფიქსი (კერძოდ, -ებ): „ერთხელ დადგინებული ნამუშევრის წილი არც იკლებს, არც მატულობს“ (ი.ჭავჭავაძე, IV, 1987, გვ. 306); „კოლა, ისეც აღრინებული, უფრო აღრინდა“ (ი.ჭავჭავაძე, II, 1985, გვ. 451); „ცხოვრებამ თავისი უკეთესი კაცი, სამშობლოს სიყვარულით თვალ-ახილებულნი, აქეთ-იქით მიახედ-მოახედა, ყოფილსაც თვალი გადააელებინა და არსებულსაც“ (ი.ჭავჭავაძე, III, 1986, გვ. 215); „ჩაილინა არსენამ და გაბრწყინებული თვალები ზაალის ბოხოსს გადააელო...“ (მ. ჯავახიშვილი, 1989, გვ. 42); „გახარებულმა ჭაბუკებმა აქშინებული ცხენი შუაში მოიქციეს“ (მ. ჯავახიშვილი, 1989, გვ. 40); „აქშინებული გარბოდნენ სამივენი“ (კ. გამსახურდია, II, 1959, გვ. 215).

ზოგჯერ შესაძლოა ერთი მწერლის თხზულებებში პარალელურად შევხვდეთ ან ტიპის მიმლეობებს თემის ნიშნით და მის გარეშე: „მაგისი ნამუსა...

ყკუით კი არ არის ახილებული, გულით გამოკეებილია, მარტო გულით" (ი. ჭავჭავაძე, II, 1985, გვ. 268); შდრ.: „გონების თვალი კი გასჭრის, მაგრამ ყველას ახილებული არა აქვს" (ი. ჭავჭავაძე, V, 1987, გვ. 382); „იშვიათად არის, რომ ნაყმევთა ვენახები სახასო და საეკლესიო გლახთა ვენახებში ჩაჩხირებულ არ იყვნენ..." (ი. ჭავჭავაძე, IV, 1987, გვ. 314); შდრ.: „ჩვენი საძაგლობა აქ რად არის ჩაჩხირული?" (ი. ჭავჭავაძე, V, 1987, გვ. 71).

აღნიშნულის შესაბამისად, ხმოვანმონაცვლე ზმნათა ნამყო დროის მიმლეობები გვხვდება -ილ და -ულ სუფიქსებით. ბ.ჯორბენაძის აზრით, ნამყო დროის -ილ/-ულ სუფიქსთა განაწილებისათვის ახალ ქართულში მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: „ანამყო ფუძეში -ავ სუფიქსის პოენიერების შემთხვევაში ნამყო დროის საობიექტო მიმლეობა შეიძლება ინარმოოს როგორც -ილ, ასევე -ულ სუფიქსებით: ნაყ-ავ-ს → და-ნაყ-ილ-ი, მაგრამ: მალ-ავ-ს → და-მალ-ულ-ი...

ასეთი ვითარების ახსნა ხერხდება ამ რიგის ფორმათა ისტორიის გათვალისწინებით.

-ულ გამოიყენება იმ დროს, როცა ზმნურ ფუძეში -ავ იმთავითვე იყო წარმოდგენილი: მალ-ავ-ს → და-მალ-ულ-ი, შხამ-ავ-ს → მო-შხამ-ულ-ი, ბარ-ავ-ს → და-ბარ-ულ-ი...

-ილ გვაქვს იმ შემთხვევებში, როცა ისტორიულად ანამყო ფუძე უსუფიქსოდ იყო წარმოდგენილი: ბერ-ს → გა-ბერ-ილ-ი, თელ-ს → გა-თელ-ილ-ი, რეკ-ს → და-რეკ-ილ-ი, ხოც-ს → და-ხოც-ილ-ი... თუმცა ახლა, ჩვეულებრივ, გვაქვს: ბერ-ავ-ს, თელ-ავ-ს, რეკ-ავ-ს, ხოც-ავ-ს..." (ბ.ჯორბენაძე, 1985, გვ. 65-66).

ცნობილია, რომ ხმოვანმონაცვლე ზმნებიც უძველეს ათემატურ ზმნათა ჯგუფს ეკუთვნიან. მაგრამ დღეს მათში თემატური ფორმებიც გვხვდება. სწორედ ამის გამო ზემოთ წარმოდგენილი დებულება მათზეც ვრცელდება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ათემატური და თემატური ხმოვანმონაცვლე ზმნები: კრეფს, კრეფავს, კრიფავს, მიმლეობა ამ სამივე ფორმისათვის იქნება -ილ სუფიქსიანი: და-კრეფ-ილ-ი. ეს მხოლოდ სალიტერატურო ქართულში. ხოლო დიალექტები განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ კილოებში -ილ სუფიქსი ამ ზმნათა ათემატური ფორმებიდან მომდინარე მიმლეობებში გვხვდება, ხოლო თემატური ფუძეებიდან მომდინარე მიმლეობებში (და-კრეფ-ულ-ი, და-კრიფ-ულ-ი ტიპისა) -ულ სუფიქსი გვაქვს.

მაშასადამე, ბ.ჯორბენაძის დებულება -ილ/-ულ სუფიქსთა განაწილების შესახებ, თანამედროვე ქართულში ხმოვანმონაცვლე ზმნების მაგალითზე მხოლოდ სალიტერატურო ენის მონაცემებზე ვრცელდება.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ -ავ თემისნიშნის ხმოვანმონაცვლე ზმნის სანყისი და მიმლეობა (ისევე როგორც შესაბამისი პირიანი ფორმები) ქართუ-

ლისალიტერატურო ენის და კილოების მონაცემების შეჯერებით საში ვარიანტი წარმოგვიდგება. ყოველივე ამის შემდეგ საინტერესოა, თუ როგორ (პირველი თუ მეორე სერიის) ფუძეს ირჩევენ აღნიშნული პირიანი და უპირი ფორმები წარმოების დროს. ეს ძირითადად „დრიკავს“, „ალხინებს“ ტიპს და მათგან მომდინარე სახელზმნებს ეხება.

ბ.ჯორბენაძის აზრით, „დრიკავს“ ტიპის ფორმებისათვის ამოსავალია მეორე სერიის ფუძე, რომლისგანაც შემდეგ ინარმოება ანმყო: ერთ შემთხვევაში ხმოვანმონაცვლეობით (ფლექსიურად) -- ნამყო: დრიკ-ა, ანმყო: დრეკ-ს, მეორე შემთხვევაში აფიქსაციით (აგლუტინაციურად) -- ნამყო: დრიკ-ა, ანმყო: დრიკ-ა-ს (ბ.ჯორბენაძე, 1975, გვ. 177). მოგვიანებით გამოჩნულ ნაშრომშიც ავტორი „დრიკ-ა-ს“ ტიპის ფორმებისათვის საყრდენად მეორე სერიის ფუძეს მიიჩნევს (ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ. 370).

მეორე სერიის (ნყვეტილის) ფუძეს ასახელებს ამოსავლად (ჩირიკავაჲა, კიჩავდა, კრიფავდა ფორმებისათვის) კ.კუბლაშვილიც (კ.კუბლაშვილი, 1965, გვ. 157).

ასევე II სერიის ფუძეს ვარაუდობს კ.აკიტიძეც ლეჩუმური კილოს I თურმეობითში ვოკალიზა, სახელზმნებში: კრიჭვა, მონყეტიული და სხვ. (კ.აკიტიძე, 1987, გვ. 141).

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული ვარაუდიც. კერძოდ, ლ.ნოზაძის აზრით, ამოსავალია პირველი სერიის ფუძე. მკვლევარი წერს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ი ხმოვნის შემცველ ფუძედრეკად ზმნათა ანმყოს წრის ფორმები მიღებულია -ავ სუფიქსის დართვით I სერიის თემაზე. ენიანზე (და არა II სერიისაზე, ენიანზე) ისევე, როგორც ხდება ეს სხვა, არახმოვანმონაცვლე ზმნათა შემთხვევაში: ვ-გრეხ>ვ-გრეხ-ავ>ვ-გრეხ-ავ... (მდრ.: ვ-თეს>ვ-თეს-ავ...)“ (ლ.ნოზაძე, 1993, გვ. 18). ხოლო თვით ვ-გრეხ/ვ-გრეხ-ავ მონაცვლეობის საფუძველი მკვლევრის აზრით, ფონეტიკურია — ი ე-ს ფონეტიკური რედუქციის შედეგია (ლ.ნოზაძე, 1993, გვ. 18).

ჩვენც „დრიკავს“, „ალხინებს“ ტიპის ფორმებში მომხდარ ცვლილებას პირველი სერიის ფარგლებში განვიხილავთ. შესაბამისად, აღნიშნულ ზმნათა პირიანი ფორმების და მათგან მომდინარე საწყისისათვის (კრიფვა) და ულ სუფიქსიანი მიმღეობისათვის (დაკრიფული, აღრინებული) ამოსავლად მიგვაჩნია ამ ზმნათა პირველი სერიის ფუძე და არა მეორე სერიისა (რ.ჭორბენაძე, 1995 (1), გვ. 95-96; გვ. 98-102).

გ.გოგოლაშვილის ვარაუდითაც, აღნიშნულ ზმნათა „...თემინი:მინიან ვარიანტთათვის ამოსავალი მხოლოდ I სერიის თემაა“ (გ.გოგოლაშვილი, 1996, გვ. 8). მკვლევრის აზრით, დრეკ-ა-ს ტიპის ფორმათა გაჩენა იმ საერთო ტენდენციის ასახვაა, როცა დაიწყო თემის ნიშანთა გადანაწილება მორფოლოგიურ საფუძველზე და ათემატურმა მოქმედებითი გვარი. ზმნებმა -ავ თემის ნიშანი გაიჩინეს. ხოლო ე/ი დაპირისპირების მოხსნის

ხელისშეწყობად ავტორი ორ ფაქტორს ასახელებს: „ა) I და II სერიის თემა-თა დაპირისპირებაში ეს მოვლენა უკვე ჭარბია და ბ) ფუძედრეკად ზმნებში მარცვლოვან სუფიქსურ მორფემასთან მხოლოდ ი ხმოვნიანი ძირეული მორფემის შეუღლება ხდება“ (გ.გოგოლაშვილი, 1996, გვ. 8).

საანალიზო ზმნათა ანმყო-მყოფადის ი საფეხურის მქონე თემატურ ცუძებებში მომხდარ ცვლილებას, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენც I სერიაში განვიხილავთ და ამ ზმნებისათვის ამოსავლად მიგვაჩნია I სერიის ფუძე, მაგრამ აღნიშნულ („დრიკავს“, „აღხინებს“ ტიპის) ფორმათა ფუძის ცვლას, ზემოხსენებულ ავტორთაგან განსხვავებით, სიმულტანურ მოვლენას მივა-წერო (რ.ქურდაძე, 1997 (3), გვ. 152).

ამრიგად, -ავ თემის ნიშანი უნიფიკაციის ტენდენციის გამო გვხვდება უთემისნიშნო ზმნებთან, მათ შორის ხმოვანმონაცვლეებთანაც, რაც პირ-ველ სერიაში ხმოვანმონაცვლე ზმნათა სამ ვარიანტს გვაძლევს. ეს სამი ვარიანტი ერთმანეთის მონაცვლედ გვხვდება ახალ ქართულში. სალიტერატურო ენასა და კილოებში სამი ვარიანტივე გვხვდება მათი საწყისები და მიმლეობები.

ერთი ზმნის სახელზმნური ფორმები უმეტესად ორი რომელიმე ვარი-ანტით გვხვდება, თანაც სხვადასხვა დიალექტში, მაგრამ საერთოდ მათი ყალიბი სამი სახისაა.

ყველა ის შემთხვევა, რაც შეიძლება გვიჩვენოს ხმოვანმონაცვლე ზმნამ პირიანი ფორმების, საწყისისა და მიმლეობის წარმოებისას, შეიძლება ერთი ზმნის მაგალითზე ასე წარმოვადგინოთ:

კრეფ-ს	კრეფ-ა	გა-კრეფ-ილ-ი
კრეფ-ავ-ს	კრეფ-ვ-ა	გა-კრეფ-ულ-ი
კრიფ-ავ-ს	კრიფ-ვ-ა	გა-კრიფ-ულ-ი

ამ ფორმათაგან თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით ძირი-თადია: კრეფ-ს, კრეფ-ა, გა-კრეფ-ილ-ი; ზოგი ზმნისათვის მიღებულია -ავ სუფიქსიანი წარმოება: ფრინ-ავ-ს, ფშვინ-ავ-ს, ქშინ-ავ-ს, ღრინ-ავ-ს და სხვ. ასევე ზოგი საწყისისათვის ფშვინ-ვ-ა, ქშინ-ვ-ა, ღრინ-ვ-ა; აგრეთვე ცალკეული მიმლეობისათვის: გა-ჩხირ-ულ-ი.

ამ მონაკვეთში წარმოვადგინეთ მხოლოდ ის -ავ თემისნიშნიანი ზმნები და მათზე დამყარებული სახელზმნები, რომლებიც თანამედროვე ქართულ-ში სალიტერატურო ენის ნორმებადაა მიჩნეული (იხ. ე.თოფურია, ივ.გიგინე-იშვილი, 1968). ასეთ ყალიბს ბუერი ხმოვანმონაცვლე ზმნა იყენებს და ზოგი მათგანი შესაძლოა სალიტერატურო ენის ნორმადაც იქცეს.

რაც შეეხება ფორმებს: კრეფ-ავ-ს, კრეფ-ვ-ა, გა-კრეფ-ულ-ი, ისინი დია-ლექტებისათვის და სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

საყურადღებოა, რომ ახალ ქართულში -ავ თემის ნიშანი ხმოვანმონაც-ვლე ზმნათა პრეფიქსიან მიმლეობაშიც გვაქვს: მ-ფლეტ-ავ-ი, მ-კრეფ-ავ-ი

(ი.ლუტიძე, 1996, გვ. 24).

ფაქტობრივად, ქართული სალიტერატურო ენისა და კლდეების მიხედვით ხმოვანმონაცვლე ზმნათა პრეფიქსიანი მიმღობაც სამ კარიანტს გვაძლევს. კერძოდ, მ-კრეფ-ი, მ-კრეფ-ავ-ი, მ-კრიფ-ავ-ი. აქედან პირველი ორი ქვეგლ-შია წარმოდგენილი, მესამე, ი ხმოვნიანი ფუძით კი ჩვენ მიერაა დადასტურებული ქართულში (გვხვდება მგლიჯავიც). მართალია, „მკრეფავი“, „მგლიჯავი“ არაა წარმოდგენილი ქვეგლ-ში, მაგრამ სამაგიეროდ ქვეგლ-ში გვაქვს ამავე ყალიბის სხვა ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმღობები. მსტვინავი, მფრინავი.

თავისებურ ვითარებას გვიჩვენებენ -ებ თემისნიშნისანი ამოვანმონაცვლე ზმნები. როგორც აღვნიშნეთ, მათი პარალელური ფორმები, -ავ სუფიქსიან ხმოვანმონაცვლე ზმნათა პარალელური ფორმებისაგან განსხვავებით, ორი ვარიანტისაგან შედგება:

ა-ლხენ-ს ლხენ-ა და-ლხენ-ილ-ი

ა-ლხინ-ებ-ს ლხინ-ებ-ა და-ლხინ-ებ-ულ-ი (/და-ლხინ-ულ-ი)

მაშასადამე, „ლხინება“ ტიპის ზმნებს არ მოეპოვებათ ფორმები ფუძეში ე ხმოვნით და თემის ნიშნით: *ა-ლხენ-ებ-ს *ლხენ-ებ-ა *და-ლხენ-ებ-ულ-ი (ან *და-ლხენ-ულ-ი); მაშინ, როდესაც არსებობს: კრეფავს, კრეფვა, დაკრეფული.

ამ ფორმების (*აღხენებს, *ლხენება, *დაღხენებული) არარსებობა შეიძლება აიხსნას ხმოვანმონაცვლე ზმნებზე თემის ნიშნითა დართვის ქრონოლოგიური განსხვავებულობით.

კერძოდ, -ავ სუფიქსი გვიან, უნიფიკაციის შედეგად, დაერთო ხმოვანმონაცვლე ზმნების დიდ ნაწილს და მივიღეთ კრეფავ — ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით, სალიტერატურო ენის ნორმის გავლენით კრეფავ.

-ებ სუფიქსიან ხმოვანმონაცვლე ზმნებში თემის ნიშნითა არსებობა განსხვავებულია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ თემის ნიშანი ადრევე გვექონდა. ძველად იყო: ავლინებს, ელინება ტიპი, ხოლო XI საუკუნიდან ჩნდება პარალელური ფორმები: ალადგინებს → ალადგენს, წარგავლინებ → წარგავლენ და სხვ.

ზ.სარჯველაძე აღნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში ახლებურად ნაწარმოები ანმყო დაედო საფუძვლად პირველ თურმეობითა: აღუდგენიეს, განეკრეფინიეს და სხვ. ასევე ახალი ზმნური ფორმებიდან იწარმოება საბელზმნებიც: წარვლენავ, შეძენავ, მოვლენილი და სხვ.

ზ.სარჯველაძის დასკვნით, XI საუკუნიდან ცოცხალ მტყვეულებაში ამ ტიპის ფორმები ალბათ გაბატონებული იყო (ზ.სარჯველაძე, 1984, გვ. 424-425).

-ავ თემისნიშნისანი ხმოვანმონაცვლე ზმნებისაგან განსხვავებით, -ებ თემისნიშნისანი ხმოვანმონაცვლე ზმნებში ისტორიულად ჯერ ი ხმოვნიანი თემისნიშნისანი ფუძე იყო, შემდეგ ე ხმოვნიანი უთემისნიშნისანი, ე.ი ხმოვანი-

ბინაცვლე ზმნათა ამოსავალი ე ხმოვნინი ფუძე ამ შემთხვევაში მეორეულია.

სწორედ ამიტომ არ უნდა გვექონდეს -ებ თემისნიშნინი ხმოვანბინაცვლე ზმნა ფუძეში ე ხმოვნით.

კრეფავს ტიპის ზმნები, როგორც აღვნიშნეთ, სალიტერა: ლურო ენის სწორმის გავლენით გაჩნდა. როგორც თემის ნიშნების დართვის ისტორია გვიჩვენებს, სალიტერატურო ენის მხრიდან *ალხენებ, *ავლენებ მოდელის დანოლა არ ყოფილა, ვინაიდან აღხინებ, ავლინებ იყო ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის ჩვეულებრივი. ამიტომაც არა გვექონია *ალხენებ, *ლხენება, *დალხენებული ანდა *ავლენებ, *ვლენება, *ელენებული...

ამგვარადვე შეიძლება აიხსნას ფრენს//ფრინავს ტიპიც, ე.ი. ის -ავ თემისნიშნინი ზმნები, რომელთაც ორ-ორი ვარიანტი აქვთ. მათი რიცხვი მცირეა: ფრენს//ფრინავს; ქშენს//ქშინავს და სხვ. არ გვხვდება *ფრენავს, *ქშენავს. ამ ტიპის ზმნები ძირითადად თემის ნიშნით იხმარება. მათ ენიანი ფუძე თემის ნიშნით (*ფრენავს, *ქშენავს) არ გააჩნიათ, ხოლო -ავ თემისნიშნინიან ფორმათა გავრცელების გამო ამ ზმნების ენიანი უთემისნიშნო ფუძე (ფრენს, ქშენს) იშვიათად გვხვდება.

ამ ზმნებში „ფრენავს“ ტიპის არარსებობა, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ მათთვის უფრო ძველი ჩანს „ფრინავს“ ყალიბი (ი ხმოვნინი თემატური ფუძე). ეს ყალიბი უნდა დამკვიდრებულიყო ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ფრენს და მისთანა ე ხმოვნინი ფორმები სალიტერატურო ენის ნორმად იქცეოდა, ე.ი. სანამ სალიტერატურო ენის მხრიდან ე ხმოვნინი ფუძის გავლენის შესაძლებლობა გაჩნდებოდა.

ასეთი ზმნებია: ფრინავს, ქშინავს, ხვრინავს, ღრინავს და სხვ. ამ ზმნებში შედარებით ადრინდელი სწრაფვა თემის ნიშნის დართვისაკენ არ უნდა გვეუცხოოს, მით უმეტეს, რომ გვხვდება -ავ თემისნიშნინი ზმნები ენიანი ფუძით, რომელთაც არ გააჩნიათ ენიანი ფუძე არც თემის ნიშნით და არც უთემისნიშნოდ. ესენი ადრინდანვე „ფრინავს“ ყალიბზე გადასულან, მაგრამ წარმომავლობით რომ ხმოვანბინაცვლენი უნდა იყვნენ, ამაზე მიგვითითებს შესაბამისი სახელზმნები, სანყისები:

ბზინავს და ბზინვა, შდრ.: ბზენა;

ბრდღვინავს და ბრდღვინვა, შდრ.: ძვ. ქართული ბრდღუნა — ლმუილი, ყვირილი, ზახილი, ღრიალი, მრისხანება, გლეჯა (ი.აბულაძე, 1973, გვ. 35).

ბრიგავს - მაგრად სცემს და ბრიგვა — მაგრად ცემა. შდრ.: ბრევა -- 1. მაგრად ცემა, 2. იგივეა, რაც ბრავუნი (ქეგლ).

ბრწყინავს და ბრწყინვა, შდრ.: ბრწყენა და სხვ.

ხმოვანბინაცვლე ზმნებში -ავ და -ებ სუფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით საყურადღებოა გ.გოგოლაშვილის დაკვირვება. იგი სამ შემთხვევას განიხილავს: ა) -ებ თემისნიშნინიან მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთი ჯგუფ-

ფი ახალ ქართულში კარგავს თემის ნიშანს: ალადგინ-ებ-ს → ალადგენს, შესძინ-ებ-ს → შესძენს..., ბ) -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა ვნებითის ფორმებში მკვიდრდება -ებ თემის ნიშანი: ი-ბატ-ე-ი-ს → იხატ-ებ-ა, დაიდგ-მ-ი-ს → დაიდგმ-ებ-ა..., გ) მოქმედებითი გვარის ერთთემიანი და ფუძედრეკადი ზმნები -ავ სუფიქსს იჩენენ: წოც-ს → წოც-ავ-ს, ფრენს → ფრინ-ავ-ს.

მკვლევრის აზრით, ამ შემთხვევათა მიზეზი ერთი და იგივე ტენდენციაა: „თემის ნიშანთა განაწილებას საფუძვლად გვარის კატეგორია ედება — ებ თემის ნიშანი მკვიდრდება ვნებითებში, -ავ (-ამ) თემის ნიშანი მოქმედებითებში“ (გ.გოგოლაშვილი, 1995, გვ. 9; იხ. აგრეთვე გ.გოგოლაშვილი, 1998, გვ. 27-23).

აღნიშნული ტენდენციის მიუხედავად, თანამედროვე ქართულში პირველ სერიასი ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოება პარალელური ფორმებით ნასიათდება. კერძოდ, -ავ თემისნიშნები სამი ვარიანტით წარმოგვიდგება, ხოლო -ებ თემისნიშნები — ორით. ყველა ამ ვარიანტისაგან შესაძლებელია იწარმოოს ამავე ზმნათა სახელზმნები — საწყისები და მიმლობები (რ.ქურდაძე, 1995 (1), გვ. 98-102).

3.5. -ებ თემისნიშნთან ხმოვანმონაცვლე ზმნათა სახელზმნების პარალელური ფორმები

დღეისათვის ქართულში ვხვდებით ხმოვანმონაცვლე ზმნათა და სახელზმნათა -ებ სუფიქსიან პარალელურ ფორმებს. მაგ.: დგენა//დგინება, დენა//დინება, ვლენა//ვლინება, ზრზენა//ზრზინება, ლხენა//ლხინება, მხელა//მხილება, ფენა//ფინება, ქმენა//ქმინება, ღრენა//ღრინება, ჩენა//ჩინება, ძენა//ძინება, ჭერა//ჭირება.

ამ ზმნათა პირიანი ფორმები ერთი და იმავე მნიშვნელობით გვხვდება. მიუხედავად მათი პარალელური ხმარებისა, ზოგჯერ აღინიშნება -ებ თემისნიშნთან ფორმათა გამოყენება სახელზმნებში სემანტიკური ცვლილებით.

მაგ.: დგენა და დგინება.

ამ ზმნათა ზმნისნიშნთან ფორმებში -ებ სუფიქსიანი ფორმა სემანტიკურად შეცვლილი ჩანს. შდრ.: აღდგენა, აღდგინება; დადგენა, დადგინება; წარდგენა, წარდგინება.

აღდგენა — ხელახლა აშენება, წინანდელი სახის მიცემა, განახლება. იგივეა აღდგინებაც, მაგრამ აღდგინება და არა აღდგენა გვხვდება გამოთქმამი: „ლაზარეს აღდგინება“.

დადგენა — 1. მიღება (გადანყვეტილებისა, დადგენილებისა); გამოტანა (განაჩენისა); გადანყვეტა ... // დამტკიცება, დასაბუთება, უეჭველყოფა... 2. აღმოჩენა (კანონისა, კანონზომიერებისა); ჩამოყალიბება, დამკვიდრება. ტექსტის დადგენა, ... 3. დაარსება, დანესება, შექმნა ... 4. ძვ. ვისიმე დაყენება, დანიშვნა (რაიმე თანამდებობაზე) (ქველ).

დადგინებაც ნიშნავს დაარსებას, დანუსებას, შექმნას, დანიშვნას, მაგრამ, იმავე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დადგინება ნიშნავს აგრეთვე იპას, რაც დადგენილია, — ფაქტს, სინამდვილეს: „ამ დადგინებას სიტყვა არ შეეებრუნება“ (ილია) (ქეგლ). ამ მნიშვნელობით დადგენა არ გვხვდება.

ნარდგენა ... 1. მიტანა (რაიმე წერილობითი საბუთისა)... 2. გაცნობა... 3. შუამდგომლობა ვისიმე დაჯილდოების თაობაზე.

ნარდგინება ... 1. იგივეა, რაც ნარდგენა... მაგრამ მოუპოვება განსხვავებული მნიშვნელობაც: 2. რაიმე სურვილის შემცველი ოფიციალური განცხადება „[ნორვეგიის] მთავრობა განიხილავს საკითხს, რათა ნარდგინება გაუკეთოს ვაშინგტონს, თუ შეერთებული შტატები ბოიკოტს გამოუცხადებენ ნორვეგიის გემებს“ (ქეგლ).

დენა და დინება

დენა ... ეს არის განუწყვეტელ ნაკადად მოძრაობა, მდინარება, დინება (სითხისა), დინება — დენა, მდინარება... // განუწყვეტელი სელა, მიმდინარეობა... (ქეგლ).

ამ განმარტებათა მიხედვით, დენა და დინება ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ დინება გამოიყენება გეოგრაფიულ ტერმინადაც. იხ. ზღვის დინებები, ოკეანის დინებები — წყლის მასების წინსვლითი მოძრაობა ზღვებსა და ოკეანეებში. „დინება“ ხშირია შემდეგ გეოგრაფიულ ტერმინებში: „...ქარისმიერი დინება, ჩამონადენისმიერი დინება, კომპენსაციური დინება. განლაგების მიხედვით განარჩევენ: ზედაპირულ, სიღრმით და ფსკერულ დინებებს. ფიზ.-ქიმი. ნაჩვენებლებით კი თბილ, ცივ, მლამე და გამტკნარებულ დინებებს. დინება შეიძლება იყოს აგრეთვე მუდმივი, დროებითი და პერიოდული (მიქცევა-მოქცევით გამოწვეული)“ (ქსე, IV, 1979, გვ. 549).

„დინება“-საგან ინარმოება აგრეთვე გეოგრაფიული ტერმინი — „უკუდინებაც“: „პასატური დინებების ჩრდ. და სამხრ. ტოტებს შორის წარმოიქმნება უკუდინებები, რ-თა ზოგიერთი ტოტი წყლის სიღრმეში იძირება“ (ქსე, VII, 1984, გვ. 510).

„დინება“-ს ზმნისწინიანი ფორმა იხმარება შემდეგ გამოთქმაში: „ინტელექტის გადინება“. მაგ.: „წინ აღუდგებიან „ინტელექტის გადინებას“; „...რუსეთის მთავრობამ და აშშ ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს სათანადო პროგრამები, რაც თავიდან ავეცილებს სამხედრო ტექნიკის გაყიდვასთან და „ინტელექტის გადინებასთან“ დაკავშირებულ საკითხებს“ (გაზ. „თბილისი“, N 78, 1993).

ამ შემთხვევაში დინება ზმნის ზმნისწინიანი ფორმების არსებობას ხელს უნდა უწყობდეს ის გარემოება, რომ „დენა“ ზმნის ზმნისწინიან ფორმებს (გამოდენა, ჩადენა, შედენა) ორი მნიშვნელობა აქვს: პირველი — თავისთავად დენა, დინება და მეორე — ძალით, იძულებით გამოდენა: გამორეკვა,

ჩადენა — კუთხ. (იმერ. გურ.) ქვევით გადენა, ჩაყვანა, ჩარეკვა, შეყვანა — იძულებით შეყვანა, შერეკვა, შეყრა, შელაღვა. შაშინ როდესაც გამოდინება, ჩამოდინება, შედინება მხოლოდ დინებით, დენით სვლას გულისხმობს.

ვლენა და ვლინება ფორმებიც მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთს ემთხვევა: ავლენს//ავლინებს, მიავლენს//მიავლინებს, მივლენა//მივლინება. მაგრამ როცა ლაპარაკია რაიმე მიზეზით ან საშესაბურთოობრივი დავალებით ვისიმე დროებით სხვაგან გაგზავნაზე, ძირითადად „მივლინება“ იშვარება („მივლინებაში წავიდა“, „მივლინების ბარათი“ და ა.შ.). შესაძლოა ამას გამოცაა, რომ განმარტებით ლექსიკონში გვხვდება ამ ზმნის -ვზ ფუძიანი მიმღეობა, — არა მისაველენელი, არამედ მისაველინებელი — ვინც უნდა მიაველინონ, — მივლინებით გასაგზავნი (ქეგლ).

საინტერესოა ვლენა, ვლინება ფორმების მო- ზმნისნიშნის კარიანტიბიც: მოვლენა — გარკვეული დავალებით მოგზავნა, მოსვლა... // გამოჩენა, გამოცხადება..., აგრეთვე ფილოს. რაშიც საგნის დედაარსი, მისი შინაგანი ბუნება გამოჟღავნდება, ფენომენი... // რაც თავს იჩენს, ზდება; ამბავი, შემთხვევა (ქეგლ).

შდრ.: მოვლინება — ეს არის მოვლენა პირველი მნიშვნელობით.

მაშასადამე, „მოვლენას“ სხვა მნიშვნელობებიც აღმოაჩნდა, სწორედ ამ სემანტიკური გადასვლის გამოა, რომ გარკვეულ კონტექსტში „მოვლინება“ გვხვდება მოავლინებს, მოველინება ზმნათა მოქმედების მნიშვნელობით და არა „მოვლენა“. მაგ.: „რაკი ესეა და ბუნების დიდნი მოვლენანი უმცნო კაცისათვის გაუგებარნი არიან, მამ რა ჰქნას ახლად ფეხადგმულმა გონებამ კაცისამ, თუ მიზეზად ყოველ ამისთანა მოვლენისა არ ინამოს რაღაც ყოვლად-შემძლებელი, უბილავი არსება და იმას არ ღიანეროს შექმნა და მოვლინება ყოველ იმისა, რის მიზეზი და სათავეც თითონ ჯერ ვერ გამოიუცენია და ვერ მისწვდომია“ (ი.ჭავჭავაძე, IV, 1987, გვ. 102)

ზრზენა და ზრზინებაც მნიშვნელობით ჩვეულებრივ ერთმანეთს ემთხვევა: „ზრზინება — ძვ. იბ. ზრზენა — ძვ. შეძრუნება, ზარი. მაგრამ -ებ თემისნიშნისანი, ზმნისნიშნისანი ფორმა განსხვავებულ სემანტიკას ვკირვენებს. შდრ.: შეზრზენა — შეძრუნება და შეზრზინება — ძვ. სიცივით ატანა, შეცივებით ურყოლა, — შეცივება, შეკანკალება“ (საბა) (ქეგლ).

მხელა და მხილება

„მხელა“-ს პირიანი ფორმაა ამხელ-ს — 1. ააშკარავენს, აიყვანებენ... // სააშკარაოზე გამოაქვს, — ამხილებს... 2. გასცხადებს, ამბობს. შდრ.: ამხილებს — სააშკარაოზე გამოაქვს და კიცხავს ვისმე რაიმე ურიგობისათვის... (ქეგლ).

ამ განმარტებათაგანაც ჩანს, რომ ამხელს და ამხილებს განსხვავებულ სემანტიკურად (მცირედ, მაგრამ მაინც). კერძოდ, „ამხილებს“ ზმნა ხაზის უსვამს იმ გარემოებას, თითქოს რაიმე უნდა გამოამკარავდეს იმ მიზნით,

რომ გაიკიცხოს, დაიგმოს. შესაძლოა ამ მნიშვნელობის გამოა, რომ „მხილვა“ ფუძით გვხვდება შემდეგი მიმღებობანი: მხილებელ-ი; მამხილებელი-ი ეინც ან რაც ამხილებს, მხილებულ-ი ეინც ან რაც ამხილეს, — სააშკარაოზე გამოყვანილი (ან გამოტანილი) და დაგმობილი; სამხილებელი-ი — რაც უნდა ამხილონ, — გამოსააშკარაებელი, გამოსამფლავებელი, საზილებლად ზმნს. მხილებისათვის, გამოსააშკარაებლად, გამოსამფლავებლად (ქველ).

ჩენა და ჩინება

ჩენა - 1. დასანახავად ქცევა... თვალთა ჩენა --- ძვ. თვალის ჩინი, მხედველობა... 2. შექმნა, გაჩენა.

ჩინება -- გამოჩენა, გამოვლინება.

სემანტიკურად სახეცვლილია ამ ფორმათა მიმღებობანი. ჩენილ-ი — 1. იხ. გამოჩენილი..., 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი თავჩენილი, შდრ.: ჩინებულ-ი — შესანიშნავი, დიდებული, საუცხოო..., ჩინებულად — საუცხოოდ, შესანიშნავად (ქველ). სემანტიკურ სხვაობას გვიჩვენებს ამ ზმნათა ზმნისნიანი ფორმებიც: გამოჩენა, გამოჩინება:

გამოჩენა — დასანახავად ქცევა ან გახდომა, გამოსვლა... // გადატრისამე ჩვენება, თვალსაჩინოდ, ცხადად ქცევა, გამოაშკარაება, გამოშფლავება, გამოვლენა... თავის გამოჩენა, სახელის მოხვეჭა, სასაბელო საქმის ჩადენა...

გამოჩინება — 1. იგივეა, რაც გამოჩენა... 2. გადატ. ზეიმი, დღესასწაული: „საქართველოში კი ზეიმი და გამოჩინება“ (შ.დად.); „[ხათუსა] უბრალო კაცის შვილი ხომ არ არის, გამოჩინების დროს მიეჩქმალთ?“ (ვ.ბარნ.). გამოჩინებით --- დიდი ზეიმი: „ჯერის წერიისათვის ყივჩალთა მეფემ მოისურვა დიდი ამალით და გამოჩინებით ჩამოსვლა საქართველოს“ (შ.დად.) (ქველ).

აღსანიშნავია, რომ ზოგი სახელზმნა მხოლოდ „ჩინება“ ფუძით გვხვდება, ზმნისნივით, ე ვარიანტიანი, უთემისნიშნო ფუძე კი არ გააჩნია.

განჩინება — 1. იგივეა, რაც განაჩენი... 2. განანესი, კანონი.

განჩინებული --- რაც განაჩინეს, — განაჩენი; დადგენილი, დანესებული (ქველ).

ამ შემთხვევაში თითქოს ამ ფორმას პარალელურად აქვს „განაჩენი“, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ განჩინება და განაჩენი მორფოლოგიურად განსხვავდებიან, მეორეც, განაჩენი პარალელურ ვარიანტად მხოლოდ „განჩინების“ პირველი მნიშვნელობისათვის არის, ხოლო მეორე მნიშვნელობისათვის (— განანესი, კანონი, დადგენილი, დანესებული) განჩინება, განჩინებული იხმარება.

წარჩინება --- 1. კარგი სამსახურისათვის გამორჩევა (დანინაურებით, ჯილდოთი)... 2. წარმატება (სწავლაში)... წარჩინებით --- საუცხოოდ, გამორჩეულად, კარგად.

ნარჩინებულობა — ნარჩინებულის მდგომარეობა...

ნარჩინებულ-ი — 1. დანინაურებული, გამორჩეული... // მალალი წრის წარმომადგენელი, დიდებული (მნიშ. 2)... 2. სახელგანთქმული... 3. ჩინებული, მშვენიერი... 4. სკოლ. საუკეთესო, ფრიადოსანი (ქეგლ).

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ ჩვეულებრივ -ებ თემის ნიშანს ახასიათებენ შემდეგნაირად: ეს არის სუფიქსი, თემის ნიშანი -- ანმყოს ფუძის მანარმოებელი. დამონმებულია მოქმედებითი გვარის ზმნებში, ვნებითი გვარის ზმნებში, სტატიკურ ზმნებში, ნასახელარ ზმნებში. ამ თემის ნიშნის ხმარებასთან დაკავშირებულია რიგი ფონეტიკური ცვლილებანი. -ებ თემის ნიშნის ხმარებას ახასიათებს დიალექტური თავისებურებანიც (ბ.ჯორბენაძე, მ.კობაძე, მ.ბერიძე, 1988, გვ. 122-124).

ჩვენი მხრით შევნიშნავთ, რომ -ებ თემის ნიშნის ფუნქციონირება შორის საყურადღებოა მისი არაძირითადი დანიშნულებით გამოყენება, კერძოდ, ხმოვანმონაცვლე ზმნათა (სახელზმნათა) თემისნიშნიან და უთემისნიშნო ფორმებში, რომლებიც გამოყენებულია სემანტიკური განსხვავების გადმოსაცემად (რ.ქურდაძე, 1996 (1), გვ. 159).

3.6. ხმოვანმონაცვლე ზმნათა ენებითი გვარის პარალელურ ფორმათა შესახებ მესამე სერიაში

ზემოთ აღნიშნულ ხმოვანმონაცვლე ზმნათა პარალელური ფორმები მოქმედებითი გვარისაა. საყურადღებოა, რომ ენებითი გვარის ხმოვანმონაცვლე ზმნების უღლების დროსაც გვხვდება პარალელური წარმოება, ოღონდ ამ შემთხვევაში პარალელური ფორმები დასტურდება არა პირველ ან მეორე სერიაში, არამედ მესამეში. ასე, მაგალითად, ინიანი ენებითის ფორმები რომ ავიღოთ, პირველ და მეორე სერიაში ი ხმოვნის შემცველი ფუძეები გვექნება: პირველი სერია: იტვრინება, იჩხირება, იჩკიება... მეორე სერია: გაიტვრინა, გაიჩხირა, გაიჩკიბა... მესამეში კი ამ ზმნებს შემდეგნაირი ფორმები ექნებათ: გატვრინილა//გატვრინულა, გაჩხერილა//გაჩხირულა, განკეპილა//განკეპულა...

ამ შემთხვევებისათვის შესაძლებელია ე ხმოვნისანი ფუძის („გატვრინილა“ ტიპის) მაგალითები საილუსტრაციოდ არც კი მოვიყვანოთ, რამდენადაც ამ ჯგუფის ზმნათა მესამე სერიისათვის ასეთი წარმოება ჩვეულებრივია. უფრო იშვიათია ი ხმოვნისანი ფუძის („გატვრინულა“ ტიპის) ნიშნები. იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება.

შხატურული ლიტერატურიდან საილუსტრაციოდ შემდეგს დავასახელებთ: „...მინდორზე ერთმანეთში უბეროთ ბრულ-აჩხორულან ფიცრული: ფარღალაღა შენობები, რომელთაც ეობები უფრო შეეფერებათ სახელად. მინამ სახლები“ (ე.წინოშვილი, 1954, გვ. 499), „ზნაურა და მისი ქაკიც ჭა-

ზირულიყვენ ზედ, ამიტომაც სწრაფად ვერ შემოუტყის დანარჩენებმა“ (კ.გამსახურდია, II, 1959, გვ. 756); „[მელია]... ბალახში გატვრიწულიყო და პოულოდწელად თავს დასხმოდა კაკებს“ (კ.გამსახურდია, II, 1959, გვ. 746).

აღწიწწული წარმოება დასტურდება თარგმანებშიც: „შეკდეთ, აგერ მეტრ-წახეწარზე გაწკიპულა შვედეთის მომავალი“ (ასტრიდ ლინდგრენი, 1981, გვ. 222, თარგმანი ჯენეტ ბაჯელიწისა).

ასეთი ფორმები (გატვრინულა, გაწხირულა, გაწკიპულა) გვხვდება ცოცხალ მეტყველებაში და ფაქტობრივად მათ შვიდლება მესამე სერიის ყველა მწკრივში მეხვედეთ. ერთი რომელიმე მაგალითისათვის რომ აღვადგინოთ მესამე სერიის მწკრივთა პარალელური ფორმები, ასეთ სურათს მივიღებთ:

პირველი თურმეობითი: გატვრენილა // გატვრინულა

მეორე თურმეობითი: გატვრენილიყო // გატვრინულიყო

მესამე კავშირებითი: გატვრენილიყოს // გატვრინულიყოს

ერთი მეხვედით შესაძლებელია მესამე სერიაში „გატვრინულა“ ტიპის წარმოება ამ ზმწების პირველ და მეორე სერიათა უშუალო გაგრძელებად მოწანდეს, რადგან ამ ზმწებს პირველ და მეორე სერიაშიც ი ხმოწნიანი ყუწებები აქვთ (იტვრინება, გაიტვრინა), მაგრამ სინამდვილეში ვითარება სწვაგვარია.

ზემოთ აღწიწწეთ, რომ ამ ზმწათა მესამე სერიის ფორმებისათვის ე ამოწნიანი ფუწვა წიშანდობლივი (გატვრენილა). ე ხმოწნიანი ფუწვე კი, როგორც ცნობილია, ხმოვანმონაცვლე ზმწების მოქმედებითი გვარის პირველი სერიის ფორმებისათვისაა დამახასიათებელი. რატომ უწდა გვხვდებოდეს იგი ამავე ზმწათა ვწებითის წყებაში მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ ხმოვანმონაცვლე ზმწათა ვწებითი ი ხმოწნიანი ფუწვით გვაქვს?

ეს ვითარება შემდეგწაირად აიხსწება:

აკაკი შანიძე აღწიწწავს, რომ „ერთ-პირიან ვწებით ზმწებს მესამე სერიის სანარმოებლად წარსულ-დროიანი ვწებითი გვარის მიმლეობა აქვთ გაყოყწენებული. მიმლეობის ფორმას ერთვის მეშველი ზმწა: ვარ (I თურმეობითში), ვიყავ (II თურმეობითში) და ვიყო (III კავშირებითში)“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 453).

მაშასადამე, ჩვენი საანალიზო ზმწების წარმოებისათვის მესამე სერიაში საყრდენია ვწებითი გვარის წამყო დროის მიმლეობა. თავის მხრივ, საკითხავია: რას ემყარება აღწიწწულ ზმწათა ვწებითი გვარის წამყო დროის მიმლეობა?

ა.შანიძე წერს, რომ მოქმედებითი გვარის მიმლეობა ემყარება პირველი სერიის თემას. ამიტომ მოქმედებითი გვარის ხმოვანმონაცვლე ზმწათა მიმლეობებში ე გვაქვს და არა ი (ა.შანიძე, 1980, გვ. 570).

ვწებითი გვარის წამყო დროის მიმლეობასთან დაკავშირებით მეტად მწიმწწნელოვანია ეკატერინე ოსიძის დაკვირვება. მკვლევარი შეწიწწავს, რომ ვწებითი გვარის მიმლეობაში არსად არაა ვწებითის მანარმოებელი

აფიქსები. ყველგან საწარმოებლად გამოყენებულია მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძე. ეკ.ოსიძე წერს: „რომ ვნებითი გვარის ზმნებიდან მიმღეობა არ იწარმოება, ამაზე ფუძედრეკადი ზმნების მიმღეობებიც მიუთითებენ ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობანი ფუძედრეკადი ზმნებისა ე-ს შერცავენ: დრეკ-ილ, წყვეტ-ილ, წყუედ-ილ და ეს იმიტომ, რომ ეს მიმღეობებიც მოქმედებითი გვარის ზმნის ანმყოს ფუძისაგან არის ნაწარმოები“ (ე.ოსიძე, 1957, გვ. 202-203).

ჩვენი მხრით დავამატებთ იმასაც, რომ ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკად) ზმნათა ნამყო დროის ი ხმოვნის შემცველი მიმღეობანი (გატვრინული, ვაჩხირული, განკიპული) აგრეთვე მოქმედებითი გვარის ზმნის ანმყოს თემატური ფუძისაგან არის ნაწარმოები.

მაშასადამე, ვნებითი გვარის ერთპირიან ხმოვანმონაცვლე ზმნათა მესამე სერიის პარალელური ფორმები გატვრენილა // გატვრინულა ტიპისა, ემყარება მოქმედებითი გვარის ანმყოს ფუძის პარალელურ ფორმებს (ტვრენს//ტვრინაეს) (რ.ეურდაძე, 1997 (4), გვ. 138).

3.7. ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმღეობის ერთი თავისებურების შესახებ

ხმოვანმონაცვლე ზმნათა ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობის ნარმოებისას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი (მიმღეობის) ფუძე შესაბამის ზმნათა მოქმედებითი გვარის ანმყოს ფუძეს ემყარება. ამ შემთხვევაში ყურადღება გვინდა შევაჩეროთ იმ ფაქტზე, რომ ნამყო დროის მიმღეობა ანმყოს ფორმებს ემყარება. ეს აიხსნება იმით, რომ ფაქტობრივად საბელზმნურ ფორმათა ნარმოება პირველი სერიის ფორმებს ეფუძნება და შესაბამისად იქ მომხდარი ცვლილება ასახვას პოვებს საბელზმნაშიც.

ამ მხრივ ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმღეობის ნარმოება ყურადღებას იქცევს სხვა, არაქართველური ენების ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმღეობებთან ტიპოლოგიური მიმართებითაც. კერძოდ, აღნიშნულ ზმნათა მიმღეობის ნარმოება ერთგვარ სიახლოვეს გვიჩვენებს თანამედროვე ინგლისური ირეგულარული ხმოვანმონაცვლე ზმნების მიმღეობებთან.

ქართულში, როგორც ვთქვით, ე-ი ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნების ნამყო დროის მიმღეობა ემყარება იმ ფუძეს, რომელიც ნარმოადგენილა ანმყოს ფორმებში (და არა ნამყოში). ასევეა საწყისშიც:

გლეჯ-ს	—	გლიჯ-ა, გლეჯ-ა,	და-გლეჯ-ილ-ი
დრეკ-ს	—	დრიკ-ა, დრეკ-ა,	გა-დრეკ-ილ-ი
კრეფ-ს	—	კრიფ-ა, კრეფ-ა,	და-კრეფ-ილ-ი

ჩვენი აზრით, ხმოვანმონაცვლე ფუძედრეკად ზმნათა ნამყო დროის ი ხმოვნის შემცველი მიმღეობანი (გატვრინული, განკიპული ტიპისა) აგრეთ-

ეკანმყოფუძისაგან არის ნანარმოები, ოღონდ ამ შემთხვევაში ფუძე თემატურია: ტვინ-აე-ს, ნკიპ-აე-ს (იხ. ზემოთ).

ანმყოფუძეს ნარმოგვიდგენენ ხმოვანმონაცვლე კუნშეადი ტიპის ზმნათა ნამყო დროის მიმღეობანიც. კერძოდ, ამ მიმღეობათა შეკუმშული ფუძეებიდან ისევე აპოვარდნილია ა და ე ხმოვნები, როგორც ამ ფორმათა ანმყოფა და სანყისის ნარმოებისას,

შლ-ი-ს (გა)შალ-ა, შლ-ა, გა-შლ-ილ-ი

ვკრ-ი (გა)ვეკერ-ი, ცრ-ა, გა-ცრ-ილ-ი

აღსანიშნავია, რომ ეს ნარმოება ერთგვარ ანალოგს პიოულობს ინგლისურ ენაში.

ცნობილია, რომ ინგლისურში ირეგულარულ ზმნურ ფორმათა ნაწილი ბმოვანმონაცვლეობით ანარმოებს ინგლისური ზმნის სამ მთავარ ფორმას: განუსაზღვრელ ფორმას -- Infinitive-ს, ნამყო განუსაზღვრელ დროს -- Past Indefinite-ს და ნამყო დროის მიმღეობას -- Past Participle-ს.

ამ ზმნების ნამყო დროის მიმღეობაში გვებდება ის ფუძე, რომელიც გამოყენებულია ამავე ფორმათა ინფინიტივში (ზმნის სანყის ფორმაში და არა ნამყოში):

ა) ზმნები, რომელთა ნამყოს ფორმა ნანარმოებია ხმოვანმონაცვლეობით და ნამყოს მიმღეობას აქვს იგივე ხმოვანი, რაც ინფინიტივშია, მაგრამ ემატება -en დაბოლოება:

to give gave given (მიცემა);

to eat ate eaten (ჭამა);

to see — saw — seen (დანახვა).

ბ) ზმნები, რომელთა ნამყოს ფორმა ნანარმოებია ხმოვანმონაცვლეობით და ნამყოს მიმღეობას აქვს იგივე ხმოვანი, რაც ინფინიტივშია, მაგრამ არა აქვს -en დაბოლოება:

to become --- became — become (გახდომა);

to come --- came --- come (მოსვლა);

to run ran --- run (სირბილი) და სხვ.

აწრივად, ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმათა ნამყო დროის მიმღეობანი ქართულში ემყარებიან არა ნამყო დროის ფუძეს, არამედ იმ ფუძეს, რაც სანყისსა და ანმყო-მყოფადის ფორმებშია ნარმოდგენილი. ასევე ანარმოებს ნამყოს მიმღეობას ინგლისური ხმოვანმონაცვლე ზმნების მნიშვნელოვანი ნაწილიც. კერძოდ, ამ მიმღეობებში იმ ფუძეს ვხვდებით, რაც ინფინიტივსა და ანმყო-მყოფადის ფორმებში გვაქვს.

ამ მხრივ აღნიშნული ენები იდენტურ სურათს გვიჩვენებენ, მაგრამ ხმოვანთა მონაცვლეობა და მასში მონაწილე ხმოვნები, ბუნებრივია, სხვადასხვაა ქართული და ინგლისური ხმოვანმონაცვლე ფორმებისათვის (რ. ქურდაძე, 1997 (5), გვ. 397-400).

აღნიშნული მიმღებების ანალიზი მნიშვნელოვანია ქართული და ინგლისური ენების ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ამ კუთხით არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება სხვა ინდოევროპული ენებში მონაცემების განხილვაც, მაგრამ ასეთი ტიპოლოგიური კვლევა სცილდება ჩვენი საკითხის ფარგლებს. შედარებით ფართოდ ქართული და ინგლისური მიმღებები განხილულია ჩვენს შრომაში, რომელიც შემოთავაზებულია (რ.ქურდაძე, 1997 (5)).

3.8. -ევ/-ივ, -ენ/-ინ სუფიქსები ხმოვანმონაცველ ზმნებსა და კაუზატივში

ცნობილია, რომ კაუზატივის -ევ და -ინ სუფიქსები გვხვდება მოქმედებითი გვარის ფორმებში. მოქმედებითი გვარის და კაუზატივის ფორმებში ამ სუფიქსთა გამოყენებისას ერთი თავისებურება იჩენს თავს, რაზედაც მიუთითებდა ბ.ჯორბენაძე. კერძოდ, იგი წერდა: „მოქმედებითი გვარის ფორმებში ეს სუფიქსები პარადიგმების მიხედვით მონაცველ არიან: -ევ > -ივ (ძღვეს – სძლია < *სძლივა); -ენ > -ინ (ფენს – დაფინა), კაუზატიურ ფორმებში კი გაქვევებული სახით არიან წარმოდგენილი (გარდა -ევ ფორმანტისა, რომელიც ზოგ დიალექტში იცვლება): ათლეენებს – გაათლეენა; აწერენებს – დააწერინა. გარდა ამისა: -ევ კაუზატიურ ფორმებში წარმოდგენილია ისე, როგორც ეს მოქმედებითი გვარის ფორმებისთვისაა ანმყოფი დამახასიათებელი (ხ-ევ-ს), ხოლო -ინ მოქმედებითი გვარის ზმნებში მხოლოდ ის სერიის ფორმებში დასტურდება“ (ბ.ჯორბენაძე, 1975, გვ. 105)

ჩვენი აზრით, აღნიშნული სუფიქსები მოქმედებითი და საშუალომოქმედებითი გვარის ზმნებში ულლების პარადიგმების მიხედვით მონაცველნი არიან (-ევ → -ივ, -ენ → -ინ), მაშინ, როდესაც ეს ზმნები უთემისნიშნოა, ე.ი. პირველ სერიაში ამ ზმნებთან არ არის ხმოვნიანი სუფიქსი და არა გვაქვს -ენ → -ინ, -ევ → -ივ. ასეთია ევ-იანი ზმნები („ძღვეს“ ტიპისა), რომლებთანაც თემის ნიშანი ჩვეულებრივ არ გვხვდება და ის ენიანი ზმნები, რომლებიც თემის ნიშნის გარეშეა („ფენს“, „ფრენს“ ტიპისა).

ხოლო თუ ენ-იან ხმოვანმონაცველ მოქმედებითი და საშუალომოქმედებითი გვარის ზმნებში თემის ნიშანი გაჩნდება, მაშინ უნდა გაირჩეს ორი შემთხვევა:

ა) ხმოვანმონაცველ ზმნები ა-პრეფიქსით და -ებ თემის ნიშნით, რომელთაც ულლების პარადიგმების ცვლილებისას ყოველთვის -ინ (← -ენ) ექნებათ: ა-დინ-ებ-ს -- ა-დინ-ა, ა-ელინ-ებ-ს -- ა-ელინ-ა; ა-ჩინ-ებ-ს -- ა-ჩინ-ა და სხვ. რა თქმა უნდა, ამ ზმნათა თემისნიშნო ანმყოფი ნიშნის მიუხედავად უთემისნიშნო პარალელური ვარიანტებიც: ა-დენ-ს, ა-ელენ-ს, ა-ჩენ-ს და სხვ., რომლებიც თემის ნიშნის (ე.ი. ხმოვნიანი სუფიქსის) უქონლობის გამო -ენ სუფიქსს უცვლელად წარმოგვიდგენენ.

ბ) ენიანი ზმნები -ავ თემის ნიშნით, რომელთაც პირველ სერიაში ძირითად უთემისნიშნო ფორმასთან ერთად მოეპოვებათ პარალელური თემისნიშნის ვარიანტი ი ხმოვნისანი ფუძით: ფენ-ს//ფინ-ავ-ს — (გა)ფინ-ა; ფრენ-ს//ფრინ-ავ-ს — ი-ფრინ-ა; ღრენ-ს//ღრინ-ავ-ს — ი-ღრინ-ა; ხერენ-ს ხერინ-ავ-ს ... ი-ხერინ-ა და სხვ.

მაშასადამე, თუ მოქმედებითი და საშუალომოქმედებითი გვარის ხმოვანმონაცვლე ზმნები თემისნიშნისანი, მაშინ მუდამ -ინ (← -ენ) სუფიქსი გვექნება.

კაუზატიურ ფორმებში კი, როგორც ბ.ჯორბენაძე შენიშნავს, ეს სუფიქსები გაქვეავებული სახით არიან წარმოდგენილი (ათლევინებს --- გაათლევინა; ანერინებს --- დაანერინა).

ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კაუზატიურ ფორმებში ეს სუფიქსები სხვადასხვა სახითაა გაქვეავებული. მიზეზი იმიტომ, რომ -ეე კაუზატიურ ფორმებში წარმოდგენილია სრულ საფეხურზე მყოფი ხმოვნით ისევე, როგორც ეს მოქმედებითი გვარის ფორმებისთვისაა ანამყოფი დამახასიათებელი (ხ-ეე-ს), ხოლო -ინ რედუქციის საფეხურზე მყოფი ხმოვნით ისევე, როგორც მოქმედებითი და საშუალომოქმედებითი გვარის უთემისნიშნო ხმოვანმონაცვლე ზმნების მხოლოდ მეორე სერიის ფორმებში, ხმოვნისანი სუფიქსის ქონა-არქონაში უნდა ექძიოთ. ამ შემთხვევაში ასეთ სუფიქსებად -ებ და -ა გვევლინება.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კაუზატივის სუფიქსებად ქართულში გამოიყოფა -ევ/-იე და -ენ/-ინ, რომლებიც კაუზატივის მორფებათა სრულ და რედუქციის საფეხურებს წარმოგვიდგენენ (გ.დეიტერსი, 1930, გვ. 207; თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 276).

-ეე (→ -ი (ვ)), -ინ და მათი შერწყმით მიღებული -ეეინ სუფიქსები ჩვეულებრივ გვხვდება კაუზატიურ ფორმებში ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს -ენ.

ალ.ჭინჭარაულის აზრით, კაუზატივის -ინ სუფიქსს სისტემატურად უნდა პქონოდა -ენ სუფიქსიც. „ამაზე მიუთითებენ ზმნები, რომლებსაც ხვეწურულში -ენ, -ინ სუფიქსები აქვთ, მაგრამ კაუზატივი მათში მკრთალად არის გამოხატული: არგ-ენ-ს -- არგ-ინ-ა ... აწდ-ენ-ს — აწდ-ინ-ა...“ (ალ.ჭინჭარაული, 1960, გვ. 148).

თ.გამყრელიძე და გ.მაჭავარიანი აღნიშნავენ, რომ „სრულ-საფეხურიანი -ენ სუფიქსით გაფორმებულ ზოგ ზმნას დაკარგული აქვს პირველადი კაუზატიური მნიშვნელობა: ვ-ი-სმ-ენ -- აორ. ვ-ი-სმ-ინ-ე, ვ-ი-თმ-ენ --- აორ. ვ-ი-თმ-ი-ნ-ე და სხვ.“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 276).

ავტორები ვარაუდობენ, რომ კაუზატიური წარმოშობისა უნდა იყოს -ენ/-ინ ფორმანტი ისეთ ზმნებში, როგორიცაა ვალბ-ენ -- ვალბ-ინ-ე, ვიბრ-

დღუ-ენ — ვიბრდღუ-ინ-ე და სხვ.

თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის აზრით, „**-ეჷ* სუფიქსი დადასტურებულია ქართულსა და მეგრულ-ჭანურში გახმოვანების ნორმალურ (ქართ. -*ეე*), რედუქციის (ქართ. -*იე*) და ნულოვან (მაგრ.-ჭან. -*უ*) საფეხურებზე, **-ენ* სუფიქსი დადასტურებულია ნორმალურ (ქართ. და სვან. -*ენ*), რედუქციის (ქართ., მეგრ.-ჭან. და სვან. -*ინ*) და ნულოვან (-*უნ*-ს სუფიქსის შემადგენლობაში) საფეხურებზე. საერთო ქართველურისათვის შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნეს კაუზატივის მანარმოებელი **-ენ*/**-ინ*/**-ნ* და **-ეჷ*/**-იჷ*/**-ჷ* სუფიქსები წარმოდგენილი გახმოვანების ნორმალურ, რედუქციის და ნულოვან საფეხურებზე“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 277).

ამ მოსაზრების გათვალისწინებით კაუზატიურ ფორმებში უნდა გვექნოდნა *ათლევენ-ებ-ს --- *გათლევენ-ა; *ანერენებ-ს --- *დაანერენ-ა და **-ებ*, -ა სუფიქსების გავლენით მივიღეთ: ათლევენებს — გაათლევენა, ანერენებს — დაანერენა.

მაშასადამე, კაუზატივის -ინ პირველ და მეორე სერიაში რედუქციის საფეხურს გვიჩვენებს. ეს ეხება როგორც -ინ, ასევე -ევი სუფიქსსაც. ხოლო -ევი სუფიქსიანი ფორმების შესახებ დამატებით უნდა ითქვას, რომ -ევი რთული სუფიქსის პირველ ნაწილს -ეე-ს ამ შემთხვევაში რედუქცია არ შეეხება. ეს პროცესი მომდევნო -ინ (← -ენ) სუფიქსა განიცადა.

სწორედ ამიტომ კაუზატიურ ფორმებში -ეე გაქვევებულია იმ სახით, რა სახითაც გვხვდება შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნების ანმყოში (ხ-ეე-ს), ხოლო -ინ რედუქციის საფეხურს გვიჩვენებს, ისევე როგორც თემატურ ანმყოში (ა-ლხინ-ებ-ს, ფრინ-ავ-ს) და ასევე ამავე ზმნათა მეორე სერიის ფორმებში (ა-ლხინ-ა, ი-ფრინ-ა, ა-ლხინ-ო-ს, ი-ფრინ-ო-ს) (რ.ქურდაძე, 1995 (2), გვ. 47).

ცნობილია, რომ ეე-იანი ზმნების მეორე სერიაში ე ი-დ იქცევა (ვ.თოფურია, 1936, გვ. 229). ბუნებრივია, ეს ცვლილება ბმოენიანი სუფიქსის პირობებში გვაქვს. ამის შესახებ ა.შანიძე წერდა: „-ეე-იან ზმნათა თავისებურება ის არის, რომ ეს -ეე მეორე სერიაში -იე-ად იქცევა (თანახმად ბმოენათა მონაცვლეობის წესისა), მაგრამ ამასთანავე ერთად მისი თანხმოვანი იკარგება და რჩება მარტო ხმოვანი ი: ნაეა-ქც-ეე --- ნაეა-ქც-ი(ე)-ე. ნაეა-ქც-ი(ე)-ო“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 403).

ასეთი ვითარება ეე-იან ზმნათა ვნებითებშიც გვხვდება. კერძოდ იმ ევია ი ზმნებში, რომლებისთვისაც -ეე ფუძის შემადგენელი ელემენტია: ი-რ-ეე-ა — ა-ი-რ-ი(ე)-ა, ი-ლ-ეე-ა --- და-ი-ლ-ი(ე)-ა. ვნებითის სხვა შემთხვევებში აბლაუტი მოშლილია.

-იე (← -ეე) შესაძლებელია პირველი სერიის ფორმებთანაც შეგვიხდეს კაუზატივის წარმოების დროს, ოღონდ ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც -ეე-ს სხვა ბმოენიანი სუფიქსი მოსდევს. ამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია დავასახელოთ გურულის ნიმუშები.

როგორც ცნობილია, კაუზატივის მანარმოებელი ფორმანტი -ინ გურულში წარმოდგენილია -ი-ს სახით; კაუზატივს ანარმოებს -ივ სუფიქსიც, რომელიც ასევე წარმოდგენილია -ი-ს სახით (გ.კვერენჩილაძე, 1941, გვ. 205).¹

აღნიშნულ სუფიქსებს გ.კვერენჩილაძის მიერ წარმოდგენილ მაგალითებში ვხვდებით როგორც პირველი სერიის, ასევე მეორე სერიის ფორმებს. ნიმუშად დავასახელებთ შემდეგს.

-ინ → -ი:	თავს აგდებიებდა	პირველი სერია,
	გადააგდებია	მეორე სერია;
-ივ → -ი:	ანვიებს შიშას	პირველი სერია,
	გოჭი შიანვია	მეორე სერია.

კაუზატივის -ინ პირველ და მეორე სერიაში გვხვდება სალიტერატურო ქართულში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი -ენ-ისაგან უნდა მომდინარეობდეს.

ანჯერად ჩვენითვის უფრო საინტერესოა -ევ სუფიქსის -ი(ვ) სახეობა პირველ სერიაში.

გ.კვერენჩილაძე გურულის კაუზატივის -ივ მანარმოებელს ხევსურულის კაუზატივის -ევ სუფიქსს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ „-ევ კაუზატივის მანარმოებელი ხევსურულში გამოყენებულია დროთა პირველ სერიაში, გურულში კი სერიებისდა განურჩევლად ვხვდებით -ივ → -ი სუფიქსს“ (გ.კვერენჩილაძე, 1941, გვ. 209).

გ.კვერენჩილაძის აზრით, -ი (← -ივ) სუფიქსიანი კაუზატიური ფორმები გურულში პირველ სერიაში მეორე სერიის ანალოგიით უნდა აიხსნას, ისევე როგორც ფუჭდრეკად ზმნათა ი ბმოენიანი ფუძე პირველი სერიის მწკრივებში (გ.კვერენჩილაძე, 1941, გვ. 209-210).

როგორც ცნობილია, პირველ სერიაში ხმოვანმონაცვლე ზმნათა ი ხმოვნიანი ფუძის შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, ამ ზმნებში პირველ სერიაში ე → ი მონაცვლეობის გამოშვევ მიზეზად მიჩნეულია რედუქცია, რომელსაც -ავ და -ებ თემის ნიშნები ახდენენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ვარაუდი ზემოთ წარმოვადგინეთ. კერძოდ, აქ ერთგვარ სიმულტანურ მოვლენას აქვს ადგილი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული ტიპის ზმნების პირველ სერიაში ი საფეხური თემატიური სუფიქსის გარეშე წარმოუდგენელია (იხ. ზემოთ).

უფიქრობთ, ასეთივე მსჯელობა მართებულია პირველი სერიის კაუზატიური ფორმებში არსებული ი საფეხურისთვისაც.

1. გურულ კილოში -ი(ვ) კაუზატივის სუფიქსის ხმარების შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებაც. ა. შანიძის აზრით, „ეს სუფიქსი მარტივია და ინი-ის ნაცვლად დაერთვის ზმნათა დიდ უმეტესობას ზოგ კილოში (მაგ., გურულში) ნერ-ს - ანერ-ი-ებს, ტუხ-ს - ატუხ-ი-ებს, გრუხ-ს - აგრუხ-ი-ებს, ხატ-ავ-ს - ახატ-ე-ი-ებს, აკეთებ-ს - აკეთებ-ი-ებს-სა და მისთ. ევინ ის ბადლად აქვეაქვს: ევ-ი(ვ): ათლ-ევი-ებს, ათბრ-ევი-ებს, აკულ-ევი-ებს, ათქმ-ევი-ებს; და მისთ.“ (ა.შანიძე, 1980, გვ. 361; იხ. აგრეთვე გრიშაიშვილი, 1966 (2), გვ. 264).

აქვე აღვნიშნავთ, რომ გურულის გარდა კაუზატივიან -ევ → -ივ → -ი პირველი სერიის ფორმებში დასტურდება ხევსურულიც: „ველ-პირსამც აბანიებ, უნცროსადამც ხყაიხარ!“ (ხეც., 1923-1924, გვ. 137); „შაატყო ბიებს ჯვარიონთ“ (ხეც., 1923-1924, გვ. 121); „ნინავ გააგებიებს“ (ხეც., 1923-1924, გვ. 121) და სხვ.¹

ჩვენი ვარაუდით, კაუზატივის სუფიქსის ცვლილებას (-ევ → -ივ) პირველი სერიის ფორმებში, უფრო ზუსტად აღნიშნულ ზმნათა პირველი სერიის თმატურ ფორმებში -ევ სუფიქსის ი საფეხურის გამოვლენას გურულა და ხევსურულში ისეთივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, როგორცაც ზემოთ „დრიკავს“, „ალხინებს“ ტიპის ფორმებს ვაძლევედით. რაც შეეხება ვ ბგერას, როგორც ცნობილია, ის ინტერეოკალურ პოზიციაში იკარგება (მით უფრო მომდევნო სუფიქსის ბაგისმიერი ბ-ს მეზობლად) და ამ შემთხვევაში -ევ სუფიქსიდან გვრჩება მხოლოდ -ი.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც; კერძოდ, ა.თაყაიშვილი -ინ სუფიქსთან დაკავშირებით წერდა: „ა-ნე-ინ-ებ-ს < ა-ნე-ენ-ებ-ს დასაშვებია, იმიტომ, რომ ენაში არსებობს ა-ნე-ენ-ს ფორმა (ისევე როგორც დრიკ-ე < დრეკ-ე პროცესისათვის აუცილებელია დრეკ-ს ფორმის დასტური). მაგრამ, როგორც გავარკვეით, ენაში არ დასტურდება *ა-ნერ-ენ-ს ტიპის წარმოების კვალი (-ენ/-ევ ფორმანტები შეუთავსებელია მარცვლოვან ფუძეებთან!).“

გ.მაჭავარიანის მიერ აღდგენილი *ა-ნერ-ენ-ს (> *ა-ნერ-ენ-ებ-ს > ა-ნერ-ინ-ებ-ს) ნმინდა ვარსკვლავიან ფორმას წარმოადგენს და, ამდენად, ა-ნერ-ინ-ებ-ს < ა-ნერ-ენ-ებ-ს პროცესს რეალურად ვერ მივიჩნევთ“ (ა.თაყაიშვილი, 1974, გვ. 19-20).

„ანერიებს“ ტიპის ფორმებთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მათში -ინ სუფიქსი რედუქციის საფეხურზე მყოფი სუფიქსია. ბუნებრივია, მისი ნორმალური საფეხური იქნებოდა -ენ. მაგრამ ზემოაღნიშნულ ფორმათა ისტორია სხვაგვარია. ძველი ქართულის და ზოგი თანამედროვე დიალექტის ანერიებს — (და) ანერია ფორმებში შუალობითი კონტაქტის ნიშნად -ივ უნდა ვიგულოთ, როგორც თანხმოვანი ინტერეოკალურ პოზიციაში დაკარგულია. ხოლო ზემოაღნიშნული მსჯელობა ა-ნერ-ინ-ებ-ს ← ა-ნერ-ენ-ებ-ს შესახებ მხოლოდ თანამედროვე სალიტერატურო ენის მოდელის დონეზე ნეიძლება გამოდგეს, რომელშიც დღეს -ინ უცვლელი (ერთგვარად

1. როგორც ცნობილია, ხევსურულში კაუზატივი -ევ, -ივ და რთული (-ევ-ივ → -ივ) სუფიქსებით იწარმოება.

აღ ქინწარული აღნიშნავს, რომ -ევ სუფიქსი დასტურდება ან -ავ, -ამ სუფიქსიან ზმნებში (იქამს — აქნევს; კლავს — აკვლევს), ანდა -ის სუფიქსიან ზმნებში (ერას — აერევს). რთული (-ევ-ივ) სუფიქსიც მარტო ამ ზმნებში დასტურდება: ათქმევი(ვ)კას, აერევი(ვ)კას .. და წარჩენ შემთხვევებში -ივ სუფიქსი გვხვდება (აღ ქინწარული, 1960, გვ. 145-146).

კავადებულისაბით) გვაქვს და შუალობით კონტაქტს გამოხატავს. თუმცა მასალობრივად ეს ის სუფიქსია, რომელიც ხმოვანმონაცვლე ზმნებში გვხვდებოდა (და დღესაც გვხვდება) -ენ → -ინ მონაცვლეო^რ .თ.

ა.თაყაიშვილის აზრით, ა-ნე-ინ-ებ-ს — ა-ნე-ინ-ა ტიპის ანალოგიით -ინ განზოგადდა ფუძეუკუმშველი ზმნების კაუზატივის ნიშნად: ა-ნერ-ინ-ებ-ს . ა-ნერ-ინ-ა.

მკვლევარი ასევე ფიქრობდა -იე სუფიქსის შესახებაც: „-იე ელემენტი მარცვლოვან ფუძეებში ანალოგიით უნდა იყოს გადმოსული ა-თქმ-ი(ვ)-ა ტიპის ფორმებიდან, ისევე როგორც თავის დროზე ა-ნერ-ინ-ა-ს -ინ ჩაეთვალეთ ა-ნე-ინ-ა-ს -ინ ფორმანტის ანალოგიურად. ასეთ ზმნებში -იე ← -ეე ფორმათა დასტურია საჭირო, რომელიც ენაში არ ჩანს (შდრ. ძვ. ა-რბ-ეე-ს // ა-რბ-ენ-ს)“ (ა.თაყაიშვილი. 1974, გვ. 23).

თვით ა-თქმ-ი(ვ)ა - ათქმ-ი(ვ)-ებ-ს ტიპის ზმნათათვის მკვლევარი ვარაუდობს, რომ ა-თქმ-ი(ვ)-ებ-ს მიღებულია *ა-თქმ-ეე-ებ-ს ფორმიდან (ა.თაყაიშვილი, 1974, გვ. 23).

ჩვენი აზრით, აღნიშნულ შემთხვევებში ანალოგიაზე ლაპარაკი უადგილოა, რადგანაც ა-ნერ-ინ-ებ-ს — ა-ნერ-ინ-ა და ა-ნერ-ი(ვ)-ებ-ს .. ა-ნერ-ი(ვ)-ა ფორმებში -ინ და -იე სუფიქსები ისეთ პოზიციასაა, სადაც ამკარად შეგვიძლია ვივარაუდოთ -ენ, -ეე სუფიქსთა რედუქციის საფეხური, რადგან მათ სრულ ხმოვანზე დანყებული -ებ სუფიქსი მოსდევთ.

-ინ, -იე სუფიქსები რომ უშუალოდ მეორე სერიიდან ყოფილიყო გაჩენილი, პირველ სერიაში უნდა გვექონოდა *ა-ნერ-ინ-ს, *ა-ნერ-იე-ს.

მკვლევარი ვარაუდობს, რომ -ინ სუფიქსი განზოგადდა, მაგრამ არაფერს ამბობს პირველ სერიაში -ებ სუფიქსზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირველ სერიაში, სადაც დასტურდება -ი(ვ) (გურულში, ხევსურულში) და -ი(ნ) (გურულში), ყველგან მის მომდევნოდ არის ხმოვნინანი სუფიქსი (კერძოდ, -ებ), უამისოდ -ი(ვ)- და -ი(ნ) ფორმანტთა არსებობა შეუძლებელია. ფაქტობრივად ამ შემთხვევებშიც ვრცელდება ზემოაღნიშნული ყალიბი (ი საფეხურით და ხმოვნინანი სუფიქსით).

ჩვენ სავსებით მართებულად მიგვაჩნია გ.მაჭავარიანის ვარაუდი: *ა-ნერ-ენ-ს → *ა-ნერ-ენ-ებ-ს → ა-ნერ-ინ-ებ-ს. ეს პროცესი თავდაპირველ ეტაპზე შესაძლებელია აქტიური ფონეტიკური მოტივაციით ხასიათდებოდა, თუმცა დღეისათვის აღნიშნული ტიპის ზმნებში უკვე ერთგვარად შემუშავებული ყალიბები მოქმედებენ აქტიური ფონეტიკური მოტივაციის გარეშე, რითიც ფაქტობრივად შეპირობებული უნდა იყოს -ენ → -ინ და ასევე -ეე → -იე სუფიქსთა ცვლილებანი როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებში, ასევე კაუზატიურ ფორმებში.

3.9. შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოებისათვის

ცნობილია, რომ ქართულ ზმნაში შუალობითი კონტაქტის ფორმები -ევ, -ინ და -ევი სუფიქსებით იწარმოება.

-ევ მცირერიცხოვან ზმნებში გვხვდება, ხოლო -ინ და -ევი ზმნათა დიდი უმეტესობაში გვაქვს.

-ევი შედგება -ევ და -ინ სუფიქსებისაგან და დაერთვის უმარცვლო ფუძეებს, ხოლო -ინ დაერთვის მარცვლოვან ფუძეებს. კერძოდ,

ა) -ევი:

ვ-ა-შლ-ევი-ებ

ვ-ა-კვლ-ევი-ებ

ვ-ა-ბმ-ევი-ებ

ბ) -ინ:

ვ-ა-ნერ-ინ-ებ

ვ-ა-გრეხ-ინ-ებ

ვ-ა-თოხნ-ინ-ებ

ვ-ა-მალვ-ინ-ებ

ვ-ა-ქცევ-ინ-ებ

ვ-ა-ცემ-ინ-ებ

ვ-ა-შენებ-ინ-ებ

ვ-ა-მკობ-ინ-ებ

ვ-ა-ყოფ-ინ-ებ

შუალობითი კონტაქტის (კაუზატივის) ფორმები ქართულში კარგადაა შესწავლილი (ა.შანიძე, 1930, გვ. 142; ა.შანიძე, 1980, გვ. 360-361; ბ.რედენკო, 1940, გვ. 201; გ.მაჭავარიანი, 1988, გვ. 66-67; ათაყაიშვილი, 1974, გვ. 8-9; ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, 1988, გვ. 137, გვ. 236; ქ.ქირია, 1989, გვ. 19-20).

ჩვენი აზრით, ფუძის მარცვლოვანობასა თუ უმარცვლობასთან ერთად მნიშვნელოვანია თვით შუალობითი კონტაქტის -ინ და -ევი სუფიქსთა ბუნებაც.

ცნობილია, რომ -ევ/-ივ და -ენ/-ინ სუფიქსები კაუზატივის მორფემათა სრულ და რედუქციის საფეხურებს წარმოგვიდგენენ (გ.დევეტერსი, 1930, გვ. 207; თ.გამყრელიძე; გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 276).

-ევ → -ი(ვ) და -ინ სუფიქსები და მათი შერწყმით მიღებული -ევი ჩვეულებრივ ვეხვდება შუალობითი კონტაქტის ფორმებში ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.

აღნიშნულ სუფიქსთა განაწილების მხრივ ქართულ დიალექტთა უმრავლესობა მსგავსებას გვიჩვენებს სალიტერატურო ქართულთან. -ინ და -ევი სუფიქსები დიალექტებში შეიძლება ფონეტიკურად სახეცვლილი იყოს (იხ. ქ.ქირია, 1989, გვ. 74-86). აღსანიშნავია, რომ ვურულში -ი(ნ), -ი(ვ) გვხვდება უმარცვლო ფუძეებთან: ა-კლ-ი-ევ-ს, ა-ხნ-ი-ევ-ს. ამ მაგალითებთან დაკავში-

რებით მართებულად მიგვაჩნია ჭ.ჭირიას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს ფორმები: „კაუზატივის ახალი სტრუქტურული მოდელის განზოგადების შედეგია. არქაული მოდელი შემორჩენილია ხევესურულში“ (ჭ.ჭირია, 1989, გვ. 57).

როგორც ვთქვით, -ინ და -ევი სუფიქსთა განაწილებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ მათი თავისებურებაც. კერძოდ, აღნიშნულ სუფიქსთა დასაწყისი ხმოვნები თვისობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. -ინ (← -ენ) სუფიქსის ი რედუქციის საფეხურითაა წარმოდგენილი, ხოლო -ევი (← -ევენ) სუფიქსის ე კი სრული საფეხურით.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთგვარ ყალიბთან, რომლის ფორმირება მომდევნო -ებ თემის ნიშნის მონაწილეობით მოხდა. სწორედ -ებ თემის ნიშნის გავლენის შედეგია ორივე შემთხვევაში -ენ → -ინ, ხოლო -ინ სუფიქსის რედუქციის საფეხურზე მყოფი ი უძლურია შეცვალოს ნინმდგომი ხმოვანი.¹

დღეისათვის ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ამ სუფიქსთა ზემოქმედება ფუძეზე. მით უმეტეს, სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ რომელ ფუძეს ერთიან ისინი. ერთი თვალსაზრისით, ამოსავალია ანმყოს ფუძე (ი.გენაძე, ვ.ნედიალკოვი, ა.ხოლოდოვიჩი, 1969, გვ. 143; ი.ვეშაძე, 1970, გვ. 21; ა.თაყაიშვილი, 1974, გვ. 18-19), ხოლო მეორე თვალსაზრისის მიხედვით კი ამოსავალია პირველი სერიის თემა, რომელიც საწყისშია წარმოდგენილი (ა.შანიძე, 1980, გვ. 407).

ნაგრამ ფაქტი კი ფაქტად რჩება: მარცვლოვან ფუძეებთან გვაქვს რედუქციის საფეხურზე მყოფი ხმოვნით დანყებული სუფიქსი -ინ, ხოლო უმარცვლოებთან სრულ საფეხურზე მყოფი ხმოვნით დანყებული სუფიქსი -ევი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად განვითარდა სხვადასხვა სახის სუფიქსები, რომლებიც გარკვეული წესით განაწილდნენ შესაბამის ფუძეებთან (რ.ქურდაძე, 1996 (2), გვ. 117-116).

აღნიშნულ ფუძეთა და სუფიქსთა მიმართება ერთგვარად გვაგონებს გარკვეული ტიპის ორმორფემიან ზმნურ ფუძეებში ძირეულ და სუფიქსურ მორფემათა შორის არსებულ ცნობილ სტრუქტურულ მიმართებას: „ძირეული მორფემის სრული საფეხური გულისხმობს სუფიქსური მორფემის ნულოვან საფეხურს და პირუკუ, სუფიქსური მორფემის ნულოვანი საფეხური გულისხმობს ძირეული მორფემის სრულ საფეხურს; ძირეული მორფემის ნულოვანი საფეხური გულისხმობს სუფიქსური მორფემის სრულ საფეხურს და პირუკუ, სუფიქსური მორფემის სრული საფეხური გულისხმობს ძირეული მორფემის ნულოვან საფეხურს“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 181).

ეფიქრობთ, სწორედ ამ წესს ექვემდებარება -ინ და -ევი სუფიქსთა განაწილება კაუზატივის ფორმებში.

1. ინ რაზ ვერ ახედებს ფუნქციურ ბმვანზე გავლენას და იგი რედუქციის მიზეზი კი არაა, არაა ექვემდებარება ნაწილობრივ რედუქციის შედეგი, ამას არ.თაყაიშვილიც აღნიშნავს (ა.თაყაიშვილი, 1974, გვ. 20). ამრიგად, ასეთი საფეხურის გავლენა ფუნქციურ ბმვანზე ვ.პორიცხულია.

თავი IV

ხმოვანმონაცვლე ზმნური ფუძეები და მათი თავისებურებანი

ქვემოთ ხმოვანმონაცვლე ზმნები ლექსიკონის სახითაა წარმოდგენილი. მასალა მოგვეყვას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან და ყველა იმ დიალექტური ლექსიკონიდან, რაც დღემდეა გამოქვეყნებული.

სალექსიკონო ერთეულად წარმოვადგენთ ხმოვანმონაცვლე ზმნათა მარტივ ფუძეებს, რადგანაც ჩვენი მიზანია აბლაუტური მონაცვლეობის დაფიქსირება აღნიშნულ ფუძეთა შორის. აქვე ვუთითებთ ამავე ფორმათა შეკუმშულ ფუძეებს (თუკი ასეთი მოეპოვებათ). მაგ.: ღრქ/ღრიქ/ღრქ. ასეთ მონაცვლე ფუძეებს გამოვყოფთ დახრილი ხაზით, როგორც ეს სათანადო ლექსიკონებშია (მაგ., იხ. გ.გოგოლაშვილის, ც.კვანტალიანისა და დ.შენგელიას „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი“, 1989 და მათივე „ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი“, 1991).¹

ზმნური და სახელზმნური ფუძეების ლექსიკონებიდან წარმოდგენილ ფორმათა მნიშვნელობებს არ განვმარტავთ (არც სალიტერატუროს და არც დიალექტურს), რადგან აღნიშნული ლექსიკონები ქეგლ-ს ემყარება და ეს ფუძეები კარგადაა ცნობილი, ამ ფუძეთა მიოლოდ ომონიმიური მნიშვნელობებია დასახელებული, როგორც ეს აღნიშნულ ლექსიკონებშია. სამაგიეროდ, ფართოდ წარმოვადგენთ ამავე ფუძეთა დიალექტურ (ფონეტიკურ) ნაირსახეობებს. ჩვეულებრივ, მხოლოდ დიალექტური მასალის განმარტებას ვიძლევი.

ხმოვანმონაცვლე ზმნათა არასრული სია წარმოდგენილი აქვს ა.შანიძეს (ა.შანიძე, 1980, გვ. 390-393; გვ. 403-407).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, დ.მელიქიშვილის ცნობით, „ფუძედრეკად ზმნათა რაოდენობა 240-მდეა“ (დ.მელიქიშვილი, 1979, გვ. 87; დ.მელიქიშვილი, 2001, გვ. 144).

გ.გოგოლაშვილის, ც.კვანტალიანისა და დ.შენგელიას ზმნური ფუძეების ლექსიკონშიც 240 ხმოვანმონაცვლე (ე—ი ტიპის) ზმნაა.

სხვაგვარი სურათია წარმოდგენილი ფ.ერთელიშვილის მონოგრაფიაში, სადაც აღნიშნულია, რომ ხმოვანმონაცვლე ფუძედრეკადი ზმნების რაოდენობაა 460 (ფ.ერთელიშვილი, 1970, გვ. 100). მკვლევარი საილუსტრაციოდ ასახელებს მხოლოდ მცირე ნაწილს, ხოლო აღნიშნულ ფუძეთა ინდექსს (სრულ სიას) არ იძლევა. ე—ი ტიპის ხმოვანმონაცვლე ფუძეთა ასეთი დიდი რაოდენობა ჩვენთვის ცნობილი არ არის.

1. აღნიშნულ ნაშრომებს სიმოკლისათვის ქვემოთ ზმნური ფუძეებისა და სახელზმნური ფუძეების ლექსიკონების სახელით მოვიხსენიებთ.

ზღვან ქვემოთ 398 ე—ი ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნის ფუძეს ვიხილავთ. თავდაპირველად წარმოვადგენთ იმ წესებს (პრინციპებს), რომელთა მიხედვითაც უხელმძღვანელობდით ინდექსის შედგენისას.

ამა თუ იმ ფორმაში ე- ი ხმოვანმონაცვლეობის გამოვლენისათვის ვეძებარებით საანალიზო ფორმათა ე და ი ხმოვნთან ფუძეებს, რომლებიც გარკვეული წესით არიან განაწილებულნი აღნიშნული ზმნების გარდაშვალნი და გარდაუვალი ფორმების უღლების პარადიგმებში (იხ. ტაბულა I ზემოთ).

ზოგ შემთხვევაში ვიყენებთ ზმნურ და სახელზმნურ (სანყისისა და მიმღეობის) ფუძეთა შედარებასაც (ეს უკანასკნელი, როგორც წესი, პირველი სერიის ე ხმოვნთან ფუძეს წარმოგვიდგენს).

ინდექსში არ შეგვჯობანია ფუძე, თუ იგი მხოლოდ ერთი (მხოლოდ ე ხმოვნთან. ან მხოლოდ ი ხმოვნთან) ფორმით გვხვდებოდა.

პარალელური ფორმები ძირითად ფორმებთან ერთადაც გვაქვს წარმოდგენილი და ცალკეც, ძირითად ფორმაზე მითითებით.

პარალელურ ფორმად ვასახელებთ იმას, რომელიც ძირითად ფორმასთან ერთად გვხვდება სალიტერატურო ქართულში. მაგ.: ბნაპ/ბნიპ//პნაპ/პნიპ. ხოლო თუ რომელიმე ფორმის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი მხოლოდ დიალექტში (ან დიალექტებში) გვხვდება, ეს ძირითადი ფორმის დიალექტურ ნაირსახეობად მივიჩნივთ. სალექსიკონო ერთეულის დასახელებისას მას ცალკე არ წარმოვადგენთ, თუმცა შესაბამის ფუძესთან მოგვყავს როგორც ამ ფუძის დიალექტური სახეცვლილება. მაგ.: ბლეს/ბლის შდრ.: იმერული ბნეს/ბნის და სხვ. ყველა დიალექტური ვარიანტი რომ ცალკე სალექსიკონო ერთეულად გამოგვეტანა, ინდექსში ზმნურ ფუძეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდებოდა.

იშვიათად იმ ხმოვანმონაცვლე ზმნათა პარალელურ ფორმებსაც წარმოვადგენთ სალექსიკონო ერთეულად, რომლებიც მხოლოდ დიალექტებში გვაქვს და არ გვხვდება სალიტერატურო ენაში.

ხმოვანმონაცვლე ზმნურ (და ზოგჯერ სახელზმნურ) ფორმებთან ერთად, შესაბამის ფუძეებთან ვასახელებთ ე, ი და იშვიათად ა ხმოვნთან ფუძეების მქონე დერივატებსაც.

ასეთი დერივატები, შემდეგ ჯგუფებს წარმოგვიდგენენ:

1. სახელები, რომლებიც ფუძედ ხმოვანმონაცვლე ზმნათა ე ხმოვნთან ფუძეს იყენებენ: ბლენძ-ი, ზნექ-ი, ხერეტი-ი და სხვ.

2. სახელები, რომლებიც ფუძედ ხმოვანმონაცვლე ზმნათა ი ხმოვნთან ფუძეს იყენებენ: ბზიკ-ი, კვნიტ-ი, ხვრინ-ი და სხვ.

3. ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან მომდინარე სახელები, რომლებიც ფუძეში ა ხმოვანს წარმოგვიდგენენ: შრატ-ი, შხაპ-ი, ჭყაპ-ი და სხვ.

4. დასტურდება აგრეთვე ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან ნანარმოები

შემოკლებული ფორმები ბოლოკიდური ე ბმოენით: მნე (შემნე). ჯღრე დ სჲ. (რ.ქურდაძე, 1998 (2)).

დასასრულ აღენიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინდექსი არაა ამომწურავი; ბუნებრივია, ხმოვანმონაცვლე ფორმათა კვლევა-ძიება მომავალში გაგრძელდება.

ბღღვენ/ბღღვინ // ბრღღვენ/ბრღღვინ

ბზიკ/ბზიკ

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ი ხმოვნინი ფუძით: ბზიკ-ი. შესაძლებელია -ილა სუფიქსითაც გვექონდეს: ბზიკილა იგივეა, რაც აბზიკილა. საქონელს რო დასცხება, აიშვერენ კუდეფს, ბზიკილა შაუჯდება"; „წუნალი გულზედა მაგრა რო ჩამოცხება, საქონელი ძოვ თავითვინა, ბზიკილა მიაჯდება" (ქართლ., 1981, გვ. 60).

ბზინ/ბზინ

ბლეკ/ბლიკ

ბლეკ-ს უპატივეც. სვამს, თქვლეფს, ცეცხლავს; მა-ლ-ბლეკ-ს უპატივეც. შესვამს, შეთქვლეფს, ჩაცეცხლავს. „ნეტა სად-რა ზაბლიკეს. ა ბოთლა?" (ხევს., 2005, გვ. 103; გვ. 950).

ბლეშ/ბლიშ//ბლეჩ/ბლიჩ

გამოიბლიშება-ა, გამოიბლიჩება-ა — გამოთვრება, გაილემება;

გამობლერა — გამოთრობა;

გამობლესილი, გამობლერილი — გამონთვრალი (ქართლ., 1981, გვ. 105).

ბლეჩ/ბლიჩ ნ.გლეშ/გლიშ

ბლეს/ბლის

ეს ზმნა ენებითის ფორმითაა წარმოდგენილი, ამიტომ პირველი სერიის თემატურ ფუძეში, მეორე სერიის მსგავსად, ი ხმოვნინი ფუძე გვაქვს ამ ზმნის ხმოვანმონაცვლეობა ე ხმოვნინი ფუძის მიმღებობს მიიღვეიოვლინდება (თუმცა გვაქვს ი ხმოვნის მქონე მიმღებობაც): გაიბლიხება-ა. გვიბლიხება-ა — უსაქმოდ დაეყუდება, გაეჩხირება. „ნავა და გვიბლიხება მალაჩიასთან ან სასადილოს წინ"; „რო გაბლითულხარ, ვეჩი ცოტა გვერდე!" იბლიხება-ა — უშნოდ, უადგილოდ ჩერდება სადმე, ეჩიირება, ეყუდება. „გვინი, გოგო, იქით, ნუ იბლიხები მაგ გზაში!" (იმერ., 1976, გვ. 36; გვ. 75). ი ხმოვნინი ფუძე წარმოდგენილია სანყისსა და მიმღებობაში: გაბლიხება; გაბლიხულ-ი: „სტანციაზე ყანყალი არ მოყინჭტა. სულ იქ არი გაბლიხული"; „კინ იქნებოდა! მ-ა იყო ჭიშკართან გაბლიხული, მემამინა, კილმე გული გამისკტა" (იმერ., 1976, გვ. 31).

ამ ზმნის მიმღებობა ე ხმოვნინი ფუძითაც გვებდება: გაბლესილ-ი, იცეკვა, რაც ვაბლიხული. „ — ბრიგადილი არ გინბაბაეს? ვამგეოპასსაბ იცეკვაბლესილი" (იმერ., 1976, გვ. 31).

ბნელ/ბნიდ/ბნდ

ბნავ/ბნინ¹ // ბნევ/ბნინ²

„დაფანტავს“

იმერბეულში პნევ ფუძის შემცველ -ულ სუფიქსიან მიმღობაში -ევ სუფიქსისფული ვინი შენარჩუნებულია, ხოლო -ულ სუფიქსის უ არ ჩანს: დაპნევლ-ი 1. დაყრილი, მიმოფანტული; 2. დაბნეული, გონებაგაფანტული. „რაცხა ძალუან დაპნეული იარება“; „დაპნეული კაკლები ძვილაი ავკრიფე“ (იმერბ., 1993, გვ. 422).

ბნავ/ბნინ²

„გაუყრის მიამაგრებს“

ბრდღვეინ/ბრდღვინ ნ. ბდღვეინ/ბდღვინ

ბრეპ/ბრინ

ბრედ/ბრინ

ეს ზნა ქართული ჟარგონის კუთვნილებაა, ამიტომაც შესაბამისი ფორმები ჟარგონის ლექსიკონიდან მოგვყავს: „დაბრედა — სიკედილი, გარდაცვალება. „მე იქ ვისვენებდი აპრილის თვეში, მიშა ტომსკის დაბრედიდან 37 წლის შემდეგ“ (რეზო ჭეიშვილი). დაბრედა — მოკლა. „ხელს ნუ გამასვრევენ... — დინგი გასერილი გაქვს, გაისვარე ხელიცა, პა!.. — დაგბრედავ! — ნულარ გამათავებ ლოდინითა“ (ოთარ ჩხეიძე)“ (ლ.ბრეგაძე, 2005, გვ. 52).

ბრეპ/ბრინ

ეს ზნა ბერ ქართულ კილოშია გავრცელებული. შესაბამის ფორმებს ვადასტურებთ ე და ი ხმოვნიათ ფუძეებით:

იბრიქება -- იჭიმება, იბლიძება, იბერება; ბაქიბუქობს (აჭარ., 1971, გვ. 214; ქართლ., 1981, გვ. 227);

ბრეპა — გაბზეკვა, გაჭიმვა, ნელში გამართული სიარული, ყოყორობა, ჯიუტობა, თავმომწონეობა, თვითდაჯერება (ს.-ს. ორბელიანი, 1928, გვ. 44; დ.წუბინაშვილი, 1984, გვ. 117; გურ., 1936, გვ. 214; ჯავახ., 1981, გვ. 21; იმერბ., 1993, გვ. 403).

გაბრეპა 1. გაჭიმვა, ნელში გაჭიმვა; 2. გადატ. გაბლენძა, გაბერვა, გაფხორვა; ყოყორობა (აჭარ., 1971, გვ. 118);

გაბრეპა(ა) -- გაჭიმვა, გაბზეკა; აქედან გაბრექილ-ი -- გაბზეკილი (ქიზიყ., 1943, გვ. 23; ინგილ., 1978, გვ. 42-43).

გაბრექილ-ი -- უშნოდ გამართული, გაჭიმული, გაბლენძილი (გურ., 1938, გვ. 12; აჭარ., 1971, გვ. 118).

ივესურული ამ ფუძეებს ზ ბგერის ჩართვით წარმოგვიდგენს: გაიბზრიქების, გაბზრეპა, იბზრიქების. მაგ.: იბზრიქები-ს -- იჭიმება, იჯგიმება. „შენ რასად იბზრიქები, რადარ დეეგდებ თავის ალაგზე?!“ (ხევს., 2005, გვ. 432, აგრეთვე გვ. 100, გვ. 150, გვ. 128).

გვხვდება ბრექ/ბრიქ ფორმებიდან მომდინარე დერივატებიც. კერძოდ, ინგილოურში ე ხმოვნიაანი ფუძით: ბრექიჲ -- ბრექია, ჰლენძია (ინგილ., 1988, გვ. 66), ხოლო ზემოიმერულში კი ი ხმოვნიაანი ფუძით: ბრიქ-ი გაჭი-მული. „დღე ბრიქი და ღამე ჩლუჩი“ (გამოცანა -- ნინდა) (იმერ., 1974 (1), გვ. 57).

ამ ზმნის ე და ი ხმოვნიაანი ფუძის დერივატები გვხვდება კომპოზიციების შემადგენელ ნაწილებად სხვადასხვა ქართულ კილოში განსხვავებული მნიშვნელობებით: ხებრექია -- უხეში, ბრიყვი (კახ., 1956, გვ. 185); ხებრიქა უქნარა, გაურჯელი ქალი. „უქნარა ქალია ხებრიქა, ვინც არას აკეთეფს“... (ქართლ., 1981, გვ. 515).

აჟლელით/აჟლლით

იბჟლელითები-ს — უშნოდ მანჭავს სახეს. „რა გატირილებს ვაჟავ, რას იბჟლელითები?“ (ხევს., 2005, გვ. 432; გვ. 109).

ბრეჟ/ბრიჟ

ბრეჟა (ხევს; ფშავ.) „ხარი როცა ხართან საჭიდაოთ ემზადება, ბრეჟას იწყებს“. თვალების პრანვა, ბრიალი (ა.შანიძე, 1984, გვ. 293; იხ. აგრეთვე ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969, გვ. 52).

იბრიშება-ა (ფშავ., გუდ.) ბრეჟას იწყებს, საჭიდაოდ ემზადება (ხარი), -- ბულრაობს (ქეგლ). გადატანით ხევსურულსა და ფშაურში ნიშნავს უბლ-ეერს, ცუდი თვლით უყურებს (ა.შანიძე, 1984, გვ. 366).

ბრეჟ/ბრიჟ ფუძეების შემცველ ფორმებს მრავლად ადასტურებს ალ.ჭინჭარაული ხევსურულში, კერძოდ: ბრეჟა, დაბრეჟა, დაუბრეჟს, იბრიშების, უბრეჟს. მათი განმარტებისას ავტორი უთითებს ბრეჟ/ბრიჟ ფუძეების შემცველ ფორმებზე: რაც აგრეთვე ბლვერას და ზოგჯერ უღმად წურებას აღნიშნავს. მკვლევარი ასაიხლებს ბრეჟ/ბრიჟ ფუძეებთან მომდინარე ი ხმოვნიან დერივატს ბრიში და უთითებს ბრიხს, რაც ასევე ბრეჟ/ბრიჟ ფუძიდან მომდინარე ი ხმოვნიაანი დერივატია და ულამს ნიშნავს (ხევს., 2005, გვ. 110, აგრეთვე გვ. 254, გვ. 290, გვ. 432, გვ. 850).

ბრეც/ბრიც

ამ ზმნის დერივატი ე ხმოვნიაანი ფუძით და -ელა სუფიქსით გვხვდება ქიზიყურში: ბრეთელა, ბრეცელა -- ლიბრთელალებიანი; თვალების მობრდღ-ვიალე (ქიზიყ., 1943, გვ. 20). ბრეთელა შესაძლებელია ბრეცელასაგან მიგვე-ლო, თუ ც-ს დეზაფრიკატიზაციას, გამარტივებას ვივარაუდებთ.

ბრეხ/ბრიხ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრეხ/ბრიხ ფუძის შენაცვლი ფორმები: ბრეხა, ბრიხი, დაბრეხა, დაუბრეხს, იბრიხების, უბრეხს ხევსურულში დასტურდება და ბლვერას, ზოგჯერ სიელმესაც ნიშნავს (ხევს., 2005, გვ. 110, აგრეთვე გვ. 254, გვ. 290, გვ. 432, გვ. 850). დერივატი ბრიი-მოსხურშიც გვხვდება და აქაც იმავს აღნიშნავს, რასაც ხევსურულშიც.

კერძოდ, ბრიხ-ი -- ელამი. „უფლისწულმა ქალს თოლებში ჩაახედა. ქალი
შახინჯი იყო, ბრიხი და ლოჯიანი“. ბრიხი სარკე — სარკი; რომელიც
კარგად არ აჩვენებს გამოსახულებას (მოხ., 1985, გვ. 184).

ბრეხ/ბრიხ ფუძე ინგილოურში ხ-ს ნაცვლად ჯ-ს წარმოგიდგენს,
კერძოდ,

დაბრევაჲ (ბრევაჲს, დაბრიჯა, დოუბრეჯი, დანაბრეჯ, დაბრეჯულ). ეს ფორ-
მები ინგილოურშია დადასტურებული და დაბრეცას, დალრეცას ნიშნავს:
„ახალ ფეხსომოზ დაბრიჯა“ (ინგილ., 1973, გვ. 63; ინგილ., 1988, გვ. 125). ამ
ფუძეს უკავშირდება მთიულურში დადასტურებული დაბრეხილ-ი, რაც მოხ-
რილს ნიშნავს: „დაბრეხილი კაცი“ (მთიულ., 1967, გვ. 197).

აღნიშნულ ფორმებს მოეპოვება დერივატი, რომელიც ე ხმოვნიან ფორ-
მას ემყარება: ბრეჯ, ბრეჯიჲ -- მრუდფეხებიანი, ვინც ფეხსაცმელს ამრუ-
დებს (ინგილ., 1978, გვ. 40; ინგილ., 1988, გვ. 66).

ბრძმედ/ბრძმიდ

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ე ხმოვნიანი ფუძით -- ბრძმედ-ი.

ბრძკინ/ბრძკინ ნ. ბრძკინ/ბრძკინ

ბრძჲინ/ბრძჲინ

ეს ზმნა მთიულურში ი ხმოვნიანი ფუძით გვხვდება, ოღონდ ფონეტიკუ-
რად საბეცვლილი. კერძოდ, რ ბგერა დაკარგულია, ხოლო ყ ბგერის ნაცვ-
ლად კ ბგერა გვხვდება: „[თევზის ფარფლი] ბნკინავს როგორღაც გარედაჲ“
(მთიულ., 1978, გვ. 92).

ბლინკ/ბლინკ

ეს მონაცვლე ფუძეები მხოლოდ მიმღობებში დავადასტურეთ: გაბლენ-
კილ-ი, გაბლინკულ-ი -- დიდმუცლიანი, უშნო, დაბალი და პატარა (იტყვი-
ან დაცინვით ადამიანზედაც და ოთხფეხზედაც) (იმერ., 1963, გვ. 122).

აღნიშნული ფუძე გვხვდება უ ხმოვნითაც: ბლუნკვა, იბლუნკვა-ა წელში
მოხრილად და მოკუზულად დადის; მობლუნკულ-ი -- წელში და ბეჭებში
მოხრილი, დაჩივებული, ნამხდარი (იმერ., 1974 (2), გვ. 200, გვ. 209, გვ.
211).

ქართულ კილოებში გვხვდება ამ ზმნისაგან მომდინარე დერივატი ი
ხმოვნიანი ფუძით: ბლინკ-ი -- დაძაბუნებული, გამხდარი (გურ., 1936, გვ.
214); ბლინკ-ი, ბლინტი-ი -- მოუვლელი, დამშეული, სუსტი გოჭი (ლუჩხ.,
1955, გვ. 35); ცუდად შენახული, გამხდარი, მუცელგაბერილი გოჭი, ან სხვა
პატარა ცხოველი (იმერ., 1976, გვ. 30); ჩია, გამხდარი, დაგლახავებული.
„ჩგენი გოჭი ვერ გავასუქე, ბლინკია ძიელ“ (იმერ., 1974 (1), გვ. 64). გვხვდება
უ ხმოვნიანი დერივატიც: ბლუნკ-ი მოკაკული (გურ., 1938, გვ. 11; გვ. 41);
პატარა, დალეული: „იმ ბლუნკ მიშასა ეგეთი გოგო ვინ მისცა?“ (ქართლ.,
1981, გვ. 70); ასევეა ჯავახურშიც: „ერთი ვილაცა ბლუნკი მოსულა“ (ჯავახ.,
1981, გვ. 23).

ბლუნკს უნდა უკავშირდებოდეს ბლუკი. რომელიც გვხვდება რევანსიზმის მოთხოვნის სათაურში „ბლუკები“. ბლუკების დადასაბუთების მწერალი აღნიშნავს: „სულ პატარები კი არიან, ბლუკები“ (რ.ინანიძე, 1986, გვ. 264).

ბლენძ/ბლინძ

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ე მონიანი ფუძით ბლენძ-ი. გვხვდება -ია სუფიქსითაც: ბლენძია.

ბლვირ/ბლვირ

ბლლიძ/ბლლიძ

იმერზეულში ამ ფუძეს ძ/ნ მონაცვლეობით ვხვდებით: დაბლლენილ-ი -- დაფლელი, დახელი. „დაბლლენილი წინდები კარქა გაერეცხე, ტაბა-ნი გამუქქე და ახალობა მუარუნე“ (იმერხ., 1993, გვ. 424).

ა.არაბული ე/ა სავარაუდო გადაბგერების შემთხვევებთან დაკავშირებით აღნიშნული ზმნის დერივატს ასახელებს ამოწმანი ფუძით: „ბლლანძ-//ბლლან-ი (ხევს.) „ნახევი, ნაგლევი“ -- ამკარა, ბლლძ- ძირის აღტყინების შედეგია ნ სონანტის განვითარებით“ (ა.არაბული, 2001, გვ. 132).

აღნიშნულ დერივატებს აღჭინჭარული ასე განმარტავს: „ბლლანძ-ი/ბლლან-ი -- ძონძმანი, დახელ-დაფლეთილი. განცალკევებით ვეთრიო. განა ბურჯინის ბლლანძ ორი...“ (ხევს., 2005, გვ. 117).

ბლლეჯ/ბლლიჯ

ეს ფუძე ხევსურულში გვხვდება. კერძოდ: ბლლეჯს, დაბლლეჯა. დაებლლიჯების, დაიბლლიჯების, იბლლიჯების და ლმეჯას, ლრეჯაა აღნიშნავს (ხევს., 2005, გვ. 17, აგრეთვე გვ. 255, გვ. 259, გვ. 265, გვ. 432).

ბლნეჯ/ბლნიჯ

ბჰან/ბჰინ ნ. ფჰან/ფჰინ

ბჰჰან/ბჰჰინ//ბრჰჰან/ბრჰჰინ//პრჰჰან/პრჰჰინ//პრჰჰან/პრჰჰინ

რაჭულში ამ ფუძის შემდეგი ვარიანტიც გვხვდება: ფჰენ-ს (რაჭ., 1987 გვ. 108).

ბჰჰან/ბჰჰინ

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ე ხმოვნიანი ფუძით, რომელშიც რ ბგერა განვითარებული -- ბრჰენ-ი საბჰენი, საბაგრა, კრონმტლანი (ქეგლ).

ბვლეჯ/ბვლიჯ

იველეჯ-ს იგლოვებს, გლოვობს. „იველიეთ ატაბიონო, ციხე დავექცათ ქეისაო“ (ხევს., 2005, გვ. 217; გვ. 433)

ბვლეჯ/ბვლიჯ

დაგვლეჯ-ს -- დაპოხავს, ცხიძს წაუსვამს. „ე ტყავნილ დაგვლიმენი“ (ხევს., 2005, გვ. 217; გვ. 256).

ბვრეჯ/ბვრიჯ

ბლეს/ბლის

ეს ფუძე იმერულში ლ/ნ სუბსტიტუციით გნეს/გნის სახეს იღებს და ჭურის თავზე აყალო მინის დაგლესას ნიშნავს. ზმნური ფორმები პირველ სერიაში თემატურია და ამიტომ ი ხმოვნიან ფუძეს გვიჩვენებენ. ე ხმოვნიანი ფუძე სანყისსა და მიმღეობაში გვაქვს შემორჩენილი: „ჭურს აყალო მინით ვგნისავთ, ურო გვაქ მაგისტოინ“ (იმერ., 1976, გვ. 46); „დაგნისე ჭური?“ (იმერ., 1974 (2), გვ. 205); „ჭურის მოგნესა არ დაგავიწყდეს!“ (იმერ., 1976, გვ. 95); „გაგნესილი ჩაფით მე ვერ ნავალ წყალზე, ვერა!“ (იმერ., 1976, გვ. 32).

გნის ფუძე გვხვდება რაჭულშიც: დაგნისავ-ს -- იგივეა, რაც დაგვიზავს (რაჭ., 1987, გვ. 38).

ბლეჯ/ბლიჯ / ბლჯ//ბჯ

ქართლურში ამ ზმნის დერივატი ე ხმოვნიანი ფუძით და -ია სუფიქსით გვხვდება კომპოზიტის ნაწილად: გელიგლეჯია -- ვისაც ტანსაცმელი მალე უცვდება. „ტანსაცმელს რო ხევს, გელიგლეჯია ხარო, ვეტყვიო, არაფერი შენ არ გიძლეფსო“ (ქართლ., 1981, გვ. 130).

გმერ/გმირ

ამ ფორმათა ი ხმოვნიან დერივატად ვარაუდობენ გმირს. პ.ფოგტი სეაშს კითხვას: „საკითხავია, ხომ არ იქნებოდა სახელი გმირი გუმერა-ს უძველესი მოქმედების სახელი, ზუსტად ისევე, როგორც მზირი -- მზერა-სი“ (პ.ფოგტი, 1968, გვ. 292). ა.არაბულის აზრით, „ეგებ ამ სიტყვის „მიმღეობურობა“ გამოხატული იყოს ხარისხის ნარმოების უნარშიც: ესე ხუთნივე იყვნეს გ მ ი რ ი. არამედ მცხეთოს უ გ მ ი რ ე იყო სხვათა მათ (ქ.ცხ. I, 8, 17)“ (ა.არაბული, 2001, გვ. 147).

გრეხ/გრის

გურულში გვხვდება ამ ზმნის დერივატი ე ხმოვნიანი ფუძით და ი-პრეფიქსით: ი-ნგრეხა -- გრეხილი მცენარე (გურ., 1938, გვ. 32; გურ., 1977, გვ. 100).

ღგან/ღგინ

ღგლეფ/ღგელიფ

შიადგლეფ-ს -- შიაჯახებს. „ე ჩაფები მივადგელიფე ერთმანეთს და გავტეხე“ (იმერ., 1974 (1), გვ. 242). ეს ფუძე შეიძლება უკავშირდებოდეს ღგლეფას, რაც დიდი ხმის გამოცემას ნიშნავს. ღგლეფას დაიძახებს დიდ ხმას გამოსცემს: „თუ წაბლს ჭიპი არ მოანყვიტე, შენვის დროს ღგლეფას დაიძახეფს“ (იმერ., 1974 (1), გვ. 135). შდრ.: ღგვეფა (ღგვეფისა) (იმერ.) „ისეთი გარტყმა, რომ ბოხი ხმა გავიდეს“ (ქეგლ).

ღევ/ღივ

ღენ/ღინ

ამ ზმნას მიუპოვება დერივატი ე ხმოვნიანი ფუძით -- ღენ-ი.

დვრენ/დვრიენ

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ი ხმოვნიანი ფუძით: დვრინ-ი, რასაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. საპენტო ლარი; 2. საპენტო ლარის მიერ გამოცემული ხმა; საერთოდ დვრინი დაბალი (შეორე) ბანის აღმნიშვნელია (ქეგლ).

დრეკ/დრიკ/დრკ

დრეს/დრის

დრეც/დრიც

ეს ფუძე ე ხმოვნიანი ფორმით გვხვდება ქეგლ-სა და შესაბამისად საბუნ-ზმური ფუძეების ლექსიკონში, კერძოდ: დადრეცილ-ი - დადასტურებულია ფმაურსა და ქიზიყურში, გაჭიმულს, გაფშეკილს აღნიშნავს: „ფაჭიანაქსოვი ჩიხებით დადიან დადრეცილები“ (ქეგლ).

ქიზიყურსა და ფმაურშივე გვხვდება ამ ზმნის ი ხმოვნიანი ფუძე (დრეცა — უპიროდ ჭიმვა): „რა იდრიცები?“ (ქიზიყ., 1943, გვ. 65); გაიდრიცება — გაიჭიმება, გაიფშეკება: „გაიფყარნოდი დონჯი, ნელშიაც გაიდრიცოდ“ (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969, გვ. 76). ი ხმოვნიანი ფუძე გვხვდება სხვა კილოებშიც (დრეცა — უშნოდ გრება, ჭიმვა): „რამ იდრიცები, დიდი ხანია ქალამნები გაიხადე?“ (ჯავახ., 1981, გვ. 48); (დრეც[ვ]ა) — დრეკვა. „რა ცუთად იდრიცება ეს ფიცარი“ (გარეკახ., 2003, გვ. 168); ასევე ხვესურულშიც: გაიდრიცების, დაიდრიცების, იდრიცების, ჩაიდრიცების. კერძოდ, იდრიცები-ს — ილუნება, იდრიკება (ხვეს., 2005, გვ. 433, აგრეთვე გვ. 151, გვ. 266, გვ. 325, გვ. 433, გვ. 984). ეს ზმნა გვხვდება ინგილოურშიც: დადრეცაჲ (დრეცავს, დადრიცა, დოუდრეცი, დანადრეცი); გადრეცაჲ და სხვ., რომელთაც განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ: 1. დიდი ძალით ნიკლის დარტყმა, მთელი ძალ-ლონით დარტყმა, დაკერა, დრუხვა; 2. გადატ. გადაყლაპვა, შესანსვლა; 3. გალუნვა, მოლუნვა, მოხრა, გადრეკა, გაზნევა; 4. ჩაჭყლეტა (ინგილ., 1978, გვ. 65; ინგილ., 1988, გვ. 77, და გვ. 132).

დღვებ/დღვიბ

დღვრენ/დღვრინ

გაიდღვრინება — 1. უშნოდ, ზომაზე მეტად გასუქდება, ვასქელდება... 2. გაედღვრინება: „ისე გამედღვრინა ე ტუფლები ამოტელა ტალახში სიარულითა, რო ორივე ფეხი ჩამივა შიგ“. გადღვრენილ-ი: „გადღვრენილი ცხვირი ააქო, გაფაფხული ცხვირი რო აქ, იმაზე ვიტყვი“ (ქართლ., 1981, გვ. 94).

ეს ფუძე იმერულშიც გვხვდება, ოღონდ აქ ეინის დაკარგვით გვაქვს: მოდღვრინულ-ი — ფართო და უშნო სახიანი, ცუდი შესახედაობის ადამიანი (იმერ., 1976, გვ. 96). ეს ფუძე ე ბგერის გარეშე სემანტიკური ცვლილებით გვხვდება გარეკახურში: გადღვრენვა, გადღვრინვა — გაბუჭვა, გაბერვა. „მაგაჲ ცოტა თუ არ მოეფერე, ისეთი გადღვრენვა იციჲ, მტრისაჲ“ (გარეკახ., 2003, გვ. 86).

დღლეზ/დღლიზ

ქართულში ეს ფუძე აფრიკატიზაციით ზბგერის ნაცვლად რ ანარმოგვიდგენს: მოდღლედ-ს — მოგღლეჯს. „მოდღლიძე ერთი ეგ ბალახი ძირში!“ მოდღლეძილ-ი: „ბეგი რო მოზვადება ხომე, წყალი რო მოდღლედს, იმაზეც ვიტყვიდით მოდღლეძილსა“ (ქართლ., 1981, გვ. 298).

დღლედ ფუძე გვხვდება ჯავახურშიც: დღლეძა//დადღლეძა — უშნოდ, უსნორ-მასნორიოდ დახევა, დაფლეთა. „მაგ დადღლეძილ ტანსაცმლით სად'ნა წახვიდე, ბიჭო“ (ჯავახ., 1981, გვ. 49). შდრ.: თვალეზდადღლეძილ-ი თვალეზისხლიანი, ქუთუთოებჩამოშვებული, უშნო თვალეზიანი (ჯავახ., 1981, გვ. 63).

შესაძლებელია ამავე ფუძეს უკავშირდებოდეს იმერხეული ღლეზ, ამ უკანასკნელში დ დაკარგული ჩანს და მნიშვნელობაც განსხვავებულია: ღლეზ-ს თვალეზს — აბრიალებს თვალეზს. „ტყვილაი ღლეზს თვალეზ, მისიდან მაინც არავის ეშინია“ (იმერხ., 1993, გვ. 609).

ამ ფორმებს უკავშირდება დერივატი ე ხმოვნიანი ფუძით და -ია სუფიქსით, რომელშიც დ ბგერა გაუჩინარებულია: ღლეზია-ი — თვალეზბრიალა, თვალეზდაკარკული: „გამოცვინდნენ ღლეზიაი ... ღლეზია ბაღეები“ (იმერხ., 1993, გვ. 609).

ზოგიერთ კილოში დღლეზ ფუძეში ა ხმოვანი გვხვდება და ბუნებრივია, ეს ზმნა აღარაა ხმოვანმონაცვლე. კერძოდ, იმერულსა და რაჭულში: დღლაზვა თვალეზისა · ქაჩვა, კარკელა თვალეზისა (იმერ., 1938, გვ. 108); უდღლაზავ-ს (თვალეზს) · წყრომით, გაჯაერებით უყურებს, უბრიალებს, უპრანავს თვალეზს. „ქვე რას მიდღლაზამ მა თვალეზს“ (რაჭ., 1987, გვ. 102).

დღრენ/დღრინ

ამ ფუძის შემცველი ფორმები ხვესურულში გვხვდება: გადღრენილი, გაიდღრინებს, იდღრინებს და გაღიმებას, უშნოდ გაცინებას, გაღმეჭას აღნიშნავს. მაგ.: „რას იდღრინები, რა ღნახ აქ საცინელი?“ (ხევის., 2005, გვ. 433, აგრეთვე გვ. 331, გვ. 145, გვ. 151).

ვედ/ვიდ

ვედ/ვიდ გვხვდება მხოლოდ II სერიაში. კერძოდ, ე ხმოვნიანი ფუძე წყვეტილის I და II პირში, ხოლო ი ხმოვნიანი ვარიანტი წყვეტილის III პირში და მეორე კავშირებითის სამივე პირში. თავისებური ზმნაა. იხ. ა.შანიძე, 1980, გვ. 537.

ვეევ/ველივ

ვეინ/ვეინ

ვეე/ვეე

აუზევ-ს — აუნევს: „ჩემ რაშს აუზიე ფეხი მაღლა“; გამოუზევ-ს — გამოუნევს: „აქეთა შემას გამოუზიე“; დაიზევ-ს — დაინევს: „მე რო მოვლანდე თვალი და ყაყაჩოსავით ბიუმი გაშავებულიყო, უკან დევიზიე“;

იზევ-ს – ინევეს: „ულვაშებიეიზია“; იზევ-ა – ინევა: „სულ უკან-უკან იზევა“;
მიზევ-ს მოზევ-ს – მიწევე-მოწევეს: „მიზევი-მოვეზევი ლობიაები“ (იმერ., 1974(!),
გვ. 33, გვ. 82, გვ. 137, გვ. 174, გვ. 244).

ზელ/ზილ

ზეველ/ზევილ

დაუზეველ-ს – გამოაჯავრებს, დასცილებს. „აბა დაუზევილ ციცას,
დაუზევილ: „მიაუ, მიაუ“; ზველა – გამოაჯავრება. „ყმანვილებისად ზველა
იციოდის ვაჟუნათ ხთისომ, დასაცილიწ, აჯავრებდის ყმანვილებს“ (ხევს.,
2005, გვ. 291, გვ. 374).

ზევეპ/ზევიპ

აღნიშნული ფუძე ხევსურულში დასტურდება: გაზევეპს, გაიზევიპების,
ზევეპს, იზევიპების. ამათგან ზვეპ-ს და იზევიპების-ს ორი მნიშვნელობით:
გვაქვს: 1. სცემს, ტყეპს, 2. დინჯად აუჩქარებლად ლაპარაკობს, ხოლო
გაზევეპ-ს და გაიზევიპების-ს – ერთით, კერძოდ ცემის მნიშვნელობით.
– გატყეპს, გაიტყეპება (ხევს., 2005, გვ. 148, გვ. 151, გვ. 374, გვ. 434).

ზევეპ/ზევიპ

ეს ფუძე ხევსურულში გვხვდება: მაიპზლევი-ს, მამპზლევა და მონგრევეს.
ზევაად ნამოსელას ნიშნაეს (ხევს., 2005, გვ. 374, აგრეთვე გვ. 532, გვ. 539-540).

აღნიშნული ფუძის ხმოვანმონაცვლეობისათვის წარმოდგენილი მონაცემებიც (ზმნური და სახელზმნური ფუძეების შედარებაც) საკმარისია, თუმცა ქეგლ-ში თვით ზმნური ფორმებიც ნათლად გვიჩვენებენ ამ ფუძის დრეკადობას.

დაყმედ-ს (დაყმიდა, დაყმედი) მოამშვეს, დაამშვეს..., იყმიდება (დაყმიდა, დაყმიდილა) იმშევა (ქეგლ).

ზემოიგერულშიამ ზმნის სემანტიკურად სახეცვლილი დერევატი გვხვდება ე ხმოვნიათი ფუძით: ყმენდ-ი ჩუმი, ულაპარაკო: „გამოგვიტანე პასუხი ექვდანო. ყმენდი ოჯახია, ვერაფერი გავიგე. პასუხიც ვერ მოუტანე. ასე ყმენდი ოჯახი მეზარება“ (იმერ., 1974 (1), გვ. 424-425).

ყმენდ/ყმინდ ნ. ყმედ/ყმიდ

ყრეპ/ყრინ

გადაყრეპ-ს — გადაიხდის, მოიძრობს (ტანისამოსს). „[მამუკან: გადაყრეპინა ნაბადნი, ავსენა ლმერთი მალალი...“ (ბეეს., 2005, გვ. 133).

შენ/შინ

შვირ/შვირი

შვლეა/შვლია

გურულში ეს ფუძე ვინის გარეშეა წარმოდგენილი და სწრაფად გახდა. გამიშვლებას ნიშნავს: „ტანზე გავშლიეთ ძველები და აბალი ტანისამოსი ჩავაცვიო“ (გურ., 1977, გვ. 81).

შვლიტ/შვლიტ

ეს ფუძე რაჭულში შ/ს გადასვლითაც გვხვდება. ვ.ბერიძის განმარტებით: სვლეჭა, შვლეჭა — გამოლება, *изменить* გარტყმევასაც ნიშნავს: „ვიშვლიტ: თილიყამყამი და წიკა გავადენიე ყურისძირში!“, „ძალიან უარობდა, მარა ოცდაოთხ საათში გადავაშვლეჭიე ფოჭტის ფული“ (იმერ., რაჭ., 1986, გვ. 50).

აღკობახიძე რაჭულის მონაცემების მიხედვით ამ ფუძეს შემდეგი მნიშვნელობებითაც წარმოგვიდგენს: ისვლეჭ-ს // ისვლიჭავ-ს — სწრაფად გაიძრობს; იშვშვლებს; გაიხდის. „ისვლიჭა რხმალი“; „ისვლიჭა ტანისამოსი და გადაეშვა ნყალში“ (რაჭ., 1987, გვ. 55, იხ. აგრეთვე რაჭ., 1961, გვ. 685).

შხნეპ/შხნეპ'

შკატ/შკიტი

წაუშკიტავ-ს — 1. აჩვენებს, დაანახევებს ვისმე ისეთ რასმე, რის ჩვენებაც პატრონს არ უნდა; წაშკეტილ-ი: „უნდა გაზეთი მივადარო, თორე ან პურეფს ესე წაშკეტილს ხო ვერ წავიღეფ?“ 2. წაუშკიტავ-ა — ერვენება, დაენახევა. წაშკეტილ-ი: „სად არი და აიქ არი წაშკეტილი, ანე ხალხი რი დგა და ლაპარაკოფს“ (ქართლ., 1981, გვ. 495).

შკმეტი/შკმეტი

აიშკმეტიბი-ს — აიშრიზება, მოიღუშება, შეიჭმუნება. „ადვილად წყენა იცის, ცუდუბრალოზე აიშკმეტიბის“; აშკმეტა მოღუშება, შეჭმუნება, აშრეზა; აშკმეტილ-ი — „აშკმეტილ რაიმ იყავ, დაბუზვილი (ბეეს., 2005, გვ. 25, გვ. 70, გვ. 984).

შლეკ/შლიკ

ეს ფუძე ხევსურულის შემდეგ ფორმებშია დადასტურებული დაშლეკილი, მალრენილ-მაშლეკილი, რაც უსახურს, შეუსვლელს, დონდლოს ნიშნავს (ბეეს., 2005, გვ. 301, გვ. 562, გვ. 984).

პრინციპები

პრინციპები, პრინციპები -- დროდადრო ცხვირიდან მაგრად და სწრაფად გამოვლენილი: „ბალანს ციროს იმპრინტი“ (თუშ., 1969, გვ. 168).

პრინციპები/პრინციპები

თუშურში ამ ფუძეში რ-ს ნაცვლად ლ გეხედება შემდეგ ფორმებში: თვალების დაშლელაფი - დაბრმავება; შლელელაფი -- ცხვირის ავადმყოფობა (თუშ., 1969, გვ. 103, გვ. 168). შლელელაფი, იგივეა, რაც შრელელა, თავის მიხედვით შრელელა ამ ზმნის დერივატია ე ხმოვნისანი ფუძით და -ელა სუფიქსით.

აღნიშნულ ზმნის მოკლებება დერივატია ფუძეში ა ხმოვნით: შრატ-ი.

შტეინ/შტეინ ნ. სტეინ/სტეინ

შტეინ/შტეინ

გამტრენქვა (გამტრინქვა) -- საგულდაგულოდ გამოწყობა, გამოჭიმვა, გამოჯგიმვა: „გეიტრინქვა ყაზახი ახალ ტანისამოსშია და დეიარება ბოქაულივით“ (იმერ., 1974 (2), გვ. 204).

შხა/შხი // შხაფ/შხიფ

აღნიშნული პარალელური ფუძეები პ/ფ მონაცვლეობით უნდა იყოს მიღებული.

ქართლურში შხეპ-ა ფუძეში ვ ბგერაა განვითარებული: გაშხეპ-ს გატოპავს: „კატომ გაშხეპა წყალში“ (ქართლ., 1981, გვ. 126); ასევე გარეკახურშიც: შხეპავ-ს -- დაღვრილ სითხეს ხელით ან ცოცხით იღებს, ნმენდს, ამშრალებს. „დამდგარა და ამოდონა წყალ ხელითა იშხეპამს“ (გარეკახ., 2005, გვ. 324).

ამ ზმნის მოკლებება დერივატები ე ხმოვნისანი ფუძით: შხეპ-ი//შხეფ-ი.

შხეპ-ა ზმნის აქვს დერივატია ა ხმოვნისანი ფუძითაც: შხაპ-ი, რაც საბას ვანმარტებით ჩქარ წვიმას ნიშნავს, შდრ.: შხაპუნა წვიმა (ქეგლ). ბოლო დროს მიიღო ახალი მნიშვნელობა, ჩვეულებრივ აღნიშნავს მოწყობა-ლაპას, რაც სითხეს (წყალს) ბშირ წვეთებად (შხეფებად) ასხამს.

შხაფ/შხიფ ნ. შხაპ/შხიპ

შხრინ/შხრინ

გულის შხრენა -- გულის ღრენა, სიბრაზისაგან გულის ღელვა: „მცე გული მიშხრინამს იმაზე, მაგრამ ვერ მამიჯელებია, რო გადაუწადო“; სისხლის შხრინვა -- ბრაზისაგან სისხლის მოსვლა; შხრინვა -- შიშინი, ადუღების წინ წყლის გამოცემული ხმა; გადატ. სისხლ ნუ მიშხრენ სისხლს ნუ მიდუღებ, ნუ მალელებ: „გული მიშხრინამს ბრაზისაგან“ (ქიზიყ., 1943, გვ. 220).

ჩიქ/ჩიქ

ეს ფუძე ქეგლ-ის, ზმნური ფუძეების ლექსიკონისა და სახელზმნური ფუძეების ლექსიკონის მიხედვით არაა ხმოვანმონაცვლე. ქართლურში კი

ეს ზმნა ფუძედრეკადია: გამოჩეკ-ს ნინილებს: „გამოჩეკამს ნინილეუფსა“ (ქართლ., 1977, გვ. 133).

ჩენ/ჩინ/ჩნ

ამ ზმნას აქვს დერივატი ი ხმოვნიაანი ფუძით: ჩინ-ი.

ჩევე/ჩევი

ჩევეტ/ჩევიტ

სჩევეტ-ს — ჩიჩქნის (ხევს., 2005, გვ. 1016).

ჩვრეპტ/ჩვრეპიტ

ჩლეძ/ჩლიძ

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ი ხმოვნიაანი ფუძით: ჩლიქ-ი, ენაჩლიქ-ი -- ლაკანტური, სიტყვებს სწორად რომ ვერ ამბობს (თუმ.) (ა.შანიძე, 1984, გვ. 441).

ეს სიტყვა ქ/გ ცვლილებითაც (სუბსტიტუციით) გვხვდება: ჩლიგ-ი — „ენა ლასზე მოუბარი“ (საბა) — ენამოჩლექილი (ქეგლ).

ჩლეჩ/ჩლიჩ

დაჩლეჩავ-ს — დაგლეჯს, დაჯიჯგნის; დახვეს, გაცვეთს. „მანქანა რო დეეჯახება ადამიანსა, დაჩლეჩავს“ ... დაჩლიჩება: „ხორც რო დაფქევე და კარქა რო არ დაიფქევება, დაჩლიჩება; დაჩლეჩილ-ი — სიმინდები სუ დაჩლეჩილია სეტყვისაგანა“ (ქართლ., 1981, გვ. 189).

შესაძლებელია ჩ ბგერის გამარტივებით, დეზაფრიკატიზაციით ჩ → თ მიგველო ჩლეთ/ჩლით, რაც იმერულში გვხვდება: დაჩლითავ-ს ნერილ-ნერილ გრძელ ნანილებად დანიჩნის (აკაციის, თელის კანს): „სახოვი დაალებ და დაჩლითე“; დაჩლეთილ-ი „ნერილ-ნერალ, გრძელ ნანილებად დანიჩენილი“ (აკაციის, თელის... კანი): „სახოვი შაქ დაჩლეთილი, მაგრამ გამოვათავეფ და ნამუალ“ (იმერ., 1976, გვ. 64). შდრ. ჩქლეთა.

ჩმეკ/ჩმიკ

ეს ფუძე ხევსურულში გვხვდება ძირითადად მიმლეობებსა და დერივატებში, რომლებიც კომპოზიტების ნაწილია: ცხვირჩამეკილ-ი ცხვირპაჭუა, ცხვირჩმიკ-ი — ცხვირპაჭუა (ხევს., 2005, გვ. 1044; გვ. 1045).

ჩნევე/ჩნივი

ჩვევეფ/ჩვივიფ

ჩქვეფა წყალში ჩავერდნილი საგნის მიერ მოწყდნილი ბმა: „აღლეფდა წელმნიფეები, შამაჩქეფინეს ზღვანია“ (ხევს., 1923-1924, გვ. 227, გვ. 314) ჩქვეფასათვის ალ.ჭინჭარაული მეორე მნიშვნელობასაც ასახელებს: ბანა. რეცხვა (ხევს., 2005, გვ. 1021).

ეს ფუძე მოხეურში ფ-თი გვხვდება: გაჩქეფ-ს ფებით გავა წყალში: „მდინარე სუნჯა გასჩქეფეს, სხვაგნით არ ჰქონდა გზანია“ (მოხს., 1985, გვ. 204).

ჩქელი/ჩქელი

ხეცურული ამ ფუძეს ვ ბგერის ჩართვით წარმოგვიდგენს: გაჩქელითები-ს — გაიმღება, გაითქიფება; გა-ს-ჩქელეთ-ს — დაშლის, ვათქვეფს, დაალობს, გაჩქელეთს (ხეც., 2005, გვ. 154, გვ. 204).

ჩამქე/ჩამქე

ამ ფუძის ჩქ ბგერათკომპლექსი ჭკ-თია შეცვლილი მთიულურში: „ი ბალ-ლა სჭკმეტდა ქალი“ (მთიულ., 1967, გვ. 140). მთიულურშივე ამ ფუძეში -ეტ სუფიქსის ნაცვლად -ენ-იც გვხვდება: ჭკმენ-ს ჩქმეტს (მთიულ., 1967, გვ. 249). შესაძლებელია ჭკმეტ/ჭკმენ ფუძეების კონტამინაციით გვქონდეს ჭკმენტ, რომელსაც მოხურში ვადასტურებთ: დაჭკმენტ-ს — დაჩქმეტს, დაბნენს: „დაყუბი დამჭკმინტა“ (მოხ., 1985, გვ. 228).

ჩხეკ/ჩხეკ

ჩხეკავ-ს — თიბავს; გამოჩხეკავ-ს — ცოტას გამოთიბავს (ქართლ., 1981, გვ. 480; გვ. 115).

ჩხირ/ჩხირ

ამ ფორმებს გარკვეული სემანტიკური გადასვლით შეიძლება დაეუკავშიროთ ა ხმოვნიანი დერივატი ჩხირი -- ის, რაც გაჭედეს, გახირეს. გვხვდება -ა სუფიქსითაც, კერძოდ, ქართლურში: ჩხირა (ქართლ., 1961, გვ. 644). ქართლურშივე ჩხირა, ჩხირანას სხვა მნიშვნელობებიც აქვს, კერძოდ, თევზია ვრთავარი: „მღვრიე წყალში იცის ჩხირა, პატარაა, ქროლა“; „ორი ჩხირანა დავიჭირეთ, იქ შე სხვა თევზი არ მინახია“ (ქართლ., 1981, გვ. 480).

ჩხეკე/ჩხეკე

შემჩხეკე -- შემირჭო: „დეცი, კოსტალემ ჯელშიგ ეკალ შემჩხეკე“; შეჩხეკეჰა -- ნემსითა თუ სხვა ნეგტიანით ჩხელეტა (თუმ., 1969, გვ. 166, გვ. 167).

ჩხეკ/ჩხეკ

ჩხეკერ ფუძე ფშაურსა და ხეცურულში არაა ხმოვანმონაცვლე. პუნებრივია, ასეცაა ის წარმოდგენილი ქეგლ-სა, ზმნური ფუძეების ლექსიკონსა და სახელზმნური ფუძეების ლექსიკონში.

ასევეა თუმურსა და იმერხულში:

შემჩხეკერ -- შემერჭო. „ფეწვიგ ეკალ შემჩხეკერ“ (თუმ., 1969, გვ. 165); დაჩხეკერავს -- ჩხეკერი (მუცლის ავადმყოფობა) დაეღართება. გადატანით ნიშნავს, შეშინდება, შეკრთება. „ძროხას დაჩხეკერა და უხნი ჯოხით ვულო-კე“ (იმერხ., 1993, გვ. 430).

მაკრამ მოხურში ეს ფუძე ხმოვანმონაცვლეა: დაჩხეკერა -- რქენა: „დაჩხეკერაო ჩვენ ის ვიცით“ (ა.შანიძე, 1984, გვ. 314).

ამ ფუძეში ვინის ნაგვირად უ-ც გვხვდება: „ქალი ძროხამ დაშჩხეკერა“ (მოხ., 1985, გვ. 226);

ჩხეკერ-ს, შაჩხეკერ-ს -- ჩხელეტასაც ნიშნავს: „ისრი შაშჩხეკერა, რო სუ

აზბაელა" (მოს., 1967, გვ. 442); „სულ ხანჯლები სჩხუირეს ლასტებჩიგა" (მოს., 1985, გვ. 370).

მოხეურში ამ ზმნას გერემის, ტკივილის მნიშვნელობაც აქვს: „მუცელ-ჩჩხუერს" (მოს., 1985, გვ. 370).

აჭარულში ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ე ხმოვნიათი ფუძით: ჩხვერ-ი — მსხვილდება საქონლის დააუადება, „მუცლის გურემა" (საბა); ჩვეულებრივ ტანზე აებურძება ბალანი და ზოგჯერ კანკლასაც დააწყებინებს პირუტყუ; ჩხვერით დააუადებულ საქონელს შეულოცავს დედის პირველი შვილი: „პირ-ველი ვარ დედისა, ნამალი ვარ ჩხვერისა." (აჭარ., 1971, გვ. 405).

მოხეურში ამ ზმნის დერივატი ე ხმოვნიათი ფუძით და -ელა სუფიქსით გვხვდება: ჩხუერელა-ი მარქენალი, რქენია: „ჩხუერელაი ძრობა მოდის, მუერით" (მოს., 1985, გვ. 370).

ჩხვლეკ/ჩხვლიკ

ჩხვლეთ/ჩხვლით

ეს ზმნა ქვემოთმხროულში ლ ბგერის გარეშეც გვხვდება: დაჩხვიტადეს (კ.კუბლაშვილი, 1985, გვ. 157).

ჩხმეკ/ჩხმეიკ

გაჩხმეკ-ს — გაჩხრეკს, ანთებული ჩირალის ჩხირებს ერთმანეთზე წას-მით განმენდს: „გაჩხმეკე ჩირალი, თორო გონჯა ენთება" (მოს., 1985, გვ. 204).

ჩხრეკ/ჩხრეიკ

ცდენ/ცდინ

ეს ფუძე ცდ კომპლექსის ნაცვლად ასიმილაციით ცთ-ს წარმოგვიდგენს გურულში: „მარა დედინაცვალმა მაინც შიაცთინა ღვდელი და ძალით ნიყ-ვანა ეთერი" (გურ., 1936, გვ. 123).

ცვეთ/ცვინი

ცვენ/ცვინ

ცნეც/ცნეცი

ცრეც/ცრეცი

ცჳერ/ცჳირ

ცჳეპტ/ცჳეპიტ

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ი ხმოვნიათი ფუძით: ცჳეპიტ-ი. ეს სიტყვა გვხვდება კომპოზიტებშიც: ყურცჳეპიტი, ფრთაცჳეპიტი. ი ხმოვნიათი დერი-ვატი კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად -ა სუფიქსითაც გვხვდება: ყურცჳე-ვიტა. აღნიშნული დერივატი -ინა სუფიქსითაც გვხვდება: ცჳეპიტინა.

ცჳეპეფ/ცჳეპეფ

ცჳეპეფ ფუძე დასტურდება სახელზმნური ფუძეების ლექსიკონში, რაც ქველ-ის შემდეგ ნიმუშს ემყარება: გასაცჳეპეფ-ი -- გასაფცჳენელი. /' ფიგურ. „ჩანს დიამბეგს ხელიდან გასძრომია კარგი გასაცჳეპეფი" (ქველ).

ამ ზმნის ე ხმოვნიან ფუძეებს ვადასტურებთ იმერულში: გაცქვეფ-ს გადატ. გაძარცვაეს: „დახვეთერიენ ყაჩალები და გოუცქვეფიათ ვინცხები“; გაცქვეფილ-ი გადატ. არაფრის მქონე — ლარიბი, ლატაკი: „მაგისანა გაცქვეფილს ქალს ვინ გაატანდა!“ (იმერ., 1976, გვ. 44).

აღნიშნული ფუძე რომ ხმოვანმონაცვლეა, ამას იმერული საილუსტრაციო მასალის მიხედვით ვადასტურებთ, ოღონდ მნიშვნელობა ერთგვარად შეცვლილია: გაიცქვეფ-ს, გეიცქვეფ-ს — სწრაფად გაიხდის, გამიშვლდება: „გეიცქვეფა ტანისამოსი და გადახტა წყალში“ (იმერ., 1976, გვ. 36).

ცქველფ/ცქველიფ

მოცქველფილ-ი, მოცქველიფულ-ი — პატარა ტანისა, მოლეული (ქართლ., 1981, გვ. 318).

განსხვავებული მნიშვნელობით გვაქვს ცქველფა (სცქველფა) ხევსურულში. კერძოდ, უშნოდ, დამცინავად გალიმება (ხევს., 2005, გვ. 1040).

ეს ფუძე განსხვავებული სემანტიკით გვხვდება ფშაურსა და მთიულურშიც: ცქველფ-ს — თქველფს, სვლეს (კატა, ძალლი). «ცქველიფეთ ეს ძალლის სალაფავი, რადგან თქვენ ამის ღირსები ხართო!» (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969, გვ. 318); «ცქველიფე, შე გაჩანაგებულო» — ცქველიფე — თქველიფე (მთიულ., 1978, გვ. 207-208). ამავე მნიშვნელობით გვაქვს ეს ზმნა ხევსურულშიც, ოღონდ ვ ბგერის გაუჩინარებით: ცქველფ-ს — თქველფს, ხერეს ძალლი ან კატა (ხევს., 2005, გვ. 72, გვ. 1040). ხოლო გარეკახურში ცქველფა, გაცქველფა კანის გაძრობას ნიშნავს (გარეკახ., 2003, გვ. 345).

მოხეურში გვხვდება ამ ზმნის დერივატი ე ხმოვნიანი ფუძით და -ია სუფიქსით. მნიშვნელობის მხრივ ეს დერივატი ახლოს დგას ფშაურისა და მთიულურის ფორმებთან: ცქულფეფა-ი — მსუნაგი, თქველფეფა, გაუმადლარი (მოხ., 1985, გვ. 372).

იმერულში გვხვდება ამ ზმნის დერივატი ი ხმოვნიანი ფუძით, რომელიც მნიშვნელობის მხრივ ახლოს დგას ქართლურში დადასტურებულ ფორმებთან: ცქველიფ-ი — პატარა, ჩია: „სახლიდან ცქველიფი კაცი გამოვარდა“ (იმერ., 1974 (1), გვ. 465).

ცქრენ/ცქრინ

ცქრენა — ღმეჭა, უადგილო სიცილი: „რაც იცქრინები?“ (თუმ.) (ა.შანიძე, 1984, გვ. 446); ცქრენაჲ — ღრეჭა, წარამარა სიცილი, იცქრინ-იღრიჯა. ცქრენოჲ — ვინც წარამარა იცინის და იღრიჭება (თუმ., 1960, გვ. 217).

ძვე/ძწვე//ძ

ძენ/ძინ

ძვრენ/ძვრინ

ძლევ/ძლწვი

„მისცემს“

ძღუე/ძღუე: 2

„ერევა, სჯობნის“

ძღუე/ძღუე

დაძლედა -- დაფლეთა, დაგლეჯა, დაძიდგნა ზორცისა, კბილებით ან ნის-
კარტით; დაძლეძილ-ი -- დაგლეჯილი: „მაგ ოხერ გელ სულ დაძლეძიდა ცხვა-
რი“. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ძლედა (ჯავახ., 1981, გვ. 44; გვ. 162).

ეს ზმნა ამავე მნიშვნელობით გვხვდება აჭარულსა და იმერულში:
„მეიმწყვრია კლანჭებში ერთი კაკნია თურმეც, არნიემა და ისთე დაძლეძიდა.
რომ სულ ფარაფარჩა გახადა“ (აჭარ., 1971, გვ. 410); „ეგ ძვალეზი გადაყარე,
ძალეზი დაძლეძენ“ (იმერ., 1993, გვ. 651).

ძღუე/ძღუე

ძღუეკვა — სხეულის მოულოდნელად მინაზე ძლიერი დაცემა. საზოგა-
დოდ ცოცხალი არსების მინაზე დარტყმა; ძღუეკვა — 1. იგივეა, რაც ძღუე-
კვა: „ვაჟამ კატა დეიჭირა და მაგრათ ძღუეკვა მინაზე“. ძღუეკვა განსხვავე-
ბული მნიშვნელობითაც გვხვდება, კერძოდ, დაკინებულს, თავის ასაკთან
შედარებით ძალიან პატარას და გამხდარ არსებას (ჩვეულებრივ გოჭს ან
ხბოს) აღნიშნავს. შდრ.: ამ ზმნის ე ხმოვნისანი ფუძე, რომელსაც აჭარულ-
ში ვხვდებით და განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: ამოძღუეკილ-ი, რაც
ამოზნეკილს, ამოზურცულს ნიშნავს (აჭარ., 1971, გვ. 87).

ზემოთ აღინიშნა, რომ ძღუეკვა დაკინებულს, პატარას, გამხდარს ნიშ-
ნავს. შესაძლებელია ამას უკავშირდებოდეს დერივატი ძღუეკ-ი 1. (იმერ.)
გამხდარი, მჭლე, ბლინკი. 2. (გურ., ლეზ.) ძველი, დაფლეთილი ტანსაცმე-
ლი, — კონკი (ქეგლ).

ნიშ/ნიშ

ინგილოურში „ანევა“ ზმნაში ვხვდებით ბგერათა განვითარებას. წაერ-
ცივის ზოგჯერ ს, ზოგჯერ კი პ: ასნევაა, აპნევაა, ომოსნევაა, ომოპნევაა:
„ყმანულ (ბავშვი) უკანი უსნევეს თუნგს“; „პაბე (რატომ) გცბონიანა, აპნიო
(ასნიე) ქელლაა ზუპტყენ!“ (ინგილ., 1988, გვ. 40).

ნევე ფუძე უნდა იყოს შემოკლებული სახით წარმოდგენილი შემდეგ
დერივატებში: აპნე — ტექნ. სიმძიმეთა ასანევი მექანიზმი -- აპნევი; შემნე
-- მშველელი, დამხმარე (ქეგლ).

ნიშ/ნიშ

ეს ფუძე ქეგლ-ის მიხედვით გურულშია დადასტურებული და წყვეტას,
აგრეთვე ნენას და დაგლეჯას ნიშნავს. ვფიქრობთ, ამასვე უნდა უკავშირ-
დებოდეს ზემოთხსენებულში დადასტურებული ნეკ/ნიკ, რომელშიც ვ ბგერაა
დაკარგული და მნიშვნელობაც გადაწეულია.

გამონეკ-ს — გამონეკს. „ჩათული რო არი გაბმული, გამონიკე და გვი-
ლება კარებიო“ (იმერ., 1974 (1), გვ. 83).

წვდენ/წვდინე

ეს ფუძე ზემოიმიგრულში შემდეგი სახით გვხვდება: მოაცვთენ-ს — მოან-
ვდენ-ს: „არაჲინ მომაცვთინა ხმა“ (იმერ., 1974 (1), გვ. 250). წედ → ცეთ
როგორც არ უნდა აიხსნას, შედეგის მიხედვით ჩანს, რომ ვ ბგერის წინ და
წემდგომ სხვადასხვა სახის (მჟღერი და ყრუ მიკვეთარი წ) ბგერები ცვლილ-
ბის შემდეგ ერთი ჯგუფის (ყრუ ფშინიერი) ბგერებზე: ცთ-ზე დადიან.

ამ ზმნას აქვს დერივატი ე ხმოვნიანი ფუძით: წედენ-ი (ლერხ.) „ფანჯ-
რის გვერდის ან ზოგიერთი ქვის სვეტის გვერდის ერთ-ერთი მთლიანი ქვა“
(ქეგლ).

წაჲჲ/წაჲი ვ:

წაჲნ/წაჲინ

წაწაჲ/წაწაჲი ვ:

წაწაჲი/წაწაჲით

და-ს-წვრეთ-ს · დაჭრის, დაკუნაეს (ხევის., 2005, გვ. 304, გვ. 1078).

წაჲნტ/წაჲინტ

ეს ფუძე ხმოვანმონაცვლედაა დასახელებული სახელზმნური ფუძეების
ლექსიკონში, რომელიც ქეგლ-ის წკენტა საწყისს ეყრდნობა, თუმცა ქეგლ-
ის ეს მაგალითი არ გვიჩვენებს ი ხმოვნიან ვარიანტს.

ქართული ენის დიალექტებში ეს ფუძე მეტად საინტერესო ვითარე-
ბას წარმოგიდგენს, კერძოდ ერთსა და იმავე კილოში ეს ფუძე გვაქვს
როგორც ხმოვანმონაცვლე (ე-ი ხმოვნიანი) ფუძეებით, ასევე არახმოვან-
მონაცვლე (მხოლოდ ე ხმოვნიანი) ფუძით. ასეთი ვითარებაა ქართლურსა
და მოხეურში.

ე-ი ხმოვანმონაცვლეობით ქართლურში:

ჩამონკენტ-ს — ძლივძლივობით ჩამონველის; იწკინტებ-ა — ცოტას
ინველის (ქართლ., 1970, გვ. 277; გვ. 264). მაგრამ ქართლურშივე გვაქვს ამ
ზმნის ე ხმოვნიანი ფუძე მეორე სერიაში. ე.ი. ამ შემთხვევაში ზმნა არახმო-
ვანმონაცვლეა: „მუნუი რო გამომრება, სუ გამოვა ჩირქი, იტყვიან, გამო-
ინკენტაო“; „ძრობა მონკენტე და მერე საცა გინდა, იქ წადი“; „ახლო არ
მიკარეფს, რო ორიოდე წვეთი რქე ჩამოწკენტო“ (ქართლ., 1981, გვ. 110;
გვ. 319; გვ. 469).

ე-ი ხმოვანმონაცვლეობით მოხეურში:

ამ კილოში ეს ზმნა განსხვავებული მნიშვნელობითაა: უწკენტ-ს -- უჩხ-
ვლეთს, უჩქმეთს: „მკლავზე მინკინტა“; ფიგურ. „მაგის დანახვაზე გული
მინკენტსკე“ (მოხ., 1985, გვ. 334). გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება
ალყაზბეგის თხზულებებშიც, კერძოდ, გული ელევა, ეკუმშება: „სწკენტს,
ინურება, ვაგლასობს, გლოვად ზარსასცემს გულია“; „მომაგონდება, ვიკენე-
სებ, გული დაჲინყებს წკენტასა“ (ალყაზბეგი, III, 1949, გვ. 45; გვ. 94; გვ. 662).

წკენტა -- 1. ჩბელეთა, ჩქმეთა. 2. დამც. საუბ. წველა (მოხ., 1985, გვ.

320). მაგრამ მოხეურშივე გვაქვს ამ ზმნის ე ხმოვნიათი ფუძე მეორე სერი-
აში. ე. ი. ამ შემთხვევაში ზმნა არახმოვანმონაცვლეა: მონკენტა 1. საუბ.
დაძვ. მონველა, ცოტა, უმნიშვნელო რძის მიღება: „ერთი ძროხაი მოვსა
კენტე“. 2. მოშორება, გაყიდვა (მობ., 1985, გვ. 285).

გვაქვს კილოები (ხეესურული, მთიულური, ინგილოური), სადაც ეს
ზმნა მხოლოდ არახმოვანმონაცვლე ფორმებით (ე ხმოვნიათი ფუძეებით)
გვხვდება: ნკენტავ-ს — წველის ცოტა რძის მქონე ძროხას, ცხვარს;
ინკენტები-ს — ძალიან ცოტას იწველის (ხეეს., 2005, გვ. 1088, გვ. 442);
სნკენტავ-ს — მწველ საქონელს უკანასკნელ რძეს განმონველის. ინკენ-
ტება — ძროხა ძალიან ცოტა რძეს იძლევა (მთიულ., 1967, გვ. 248.
გვ. 209).

ინგილოურში ეს ზმნა განსხვავებული სემანტიკით გვხვდება: ნკენტჳაჳ
(ნკენტავს, ინკენტა, უნკენტნი, ნანკენტ) იარის ყრუ ტკივილი, თანაც ქავი-
ლი (ინგილ., 1978, გვ. 233).

ნკაპ/ნკიპ

ამ ფორმებს შესაძლოა დაუკავშირდეს ი ხმოვნიათი ღეროვანი ნკიპ-ი,
რომელიც ერთგვარი სემანტიკური ცვლილებით გვხვდება: ნკიპ-ი — ცოტა,
მეტად მცირე მანძილი: „ნკიპზე გარარჩა“; „ერთი ნკიპი უკტა გარაკარდ-
ნას“ (გურ., 1977, გვ. 145).

ა. არაბული ზემოაღნიშნულ ზმნურ ფუძეს უკავშირებს ქართულ დიალექ-
ტებში დადასტურებულ ნკაპ-ს: „ნკაპ-ი: 1. კუთხ. (იმერ., გურ.) მწკრივი,
რივი, წყება. 2. (ლერხ.) წვეილეული სმის დროს (მ.ჩიქ.); ნკაპი იგივეა, რაც
წინწკალი („წერილი წვეთი“). შდრ. ნკიპი — იგივეა, რაც ნკიპურტი (ქველ.).
ამკარაა კავშირი ნკეპ- ზმნურ ძირთან (რომელიც შენახულია ძვ. ქართ.
ნკეპ-ლ ფუძეში)“ (ა. არაბული, 2001, გვ. 138; გვ. 220).

მწკრივისა და რივის მნიშვნელობით ნკაპ-ი გვხვდება აჭარულშიც. აჭა-
რულშივე გვხვდება განკაპებულ-ი — გამწკრივებული, ჩამწკრივებული
(აჭარ., 1971, გვ. 419, გვ. 141).

ნკლეტ/ნკლიტ/ნკლტ

ეს ფუძე გვხვდება ხეესურულში ფშაურსა და მოხეურში: ნკლეტ-ს
— წრეტს (ხეეს., 2005, გვ. 1088); ამონკლეტ-ს — ამონწრეტს, ამოაშრობს:
„ღვინო სულ არ ამოსწკლიტო ქვევრიდან“ (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკო-
ნი, 1969, გვ. 40).

მოხეურში ამ ფუძეს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: გადა-ს-ნკლეტ-ს
— გადანურავს: „ერბოს გადმოვადულებთ, გადავსწკლეთ ქურჭელი“
(მობ., 1985, გვ. 190); ნკლეტა — 1. წყალი რომ ცოტას მოდის. ხან შეწყდება,
ხან ისევ წამოვა: „დარანი დავგმანე და წყალი ნკეტ-სკლეტას ვაჟადის“; 2
გაქცევა. „როგორცვე დაინახა, მაშინვე სკლიტა“; არ გამაჯავრა, თორე
ებლავნე ესწკლეტ“ (მობ., 1967, გვ. 444); დაწკლეტა (დაწკლტება) 1. დაწკლ.

ტა, დაშრობა: „გავლრეცხთ მხალს, დავდებთ ცხრილზე, ცოტა დანკლტება“; 2. დანმენდა: „მღვრიე წყალი დანკლტება“; 3. დალექვა: „ნადული ქვაბის ძირ-ჩი დანკლტება“ (ყაზბ.) (მობ., 1985, გვ. 227).

საყურადღებოა ამ ზმნის ი ხმოვნიაანი ფორმაც, რომელიც ალ.ყაზბეგთან სხვა ნიუანსით გვხვდება: „ნიავიც კი გამჯიბრებოდა და აღარ მოძრაობდა, გული ინკლიტებოდა და ინურებოდა, სული მიიბრძოდა, მაგრამ საითკენ, ვისკენ?“ (ალ.ყაზბეგი, V, 1950, გვ. 195). ამ შემთხვევაში გული ინკლიტებოდა შეიძლება ნიშნავდეს გული ინრიტებოდა, ინურებოდა (სისხლიაგან) (რ.ქურდაძე, 1998 (3), გვ. 271).

წკრინ/წკრინ

დაინკრინება — დაილექება, დაინმინდება; დანკრენა — დალექვა, დანმენდა (მთიულ., 1967, გვ. 199, გვ. 203).

წკრინ ფუძე გვხვდება განსხვავებული სემანტიკის მქონე ზმნაში: გამონკრინდება-ა (გამონკრინდა, გამონკრინებულა), რაც მოხდენილად გამოქცევას, გამოკურცხლვას, სირბილით წამოსვლას ნიშნავს: „პატარა გიორგი გამონკრინდა თავის ტოლ-ამხანაგებისაკენ სათამაშოდ“ (ილია) (ქეგლ).

წკრეპ/წკრეპ

დაუნკრეტავ-ს დაუნყვეტს (წყალს). „ვერა და ვერ მორწყა პაპამ ვენახი, ვილაცა წარამარა დაუნკრეტამს ხოლმე წყალსა“; დაენყრიტება — დაეცლება, დაუშრება, ბოლო წვეთი გამოედინება. „სანამ რუვი სუ არ დაენკრიტება, ვერ მიხვდება, რო წყალი მოიპარე“ (გარეკახ., 2003, გვ. 137).

წმენდ/წმინდ

ხევსურულში ამ ფუძეში ნ დაკარგულია: „ბევრს ოფლს მაინმედს“ — ბევრს იშრომებს: გვხვდება სემანტიკური გადაწვევაც: და-ს-წმენდ-ს — დაგვის (ხევს., 2005, გვ. 95; გვ. 305; გვ. 1089).

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ი ხმოვნიაანი ფუძით: წმიდა (წმინდა). შესაძლებელია ეს დერივატი კომპოზიტების ნაწილადაც შეგვხვდეს: გემონწმინდა — კარგი გემოსი, გემრიელი (საჭმელი, ხილი...): „გემონწმინდასა გემრიელ საჭმელზე იტყვიან, კარქა როა შეგემებული“; ენანწმინდა — მკაფიოდ, გამოკვეთილად მოლაპარაკე: „ენანწმინდა რო იქნება, იმას ეტყვიან, კაფიეთი სიტყვა აქო“ (ქართლ., 1981, გვ. 131, გვ. 203). ასევეა ტოპონიმბშიც: ერთანწმინდა, თედონწმინდა, ნიკონწმინდა, ნინონწმინდა და სხვ.

წნახ/წნახ

ეს ფუძე იმერულსა და აჭარულში ნ/ჭ სუბსტიტუციით გადაღვეს წნეხ-ს: წნეხვა (იმერ.) იგივეა, რაც წნეხა (ქეგლ). დაწნეხა — წნეხით (წნეხით) დანურვა (ყურძნისა), წნეხით გამონურვა — დანწნეხა; დაწნეხილ-ი — დანწნეხილი (ყურძენი) (აჭარ., 1971, გვ. 175; იხ. აგრეთვე აჭარ., 1961 (1), გვ. 657).

ამ ზმნურ ფუძეს უკავშირდება დერივატი ე ხმოვნიაანი ფუძით: წნეხ-ი.

ნრეკ/ნრიკ

განრეკა (განრეკს, გაინრიკება, განრეკილი). 1. მტკიცედ, მეტისმეტად დაგრეხა (შდრ.: ნრინკე): „ულვაშები გეენრიკა და თავს ანონებდა ქალებსა“; „განრეკილი თოკია“. 2. გადატ. გამზდარი, გალუული: „გალაშკელ ქიშტივით განრეკილა“ (მოხ., 1985, გვ. 205).

შესაძლებელია ამ ფორმებს დაუუკავშიროთ დერივატი ი ხმოვნიაანი ფუძით და ე სუფიქსით, რომელშიც ნ ბგერა ჩანს განვითარებული: ნრინკე — მაგრად, ზედმეტად დაძახული ნართი: „ძრიალ გადახული ნრინკე გამაეიდოდა, სუსტად გადახული კი მდორნე“ (მოხ., 1985, გვ. 380).

ნრეტი/ნრიტი/ნრტი//ნრდ

ა.არაბულის ვარაუდით, „ზრინტი-ი (ხევს.) ნვეთი -- აშკარაა ფონეტიკური სახეცვლილება ნრეტი-/ნრიტი- ზმნური ფუძისა“ (ა.არაბული, 2001, გვ. 149). ეს დერივატი გვხვდება მთიულურშიც: ზრინტი-ი -- ნვეთი: „ერთი ზრინტი რძე“ (მთიულ., 1967, გვ. 206).

ნვეთის გარდა ზრინტი ხვესურულში ცვარსაც ნიშნავს (ხევს., 2005, გვ. 277).

ნრეხ/ნრიხ

სახელზმნური ფუძეების ლექსიკონში ეს ფუძე ხმოვანმონაცვლედაა ნარმოდგენილი და ქეგლ-ის ნიმუშის (ნრეხა-ს) ყალიბია ნაჩვენები. ქეგლ-ის მიხედვით ნრეხა იმერულსა და გურულშია დადასტურებული შემდეგი მნიშვნელობებით: 1. იგივეა, რაც გრეხა. 2. თამბაქოს გრეხილი: „ციგარების შეძლება კი არა, საჩიბუზე ნრეხას ველარ ვშოულობ“ (ქეგლ). ამ მაგალითების მიხედვით ი ხმოვნიაანი ფუძე არ ჩანს.

სამაგიეროდ, ქართლურში ვხვდებით ამ ფუძის ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმებს: ინრეხავ-ს — იგრეხს; ინრიხება: „ისე თამაშობდა, რო სუ ნელში ინრიხებოდა“; დაინრიხავ-ს — ძალიან დაგრეხს..., დანრიხვა..., დანრეხილ-ი (ქართლ., 1981, გვ. 237, გვ. 191). შდრ.: ინრეხ-იგრეხ-ს. ლაშს ინრეხ-იგრეხს — მიზეზობს, ჭინჭყლობს, იჭყანება (ტირილის დროს): „ბაღლო, მანდ ლაშს ნუ ინრეხ-იგრეხ, ე პური გვალე!“ (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969, გვ. 154).

ეს ფუძე ხმოვანმონაცვლეა მთიულურშიც: გადანრეხ-ს -- გადაგრეხს; ინრიხება -- იგრიხება (მთიულ., 1967, გვ. 189, გვ. 209).

ამავე ზმნის ხმოვანმონაცვლე (ნრეხ/ნრიხ) ფორმებს ადასტურებს ალ.ჭინჭარაული ხვესურულში, რომელთაც დაგრეხის მნიშვნელობა აქვთ (ხევს., 2005, გვ. 1090).

ი ხმოვნიაანი ფუძეს გვიჩვენებს თუშური: „ჩამონრიხვა-ც, რაც გადატანილი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი: „სარამ გრესნორ მანდილიდ' პირმოსკეპილმ ჩამონრიხ, ითამამ კარგადე გძლად“ (თუშ., 1969, გვ. 170).

ამ ზმნას II სერიის ი ხმოვნიაანი ფუძით ვებდებით იმერხეულშიც, შემდე-
გი კონტექსტით: „ნარბები ანრიხა“ (იმერხ., 1993, გვ. 210).

აღნიშნული ფუძე სხვა სახითაც გვხვდება იმერხეულში, კერძოდ, თავკი-
დურ თანხმოვნებს შორის ი ხმოვნია გაჩენილი და თანაც ეს ფუძე აღარაა
ემოვანმონაცვლე: დანირეხავ-ს -- დაგრეხს: „ლაზლასა რასძალა ნუ დანი-
რეხავ“; დლუნირეხ-ა -- გადატანითი მნიშვნელობით გინებას ნიშნავს: „ანა
ბაბოს სულზე დლუნირეხა და გაადელა კაცი“ (იმერხ., გვ. 430; გვ. 442).

ნყვე/ნყი ვ

ეს ფუძე ქვეგლ-სა, ზმნური ფუძეების და სახელზმნური ფუძეების ლექ-
სიკონებში მხოლოდ ე ხმოვნიაანი (არახმოვანმონაცვლე) ფუძითაა წარმოდ-
გენილი.

თუმურში დასტურდება ამ ზმნის ი ხმოვნიაანი ფორმები: „დასწყიე,
დედო, ჩემ ქმარსაე სწორთ წინ ნაქცევა მუკლისაე“; „მემცხვარის ქალმა დას-
წყია თავის ალალი გულითა“ (თუმ., 1960, გვ. 159; გვ. 168).

ი ხმოვნიაანი ფორმა შეგვხვდა რაჭულშიც: დანყევა -- დანყეულა, დაგინ-
ყიოს დაგინყეულოს (რაჭ., 1961, გვ. 683).

ხოლო ხევსურულის მონაცემების გათვალისწინებით ამ ფუძეს
აღჭინჭარული ხმოვანმონაცვლედ წარმოადგენს. მაგ., და-ს-წყევ-ს --
დანყეულის. „ღმერთმა დასწყიას ემბაკი, მაცდენელი ვაჟკაცისაო...“ და სხვ.
(ხევს., 2005, გვ. 305; გვ. 1096).

ნყენ/წყინ

ამ ზმნას უკავშირდება დერივატი ე ხმოვნიაანი ფუძით და -ია სუფიქსით:
წყენია

წყვეტ/წყვიტ/წყდ (← წყვტ)

გურულში ეს ფუძე ვინის გარემეც ვებდება: „გეერია ისწილი ამ ჯარ-
ში და სულ ყველაყი გასწყვიტა“ (გურ., 1977, გვ. 41). ბუნებრივია, გვაქვს
ვინითაც, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ვინის ნაცვლად ვებდება უ:
გამონყუეტა --- იგიევა, რაც გამონყეეტა. გამოლევა, შეწყვეტა: „ღმერთო
გამონყუიტიე ყოლიფერი საყვარელი ჩემ დამაქცევარს“ (გურ., 1977, გვ. 78).

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ე ხმოვნიაანი ფუძით: წყვეტ-ი (სპორტ.)
სხეულის ან ბელების სწრაფი მოძრაობა, წყვეტება (ქვეგლ).

წყლევ/წყლი ვ

წყამედ/წყამიდ/წყამდ//წყამენდ/წყამინდ

წყამენდ/წყამინდ ნ. წყამედ/წყამიდ/წყამდ

ჭდევ/ჭდნი ვ

ეს ფუძე ხევსურულში კ ბგერით ვებდება: შ-ჭკდევ-ს --- ნაჭდევს
უკეთებს ისე იფიცავს. „ერთმანეთს ნუ უღალატებთ! -- დროშის ტარზე
შჭკდევიან“... (ხევს., 2005, გვ. 1109).

ჭერი/ჭირ

ლეჩხუმურში ამ ფუძის თემატურ ვარიანტში შემდეგი თავიანტურებებზე გვაქვს: ნ ბგერის ჩართვა („დანჭირვა“), შემდეგ კი ნ-რ საურთიერებო ნეტა-თეზისი: „დარჭინვა“: დანჭირვა, დარჭინვა — დაჭერა: „მელა ხაბანტა“ გავაბით, ცოცხლათ დეეინჭირეთ“; დანჭირული — დაჭერილი; დარჭინვა — იგივეა, რაც დანჭირვა (ლეჩხ., 1955, გვ. 41).

ამ ზმნის ი ხმოვნის მქონე ფუძის დერივატია ჭირ-ი (აღწიწარაულა, 1973, გვ. 106-107). ამავე ფუძეს უკავშირებენ ზმნურ ფუძეს ს-ჭირ-ს (გაგალი-მოვი, 1964, გვ. 255, პ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990, გვ. 476). აარაბული შენიშნავს, რომ „ჭირ“-ს ვერ დავაცილებთ ჭერ-/ჭირ- აბლატურ ფუძე-მისი აზრით, „სემანტიკური კავშირისათვის ძალზე საგულისამო მავალი-თია სახელური ფუძის ამგვარი გამოყენება: ჭირი — ს ა ჭ ი რ : ქრეჯა ნაჟ ანტონი: ოდეს გონებაჲ მხიარულ არს, ესევეითარისა არა ჭ ი რ არა ნიგნი“ (უდაბნ. მრავალთ. 29 v)“ (აარაბული, 2001, გვ. 147).

ჭირატი/ჭირატი

ჭირატი/ჭირატი

ამ ფუძეს მოეპოვება ი ხმოვნისანი დერივატი: ჭვრიტ-ი, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: 1. „თვალი ელამი, მარლი“ (დ.ჩუბ.), 2. ტექნ. ტუჭრულტანა, ნახვრეტი (ქეგლ). ჭუჭრულტანას აღნიშნავს ეს სიტყვა ხვესურულშიც (ხევს.. 2005, 1105).

ამ ზმნის ი ხმოვნისანი დერივატი ე სუფიქსითაც გვხვდება: ჭვრიტე — ვინრო სიგრძივი ჭუჭრულტანა.

აღნიშნული დერივატი -ილო სუფიქსითაც დასტურდება შემდეგი მნიშვნელობით: ჭვრიტილო — ჭუჭრულტანა, ნახვრეტი. შდრ.: (იმერ.) ჭვრიტიმალი და ჭვრიტიმანი — ნახვრეტი, ჭვრიტილო (ქეგლ).

გვხვდება -ინა სუფიქსითაც: ჭვრიტინა მცირე სარკმელი (დ.ჩუბ.) (ქეგლ). გვხვდება ჭვრიტინაც: ჭვრიტინია — ნავთის პანია სანათი, ლამით ოთახში ენთოთ იმერეთში.

წარმოდგენილი დერივატები ყველა ი ხმოვნისანია. როგორც ცნობილია, ჭერეტი დრეკადი ფუძე ჭვირ ძირს უკავშირდება (ა.შანიძე, 1980, გვ. 392), იგი ჩვეულებრივი ე — ი ხმოვანმონაცველე ზმნაა. ამდენად ი ხმოვნისანი დერივატის არსებობა არაა მოულოდნელი, მაგრამ საყურადღებოა, რომ აღნიშნული ფორმების განხილვისას ა.არაბული უ ხმოვნისან დერივატებსაც მოიხმობს: „...ჭრუტი — თვალწერილი და ღრმა (დ.ჩუბ.). შდრ. მონლოლების დახასიათება: „ხოლო იყენეს... თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან...“ (ქ.ცხ. II. 1584; ვარ.: ჭრუტ MTM; ჭვრიტ Cet)“ (აარაბული, 2001, გვ. 148; გვ. 171).

ჭაქამ/ჭაქიმ

დაჭყემ-ს — ნვეტიანი რამ დაანება და ატკენს, უჩხელეტს. „ამკიდეს ნაკრის (ნეკრის) კონაი, დამჭკიმის, დავიჭმიხოდი“ (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969, გვ. 125).

ქლეკ/ჭლიკ

მაჭლეკა (მაჭლეკ-ს, მაიჭლიკება, მაჭლეკილი) ოთახის დასვრა ტალახიანი, თოვლიანი, მჭვრიანი ფეხით; არეე-დარევა, მიყრა-მოყრა: „რაისთუი მაჭლიკე აქაობა?"; „მაჭლიკეს კალო"; „მაჭლეკილია ბოსელი". ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე ჭლეკა (მოხ., 1985, გვ. 274, გვ. 383). ამავე ფუძეს შეიძლება უკავშირდებოდეს ხევსურული იჭლიკნები-ს — ფეხის ნაკეალევი ეტყობა, აჩნდება (ხევს., 2005, გვ. 449).

ჭმეკ/ჭმეჩ

ჭმეხ/ჭმის

აჭმეხა -- შეჭმუხენა (ხევს., 2005, გვ. 75; გვ. 1110).

ჭრამი/ჭრით

ჭრახ/ჭრახ

ჭრახ ფუძე არახმოვანმონაცვლედაა წარმოდგენილი სახელზმნური ფუძეების ლექსიკონში. მითითებულია შემდეგი ფორმები ქეგლ-იდან: ჭრეხა (ფშავ.) დანაოჭება, დაგრეხა; დაჭრეხილ-ი (ფშავ., ხევს.) დანაოჭებული; დაგრეხილი, ხუჭუჭი... // იტყვიან ნამცხვარზეც, რომელსაც ნაპირები აქვს ხელით შენეულ-გამონეული (ქეგლ).

„დაჭრეხა" გვხვდება თუშურშიც შემდეგი მნიშვნელობებით: 1. ზომაზე მეტად დაგრეხა, მაგ., სასაბლე ბალნისა; 2. მოხატვა კიდობანისა, სახლის აივნისა, მათრახის ტარისა და სხვ. აქედან დაჭრეხილი — ზომაზე მეტად დაგრეხილი, მოხატული... (თუშ., 1969, გვ. 93). ამ ზმნას დაგრეხის, დანაოჭების მნიშვნელობით ხევსურულის მასალის მიხედვით ხმოვანმონაცვლედ წარმოადგენს ალ.ჭინჭარაული, კერძოდ, იგი შემდეგ ფორმებს ასახელებს: დასჭრეხს, იჭრებებს, მასჭრეხს, ჭრეხა (ხევს., 2005, გვ. 306; გვ. 449; გვ. 1111).

ეს ფუძე ხმოვანმონაცვლედ გვხვდება მოხეურშიც, სადაც მნიშვნელობები ერთგვარად გადანეულია: მაჭრეხა (მაჭრეხს, მაიჭრეხება, მაჭრეხილი) მოჩუქურთმევა: „აკო დანაით მაჭრეხა"; „ნაირ-ნაირ მაჭრეხილი სახლი აქუ"; ს-ჭრეხ-ს — 1. გრეხს, მანჭავს, ათამაშებს: „ცეკვის დროს ჴელებს კარგა სჭრეხს" (მოხ., 1985, გვ. 274, გვ. 384). გაჭრეხა -- გაშლა: „გაჭრეხა ჴელე-ბიო" — იტყვიან თამაშის დროს ხელების გაშლაზე; ჭრეხა — შლა ხელებისა (მოხ., 1967, გვ. 391, გვ. 446).

ჭყეკ/ჭყიკ

ამ ზმნას უნდა უკავშირდებოდეს დერივატი, რომელსაც ი ხმოვნიანი ფუძე აქვს, თუმცა კი ეს უკანასკნელი სემანტიკურად საკმაოდ დაშორებულია ამ ზმნის მნიშვნელობისაგან: ჭყიკ-ი (გურ.) ნედლი, ჭყინტი. ჭყინტი იგივეა, რაც ჭყინტილი. აგრეთვე: 1. ნედლი, უნდილი, თოთო (უმნიფარი) საყოფი; 2. ახლად ამოყვანილი ჯერ გაუფუებული (ყველი) (ქეგლ).

შესაძლებელია ამ ფუძესვე უკავშირდებოდეს ა ხმოვნიანი დერივატი,

რომელსაც შემდეგი მნიშვნელობა აქვს: ჭყაპ-ი ჩვეულებრივ თოვლ-ჭყაპს, გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან დაყენებულ ტბორს ნიშნავს. აჭარულში ჭყინტის, ქორფას, ჩილის აღმნიშვნელადაც გვხვდება (ქეგლ). უკანასკნელი მნიშვნელობა იგივეა, რაც ჭყიპისა გურულში. იხ. ზემოთ ჭყეპ/ჭყიპ.

ჭყაპ ფუძე ამა თუ იმ სუფიქსსაც დაირთავს: ჭყაპურტი -- მუნუკია ერთგვარი; ჯერ წყალი ჩადგება და მერე დაჩირქდება; ჭყაპურტა წყალ-წყალა ულონო სასმელი; ჭყაპურტა ვაზის ჯიშია (ქეგლ).

ჭყეპა/ჭყეპი

ჭყეპა-ს — 1. გულდასმით ბანს, რეცხავს. 2. ჭყელტს. **ჭყეპა:** აგრეთვე: გასჭყეპს, დასჭყეპს, იჭყეპების (ხევს., 2005, გვ. 1112).

ჭყირ/ჭყირი

ზემოიმერულში ამ ფუძეში ვ ბგერაა განვითარებული: ამეიჭყვირება -- გამოიჭყიტება: „ზამთარში მზე რო გამოვა, იტყვიან ამეიჭყვირა მზეო“ (იმერ., 1974 (1), გვ. 25).

შესაძლოა ამ ფორმებს გარკვეული სემანტიკური გადაწვევით უკავშირდებოდეს დერივატები, რომელთაც ე და ი ხმოვნისანი ფუძეები აქვთ: ჭყერ-ი (ხევს.) სიპის ნატეხი (ქეგლ).

ჭყირ-ი (//ჭყერი//ჭყორი) — წერილი ქვა, რომელსაც კედლის პენები-სას იყენებენ ნახვრეტების დასარჩილავად. აქედან მასდარი ამაჭყორვა (//გამაჭყორვა), რაც ამოვსებას ნიშნავს (ოლონდ სითხეზე არ ითქმის) (ხევს., 1960, გვ. 274).

ჭყეტი/ჭყეტი

ხევსურულში გვაქვს ამ ზმნის დერივატი ე ხმოვნისანი ფუძით: ჭყეტი-ლია, მყვირალა ფერებით მოქარგული, -- ჭყეტილა (ხევს., 2005, გვ. 1112).

ეს დერივატი გვხვდება -ია სუფიქსითაც: ჭყეტილა. აგრეთვე -ელა სუფიქსითაც: ჭყეტილა (ქეგლ).

ეგვეე ზმნა უნდა იყოს ამოსავალი ი ხმოვნისანი დერივატისათვის ჭყეტილა -- დიდი ვარსკვლავი, გათენების ხანს რომ ამოდის (ქიზიყ., 1943, გვ. 252). აგრეთვე -- დერივატისათვის იჭყეტი, რაც, როგორც ზემოთ კრეჭ/კრიჭ ფორმების განხილვის დროს აღვნიშნეთ, თვალს უნდა ნიშნავდეს.

ჭყეინ/ჭყეინი

ჭყელაე/ჭყელაი

ამ ფუძეს ზოგი ქართული კილო სხვადასხვა ფონეტიკური სახეცვლილებით წარმოგვიდგენს. ქართულში პ/მ სუბსტიტუციით შემდეგ სახეცვლილებით: დაჭყელემაე-ს — დასრესს, დაჭყელტს... „ხილს რო ჩავეყრით საარაყეთა, უნდა დაეჭყელიმოთ და ისე ჩავეყროთ“ (ქართლ., 1981, გვ. 191).

ხევსურულში ზემოაღნიშნულ ფუძეს ლ ბგერის გარეშე ვხვდებით: დაჭყეპა-ს — დაჭყელტს, დასრესს: „დასც ი დიაცის ქმარმ ფეწი და დაჭყეპან“ (ხევს., 1975, გვ. 45, გვ. 96).

ჭყვერენ/ჭყვერინ

გამოჭყვერენა — გამოჩენა, გამოძვერენა. „ეგ საიდაძლა გაამაჭყვერინე?!“
ჭყვერენა — ჩენა, ჩვენება, დანახება: „რა უჭყვერინე, არ იცოდი, რო მეწონებო-
დათ?“, „ნუ დახვალ და ნუ ეჭყვერინები ქვეყანა!“ (ქიზიყ., 1943, გვ. 31; გვ. 252).

ჭყლემა/ჭყლიმა

გაჭყლემა (ჭყლემავეს, გაჭყლიმულ, გოუჭყლემში, განაჭყლემში, გაჭ-
ყლემშულ). ეს ფორმები დადასტურებულია ინგილოურში და გაჭყლეტას,
გასრესას ნიშნავს. „...ცოტა დაპრჩა, მეშინმა არ გაჭყლიმა (კინალამ მანქა-
ნამ არ გაჭყლიტა)“. გვხვდება ნარიანი ფუძეც: გაჭყლენტა (ინგილ., 1978,
გვ. 52; ინგილ., 1988, გვ. 104).

ჭყლეთ/ჭყლიტ

გურულში ეს ფუძე შემდეგი ფონეტიკური სახეცვლილებითაც გვხვდე-
ბა: ერთი მხრივ იკარგება ბგერა ლ, ხოლო მეორე მხრივ ვითარდება ნ ბგე-
რა. ნ შესაძლოა ფუძისეული ხმოვნის წინაც შეგვხვდეს და მომდევნოდაც:
ჭყენტა, ჭყენტა — ჭყლეთა (გურ., 1938, გვ. 89); „მოსქდა ხე და მთელი ჯარი
გაჭყინტა“; გაჭყინტა — გაჭყლიტა, გასრისა (გურ., 1961, გვ. 433; გვ. 663).

ჭყმეტ/ჭყმიტ

ხდენ/ხდინ

ეს ფუძე ხვესურულსა, თუშურსა და მთიულურში წ-ით გვხვდება. ზმნის
მნიშვნელობა ძირითადად ისეთივეა, როგორც სხვა კილოებსა და სალიტე-
რატურო ქართულში, თუმცა ზოგჯერ გვხვდება სემანტიკური გადაწვევაც:
„ზლიანობა კაზე მაგიწდინასთ!“, კაზე მაგიწდინასთ — გაგიმართლოთ, კარ-
გად წარგიმართოთ (ხევს., 1975, გვ. 18; გვ. 104); ააწდენ-ს ქვემოდან ზემოთ
აიყვანს (ხევს., 2005, გვ. 9); შაწდენა — გაგება: „აამ ბიჭს ვერას შაწდენ,
მეტაყი დოლოყოლოი“ (თუშ., 1969, გვ. 165). უწდენს: არ უწდენს — არ
გამოუდის რაიმე საქმე; შააწდინებ-ს — შეასმენს, შეაგონებს, ვერ შააწდი-
ნებ-ს — ვერ შეასმენს (მთიულ., 1967, გვ. 239).

ხევე/ხევი

„გლეჯს, ფხრენს“

ხევე/ხევი

„უკან იხევს“

ხელ/ხილ

აარაბულის აზრით, ამ ფუძეს უკავშირდება დერივატი ხილი. კერ-
ძოდ, მკვლევარი წერს: „ხილ-ი — *ხელ-/ხილ-, ხელ- (გახელა), ხილ
(ხილვა) ფუძეთა მიმართების გათვალისწინებით. ძველ ქართულში ხელ-
ალომორფი არა ჩანს, გახელის გაგებითაც ხილ- ძირი გამოიყენება:
იხილეს დღისი თუალითა ხილულითა კაცი იგი ღმრთისაჲ (წრს. 78, 16).
ამიტომ შესაძლებელია აქ ოდინდელი დრეკადობა არც გვექონდეს“ (აარა-
ბული, 2001, გვ. 148).

ხენც/ხინც

ახენცაე-ს, ახინცაე-ს — ერთად შეყრის დიდ-პატარას ერთმანეთში არევის (გარეკახ., 2003, გვ. 59).

ხვევ/ხვიწ

გურულში ერთ შემთხვევაში ამ ფუძეში ვ-ს ნაცვლად უ დავადასტურეთ: „დუნყო გველკაცმა კისერში მოხუევა ქალს“ (გურ., 1961, გვ. 432).

ხვლივ/ხვლივ

ამ ზმნას მოეპოვება ე ხმოვნისანი დერივატი -უსა სუფიქსით: ხვლეპუსა (ერნ.) თავმოპარსული ადამიანი, თავხოტორა (ქეგლ).

ხვლიფ/ხვლიფ

ხვრიმ/ხვრიმ

ხევსურულში ეს ფუძე შ ბგერის ჩართვითაც გვხვდება: დაშხერემ-ს — ხრაშუნით დაღეჭავს. „თუ ინაბარი ჩაეღვა, ნახშირი უნდა დაშხერემას“ [შეჭამოს] (ხევს., 2005, გვ. 301).

ხვრინ/ხვრინ

ეს ფუძე დადასტურებულია სახელზმნური ფუძეების ლექსიკონში, მაგრამ არ გვხვდება ზმნური ფუძეების ლექსიკონში.

ფშაურში გვხვდება ამ ფუძის ზმნური ფორმა ე ბგერის გარეშე: ხრინავ-ს — სულმეხუთულად ხვრინავს: „შენაც არ გეძინ მასვენებითა, ბრუნევედი რასამ, ხარს რო დაჰკვლენ, განაე, ისრ ჰხრინევედი“ (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969, გვ. 341).

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ი ხმოვნისანი ფუძით: ხვრინ-ი

ხვრივ/ხვრივ

ხვრიტ/ხვრიტ 1

„ხერელს აკეთებს“

ეს ფუძე ხევსურულში ჯარით გვხვდება: „მენადირემ ხანჯრით ამაჯერიტ ზეაეი“ (ხევს., 1975, გვ. 28; იხ. აგრეთვე ხევს., 2005, გვ. 1150).

ამ ფუძეში აჭარულსა და იმერხეულში იკარგება ე ბგერა: „ყურნი გამოხრეტილი აქო... ყურნგამოხრეტილი ლემსიაო“ (აჭარ., 1961 (1), გვ. 397).

გახრეტილ-ი იმერხეულში გადატანითი მნიშვნელობით ჭკვიანს, გამოცდილს აღნიშნავს: „მეჯიდაი იმფო გახრეტილია, იმას მუუდინგლოთ ერთი, რანა თქვას“. ამავე მნიშვნელობითაა შემდეგი კომპოზიტიც: ყურგახრეტილ-ი — ჭკვიანი, განათლებული, ცხოვრების მცოდნე: „ფენა ყურგახრეტილი კაცია ჩუენი აჰმედაი, ყუელამფრიდან ხებერი აქ“ (იმერხ., 1993, გვ. 623).

ამ ზმნას მოეპოვება დერივატი ე ხმოვნისანი ფუძით: ხვრეტი-ი. ეს დერივატი გვხვდება -ელა სუფიქსითაც: ხვრეტელა (ტექნ.) ხელის ბურღი მცირე ნახვრეტების გასაბურღად (ქეგლ).

გვხვდება ამ ზმნის ი ხმოვნიათი დერივატი ე სუფიქსით, რომელიც ასევე ჰექსიკურ ტერმინად იხმარება: ხერიტი-ე (ტიქნ.) დაფარული, გარედან უთი-ლაჲი სიცარიელე ლითონის სხმულში (ქეგლ).

ი ხმოვნიათი დერივატი -ილა სუფიქსითაც გვხვდება: ხერიტილა (რაჭ.) ნახვრეტი, ჭუჭრუტანა (ქეგლ). შდრ.: ხერეტელა (იხ. ზემოთ).

ხვრეტი/ხვრეტი 2

„ხვრეჲს“

ხლერ/ხლირ

იეესურულში ეს ფუძე ჯ ბგერით გვაქვს: ჯლერ-ს --- ტებს პურს, ყველს... (ბევს., 2005, გვ. 1154).

ხმეჲ/ხმი 3

ხრეჲ/ხრიჲ

ხრეჲ/ხრინჲ

მოხრეჲკა (მოხრეჲკს, მოხრინეჲკება, მოხრეჲკილი) მოხრა, მოკაუჭება: „მოხრეჲკილი ჯოხი“; „მოხრეჲკილი ცხუარი“; „ძარჯილს ნუერები მაუხრინ-კა“ (მოხ., 1985, გვ. 285).

ხრეჲ/ხრის

ხრეჲ/ხრინჲ

ეს ფუძე ქეგლ-სა და სახელზმნური ფუძეების ლექსიკონში მხოლოდ ე ხმოვნიათი ფორმითაა წარმოდგენილი: ხრეჲ (ფშავ., მოხ.). ხეხვა, ხახუნი; გახრეჲილი (ფშავ.) გაცვეთილი, გაქუცული.

მოხეური კილოს ლექსიკა ამ ფუძის ი ხმოვნიან ფორმებსაც წარმოგიდგენს, ზოგჯერ სემანტიკური გადანეითაც. ამრიგად, ეს ფუძეც ხმოვნიან-მონაცვლეა: „მოდ-ლა ქობები გახრინე!“ (მოხ., 1967, გვ. 391); დახრეჲმა, დახრეჲმა (დახრეჲს, დახრინეჲება, დახრეჲილი) დახეხვა (ტიქსტშია დაიედვა, რაც კორექტურული შეცდომის ნაყოფია), მაგრად დაბანა: „ცოტა კარგა დახრინეჲოდე“; ეხრინეჲ-ა -- ეხეხვა, ეხახუნეხვა, ესმის: „კატაი ფეჲებზე მეხრინეჲა“ (მოხ., 1985, გვ. 228, გვ. 235).

შესაძლებელია აღნიშნულ ფუძეს უკავშირდებოდეს დერივატი ე ხმოვნიათი ფუძით: ხრეჲი – მსხვილი ქვიშა.

ამ ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს ქართლურში დადასტურებული ხერეჲ/ხერიჲ, რომელშიც ე ბგერაა განვითარებული: დახერეჲს-ს, დახვრინეჲს-ს -- დააქუცმაცებს, ხერიშად აქცევს (მარილს) (ქართლ., 1981, გვ. 193).

ხრეჲ/ხრეჲინ

ხრეჲ/ხრინ

ხრეჲ-ს კბილებს აჩენს სიცილში, კბილებს ვერ მალავს სიხარულით: „ნეტაი რას ხრეჲს კბილებ?!“; ხრეჲვა მოურიდეხელი სიცილი; უმიზნო სიცილი: „ციცას ბერი ხრეჲვა არ მუხეტება“ (იმერს., 1993, გვ. 678).

გვაქვს ამ ზმნისაგან მომდინარე დერივატი ე ბმონიანი ფუძით და -ია სუფიქსით: ხჩენია-ი - რისამე (კბილების, შიშველი სხეულის...) დაუფარავად, მოურიდებლად გამომჩენი: „უყურე ერთი ამ კბილებ-ხჩენიას, უურიძირებადდი იცინის!“ (იმერხ., 1993, გვ. 678).

ხნაჲ/ხნჩ'ნ. ღნაჲ/ღნიჲ

ხჷნ/ხჷინ

ჯრან/ჯრინ

მა-ჯ-ხრენ-ს - გულდასმით მონმენდს, მოასუფთაებს. // ნააქცევს, დააბეთქებს. „ქიზიყელ ეგრე მავხჩრიწე, როგორც ნაცარი, მტვერათა“; **მევერინები-ს** - ძალიან სწრაფად გაიქცევა (ხევს., 2005, გვ. 571; გვ. 578, გვ. 1161).

ჯგვლემა/ჯგვლიმა

ეს ფუძე ხმოვანმონაცვლედაა წარმოდგენილი საბელზმნური ფუძეები-ლექსიკონში. მაგრამ შესაბამისი ფორმები ქველ-ში არ გვიჩვენებენ ი ხმოვანი ფუძეს: **ჯგვლემა** - ბლიკენა, მუჯლუგუნით ცემა, გამეტებით ცემა.. ბეგვა; **ნაჯგვლემა** (ქართლ.) - ბლიკვის კერა, ბლიკვით ნიშნება რაიმე საიდუმლოსი.

ამ ზმნის ი საფეხურიანი ფორმა გვხვდება დიალექტებში: **ჯგვლიმავ-ს** - მუჯლუგუნს სცემს, ბნენს: „ეს ქალი მჯგვლიმამ-ს, ნევიდეთი“ (იმერ.. 1974 (1), გვ. 527).

ასეთივე ფუძე განსხვავებული სემანტიკით გვხვდება მთიულურში: **იჯგვლიმებ-ა** - იჩურგნება (მთიულ., 1967, გვ. 209).

ჯგვნიტ/ჯგვნიტ

დაჯგვნეტა - დაჩხვლეტა: „ნეფსმა ხარაზს თითები დოუჯგვნიტა“: **დაჯგვნეტილი** - დაჩხვლეტილი (ლექს., 1955, გვ. 43).

ჯენ/ჯინ

ეს ფუძე გურულში შესაძლოა შეგებდეს დ ბკერის განვითარებით. შესაძლოა არ განვითარდეს დ, ხოლო ჯ დეზაფრიკატიზაციით გვაძლევდეს უ-ს: „ჯერხანამ ქეჩონა შიაჯდინა რაშზე“ (გურ., 1977, გვ. 25); „მუჟინეს გველკაცაი მეფის მზესავით ქალს...“ (გურ., 1961, გვ. 432)

დ ბგერა აჭარულშიც ვითარდება, სადაც აგრეთვე ჯ → ჟ დეზაფრიკატიზაციაც ხდება: „ეს პატარა ძმაი წრეს შიგნით დააჟდინეს“ (აჭარ., 1981, გვ. 23).

დ ბგერა ვითარდება რაჭულშიც: „დაიჯდინა მუხლი ძირსა“ (რაჭ., 1974, გვ. 207).

ამ მხრივ საინტერესო ვითარება გვაქვს მესხურშიც (იხ. ზემოთ მესხური კილოს განხილვისას).

ჯლეს/ჯლის

ეს ფუძე თუშურში ჯ-ით გვხვდება: **გაჯლესაჟი** რქოსანი საქონლის.

მიერ ადამიანის თუ ცხოველის დაშავება, ზოგჯერ სიკვდილიც: „გუშის წინ ვახტოი წარმ გაჯლივ“ (თუშ., 1969, გვ. 83).

ჯღერ/ჯღირ

გაჯღირვა (გაჯღირავს, გაიჯღირება, გაჯღერილი) 1. გაჩხერა, გაჩაჩხ-
ვა: „ძროხამ ფეწები გაჯღირა და ველარ გამაავლიეს“; 2. გაჯიუტება, ფეხე-
ბის მისობა: „ბუერი ვეხუენუ, მაგრამ გაჯღირა ფეხები და არ მამყიდა“ (მოხ.,
1985, გვ. 207).

დასკვნები

ქართული ზმნის უღლების სისტემაში აშკარად შეინიშნება ტენდენცია ოდესღაც ფართოდ გავრცელებული აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობის მოშლისა და ანმყო-წყვეტილის თემათა ერთიან, აფიქსურ სისტემაზე გადასვლისა. მიუხედავად ამისა, ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა — აბლაუტი დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართულ ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციისას. კერძოდ, დრეკ-ს — დრიკ-ა (ე—ი) და შლ-ი-ს — შალ-ა (შ—ა) ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნების უღლების საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ქართულ ზმნათა სერიებად და მწკრივებად დაყოფის მორფოლოგიურ და სინტაქსურ საფუძვლებთან ერთად გასათვალისწინებელია მორფონოლოგიური საფუძველიც.

ზმნურ ფორმათა ამგვარი კლასიფიკაციისას მართებულია დავეყრდნოთ აბლაუტის საფეხურს, იქნება ეს ე—ი თუ შ—ა ტიპის მონაცვლეობა, რის მიხედვითაც გარდამავალი ხმოვანმონაცვლე ზმნები იდენტიურობას გვიჩვენებენ იმ მხრივ, რომ მიუხედავად აბლაუტის საფეხურთა სხვადასხვაობისა, ერთ ჯგუფში აქცევენ პირველი სერიისა და პირველი თურმეობითის ფორმებს, ე—ი ტიპისათვის ე საფეხურის მქონეს, ხოლო შ—ა ტიპისათვის შ საფეხურის მქონეს; მეორე ჯგუფში ექცევა მეორე სერიისა და მეორე თურმეობითის და მესამე კავშირებითის ფორმები, ე—ი ტიპისათვის ი საფეხურის მქონე, ხოლო შ—ა ტიპისათვის ა საფეხურის მქონე.

გარდაუვალი ზმნები სხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებენ. კერძოდ, ე—ი ტიპის მონაცვლე ზმნებისათვის ერთ ჯგუფში ექცევა პირველი და მეორე სერიის ი საფეხურის მქონე ფორმები, ხოლო ცალკე დგას მესამე სერიის ე საფეხურის მქონე ფორმები; შ—ა ტიპის მონაცვლე ზმნებისათვის კი ერთ ჯგუფში ექცევა პირველი და მესამე სერიის შ საფეხურის ფორმები, ხოლო ცალკე დგას მეორე სერიის ა საფეხურის მქონე ფორმები.

ამრიგად, ხმოვანმონაცვლე ზმნათა აბლაუტის საფეხურების განაწილება სერიებსა და მწკრივებში და აღნიშნულ ზმნათა მწკრივების წარმოება ნათლად გვიჩვენებს, რომ ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა — აბლაუტი მორფოლოგიურ და სინტაქსურ საფუძვლებთან ერთად თანამედროვე ქართულ ენაში ზმნური ფორმების დაჯგუფების მორფონოლოგიური საფუძველია.

ხმოვანმონაცვლე ე—ი ტიპის ზმნურ და სახელზმნურ ფორმათა წარმოების მხრივ სალიტერატურო ქართულსა და ქართულ დიალექტებს შორის შეინიშნება თვალსაჩინო მსგავსება, მაგრამ ქართული კილოები განსხვავებულ ვითარებასაც გვიჩვენებენ როგორც ერთმანეთთან, ისე სალიტერატურო ქართულთან მიმართებით.

ქართულ კილოებში, სალიტერატურო ენის მსგავსად, ხმოვანმონაცვლე წმინები პირველ სერიაში პარალელურად -ავ თემისნიშნიან ფორმებსაც წარმოგვიდგენენ. ამის მიხედვით დიალექტთა შემდეგი ჯგუფები გვაქვს:

1. სამი ვარიანტი: ე ხმოვნიანი ათემატური ფუძე, ე ხმოვნიანი თემატური ფუძე, ი ხმოვნიანი თემატური ფუძე (ფშაური, თუშური, მთიულური (კილოკავი), ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, ჯავახური (კილოკავი), რაჭული, ზემოიმერული (კილოკავი), ლეჩხუმური, იმერხეული).

2. ორვარიანტიანი ჯგუფი, რომელშიც სამი ქვეჯგუფი გამოიყოფა: I. ა) ე ხმოვნიანი ათემატური ფუძე, ბ) ი ხმოვნიანი თემატური ფუძე (მოხეური, სამცხური (კილოკავი), გურული, აჭარული); II. ა) ე ხმოვნიანი ათემატური ფუძე, ბ) ე ხმოვნიანი თემატური ფუძე (ხეცსურული); III. ა) ე ხმოვნიანი თემატური ფუძე, ბ) ი ხმოვნიანი თემატური ფუძე (ქვემოიმერული (კილოკავი)),

3. ერთი ვარიანტით. ე ხმოვნიანი ათემატური ფუძე (გუდამაყრული (კილოკავი)).

აღნიშნულ ზმნათა სანყისები კილოების მიხედვით შემდეგ ჯგუფებს წარმოგვიდგენენ:

1. ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეზე დამყარებული სანყისები (მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, თუშური, ფშაური, ხეცსურული, ფერეიდნული, სამცხურ-ჯავახური);

2. ი ხმოვნიან თემატურ ფუძეზე დამყარებული სანყისები (ქვემოიმერული (კილოკავი)).

მე-3 და მე-4 ჯგუფებში სანყისები პარალელური წარმოებით ხასიათდება:

3) ა) ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეზე დამყარებული სანყისები, ბ) ე ხმოვნიან თემატურ ფუძეზე დამყარებული სანყისები (ქართლური, კახური).

4) ა) ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეზე დამყარებული სანყისები, ბ) ი ხმოვნიან თემატურ ფუძეზე დამყარებული სანყისები (რაჭული, ზემოიმერული (კილოკავი), გურული, აჭარული, იმერხეული, ლეჩხუმური).

ცალკე გამოიყოფა ინგილოური. აღნიშნულ ზმნათა სანყისები ინგილოურში ძირითადად ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეებს ემყარება, თუმცა გვაქვს ორიოდე მაგალითი, რომლებიც ე და ი განხმოვანების თემატურ ფუძეებზეა დამყარებული.

ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარსული დროის მიმღეობა ჩვეულებრივ კილოებშიც I სერიის ათემატურ ფუძეს ემყარება და -ილ სუფიქსით ინარმოვება. მხოლოდ დიალექტთა მცირე ნაწილში (ქართლური, კახური, ჯავახური (კილოკავი)) გვაქვს აღნიშნული მიმღეობები სამი ვარიანტით:

1. მიმღეობა -ილ სუფიქსით, რომელიც ე ხმოვნიან ათემატურ ფუძეს ემყარება, 2. მიმღეობა -ულ სუფიქსით, რომელიც ე ხმოვნიან თემატურ

ფუძეს ემყარება, ვ. მიმღობა -ულ სუფიქსით, რომელიც ი ხმოვნთან თემატურ ფუძეს ემყარება.

საინტერესო ვითარებაა დიალექტებში ევ-იან ზმნებთან დაკავშირებით. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი იყო, რომ -ევ სუფიქსის ვინი იველია ქართულის მასალის მიხედვით II სერიის ფორმებში შენარჩუნებული იყო ზოგიერთ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნაში. მსგავსად ძველი ქართულისა, ზოგ თანამედროვე ქართულ კილოში -ევ სუფიქსის ვინი II სერიის შემონახულია შემდეგ შემთხვევებში: ა) გარდამავალ ზმნებში, როდესაც -ი (-ენ) სუფიქსი პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს აღნიშნავს (ხევსურული: თუშური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, რაჭული (გლოლური კილოკავი); ბ) გარდაუვალ ზმნებში, როდესაც -ნ (-ენ) სუფიქსი სუბიექტის სიმრავლეს აღნიშნავს (ხევსურული, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, რაჭული (გლოლური კილოკავი).

-ევ სუფიქსის ვინი შემონახულია აგრეთვე გარდაუვალ ზმნათა ნეკტილში მრავლობითი რიცხვის S₃ -ნენ სუფიქსის ნინ (მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური, ქართლური, სამცხურ-ჯავახური, აჭარული, იმერბეული): ცალკეულ შემთხვევებში ვ-ს შემონახვა დაედასტურეთ -ნ სუფიქსის ნინ სტატიკური ზმნის ფორმაში და მეორე თურმეობითში (ქართლური) და ამავე სუფიქსის ნინ II კავშირებითში (სამცხური კილოკავი).

წარმოდგენილ მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული დიალექტოლოგიური ატლასისათვის.

პირველი სერიის ი ხმოვნის თემატური დრიკავს, ავლინებს ტიპის ფორმებზე მსჯელობისას კრიტიკულად ვიხილავთ არსებულ მოსაზრებებს: ა) -ავ დაერთო მეორე სერიის ი ხმოვნთან თემას, ბ) პირველ სერიაში ე → მონაცვლეობის საფუძველია რედუქცია, რასაც -ავ და -ებ თემის ნიშნებ ახდენენ. ჩვენ გამოვრიცხავთ აღნიშნული ფუძეების უშუალო ანალოგია: მეორე სერიის ფორმებთან, გამოვრიცხავთ ამ ფუძეებში მომცდარი ცვლილების ფონეტიკურ მოტივაციას.

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში პირველ სერიაში ვანმეორდა და გავრცელდა ის ყალიბი, რაც უკვე ცნობილი იყო ქართულსა და ქართველურ ენებში და რაც ი საფეხურისა და ხმოვნის სუფიქსის ერთდროული არსებობით ხასიათდებოდა. ი საფეხური ანმეოსა და შესაბამისად პირველი სერიის ფორმებში დღეისათვის მიენერება ერთგვარ სიმულტანურ მოვლენას. რომელიც ხორციელდება გარკვეული ტიპის ზმნებში სრულ საფეხურზე. მყოფი ხმოვანი (თუ ხმოვნის) სუფიქსის დართვისას. ერთდროულია: სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ ტიპის ზმნების ფუძეში ი საფეხური თემატური სუფიქსის გარეშე წარმოდგენილია.

-ავ თემის ნიშნის ფართოდ გავრცელების შედეგად გაჩენილი დრეკავს ტიპის ფორმები სალიტერატურო ენის გავლენით აიხსნება.

ზემოთ აღნიშნული სიმულტანური მოვლენა სრულ საფეხურზე მყოფი ხმოვანი (თუ ხმოვნია) სუფიქსის დართვისას ხორციელდება. ფაქტობრივად აღნიშნულ ზმნებში ასეთი სუფიქსის დართვის თუ დაურთველობის შედეგად მიღებული ყალიბები წარმოგვიდგენენ აბლაუტის მოშლას და აღდგენას. კერძოდ, პირველ სერიაში ზემოთ მოყვანილ ფორმებში აღნიშნული სუფიქსების გაჩენის გამო მოიძალა აბლაუტი: დრიკ-ავ-ს -- დრიკ-ა, ა-ლხინ-ებ-ს — ა-ლხინ-ა. სხვა მხრივ ამ სუფიქსების დაკარგვით აბლაუტი აღდგება:

და-ი-ჭირ-ავ-ს -- და-ი-ჭირ-ა → და-ი-ჭერ-ს — და-ი-ჭირ-ა

ა-ლხინ-ებ-ს — ა-ლხინ-ა → ა-ლხენ-ს — ა-ლხინ-ა

ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით გამოვლინდა, რომ -ავ თემის ნიშანი მკვიდრდება აღნიშნულ ზმნათა არა მარტო ზმნურ ფორმებში, არამედ მათზე დამყარებულ სახელ-ზმნებშიც (სანყისსა და მიმლეობაში). ერთი ზმნის სახელზმნური ფორმები უნეტესად ორი რომელიმე ვარიანტით გვხვდება, თანაც სხვადასხვა დიალექტში, მაგრამ საერთოდ მათი ყალიბი სამი სახისაა. ამას ერთი ფორმის მაგალითზე ასე წარმოვადგენთ:

კრეფ-ს კრეფ-ა გა-კრეფ-ილ-ი

კრეფ-ავ-ს კრეფ-ვ-ა გა-კრეფ-ულ-ი

კრიფ-ავ-ს კრიფ-ვ-ა გა-კრიფ-ულ-ი

განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ -ებ თემისნიშნის ხმოვანმონაცველ ზმნები:

ა-ლხენ-ს ლხენ-ა და-ლხენ-ილ-ი

ა-ლხინ-ებ-ს ლხინ-ებ-ა და-ლხინ-ებ-ულ-ი (// და-ლხინ-ულ-ი)

-ავ სუფიქსიანი ხმოვანმონაცველ ზმნებისაგან განსხვავებით -ებ სუფიქსიანი ხმოვანმონაცველ ზმნებში ისტორიულად ჯერ ი ხმოვნია თემატური ფუძე იყო, შემდეგ ე ხმოვნია თემატური ფუძე. ამრიგად, სალიტერატურო ენის მხრიდან ე ხმოვნია მოდელის გავლენა არ ყოფილა, რადგან აღხინებ იყო ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის ნიშანდობლივი. სწორედ ამიტომ არ უნდა გვექონდეს -ებ თემისნიშნის ხმოვანმონაცველ ზმნა ფუძეში ე ხმოვნით (* აღხინებ).

საყურადღებოა, რომ ზოგ შემთხვევაში -ებ თემისნიშნის და უთემისნიშნო სახელზმნები გამოყენებულია სემანტიკური განსხვავების გადმოსაცემად: აღდგენა — აღდგინება, წარდგენა — წარდგინება, დენა — დინება, გამოჩენა — გამოჩინება, ჩენილი — ჩინებული და სხვ.

ზემოთ აღნიშნულ ხმოვანმონაცველ ზმნათა პარალელური ფორმები მოქმედებითი გვარისაა. პარალელური წარმოება გვხვდება ხმოვანმონაცველ ზმნათა ენებითი გვარის ფორმებშიც. კერძოდ, მესამე სერიაში: გატკრენილა // გატკრინულა, გაჩხერილა // გაჩხირულა, განკეპილა // განკიპულა.

რომ წარმოვადგინოთ მესამე სერიის მსკრივთა პარალელური ფორმები. ერთი მაგალითის მიხედვით ასეთ სურათს მივიღებთ:

პირველი თურმეობითი: გატვრენილა // გატვრინულა

მეორე თურმეობითი: გატვრენილიყო // გატვრინულიყო

მესამე კავშირებითი: გატვრენილიყოს // გატვრინულიყოს

მესამე სერიაში ვნებითის ფორმათა ასეთი პარალელური წარმოება შესაბამის ზმნათა მოქმედებითი გვარის ანმყოს ფორმებიდან უნდა მოდიოდეს. ვფიქრობთ, ვნებითის „გატვრინულა“ ტიპის ფორმები უნდა ემყარებოდეს მოქმედებითი გვარის ზმნათა ანმყოს ფუძეს (ტვრინავს, ნკიპავს, ჩხირავს). ისევე როგორც ვნებითის „გატვრენილა“, „განკეპილა“, „გაჩხერილა“ ტიპის ზმნები ემყარება მოქმედებითი გვარის (ტვრენს, ნკეპს, ჩხერს) ზმნების ანმყოს ფუძეს. უფრო ზუსტად, აღნიშნულ ზმნათა ვნებითის ფორმები მესამე სერიაში წარსული დროის მიმლეობას ემყარება, ეს უკანასკნელი კი ამავე ზმნათა მოქმედებითი გვარის ანმყოს ფუძეს იყენებს.

ის ფაქტი, რომ ხმოვანმონაცვლე ზმნათა ნამყო დროის მიმლეობა ეყრდნობა ანმყოს ფუძეს, ე.ი. იმ ფუძეს, რომელიც საწყისშიც გვხვდება და არა ნამყოში, ნიშანდობლივია არა მარტო ქართული ხმოვანმონაცვლე ზმნებისათვის, არამედ სხვა არაქართულურ ენათა ხმოვანმონაცვლე ფორმებისათვისაც. მაგ., ინგლისური ენის ხმოვანმონაცვლე ზმნათა ნაწილი წარსული დროის მიმლეობაში წარმოგვიდგენს იმ ფუძეს, რაც საწყისსა და ანმყო-მყოფადის ფორმებშია და არა-ნამყოში (to give — gave — given). ვფიქრობთ, ამ კუთხით არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება სხვა ინდო-ევროპული ენებში მონაცემების განხილვაც, მაგრამ ასეთი ტიპოლოგიური კვლევა სცილდება ჩვენი კვლევა-ძიების ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ -ევ/-ივ, -ენ/-ინ სუფიქსები გამოიყენება კაუზატივისა და მოქმედებითი გვარის ფორმებში, იმ განსხვავებით, რომ კაუზატივის ფორმებში ეს სუფიქსები გაქვეავებული სახით გვაქვს (-ინ, -ევ, -ევი), ხოლო მოქმედებითი გვარის ზმნებში ისინი პარადიგმების მიხედვით მონაცვლენი არიან (-ევ → -ი(ვ), -ენ → -ინ), მაგრამ მოქმედებითი და საშუალმოქმედებითი გვარის ზმნებში ეს სუფიქსები მონაცვლე არიან მაშინ, თუ ზმნა უთემისნიშნოა, ხოლო თუ ზმნა თემისნიშნოა, რაც შემთხვევებში სულაც იშლება აბლაუტური მიმართება (აღხინებს — აღხინა, ფრინავს — იფრინა).

კაუზატივის ფორმებში -ინ I და II სერიაში რედუქციის საფეხურს გვიჩვენებს. ეს ეხება როგორც -ინ, ასევე -ევი სუფიქსსაც. -ევი სუფიქსიანი ფორმების შესახებ დამატებით უნდა ითქვას, რომ -ევი რთული სუფიქსია, რომლის პირველ ნაწილსაც ამ შემთხვევაში რედუქცია არ შეეხება. ეს პროცესი -ინ (← -ენ) სუფიქსმა განიცადა.

